

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა  
ფილოლოგია (ქართული ლიტერატურის ისტორია)

გია არგანაშვილი

„სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურული ცნობიერება (მე-19  
საუკუნის პირველი ნახევარი)“

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი თამარ შარაბიძე

თბილისი

2022

## აბსტრაქტი

**სადისერტაციო კვლევაში** მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მაგალითზე შესწავლილია ორი ცვლადი მოვლენის - **სოციო-პოლიტიკური პარადიგმის და ლიტერატურული ცნობიერების** ურთიერთმიმართების (კორელირების) საკითხი. მოვლენათა ანალიზი ჩატარდა სხვადასხვა ეპოქალური გარემოებების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გააზრება, რომ ქვეყანაში სწორედ იმ წლებში მიმდინარეობდა ფეოდალური ინსტიტუტების რღვევა, ძლიერდებოდა ანტიკოლონიური ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ხდებოდა საყოველთაო გაჭირვების და გახშირებული პანდემია-ეპიდემიების პირობებში, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადო ცხოვრებაზე, მათ შორის ლიტერატურული პროცესების განვითარებაზე.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენდა, შემოწმებულიყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ ორი ცვლადს (სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურული ცნობიერებას) შორის არის პირდაპირი კავშირი. თუ ერთი ცვლადის (სოციო-პოლიტიკური პარადიგმა) მთავარი მახასიათებლები იცვლება, ეს განაპირობებს მეორე ცვლადის (ლიტერატურული პროცესი), ასევე მზარდი მიმართულებით ცვლილებას და პირიქით.

ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინი კორელაცია (კორელირება) არის საზომი იმისა, თუ როგორ არის დაკავშირებული ორი ან მეტი ცვლადი ერთმანეთთან (ამისთვის არსებობს პისონის კორელაციის კოეფიციენტი). არაფორმალურად კორელაცია კი დამოკიდებულების სინონიმია, თუმცა ის მაინც უმეტესად ტექნიკური გაგებით იხმარება და ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მისი შემოტანა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიგვაჩნია მართებულად.

**კვლევის მეთოდოლოგია** შემუშავდა, როგორც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ერთ მოვლენას, ანუ მიზეზს (სოციო-პოლიტიკური პარადიგმას) და მეორე მოვლენას \_ შედეგს (ლიტერატურული ცნობიერებას ) შორის. თემის დამუშავების დროს

მხატვრული ტექსტის ანალიზისთვის გამოყენებული იქნა ჰერმენევტიკის, კომპარატივისტიკის და ფენომენოლოგიური კვლევის მეთოდები.

**კვლევის შედეგად დადგინდა:** ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ორ ცვლადს შორის კავშირი პირდაპირია და ერთი ცვლადის მახასიათებლის ცვლილება იწვევს მეორის მზარდი მიმართულებით ცვლილებას, აუცილებლობას არ გულისხმობს, რადგან ყოველი ეს ცვლილება კულტურულ-პოლიტიკური ერთობის (ქართველი ერი) შიგნით ხდება, რომელიც ისტორულ პროცესში თავადაც იცვლება და ვითარდება. ცვლილების ხასიათი კი იზომება იდენტობის სხვადასხვა მახასიათებლით. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული კვლევა ჩატარდა ნაციონალური და ლიტერატურული იდენტობის მიმართულებით.

ასევე გამოიკვეთა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის სოციო-პოლიტიკური პარადიგმა (წარსულის გაიდება), როგორც რომანტიზმის ხელშემწყობი პირობა და მისი ცვლილების საფუძველიც, როგორც კოლონიური ძალადობის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. შესაბამისად, ნაციონალურ მისიაზე ორიენტირებულმა პროცესებმა უპირატესად სწორედ მხატვრულ აზროვნებაში ჰპოვა თავის გამოხატულება და გავლენა მოახდინა სოციო-პოლიტიკურ პარადიგმაზე.

განისაზღვრა, რომ ლიტერატურის განვითარების პერსპექტივა კოლონიური რეჟიმის პირობებში არასრულფასოვანია. ამის შედეგია, რომ დაპყრობილი ქვეყნის ლიტერატურა ხშირად ვერ სწვდება ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, რადგან შემოქმედებით გზაზე გარკვეულ წინააღმდეგობად ეღობება ბრძოლა როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის, ასევე ადამიანის უფლებების დასაცავად.

**დასკვნა:** მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში განვითარებულმა ლიტერატურულმა პროცესებმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საზოგადოების კულტურული შოკის დაძლევისა და პოზიტიური ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში, რამაც საშუალება მისცა საზოგადოებას, რომ წარუმატებლობის ქრონიკული განცდა დაეძლია და დემოკრატიული პრინციპების გაზიარების საფუძველზე ეროვნული ერთობისა და სოციალური თანასწორობის პერსპექტივა გაეჩინა.

**კვლევის შედეგები** თეორიული თვალსაზრისით ღირებულია, თუმცა სოციო-პოლიტიკურ მოვლენებსა და ლიტერატურულ ცნობიერებას შორის ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ, თუ სრულად არ გამოვიკვლევთ, ერთი მხრივ, სოციო-პოლიტიკური მოვლენებს როგორც გლობალური, ასევე ადგილობრივი მასშტაბით (რაც არ უნდა მცირედ მოჩანდეს ის საუკუნეების გადმოსახედიდან), ხოლო, მეორე მხრივ, ლიტერატურულ პროცესებს, მთელ შემოქმედებით მემკვიდრეობას (რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს ის ლიტერატურის ისტორიისთვის) მისი ყველა მიმართულების, ტიპისა და ჟანრის გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** ლიტერატურული ცნობიერება, სოციო-პოლიტიკური პარადიგმა, ანტიკოლონიალური წინააღმდეგობა, რომანტიზმი.

## Abstract

The dissertation research studies two variable phenomena – the correlation of socio-political paradigm and literary awareness on an example of Georgia in the second half of the 19th century. Analysis of the phenomena has been carried out on the basis of different epochal circumstances.

It was especially important to realize that exactly in that period feudal institutions demolished and anticolonial fighting against the Russian Empire reinforced. All this was happening under general indigence and frequent pandemic-epidemic conditions, which had a big influence on public life including the development of literary processes.

The purpose of the research was to verify an assumption, that there is a direct connection between two variable phenomena (socio-political paradigm and literary awareness). If one of the characteristics of the first variable (socio-political paradigm) changes, it results in growing change of the second variable (literary process) as well and vice versa.

The term correlation, used by us, is a criterion of how two or more variables are connected to one another (for this, the Pearson correlation coefficient exists). Correlation is informally a synonym of attitude, but it is mostly used with technical meaning and we consider its usage in the Humanities to be true only in special cases.

Research methodology has been decided as a causal connection between the first phenomenon or reason (socio-political paradigm) and the second phenomenon, result (literary awareness). While working on the theme, hermeneutic, comparative and phenomenological research methods have been used for an artistic text analysis.

As a result of the research it has been verified: Our assumption, that the connection between two variables is direct and change of one characteristic of the first variable results in growing change of the second one, does not mean necessity, because all this change happens inside the cultural-political unity (Georgian nation), which changes and develops itself in the historical process. Change character is measured by different features of identity. Some

research has been done in the direction of national and literary identity to solve this problem.

In this way, socio-political paradigm (idealization of past) of the first half of the 19th century has been defined as a helpful factor of romanticism and a basis for its change, as a desire to oppose colonial violence. Accordingly, the processes focused on national mission primarily found its expression in artistic thinking and had an influence on socio-political paradigm.

It has been determined that a perspective of literature development is imperfect under the conditions of colonial regime. As a result of this, literature of conquered countries does not often go beyond ideals common to all mankind, because fight for both national independence and protecting human rights hinder it on its creative development.

Conclusion: The literary processes developed in the first half of the 19th century played an important role to overcome culture shock of society and form positive conscience. It allowed society to get over a chronic feeling of failure and create a perspective of national unity and social equality on the basis of sharing democratic principles.

Theoretically, research outcomes are valuable, however, we can't put the equal sign between socio-political events and literary awareness unless we fully study, on the one hand, socio-political events both on a global and local scale (it does not matter how little it is shown from the centuries' perspective), and, on the other hand, literary processes, full creative heritage (it does not matter how unimportant it can be for literature history) by considering all its directions, types and genres.

Key words: literary awareness, socio-political paradigm, anticolonial contradiction, romanticism.

## მადლობა

ვიდრე ნაშრომს წარმოგიდგენდე, მინდა ამ შესაძლებლობით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ისტიტუტს, ვინც არსებითი წვლილი შეიტანა, რომ ეს სამუშაო შემესრულებინა

უპირველესად, მინდა ის ადამიანები ვახსენო, ვინც სამწუხაროდ ცოცხალი აღარ არის და დიდი შრომა აქვთ გაწეული ჩემთვის და ამ დღისთვის. მე მხოლოდ მათ სახელებს და გვარებს დავასახელებ. ზუტად ვიცი, რომ ამ საზოგადოებაში არ დამჭირდება მათი რეგალიების ჩამოთვლა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ვიცნობდით. მათ შორის არიან სხვადასხვა დროს ჩემი პედაგოგები და იმავდროულად მეგობრები: ბატონები ერლომ ახვლედიანი, მირიან აბულაძე, თენგიზ კიკაჩიშვილი, დავით გოცირიძე და ქალბატონი ინგა მილორავა, რომელიც დღემდე ჩემი ყველა წიგნის მთავარი მოხსენებელი და შემფასებელი იყო და დარწმუნებული ვარ, დღესაც ერთ-ერთ აქტიური მონაწილე იქნებოდა.

მინდა ვახსენო და მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლებს, მმას, რომელიც დიდი ინტერესით ელოდებოდა ამ კვლევის დასრულებას, მაგრამ სამწუხაროდ პანდემიის გამო ვერ მოესწრო ამ დღეს.

რაც შეეხება, ინსტიტუტს, უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს, რომელმაც სხვადასხვა ინსტიტუტების შემდეგ (როგორც ჩემს თაობას ახასიათებდა, უძლები შვილით მიმიღო და ყოველგვარი პირობა შემიქმნა იმისთვის, რომ ჩემ სივში თსუ-ს სახელი ყველაზე მეტი სიამაყით ჩაწერილიყო. რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მას.

მადლობა მინდა გადავუხადო თემის ხელმძღვანელს ქალბატონ თამარ შარაბაძეს, რომელიც ძალიან დიდი შრომა გასწია არა მხოლოდ ამ ნაშრომის შესრულებაში, არამედ სამეცნიერო მუშაობაში ჩართვაში. ასევე მადლობას ვუხდის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ყველა თანამშრომლებს ბატონ ლადო მინაშვილის ხელმძღვანელობით და ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატს ქალბატონ ნანა გაფრინდაშვილს, ეკა ნავროზაშვილს, ფიქრია ვარდოსანიძეს, პაპასკირს და ა.შ..

მადლობა მინდა გადავუხადო პედაგოგებს, რომლებიც დოქტორანტურის საგნები გავიარე და რომელთა რჩევებიც ძალიან დამემარა მუშაობაში

განსაკუთრებულ მადლობას ვუხადო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, ყველა მის თანამშრომელს, ქალბატონ ირმა რატიანის ხელმძღვანელობით, რომელთაც შემომატრიალეს მეცნიერებისკენ, რითაც ერთი მხრივ ძალზე საინტერესო გახადეს ჩემი მუშაობა, მეორე მხრივ მომცეს საშუალება რაღაც იოტოდენა მაინც შემემატებინა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავიხადო ჩემს ოჯახს, მეუღლეს, რომელიც დისერტაციაზე მუშაობის დაწყებიდან მის დასრულებამდე როგორც პროფესიონალი ფილოლოგი და გულშემატკივარი გვერდით მედგა ყველა სირთულის ჟამს: შვილებს, რომლებიც მოთმინებით იტანდნენ უნივერსიტეტის, შესაძლოა, თსუ-ს ყველაზე ასკოვანი დოქტორანტის სტუდენტურ ცხოვრებას.

მადლობას ვუხდის ჩემს რეცენზენტებს. სადისერტაციო საბჭოს, ჩემი ნამუშევრის ყველა შემფასებელს და აქ მობრძანებულ სტუმრებს



## სარჩევი

შესავალი -----	1
1 . ნაციონალური იდენტობა -----	22
1.1. ლიტერატურული იდენტობა -----	40
2.მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურული ცნობიერება -----	44
2.1.ფეოდალური ურთიერთობის რღვევა -----	46
2.2. ანტიკოლონიური მოძრაობა და ეროვნულ -გამანთავისუფლებელი	
შექმნის პირობები და მიზნები -----	57
2.3. პანდემია - ისტორიული გამოცდილება: ლიტერატურული შედეგების	
შექმნის პირობები და მიზნები -----	65
2.4. იმედი და ნიჰილიზმი -----	76
3 .ქართული რომანტიზმის თავისებურება -----	79
3.1.რომანტიზმი დღევანდელი გადასახედიდან-----	80
3.2.რომანტიზმის საერთო საფუძველი და მისი გავრცელების პირობა სხვადასხვა	
ქვეყანაში -----	82
3.3. ლიტერატურული გამოცდილების გაზიარება -----	90
3.4. ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურულ ტრადიციასთან კავშირი -----	96
3.5. ეპოსის გმირი ლირიკული პერსონაჟის როლში -----	101
3.6. ნაპოლეონის სახე ქართული ტრადიციული აზროვნების შუქზე ნიკოლოზ	
ბარათაშვილის ლექსში „ნაპოლეონ“ -----	112

3.7. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ ლიტერატურული მოდელი ფენომენოლოგიური კრიტიკის შუქზე -----	121
4. ლიტერატურის განვითარების პერსპექტივა კოლონიური რეჟიმისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში -----	137
5. „რომანტიზმიდან რეალიზმამდე - 1932 წლის შეთქმულება და რეალიზმის დასაწყისი -----	145
5.1. ახალი ცხოვრების პირველი რეალისტური სურათები გიორგი ერისთავის შემოქმედებაში -----	168
5.2 მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დანაკარგები და ლიტერატურა, როგორც პოსტრავმული სტრესის დამლევის გზა -----	192
დასკვნა -----	200
გამოყენებული ლიტერატურა -----	204

## შესავალი

სადისერტაციო თემა ერთმანეთთან ორ ცნებას - სოციო-პოლიტიკურ პარადიგმასა და ლიტერატურულ ცნობიერებას - აკავშირებს, რაც იმავდროულად ისტორიული და კულტურული პერიოდის მთლიანობასაც გულისხმობს, რადგან, თუ საფუძვლიანად გავანალიზებთ გარკვეული ეპოქის სოციო-პოლიტიკურ მოვლენებს, ამით უშუალო წარმოდგენას შევიქმნით იმ დროის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, რომელიც ეპოქის ლიტერატურ პროცესებში ჰპოვებს ასახვას.

რამდენად შედეგიანი იქნება ჩვენი კვლევა, თუ ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში იმდროინდელი რეალობის სარკისებრი პრინციპით ამოკითხვას შევეცდებით? რამდენად ხელსაყრელია დღევანდელი ჩვენი პოზიცია ობიექტური შეფასებისთვის, როდესაც დაკვირვების საგანს დღემდე ყველა დამკვირვებელზე მეტად ვართ დაშორებულები და რა პერსპექტივა აქვს ნაციონალურ ლიტერატურას ქვეყნის კოლონიურ და დამოუკიდებლობის სხვადასხვა ეტაპზე, შეგვიძლია მათ შორის აშკარა განსხავების დანახვა თუ არა? ნაშრომის მიზანია, ვუპასუხოთ ამ კითხვებს.

ჩვენ ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლებიდან დავყურებთ მეცხრამეტე საუკუნის სოციო-პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოვლენებს. გვაქვს კლასიკური ლიტერატურათმცოდნეობის ქრესტომათიული ცოდნის გარკვეული ბაზისი და მეთოდოლოგიური კვლევისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ასევე ტექნოლოგიური პროცესების არნახული განვითარებისა და მსოფლიო გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგების გამოცდილება, რაც საკუთარ თავში იმის მოლოდინსაც ატარებს, თუ რა შედეგს მოიტანს მუდმივი დაპირისპირების, ღირებულებათა ცვლილების გააქტიურებული პროცესები მომავალში.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ ახალ თაობაში უფრო და უფრო მკვეთრ სახეს იღებს და წინააღმდეგობის გარკვეულ ბაზისად ყალიბდება კრიტიკული აზროვნება. ეს მისასაღმებელია, მაგრამ სიტყვისა და აზრის თავისუფლების პირობებში ის უფრო თამამ და ხშირად რადიკალურ ხასიათს იღებს. უკმაყოფილება აწმყოთი და აქედან გამომდინარე გამძაფრებული უნდობლობა წარსულისადმი

იწვევს ყოველივე ძველის უარყოფის, დავიწყების ან სულაც მისი განადგურების სურვილს.

ასეთ რელობაში ერთმნიშვნელოვნად იკითხება დეკონსტრუქციის სურვილი, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს ნგრევას, დარღვევას. თავად ტერმინი დეკონსტრუქცია კი გულისხმობს არა უბრალოდ დაშლას შემადგენელ ელემენტებად, არამედ სტრუქტურის რეკონსტრუქციას, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ შეიქმნა ეს სტრუქტურული მთლიანობა.

დისერტაციაზე მუშაობის სამი წელი ძალზე აქტუალურ სოციო-პოლიტიკურ მოვლენებს დაემთხვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ საკაცობრიო მასშტაბით. მათთან მიმართებით, ჩვენს საკვლევ თემებს, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ისინი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს, ოდნავადაც არ დაუკარგავს აქტუალობა. პირიქით, დღევანდელი ფონზე ზოგიერთი საკითხის კვლევამ ისეთი ინტერესი შეიძინა, რომ ამ ორი ეპოქის შეპირისპირებითი ანალიზის სურვილიც კი დაბადა.

ვიდრე უშუალოდ სადისერტაციო თემას შევხებით, ამ ორი ცნების – სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურული ცნობიერება – მნიშვნელობები უნდა გავარკვიოთ.

პარადიგმა გარკვეული ეპოქისთვის (ეტიპისთვის) ცივილიზაციის, მეცნიერების, კულტურის დამახასათებელი კონცეპტუალურ შეხედულებათა სისტემაა (ქართული ლექსიკონი). უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, პარადიგმა გულისხმობს აზროვნების იმ წესს, რომელიც კონკრეტულ დროსა და საზოგადოებაში არის გავრცელებული. ღირებულია იმით, რომ გეხმარება გააზრებაში – „რადაც გავრცელებული აზრი“ ჭეშმარიტება კი არ არის, არამედ კონკრეტულ სოციუმში მეინსტრიმული ხედვაა, რომელიც დღეს არის გავრცელებული და არავითარი პირობა არ არსებობს, რომ ის მომავალშიც აქტუალური დარჩება.

პარადიგმის ცნების ჩამოყალიბება უკავშირდება მე-20 საუკუნის ამერიკელი ფიზიკოსის, ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის, თომას კუნის (1922-1996)

მოღვაწეობას. ის უპირატესად საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე დაკვირვებით აყალიბებდა მოდელს, რომლის შიგნითაც მეცნიერები ოპერირებენ.

პარადიგმა უარყოფს სამყაროს შესახებ ალტერნატიულ წარმოდგენებს. კუნი ამტკიცებდა, რომ მეცნიერები მუშაობენ პარადიგმების ფარგლებში. დროთა განმავლობაში მეცნიერების წიაღში ჩნდება ანომალიები, რომელთა გადაჭრა ვერ ხდება არსებული პარადიგმების საზღვრებში. აქედან გამომდინარე კი, მეცნიერების განვითარება არაფერია, თუ არა არსებული პარადიგმების ჩანაცვლება ახალი პარადიგმებით.

პარადიგმის ცვლილება უშუალოდაა დაკავშირებული ეპოქალურ ცვლილებებთან, რომლებიც ბუნებრივად ითვალისწინებს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებს და სხვა პროცესებს.

პარადიგმის თეისტური განმარტებით, ის ჭეშმარიტი და მარადიულია. იცვლება პარადიგმის გამოვლენის ფორმები, თავად იდეა კი ერთია და უცვლელი. პარადიგმა შეიცნობა მხოლოდ ინტუიციურად, რამეთუ ის ტრანსცენდენტულია.

ზოგიერთი სოციოლოგი ამტკიცებს, რომ სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, იმყოფება წინაპარადიგმულ საფეხურზე, რამდენადაც არ არსებობს არავითარი კონსენსუსი საზოგადოების ბუნებასთან დაკავშირებისა და არც საყოველთაოდ მიღებული მოდელი არსებობს იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სოციოლოგიური გამოკვლევა. არსებობს მოსაზრება, რომ პარადიგმად მიჩნეულ იქნეს სოციოლოგიური სკოლა, რამდენადაც ყოველი სკოლა შედარებით თვითკმარია და იყენებს საკუთარ მეთოდებსა და თეორიებს. საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის შექმნის შემდეგ პარადიგმების თანმიმდევრობას ამგვარი სახით წარმოადგენენ: იდეალიზმი, რეალიზმი, ბიჰევიორიზმი, ნეორეალიზმი, ნეოლიბერალიზმი. პარადიგმების ცვლას თან ახლავს „პარადიგმული კრიზისი“. ამჟამად საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული პ-ის სტატუსს ძირითადად ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი ეცილებიან ერთმანეთს.

სოციოლოგები პოულობენ კავშირს თომას კუნის პარადიგმასა და ფუკოს ეპისტემეს თეორიას შორის (მათი კვლევები ერთ დროს მიმდინარეობდა).

ფუკოსა და კუნის თეორიების საერთო საზრისი მდგომარეობს იმაში, რომ მათ უარი განაცხადეს აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნებაზე. ჩვენი აზროვნება ყოველთვის შეზღუდულია ეპისტემით ან პარადიგმით (ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვერასდროს მივალთ ჭეშმარიტებამდე, რადგან ყოველი ჭეშმარიტება ფარდობითია. ის დამოკიდებულია ადამიანის მსოფლმხედველობაზე).

პარადიგმის ცნება რომ უფრო თვალსაჩინო გავხადოთ, აქვე ვიტყვი, რომ სოციო-პოლიტიკური პარადიგმა თითქმის ყოველთვის ეყრდნობა სოციო-პოლიტიკური ფორმაციის ძირითად პრინციპებს, ხოლო ლიტერატურული პარადიგმა მთლიანად იზიარებს გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობის პოზიციას.

ამის გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის სოციო-პოლიტიკური პარადიგმა იქმნება რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგობის ფონზე, სოციალური ინსტიტუტების რღვევის თანხმლებით, რომანტიკული განწყობის გაძლიერებისა და მისი თანამდევი სხვადასხვა პროცესების გარემოში.

ლიტერატურული ცნობიერება, როგორც ლიტერატურული პროცესების აღქმის მდგომარეობა მოიცავს ჟანრებისა და ტენდენციების სიმრავლეს, ის დაკავშირებულია კაცობრიობის სოციალური განვითარების ეტაპებთან (მითოლოგიური არქაიზმი, ანტიკურობა, შუა საუკუნეები, თანამედროვე დრო). მას ასტიმულირებს მწერლების (არა ყოველთვის გაცნობიერებული) მოთხოვნილება, რეაგირება მოახდინონ ისტორიულ ცხოვრებაში ცვლილებებზე, მონაწილეობა მიიღონ მასში და გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ამრიგად, ლიტერატურა იცვლება ისტორიულ დროში, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ცხოვრების გავლენით.

შენიშნულია ლიტერატურული პროცესის მჭიდრო კავშირი (ე.წ. კუპრეიანოვა - ლიტერატურათმცოდნე ) ზოგადად სოციალური ცნობიერების განვითარებასთან და მისი წამყვანი ფორმების ისტორიულ ცვლილებასთან (რელიგიური - შუა საუკუნეებში, ფილოსოფიური - XVII-XVIII საუკუნეებში, სამეცნიერო და პოლიტიკური - XIX-XX საუკუნეებში), ასევე ისიც, რომ მხატვრულ ლიტერატურაში გამოსახვის მთავარი ობიექტია ყველა ჰუმანიტარული მეცნიერება, მათ შორის - ფილოსოფია.

რამდენადაც ლიტერატურული პროცესი განსაზღვრავს ზოგადად კულტურისა და კულტურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ითვლება, ის ბუნებრივად ერთვება ინტერპრეტაციათა იმ სიმრავლეში, რომელშიც კულტურის ცნების მრავალი საინტერესო და ორიგინალური დეფინიცია იქმნება.

ერთ-ერთი განმარტებით, ლიტერატურული პროცესი ამა თუ იმ ქვეყნის ან ეპოქის ლიტერატურულ ცხოვრებას გულისხმობს (არსებობს სხვა განმარტებაც, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ლიტერატურაში მის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ერთიან სურათს წარმოგვიდგენს). ამ საკითხებში უფრო სიღმისეულად გასარკვევად ჩვენ უნდა ვუპასუხოთ მარტივ კითხვას, შემოქმედებითი აქტის რომელი პერიოდიდან იწყება ლიტერატურული პროცესი, რამდენად მასობრივია თავად ეს აქტი და ვინ შეიძლება ჩაითვალოს ამ პროცესის აქტიურ სუბიექტად.

როდესაც ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურულ პროდუქტს (ტექსტს) ვეცნობით, ჩვენ თამამად ვამბობთ, რომ ეს გარკვეული ლიტერატურული პროცესის შედეგია, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში მიმდინარეობდა, მაგრამ შეგვიძლია თუ არა ამ პროცესის დანახვა, აღიარება მაშინაც, თუ კონკრეტული ინტელექტუალური პროდუქტი არ იქმნება (ან ჩვენ ვერ ვამჩნევთ), თუმცა ესა თუ ის სოციალური ჯგუფი არსებობს და ჩვეულებრივ შემოქმედებით ცხოვრებასაც ეწევა.

ვფიქრობთ, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან თავად ლიტერატურული პროცესი მის საწყის ეტაპზე წარმოსახვითი უნარების ვარჯიშს ემსგავსება და ის საპნის ბუშტებით ბავშვურ თამაშს ჰგავს, ამა თუ იმ ამბის ლიტერატურულ პროდუქტად გარდაქმნა კი უმეტეს შემთხვევაში წარუმატებელი საქმიანობაა (რადგან საპნის ბუშტი „ჰაერთან“ შეხებისთანავე სკდება). თუმცა ეს ყოველივე კოლექტიური შემოქმედებითი ტრენინგია, რომლის შედეგს ჩვენ ყოველთვის ვერ ვხედავთ, რადგან ის ზეპირმეტყველების ჟანრულ მრავარფეროვნებაში იკარგება.

ასეთ დროს სიტყვების რიტმული თამაშიდან უმარტივეს მხატვრულ სახეებამდე იქმნება საერთო სარგებლობის ის ლიტერატურული „ინვენტარი“, რომელსაც ფოლკი ე.წ. შემოქმედებითი პროლეტარიატი ქმნის, მაგრამ, როგორც ეს საერთოდ ხდება

ხოლმე, ამ საკაცობრიო სიმდიდრით ყოველთვის ერთეულები სარგებლობენ და ცალკეული ინდივიდები აღწევენ წარმატებას.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ ეს სიმდიდრე ლინგვისტურ „ღია“ საცავებში ინახება (რომლით სარგებლობაც ყველას შეუძლია) და სწორედ მისი ყოველდღიური ნამატი, ახალი მხატვრული სახეები აღძრავს შემოქმედებით იმპულსს მასშტაბური ხედვის და დიდი წარმოსახვის მქონე ინდივიდში, რომელიც უამრავი ცალკეული ნაწილებისგან ერთ მთლიან, გარკვეული საზრისის მქონე პროდუქციას (ნაწარმოებს) ქმნის.

ჩვენი ლიტერატურის ისტორია ყველაზე საუკეთესო მაგალითს გვთავაზობს ამ საკითხზე სამსჯელოდ. ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და მოღვაწეობა შესანიშნავი ნიმუშია იმისთვის, რათა ლიტერატურული პროცესის მთელი მექანიზმი დავინახათ და იმ შემოქმედებითი „ქურის“ მუშაობის პრინციპიც ავხნათ, რომელსაც ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებით მუშაობაში იყენებდა.

მართლაც, ვინც კარგად იცნობს, ერთი მხრივ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ მთიანეთის ფოლკლორს, მას ზუსტად შეუძლია გასაზღვროს, რომ ტექნოლოგიურად ამ ქურის მუშაობა მართლაც ჰგავს უზარმაზარ მარტენის ბრძმედებში მიმდინარე დნობის პროცესს, რომელიც ნედლეულის უზარმაზარ მარაგს (მათ შორის ხშირადაა მცირე ზომის მზა ნაკეთობებიც) ნთქავს, რათა ერთი დიდი ზომის და მაღალი ხარისხის პროდუქტი შექმნას.

ლიტერატურის ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მთელი ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში დაფარული იყო მკითხველისათვის. რომ არა ვაჟა-ფშაველას მაგალითი, რომელზე დაკვირვებამ მოგვცა საშუალება პროცესზე დაკვირვებისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალბათ რუსთაველის პოემაც ისეთ გაკვირვებას და შიშს იწვევდა მკითხველში თავდაპირველად, როგორსაც სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, ელვა, მეხის დაცემა და ა.შ), ვიდრე მკითხველმა (იმ ადამიანის მსგავსად, რომელიც გეოდეზიურ პროცესებს და ელექტროობის უმარტივეს წესს გაეცნო) არ შეისწავლა შემოქმედებითი პროცესის მექანიზმი, რომელიც კოლექტიურ ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობა.



ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ლიტერატურული პროცესი აზროვნების პირველადი და უწყვეტი მოვლენაა. ის იწყება ნებისმიერი ფაქტიდან, მომხდარიდან რამდენიმე წამის განმავლობაში. მისი მექანიზმი მჟღავნდება ამბის თხრობასა და მისი განზოგადების მცდელობაში.

საგნის, მოვლენის აღქმის მდგომარეობას-ცნობიერების გააქტიურებას (აღქმა ყოველთვის ინდივიდუალური პროცესია.) თავისთავად მოჰყვება შთაბეჭდილების სხვისთვის გაზიარების დაუკობელი სურვილი, რაც თითქმის ყოველთვის გამოირიცხავს მის ფოტოგრაფიულ სიზუსტეს, რადგან აქ საქმეში ერთვება ენა, რომელსაც საკუმუნიკაციო უნართან ერთად თავისი ინდივიდუალური თვისებებიც გააჩნია, რაც ისეთნაირად ფუთავს საგნის მოვლენის არსს, ახვევს მას ლინგვისტურ სამოსელში, რომ ის აღარასოდეს იქნება პირველადი „ობიექტური“ სახით ან ფორმით.

მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა კონკრეტული ფაქტის ჩამოყალიბება ზეპირ და წერილობით ლიტერატურულ პროდუქტად, პროცესი შემდგარად შეიძლება ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ინფორმაცია ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გაივლის მთხრობელის ე.წ. ინდივიდუალურ ქურას (სადაც ის იცვლება, ყალიბდება ამბად და მხატვრულ სამოსელს მოირგებს), ვიდრე ის ნებისმიერი მსმენელის, მესამე (შემთხვევის ადგილზე არმყოფი) პირის ყურამდე მიაღწევს.

მთელი ეს ცოდნა ჩვენ საშუალებას მოგვცემს, რომ სოციო-პოლიტიკური მოვლენების (პარადიგმის) და ლიტერატურული ცნობიერების-პროცესის აღქმის ურიერთმიმართების საკითხი ვიკვლიოთ და ვამტკიცოთ არა მხოლოდ ის, რომ ლიტერატურული პროცესი სოციო-პოლიტიკურ მოვლენებს აირეკლავს, არამედ ისიც, რომ თავად სოციო-პოლიტიკური პროცესები ისტორიაში, ადამიანის ცნობიერებაში ლიტერატურული ცნობიერების დახმარებით იმკვიდრებს თავს. მატთანის წერაც ხომ გარკვეული ლიტერატურული პროცესია, რომელშიც მშრალი ფაქტებისა და ციფრების მიღმა ყოველთვის იკითხება ინდივიდუალური განწყობა, რაც ლიტერატურული ცნობიერების უპირველესი ნიშანია.

## საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალობა

მშობლიური ლიტერატურის სასწავლო პროგრამებს თუ დავეყრდნობით, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი არც ისე მდიდარი ჩანს ლიტერატურული ტექსტებით, ის მხოლოდ რამდენიმე ოჯახის ლიტერატურულ მემკვიდრეობას გვაცნობს. თუმცა საერთო სურათი არც ისე უიმედოა, თუ გულდასმით გავეცნობით სხვადასხვა წოდებრივი და სოციალური ჯგუფების შემოქმედებით მემკვიდრეობას, ქალაქურ პოეზიას, ასევე ანონიმ ავტორთა ტექსტებს და ხალხური შემოქმედების კლასიკურ ნიმუშებს, რომელთა შეგროვება სწორედ მეცხრამეტე საუკუნის დადგომისთანავე დაიწყო.

საუკუნეთა განმავლობაში კლსიკური პერიოდის მდიდარი ქართული მწერლობიდან ცოტა რამ თუ გადაურჩა დროთა სიავეს. დაიკარგა მდიდარი თარგმნილი ლიტერატურა, დაიკარგა ორიგინალური ტექსტები (ზოგიერთის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი), დაიკარგა სახელები იმ მრავარიცხოვანი პოეტებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის კარზე იყვნენ შეკრებილნი. განუწყვეტელმა ომებმა, თარეშმა, ხიზნად ყოფნამ შეიწირა სარგის თმოგველის, ძაგნაკორელის, ჯავახიშვილის და მრავალ სხვათა შემოქმედება.

იმ მრავალ პოეტთა, მესტიხეთა და მოშაირეთა გვერდით, რომელთა სახელებს ჯერ დავით გურამიშვილი ახსენებს თავის „დავითიანში“, შემდეგ იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ ბერი იოანე ხელაშვილის პირით გვაცნობს, ხოლო შემდგომ გიორგი თუმანიშვილის დავალებით დავით რექტორის მიერ შედგენილ ქართული პოეტური სიტყვიერების ათასგვერდიან ანთოლოგიაში ვკვებით, არსებობს ათეულობით უსახელო-ანონიმი ავტორი.

მიუხედავად მრავალთა მცდელობისა, მაინც ბევრი მხატვრული ტექსტი მიეცა დავიწყებას, ბევრიც დაიკარგა, ზოგიერთი ავტორის სახელმა მისი შემოქმედების გარეშე მოაღწია ჩვენამდე, ზოგიერთი ტექსტი კი ავტორის გარეშე დარჩა...

საქართველოს ისტორიაში პირველი ინტელექტუალური საქმიანობა იმ კუთხით, რომელიც ძველი ტექსტების შეგროვებასა და მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, ჯერ

კიდევ ვახტან VI-ის დროს დაიწყო. თუმცა ეს არ იყო საყოველთაო პროცესი, რადგან ტექსტების შეგროვება მხოლოდ „მნიშვნელოვანი“ კულტურული მემკვიდრეობის (მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“) გადარჩენას გულისხმობდა და მასობრივი ხასიათი მას არ მისცემია.

ზეპირსიტყვიერი გადმოცემების შეგროვების ინიციატივა კი სავარაუდოდ საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გრიგოლ პირველს ეკუთვნის. შეიძლება ზოგს ეუცხოვოს მისი ასე წარდგენა, ის ხომ სულ რაღაც ორი კვირა ასრულებდა მეფის მოვალეობას, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მას ქართული ეკლესია იმ პერიოდში მეფედ იხსენიებდა (გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (დ. 1789 — გ. 1830), ქართველი მწერალი, მწიგნობარი. იოანე ბატონიშვილის (ბაგრატიონის) ძე. ერეკლე II-ის შვილთაშვილი, გიორგი XII-ის შვილიშვილი).

მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების სისტემატური შეკრება; დაახლოებით 1819 შეადგინა "ანთოლოგია", რომელშიც შეიტანა ბესიკის, საიათნოვას, მზექაბუკ ორბელიანის, გლახა მნათიშვილისა და სხვათა ლექსები, აგრეთვე მცირე ზომის ფოლკლორული ნაწარმოებები.

პირველ კრებულს გრიგოლ ბაგრატიონმა ასეთი წინათქმა წაუძღვარა:

„მე მეფის ძის ძე გრიგოლ დიდის გულისმოდგინებით ვეცადე, რომ შემეკრიბა ძველთაგან თქმული მუნასიბნი, ანუ სიმღერისა ლექსნი, ანუ ზმანი, ანუ იამბიკონი, ანუ ოხუნჯობანი, რაიცა ძალმედვა, ვეცადე ანუ ვის რა უთქვამს ერთმანერთისათვის \_ ხუმრობა, ოხუნჯობა, მასხარაობა. და თქვენცა გევედრებით, მკითხველ-მსმენელნო, თუ გაგეგონოთ, ანუ იცოდეთ ლექსი, ანუ ზმანი, ანუ ოხუნჯობა, ჩასწერეთ წიგნსა ამასა შინა, რათა არ დაეკარგოსთ ქართველთა ენა და ლექსი ანუ ხუმრობა თვისი“ (ანთოლოგია 2014:352).

ფოლკლორული მასალების შეგროვება მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო რღვევის მიჯნაზე, იწყება და დღემდე გრძელდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში თითქმის არ დარჩენილა არცერთი ლიტერატურული თუ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც გარკვეული ფორმით ამ პროცესში მონაწილეობა არ მიეღო.

ხალხური პოეზიის შეკრების ღონიძიებები დროდადრო ერთგვარი საზოგადოებრივი გატაცების სახესაც კი იღებდა (ილია ჭავჭავაძე დაექვევითაც კი შეხვდა ამ გახშირებულ ექსპედიციებს). ნაროდნიკული ინტილიგენცია განსაკუთრებულ ენთუზიაზმს ამჟღავნებდა ამ საქმეში. ცხადი იყო, რომ მისი კეთილშობილური ინიაციტივის მიღმა ხშირად ე.წ. იდეოლოგიური მოტივაციაც მუშაობდა, რომელიც ჯერ კიდევ კლასობრივი ურთიერთობის ფონზე „უბრალო“ ხალხის უპირატესობას ამტკიცებდა.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ფოლკლორის თავდაპირველი ტერმინი – საერო შემოქმედება (ასე უწოდებს მას ალექსანდრე ხახანაშვილი) – თანდათანობით, იდეოლოგიური კონიუნქტურის გავლენით, ვიწრო კლასობრივ ტერმინად გადაკეთდა და ხალხურ შემოქმედებად იქცა (საყოველთაო განმარტებით, „ხალხი“ ინდივიდების უბრალო გაერთიანებაა, ანუ ის წარმოადგენს მასალას ერის ფორმირებისთვის“, ჩვენ კი დიდი ხანია ერი ვართ. ამდენად საბჭოთა მემკვიდრეობად უნდა ჩავთვალოთ ხალხის" ის განმარტება, რომლითაც დღემდე ვსარგებლობთ. შესაბამისად, ფოლკლორიც, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში მთელი ერის საერთო შემოქმედებითი ძალისხმევით შეიქმნა, ვერასოდეს გახდება საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილის (ხალხის) კუთვნილება).

ახალი იდეოლოგია კი სწორედ კლასობრივი დაპირისპირების ნიშნით ამკვიდრებდა ე.წ. „ხალხის“ უპირატესობას. მდიდარი ზეპირსიტყვიერება კი თითქოს აკანონებდა გამოთქმის – „ხალხი ბრძენია“ – ჭეშმარიტებას და კარგ საფუძველს ამზადებდა "ხალხის ხელისუფლების" დასამყარებლად.

ამ დროიდან იწყება (ხშირ შემთხვევაში შეგნებულადაც) ინდივიდუალური შემოქმედების (ძირითადად, ანონიმურის) „გახალხურება“, ხალხური შემოქმედების „უძირო ზღვის“ ხელოვნური გაფართოება.

მართალია, თავის დროზე ხალხური შემოქმედების ქოლგის ქვეშ მრავალი, საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი, იმდროინდელი ავტორის შემოქმედება გადარჩა დავიწყებას (სამაგალითოდ მიხა ხელაშვილის, ადამ ბობღიაშვილის, გოგია ჭიჭოშვილის სახელებიც კმარა), თუმცა ეს მაინც ზღვაში წვეთია და სრულიად ვერ

ამართლებს იმ დაუდევრობას, რომელიც დრომ ინდივიდუალურ (ანონიმ) ავტორთა მიმართ გამოავლინა.

მე-19 საუკუნის ლიტერატურული პროცესებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ „ცოტაი“ ლექსის, ლირიკის ზეობის ხანა. საგმირო-საზღაპრო ამბებიდან პოეტური სიტყვის პირადულზე გადანაცვლებამ რიტმულ და ჟანრულ მრავალფეროვნებას დაუდო საფუძველი, რამაც სოციალური წრის გაფართოება და პოეზიის დემოკრატიზაცია გამოიწვია.

„ლირიკამ ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების, აზრისა და სათქმელის გაზიარების ფუნქცია შეიძინა. ეპისტოლემ, წერილის ტექსტმა, ლექსის ფორმა მიიღო. ბესიკისა და დიმიტრი სააკაძის ლირიკის დიდ ნაწილს ამა თუ იმ პირისადმი ლექსის სახით გაგზავნილი „ბარათები“ შეადგენენ (ანთოლოგია 2014:353).

ამგვარი ახსნა დაურთო ირაკლი კეჭოშვილმა თავის მიერ შედგენილ „ქართული ლირიკის ანთოლოგიას (1765 -1825)“. საგულისხმოა, რომ ამ წიგნში ასზე მეტი ავტორია გაერთიანებული და მათი მეოთხედი ანონიმური ავტორები არიან. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული პროცესების ფარული ნაკადების გასაცნობად ამ კრებულს ჩვენთვის მართალაც განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება.

ანთოლოგიაში წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორის შემოქმედება, ამავე ეპოქის კლასიკური ტექსტების გვერდით, ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან ერთად, ქალაქური პოეზიის მხატვრული სიტყვის ძალზე მდიდარ მარაგს ქმნის, რაც აუცილებელია ლიტერატურული პროცესების გასაცნობად და საფუძვლიანი კვლევის ჩასატარებლად.

#### კვლევის მიზანი

„ლიტერატურის თეორიის“ ავტორები – რენე უელეკი და ოსტინ უორენი – ლიტერატურის შესწავლის გარეგანი მეთოდის კვლევის დროს მიუთითებენ, რომ „მხატვრული ნაწარმოების შექმნის უპირველესი მიზეზი თვითონ მისი შემქმნელი ავტორია“. აქედან გამომდინარე, ლიტერატურის კვლევის უძველესი და ყველაზე

კარგად დამკვიდრებული მეთოდი სწორედ მწერლის პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესწავლაზეა დაფუძნებული (უელეკი, უორენი 2010:102).

თუმცა ისიც ცხადია, რომ ხელოვნების ნიმუში ცხოვრების ასლი არასდროს არ არის. ბიოგრაფიული მიდგომა ყოველთვის საეჭვოს ხდის ლიტერატურული პროცესის ახსნას. თხრობის დროს მწერლის მიერ მკითხველისთვის თავსმოხვეული ე.წ. გულწრფელობის განცდა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ლიტერატურული ხერხია, რომელიც არაერთ გულუბრყვილო მკითხველს აჯერებს ბიოგრაფიულ უტყუარობაში.

ამასთან ერთად რენე უელეკი და ოსტინ უორენი ასახელებენ მკვლევართა სხვა ჯგუფს, რომელიც სწავლობს „ამა თუ იმ პერიოდის სულისკვეთებას, მოცემული პერიოდის აზროვნებისთვის დამახასიათებელ გარკვეულ ინტელექტუალურ ატმოსფეროს, „კლიმატს“, ერთგვარ ერთიან ძალას, რომლითაც ლიტერატურა დიდად გამოირჩევა ხელოვნების სხვა დარგთა დამახასიათებელი ნიშნებისაგან.

ჩვენი ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე ადვილად მისახვედრია, რომ ჩვენი ინტერესი მკვლევართა ამ ჯგუფის ინტერესთა თანმხვედრია, რომელიც ლიტერატურას განიხილავს როგორც სოციალურ მოვლენას, რომელშიც გამოსახვის საშუალებად ასევე სოციალური ფენომენი \_ ენაა \_ ჩართული.

თავად ტერმინი „სოციალური“ ჩვენ, პოსტაბჭოთა ქვეყნების მცხოვრებლებს, რაღაცნაირად გვაკრთობს, ვუკავშირებთ რა მას რატომღაც პროლეტარიატის მძიმე ხვედრს და მარქსიზმს და გვავიწყდება, რომ ამა თუ იმ ეპოქის სოციო-პოლიტიკური პარადიგმა ნაკლებად ინტერესდება შემოქმედის სოციალური წარმომავლობით; გაბატონებულ იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა ქმნის იმ სულისკვეთებას, რომელსაც თანაბრად ემორჩილება როგორც არისტოკრატის, ასევე დაბალი ფენებიდამ გამოსული, შემოქმედთა ჯგუფები.

ამავე დროს წინაწარი შეცნობის საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ კლასიკური ტექსტები სრულიად „გამოუსადეგარნი“ არიან მათში ისტორიული რეალობის წაკითხვის კუთხით. კლასიკოსი მწერლების ამოცანა ამა თუ იმ მოვლენის განზოგადებაა. კონკრეტული ისტორიული მოვლენა, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი

იყოს, მათთვის მხოლოდ „საშენი მასალა“ იმ ახალი სამყაროს წარმოსაჩენად, რომელსაც ისინი თავიანთ წარმოსახვაში ქმნიან.

ინდივიდუალურ ლიტერატურას განასხვავებს აზროვნების ინდივიდუალური წესი, რომელიც ამზადებს არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ სოციო-პოლიტიკური პარადიგმის ცვლილებას. ამიტომ ის პირველი არღვევს ეპოქისთვის დამახასიათებელი ჟანრის კანონს, ასევე ლიტერატურული მომართულების საზღვრებს.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ჩვენი კვლევის საგანი უმეტესად კლასიკური ლიტერატურაა, რომელიც დროის გადაფასების პროცესს არ ემორჩილება. ერთადერთი, რაც ჩვენს შემთხვევაში შესაძლებელია, ესაა ხედვის კუთხის შეცვლა დღევანდელ დღესთან მიმართებაში, იმ ღირებულების წარმოჩენა, რომელიც მანამდე (სრულიად გასაგები მიზეზების გამო) უყურადღებოდ იყო მიჩნეული.

თუმცა კლასიკოსთა გვერდით ყოველთვის არიან მწერლები (მათ შორის – „ცოტაი ლექსის“ ავტორები), რომლებიც არ თაკილობენ, რომ თავიანთ ეპოქას მემატიაწედ ექცნენ. ისინი ცდილობენ, ერთგავარი ფოტოგრაფიული სიზუსტით აღწერონ მოვლენები და გადასცენ მომავალ თაობას. ისინი ტექსტის ისტორიულ ნაწილს ერთგავარად ამსუბუქებენ და წასაკითხად საინტერესოს ხდიან მარტივ სიჟეტურ ქარგაზე დაყრდნობით. მათ შემოქმედებით პრინციპებს კარგად ხსნის გამოთმა „არაფერი ხდება საინტერესო“, რომელსაც ისინი თავიანთი არანაყოფიერი მუშაობის მიზეზებზე საუბრისას იყენებენ.

ასეთი ტექსტები სწორედ თავინთი „მართლის თქმის“ პრინციპის ერთგულების გამო საკმაოდ მოწყვლადნი არიან ეპოქების, რეჟიმებისა და გაუსაძლისი დროის მიმართ, ამიტომ, ვიდრე მათზე დაყრდნობას გადავწყვეტდეთ, აუცილებელია ამის გათვალისწინებაც.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ანონიმურ ლიტერატურაზე, რომელიც თავისთავად ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა. თუმცა მას არაფერი აქვს საერთო ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან, რადგან ის (ხალხური ტექსტი)

კოლექტიური ცნობიერების გამომხატველია. ანონიმური ლიტერატურა კი ფაქტობრივად ინდივიდუალური ლიტერატურის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

ანონიმური ლიტერატურა ერთ-ერთი ყველაზე სანდო დოკუმენტია ისტორიული პროცესების შენახვის თვალსაზრისით, მას შეიძლება ენდოს მკითხველი, რადგან ანონიმურობა ავტორს იცავს შურისძიებისგან, რომელსაც ესა თუ ის ეპოქა, განსაკურებით რეჟიმი, ახორციელებს მართალი სიტყვის მოქმელის მიმართ.

ანონიმური ლიტერატურს ერთ-ერთი ჟანრია ანეკდოტი – მოკლე მოთხრობა, რომელშიც აღწერილია პიროვნების ცხოვრებიდან უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელი ფაქტი. ამ მნიშვნელობით ტერმინი „ანეკდოტი“ პირველად გამოყენებულ იქნა პროკოპი კესარიელის სატირული „საიდუმლო ისტორიის“ მიმართ.

ანეკდოტი ეწოდა მცირე ფორმის თხრობით ჟანრს, რომელშიც გადმოცემულია გასართობი შინაარსი, მახვილგონივრული და ზუსტი შეფასება თავად ეპოქის, პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების, ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდის და ა.შ.

ანეკდოტს ხშირად სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტური ქარგადაც იყენებენ, თუმცა, როგორც წესი, ანეკდოტს აქვს დამახასიათებელი სტრუქტურა, რომელიც დიდ ნაწარმოებშიც ავლენს თავს და ხშირად ტექსტის კომპოზიციას მთლიანად ანგრევს.

ფოკლორის განმარტება ჩვენს დროში რამდენადმე შეიცვალა. მის ცვლილებას კი სწორედ მაშინ დაედო საფუძველი, როდესაც მისი ჩაწერა დაიწყო. საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროცესმა კი მისი საცნობი ნიშნები მთლიანად წაშალა. დღევანდელ ფოკლორულ ნიმუშს აღარ გააჩნია ამ ჟანრის ტექსტისთვის აუცილებლად მიჩნეულ ოთხ ნიშან-თვისებათაგან (კოლექტიურობა, ვარიანტულობა, ზეპირსიტყვიერება და ანონიმურობა) არც ერთი. მიუხედავად ამისა, ის ინარჩუნებს კოლექტიური ცნობიერებისადმი ერთგულებას და ლექსწერის ტრადიციული ნორმებზე დაყრნობით ხალხური პოეზიისთვის დამახასიათებელ იერ-სახეს.



ფოლკლორული ტექსტები არ გამოდგება ისტორიის შესწავლის წყაროდ ან სოციო-პოლიტიკური პროცესების შესაფასებლად, რადგან ხალხური მთქმელის პოზიცია თითქმის ყოველთვის ტენდენციურია; კლასობრივი ურთიერთობის პირობებში ხალხური ლექსი ხდება სოციალური იარაღი გაბატონებული კლასის, წრის ან კერძო ჯგუფის წინააღმდეგ.

### ტექსტის ისტორიულობის ცნება

ლიტერატურაში ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და უცვლელი ტექსტი არ არსებობს. ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტები ისტორიულია, რადგან იგი შექმნილია წარსულში. ასევე ტექსტის ისტორიულობა იმაშიც ვლინდება, რომ ტექსტის წაკითხვა და საზრისი იცვლება დროთა განმავლობაში. ამიტომ უნდა განსხვავდებოდეს ტექსტის “აბსოლუტური”, „ნამდვილი” და “ისტორიული” საზრისი. უნდა განვასხვაოთ ტექსტის, როგორც ასეთის, ისტორიულობა და ტექსტის საზრისის გაგებისა და ეპოქაზე ზემოქმედების ისტორიულობა. ტექსტი ყოველთვის არის ორი ისტორიულობის შეხვედრა. ეს არის ტექსტი და მკითხველის ისტორიულობა. ეს ორი განსხვავებული ისტორიულობაა და პრობლემა მდგომარეობს მათ მიმართებასა და გაგებაში, თუ რამდენად შეუძლია ერთ ისტორიულ ეპოქას გაიგოს მეორე ისტორიული ეპოქა.

მე-19 საუკუნის ევროპაში ლიტერატურული პროცესები მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას. ესაა რომანტიზმი და რეალიზმი. ორივე მათგანი ცდილობს ასახოს ისტორიული მოვლენები ამ პერიოდში. თუმცა მათი პოზიციები სრულიად განსხვავებულია: რომანტიზმის ცდილობს, თავი დააღწიოს რეალობას და შექმნას სრულყოფილი მსოფლიო; რეალიზმი ცდილობს, გაანალიზოს, თუ რა ხდება და შეცვალოს არასასურველი რეალობა.

ზოგადად, ლიტერატურული ნაწარმოები არ წარმოადგენს რეალობის მექანიკურ ანარეკლს. ავტორი ხშირად ბოლომდე არ საუბრობს თავის განზრახვებზე, რომლებიც ხან გაცნობიერებულია, ხან – გაუცნობიერებელი. შემოქმედების გაუცნობიერებელი ნაწილი, მწერლის სუბიექტივიზმი, მისი ფსიქოლოგია, შეხედულებები, ზოგადად, ავტორისეული „მე“, ალბათ სოციოლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების

ყველაზე თვალსაჩინო ხარვეზია. ძნელია, ზუსტად გამოიცილო სოციალური წყაროები და ამ წყაროების გაცნობიერებული ან გაუცნობიერებული ინტერპრეტაციები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენი საკვლევი თემა უნდა წარმოვიდგინოთ ერთგვარ სივრცით უძრავ ობიექტად, რომლის ღირებულება და ფორმები დროში არ იცვლება, იცვლება მხოლოდ აღქმის წერტილი. ორი საუკუნით დაშორებული, განსხვავებული კუთხე სრულიად ახლებურად წარმოგვიდგენს ისტორიულ რეალობას. იზრდება მანძილი ჩვენ შორის და ბევრი წვრილმანი (ერთ დროს ძალზე მნიშვნელოვანიც) დღევანდელი ინტერესის ყურადღების მიღმა რჩება. ოცდამეერთე საუკუნის მკითხველს თითქმის აღარ აინტერესებს ზოგიერთი დეტალი. სამაგიეროდ უფრო მკვეთრად ჩნდება ეპოქალური ნიშნები და ეპოქალური კონტურების საერთო მოზახულობა, რომელიც ყველაფერს ისტორიის მრავალსაუკუნოვან ფონზე აჩენს.

აქ თავს იჩენს კიდევ ერთი მთავარი ამოცანა, რაც ჩვენს თემას ძალზე მნიშვნელოვანს ხდის. ეს ეხება ქართული მწერლობის როლისა და ადგილის განსაზღვრას მსოფლიო ლიტერატურაში. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ეს ამოცანა ყოველთვის ჰქონდა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში შეიქმნა ამის საუკეთესო საშუალება და გამოჩნდა ურთიერთობის გზებიც, რომლის გამოუყენებლობა ალბათ უკვე დანაშაულად ჩაეთვლება ჩვენს დროს. არსებული მდგომარეობა კი ჩვენ შეგვიძლია ორ პუნქტად ჩამოვაყალიბოთ:

1. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის უკვე 32-წლიანი გამოცდილება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავაცნოთ მსოფლიოს თავი და სწორედ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურის გამოისობით სხვა ერთა შორის თანასწორ პოზიციაზე დავდგეთ.

2. აქ უკვე აქტიურად შემოდის მსოფლიო ლიტერატურის ცნება, რომელსაც მრავალგვარი განმარტება აქვს, თუმცა ჩვენ დავეყრდნობით შეხედულებას, რომლის ძალითაც ადამიანები თანასწორნი არიან, მიუხედავად მათი ეროვნული, რელიგიური, კლასობრივი და ენობრივი განსხვავებისა. მსოფლიო ლიტერატურა გულისხმობს ე.წ.

„დიად წიგნებს“, რომლებსაც შეუძლიათ (თარგმანის მეშვეობით) გადალახონ ნაციონალური საზღვრები და გავლენა მოახდინონ სხვა ერების ლიტერატურაზე.

ქართული ლიტერატურული პროცესის სწორი ინტერპრეტაცია ხელსაყრელ პირობას შექმნის მისი ჩართვისა და ადგილის განსაზღვრისათვის მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში. „ქართული ნაციონალური მწერლობაც ამ საერთო მოძრაობის ნაწილია, მართალია, ის ვერ კარნახობს წესებს და ვერ აკონტროლებს მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეს (მით უფრო დღეს, გლობალური კაპიტალიზმის ეპოქაში), მაგრამ მთელი თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ცდილობს იყოს გლობალური, მნიშვნელოვანი, გავლენიანი ლიტერატურული პროცესების შუაგულში და აირეკლოს ეს პროცესები შინაგანი ღირსების უცვლელი შეგრძნებით, სწორად ისარგებლოს თავისი პირველსაწყისი კონცეპტით, ისტორიულ-გეოგრაფიული დინამიკითა და ინტერ-სისტემური ურთიერთობით“ (რატიანი 2015:26).

ეს არის მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის პირდაპირი შედეგი. ჩვენ, რომელნიც როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად, აქტიურად ვართ ჩართულნი ცივილიზებული ქვეყნების სხვადასხვა კავშირში, ეს სტატუსი გვავალდებულებს, რომ საყოველთაო გავხადოთ ჩვენი კულტურა, რათა სხვა ერებმაც ისევე ისარგებლონ ჩვენი გამოცდილებით, როგორც ჩვენ ვსარგებლობთ კაცობრიობის კულტურული მიღწევებით.

ამავე დროს უნდა ისიც ვთქვათ, რომ, როდესაც ქართული კულტურის, მწერლობის მსოფლიოსათვის გაცნობაზე ვლაპარაკობთ, აქ არ იგულისხმება მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის თარგმნა, უცხოეთში გამოცემა ან სხვადასხვა ინტერნეტსივრცეში ჩართვა. ამასთანავე აუცილებელია იმ კრიტიკული წერილების და ლიტერატურათმცოდნეობითი სტატიების გამოქვეყნებაც, რომლებიც ამ ტექსტებზე იქმნება ჩვენში.

ჩვენ გვესმის, რომ ქართულ მწერლობას ეს ამოცანა ყოველთვის ჰქონდა და წარმატებითაც ასრულებდა, რა თქმა უნდა, და ამის უამრავი მაგალითი გვაქვს, თუმცა ამჯერად ჩვენ ვლაპარაკობთ ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც

მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, მომავალსა და პერსპექტივაზე, რომლის გარეშე სრულფასოვანი ლიტერატურული ცხოვრება ვერ შედგება..

ამისთვის კი უპირველესად საჭიროა ჩვენს საქმიანობაში ცენტრისა და პერიფერიის ცნების შემოტანა და თავდაპირველად ამ საკითხში გარკვეულწილად არსებული რეალობის უპირობო მიღება და გათავისება, რადგან დღესდღეობით ლიტერატურული თეორიები მეტწილად ცენტრი ხდება ჩვენთვის და ჩვენ პერიფერიებში თითქმის მექანიკურად ვსარგებლობთ ამით. როგორც ყველაფერში, ჩვენ აქაც მომხმარებლები ვართ და, თუ შეფასების თამასას მაღლა არ ავწევთ, თუ ქართული კრიტიკული წერილები და სამეცნიერო კვლევები მასობრივად ისეთივე საინტერესო არ გახდება, როგორც თავად მხატვრული ტექსტებია ჩვენი სამეცნიერო დარგის ერთგვარი ადაპტაცია მსოფლიო მწერლობასთან, ჩვენი შრომები ისეთივე ნაკლებადპერსპექტიული იქნება, როგორც ათეული წლების განმავლობაში იყო.

#### კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდი (ბერძნულად – "გზა") გაგებულია, როგორც გზა მიზნის მისაღწევად. მეთოდი არის რეალობის პრაქტიკული და თეორიული დაუფლების ფორმა, გამომდინარე კვლევითი ობიექტის ქცევის კანონზომიერებებიდან. საქმიანობის ნებისმიერი ფორმა ეყრდნობა ისეთ მეთოდს, რომლის არჩევანი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შედეგზე. მეთოდი ოპტიმიზირებს ადამიანის საქმიანობას, ამარაგებს მას საქმიანობის ორგანიზების ყველაზე რაციონალური ხერხებით.

ტექსტის გაგების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეთოდის შერჩევას. მეთოდმა უნდა უზრუნველყოს შემეცნების პროცესის წარმატებით განხორციელება, უტყუარი ცოდნის მოპოვება დროისა და ენერჯის მინიმალური დანახარჯებით. შემეცნების ფილოსოფიური მეთოდის თავისებურება იმაშია, რომ ის არის ზოგადი მეთოდი სინამდვილის ნებისმიერი სფეროს ანალიზისათვის.

მეთოდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო ცოდნისთვის, ე.ი. ობიექტის შესწავლის ორგანიზების გზაა. მეთოდი პრაქტიკული და თეორიული საქმიანობის პრინციპების, წესებისა და ტექნიკის ერთობლიობა. მეთოდი ადამიანს ამარაგებს

პრინციპების, მოთხოვნების, წესების სისტემით, რომელთა გამოყენებით მას შეუძლია მიაღწიოს დანიშნულ მიზანს.

შემდეგი საკითხი, რაზეც თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, ეს არის ტექსტის გაგება. გადამერის აზრით, „ტექსტის გასაგებად უნდა ვიცოდეთ ტექსტის წარმოშობის კონტექსტი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული, ლიტერატურული, ისტორიული ტექსტებისათვის. ფილოსოფიური ტექსტი არ არის ასე მჭიდროდ დაკავშირებული ისტორიულ, კულტურულ და მენტალურ კონტექსტთან. ასევე უნდა შევნიშნოთ რომ ტექსტის გაგების ხასიათზე გავლენას ახდენს იმ ეპოქის კონტექსტი, რომელშიც ხდება მისი ახლიდან გაგება; ანუ წარსული დროის ტექსტის გაგების კონტექსტი არის როგორც ტექსტის შექმნის ისტორიული გარემო, ასევე ტექსტის წაკითხვის ახალი ისტორიული გარემო. კონტექსტის მნიშვნელობა აღიარებულია თანამედროვე ჰერმენევტიკაში. ისტორიულია და კონტექსტის მქონეა არა მარტო ტექსტი, არამედ მკითხველის ხედვაც, რომელიც ასევე განპირობებულია კონტექსტით. ეს ნიშნავს, რომ ყოველი გაგება ეფუძნება წინარე გაგებას. ეს გულისხმობს ჰერმენევტიკული წრის ახლებურ გააზრებას. ჰერმენევტიკულ წრეში შევდივართ წინარე გაგების საფუძველზე და მისგან გამოსვლა უნდა მოხდეს გაგების დასრულებისთანავე. ჰერმენევტიკული წრე იღებს წინასწარი ხედვისა და დასრულების წინასწარი მიხვედრის წრის სახეს (ანტიციპაცია და დასრულების წინასწარ მიხვედრა). გადამერი ასევე მოითხოვს ტექსტის საზრისისა და ავტორისეული საზრისის განსხვავებას. მისთვის მნიშვნელოვანია არა ავტორის საზრისის, არამედ ტექსტის საზრისის გაგება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ფროიდის „არაცნობიერის“ შემდეგ, რამაც ცხადი გახდა ტექსტში ავტორის მიერ გაუცნობიერებელი პლასტების არსებობა. „ტექსტის საზრისის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ავტორისგან დამოუკიდებელია, ასევე გავლენას ახდენს ენის შინაგანი ბუნება და ხასათი (გადამერი 2012).

გაგების საკითხის კვლევა მოითხოვს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას, უპირველესად კი იმის გარკვევას, ესადაგება თუ არა კვლევის მეთოდი დასმული ამოცანების სირთულესა და მრავალმხრივობას.

## წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთ ქვაკუთხედია ლიტერატურულ წყაროებზე მუშაობა. ჩვენ აღარ გავაგრძელებთ მის მნიშვნელობასა და მკვლევარის პატიოსნებაზე საუბარს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნაშრომის არა მხოლოდ პლაგიატისგან დაცვა, არამედ გაითვალისწინოს სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის გავლენა, ასევე ეპოქის მოთხოვნილება და სხვა სახის ხელისშემშლელი ფაქტორიც, რამაც შეიძლება ექვექვემ დააყენოს წყაროს სანდოობა.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი რამდენიმე ისტორიული და ლიტერატურული მოვლენით არის მნიშვნელოვანი, რის გამოც ამ ეპოქას მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განვლილი ორი საუკუნის განმავლობაში.

ისტორიულ მოვლენებს შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყნის ფაქტობრივი ანექსია, ანტიკოლონიური გამოსვლები (მთიულეთის, კახეთის, იმერეთის აჯანყებები) და 1832 წლის შეთქმულება. ასევე ამ პერიოდს ემთხვევა კავკასიის ომი და ვორონცოვის მოღვაწეობის წლები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებიდან გასული ორი საუკუნის განმავლობაში, უკანასკნელი სამი ათეული წლის გარდა, საქართველო ანექსირებული იყო ჯერ მეფის რეუსეთის, ხოლო შემდეგ მოდერნიზებული იმპერიის (საბჭოთა კავშირის) მიერ და როგორც ლიტერატურის, ასევე ისტორიოგრაფიის კუთხით მკაცრი ცენზურა მოქმედებდა, ვერ ვიტყვით, რომ ობიექტური ინფორმაცია ქვეყნის კოლონიური მდგომარეობის შესახებ სრულიად დაფარული იყო რეჟიმის პირობებში მცხოვრები ე.წ. „საბჭოთა საქართველოს“ მცხოვრებთათვის.

მართალია, სკოლებში მხოლოდ გაყალბებული ისტორია ისწავლებოდა, მაგრამ ცნობილი ქართველი ისტორიკოსების – ივ. ჯავახიშვილის, ზ. ავალიშვილის, ნ. ბერძენიშვილის – ცალკეული ნაშრომები ფარულად გადადიოდა ხელიდან ხელში, ოჯახიდან ოჯახში, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ისე რომ, დღევანდელ მკვლევარს თამამად შეუძლია ამ ნაშრომების გამოყენება და მათ ობიექტურობაზე დაყრნობა.

ლიტერატურის თვალსაზრისით საუკუნის პირველი ნახევარი რომანტიკოსთა მოღვაწეობას მოიცავს და ამ მიმდინარეობისადმი ინტერესი ჩვენთვის ყოველთვის მაღალ ნიშნულზე იდგა, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ალბათ არ მოიძებნება სხვა პერიოდი, რომელსაც ამდენი ყურადღება ჰქონდეს დათმობილი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეთა მხრიდან.

სამი არასრული საუკუნის განმავლობაში იწერებოდა და იწერება რომანტიკოსთა მოღვაწეობის შესახებ და დღევანდელი მკვლევარისთვის ერთნაირად აუცილებელია ცალკეული ეპოქების მიხედვით იმ მეცნიერთა ნაშრომების შესწავლა, რომლებიც ქართული კრიტიკის და ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების ქრესტომათეულ ნიმუშებს ჰქმნიდნენ.

უკანასკნელ წლებში კიდევ ერთხელ შეჯერდა ამ მირთულებით გაწეული შრომა. როგორც ცალკეულ მკვლევართა, ასევე ინსტიტუციონალ დონეზე გამოიკა სახელმძღვანელოები, კრებულები, ანთოლოგიები, რომლებიც წყაროებზე წვდომის საშუალებას აძლევენ მომავალ მკვლევარებს (ყველა ეს სახელმძღვანელო და ზოგადი ლიტერატურა მითითებულია დამოწმებულ წყაროებში.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, პანდემიის პირობებში, მკვლევარებს დიდ დახმარებას უწევდა ნაშრომების ელექტრონული ვერსიები, ელექტრო წიგნები და მისასაღმებელია, რომ ლიტერატურის (მათ შორის სამეცნიერო დარგის) გაციფრების პროცესი დღესაც მაღალი ტემპით მიმდინარეობს..

## 1.ნაციონალური იდენტობა

ჩვენი საკვლევი თემა – „ლიტერატურული პროცესებისა და სოციო-პოლიტიკური პარადიგმის კორელირება (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი)“ – ქართველი ერისა და კონკრეტული სუბიექტის - ქართველის – გარშემო ტრიალებს. ამიტომ უპირველესად საჭიროა მისი ეთნოგენეზისის კვლევა, ეროვნული იდეალის ან ერის თვითმყოფადობის მთავარი ნიშან-თვისებების ამოცნობა, ეროვნული მიკუთვნებულობის დადგენა და იდენტობის სხვა მახასიათებლის გამორკვევა.

ჩვენ მიერ დასმული კითხვა, თუ ვინ არის მეცხრამეტე საუკუნის ქართველი, მხოლოდ ნაწილია იმ საძიებო საგნისა, რომელთა გააზრება საუკუნეების განმავლობაში ჰუმანიტარული დარგების მონაცემთა ერთ საერთო ბაზაში კომპლექსურად ხდებოდა, რომელსაც დღემდე არაერთი ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერი შეხება.

და მაინც, დღეს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ უნდა ისტორიულად და გეოგრაფიულადაც დავშორდეთ და შეძლებისდაგვარად გავუცხოვდეთ ევროპისა და აზიის საზღვარზე ორ ზღვას შორის, „ყურესა ამას ქუეყნისასა“, მოქცეული ქვეყანისგან, ვიდრე შუა საუკუნეების დასასრულს ახალი მსოფლიო წესრიგის შექნამდე, და თავისი რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სრულად შევაფასოთ მისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გადარჩენის რეალური შესაძლებლობა. გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიო კოლონიზაციის გლობალური პროცესი, რომელიც XV საუკუნიდან დაიწყო, ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე სამი მზარდი იმპერიის საზღვრების სიახლოვეს მყოფ დაშლილ ქვეყანას საკმაოდ დიდ საშიშროებას და მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან სამუდამოდ გაქრობის საფრთხეს უქმნიდა.

ამას კი წინ უძღოდა 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემა და მისი პირდაპირი შედეგი – 1490 წელს საქართველოს სხვადასხვა სამთავროდ დაშლა, რასაც მოჰყვა 1555 წლის ამისიის ზავი - სამშვიდობო ხელშეკრულება სპარსეთის შაჰ თამაზ I-სა და ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ს შორის, რომლის ძალითაც . სომხეთი და საქართველო ორმა იმპერიამ შუაზე გაიყო. იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავრო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა.



სპარსეთის შემადგენლობაში კი ქართლისა და კახეთის სამეფოები გადავიდა. ამ ყოველივეს შედეგად სპარსეთთან და ოსმალეთთან ბრძოლებით დასუსტებული, ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების მუდმივი თავდასხმების მოლოდინით გაწამებული ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, ქართლ-კახეთის სამეფო, მეცხრამეტე საუკუნეს რუსეთის მიერ დაპყრობილი და სრულად ანექსირებული შეხვდა. იგივე საშიშროება ელოდა ქვეყნის დანარჩენ კუთხეებსაც.

ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ ვერავინ მოიცლიდა ფუნდამენტური მეცნიერული კვლევისთვის. ამიტომ ლოგიკურად ჟღერს ისტორიკოსს როლანდ თოფჩიშვილის მიერ დღეს დასმული საკითხი: „ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? ვინაა ქართველთა მონათესავე ეთნოსი? ვინ ლაპარაკობს ქართული ენის მონათესავე ენაზე, ვინ ჰგავს ქართველებს გარეგნულად? ეს კითხვები ქართველ ხალხს ძველთაგანვე აწუხებდა და თანამედროვე ქართველისთვისაც ჩვეულებრივ კითხვებს წარმოადგენს“ (თოფჩიშვილი 2022: 22).

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემდე ასი წლით ადრე ვახუშტი ბაგრატიონმა „მოიცალა“, განსაზღვრა ქართველთა ნათესაობისა და ერთიანობის იდეური საფუძველი და ჩვენთვის კარგად ცნობილ ტრიადად (მამული, ენა სარწმუნოება) ჩამოაყალიბა: „გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, ვინადთგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პერობასა: პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყვს, არაცა რჯულსა, ენასა და წიგნს იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამედ: არასამდე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვრფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: „ჩუენ მეფემან საქათველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“ (ბაგრატიონი 1973: 291-292).

თუმცა ეროვნული იდენტობის, თვითაღქმისა და თვითშეფასების საკითხი უფრო მწვავედ დაისვა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც მრავალგზისი მცდელობის შედეგად ქვეყნის მომავლზე მზრუნველი თაობა საბოლოოდ დარწმუნდა იმჟამად სახელმწიფოებრიობის აღდგენის უპერსპექტივობაში.

სწორედ ამ წლებში გაისმა ილია ჭავჭავაძის გამაფრთხილებელი ძახილი (სხვა სიტყვებს ამას ვერ დავარქმევთ), რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ურთიერთცნობისთვის და იმ რაღაც საერთო ნიშნების ხელახალი აღმოჩენისკენ მოუწოდებდა, რომელიც ორ ზღვას შორის მცხოვრებ ერთი ეთნოსის ადამიანებს კვლავაც ერთმანეთის ნათესავად აგრნობინებდა თავს:

„აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“ (ჭავჭავაძე 1991:164).

ნუთუ, მართლა არაფერი ჰქონდა საერთო განთითოებულ – იმერეთად, გურიად, სამეგრელოდ, ქართლად, კახეთად დაშლილ ერთიან სხეულს, ნუთუ, მართლაც აღარ ტრიალებდა საერთო აზრი ცხოვრებისა არც აწმყოში, არც წასულსა და, რაც მთავარია, აღარც მომავალში?!

ერთადერთი საფუძვლიანი საბუთი იმისა, რომ, მიუხედავად ორსაუკუნენახევრის განმავლობაში ქვეყნის დანაწევრებისა და კუთხეებად დაყოფისა, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდა ერთიანობის განცდა, იყო რჯულისა და ენის ერთობა, რაც ჰქმნიდა არა მხოლოდ სარწმინოებრივ, არამედ ზნე-ჩვეულების, ადათ-წესის, ქცევის, ურთიერთობის ერთიან ნორმებს, რაც უპირველესად დაუნჯებული იყო მათ მეტყველებაში, ფოლკლორსა და ლიტერატურულ ტექსტებში, რომლებიც იმ დროს არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკურ, არამედ საინფორმაციო ფუნქციასაც ითავსებდა ამერ-იმერის მთელ სივრცეში.

ამ კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია იოანე ბაგრატიონის ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა“. ჩვენი ნაშრომის სხვა თავში

უფრო დაწვრილებით შევხებით ამ ტექსტს, ახლა კი მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერ იოანე ხელაშვილის და გლახ ზურაბ ღამბარაშვილის საკალმასოდ რონინი აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში როდი მთავრდება. ისინი გადადიან იმერეთში, ეწვევიან ქუთაისს, შემდეგ სტუმრობენ ოდიშს, შემოვივლიან გურიას, ლეჩხუმს, კვლავ იმერეთს და ისევ გადმოდიან აღმოსავლეთ საქართველოში.

ამ გზებზე მოკალმასეებს არ ხვდებათ ეთნიკური გაუცხოების პრობლემა, ან სხვა რამ წინააღმდეგობა, გარდა იოანეს მხილებითა და ბერული პირდაპირობით ნათქვამი მკვახე სიტყვებით გამოწვეული წყენისა, რომელიც ქართველთა საერთო ნაკლოვანებაზე მიუთითებდა და რასაც ერთნაირი უკმაყოფილებით ხვდებოდნენ ლიხის მთის ორივე მხარის მცხოვრებნი. საერთო იყო მათი წუხილიც ქვეყნის სამთავროებად დაშლით გამოწვეული სხვადასხვა დაბრკოლების გამოც:

„იოანე: ერთ სამეფოდ რომ ყოფილიყო საქართველო და იმერეთი, ვერც მტერი მოგვერეოდა და ვერც ამგვარი ნივთები დაიკარგებოდა; ნახე, უთანხმოებას რა შეუდგა.“

ფაღავა: მართალს ბრძანებთ მაგას, ახლა რაღა გაეწყობა“ (კალმასობა 1984:387),

ნაწარმოებში ავტორი გვერდიგვერდ ახსენებს ეკლესიის მსახურთ, ასევე მაგალობელ-მწიგნობართ ქართლსა და იმერეთსა შინა, ასევე მიტროპოლიტ-ეპისკოპოსთ ქართველთა და იმერეთაგან, ჩამოთვლილნი ჰყავს ღირსი კაცები, რომელნიც იმ დროში მოღვაწეობდნენ ამერ-იმერთა მხარეში.

თხზულების ავტორი იოანე ბატონიშვილი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, გამორჩეული მებრძოლი და სარდალი, შვილია ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ისა, რომელმაც კრწანისის ბრძოლაში საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად თანამებრძოლებთან ერთად, ერეკლე მეორის გარშემო შეკრული მტრის ალყა გაარღვია და კართ-კახეთის მოხუცი მეფე ტყვეობას გადაარჩინა. მისი ეს ნაწარმოებიც (რომელსაც თავად ავტორმა უთუოდ სულხან-საბას ორბელიანის გავლენით „ხუმარსწავლა“ უწოდა), არის სახელწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი საგანმანათლებლო ხასიათის პროექტი, რომლის ისტორიული და მხატვრული

მნიშვნელობაც აღიარებულია სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში.

ეს ნაწარმოები თავისი მნიშვნელობით სრულად პასუხობს იმ ამოცანას, რომელიც ვახტანგ მეექვსის მიერ შექმნილმა ე.წ. სწავლული კაცების კომისიამ დაისახა მიზნად. ავტორი იზიარებს ამ საქმის უშუალო შემსრულებლის, ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757), სამაგალითო მოღვაწეობის გზას, რომელიც გამოჩენილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა თხოულების \_ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ \_ შექმნით სამაგალითოდ აქცია ერის მომავალი ცხოვრებისთვის:

„ხოლო ჩუენი შრომა ესე ამისათვის იყო, ვინაძთგან მეფეს ვახტანგის სახელით აღწერათ და ვიხილეთ ესოდენნი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორენით და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ თქუას მხილველმან ამისმან შეურაცხება რადმე“ (ბაგრატიონი 1973: 304)<sup>1</sup>.

ამ ორი ნაწარმოების დასახელებაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მე-18 საუკუნის საქართველოს ხელისუფალთა და განათლებული ადამიანების წრე კარგად აცნობიერებდა ახალი მსოფლიო წესრიგის და მასში ქართველთა ჩართულობის აუცილებლობას და ამისთვის შეძლებისდაგვარად ამზადებდა ქვეყანას „ახალ ქართლად“ დაბადების სიძნელეების გადასალახად.

უნდა ვივარადოთ, რომ იმ დროს არსებობდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფო დონის პროექტი და მათ შორის იყო თავად იოანე ბატონიშვილის მოხსენება, რომელიც 1799 წელს მამას, ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს, გიორგი XII-ს, წარუდგინა. იოანე ბატონიშვილის აზრით, ქვეყანაში აუცილებელი იყო რეფორმების გატარება, რომლის ფარგლებში ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად იკითხებოდა თბილისში, გორსა და თელავში სასწავლებლების გახსნა.

---

<sup>1</sup> თხოულება აღწერს საქართველოს გეოგრაფიას, კუთხეებს, მათ ზნე-ჩვეულებებს და მოგვითხრობს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან („დასაბამიდან“, „ქვეყნის შექმნიდან“) XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე.

როგორც ჩანს, განათლების აუცილებლობა უმთავრესი იყო ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ პროგრამაში და სამეფო კარის ყველა პოლიტიკური ნაბიჯი ამ მიზნითაც იყო ნაკარნახევი. შემთხვევითი არ არის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ სწორედ ამას მიიჩნევს მეფის (ერეკლე მეორის) ანდერძად და იმ ტკბილ ნაყოფად (ამაში ზოგიერთი მკვლევარი რატომღაც ირონიას ხედავს), რომელიც მისმა ქვეყანამ მოიმკო ( მიუხედავად ყოველივესი) და რომლის შედეგად შთამომავლობას გზა გაეხსნა ცოდნის მისაღებად:

„თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!

გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?

აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“ (ბარათაშვილი 1954:48).

ამ ხაზს აგრძელებენ რომანტიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენლები. სწორედ ამის პარალელურად კი გრიგოლ ორბელიანი ხელახლა „ამოწმებს“ ეროვნული იდენტობის საერთო ნიშნებს, „ნათესავთ ქართველთა“ ერთობის საფუძველს და ყოველივე ამას პოემა „სადღეგრძელოში“ ერთგვარი იურიდიული „დოკუმენტის“ ძალას სძენს ახალი ეპოქის მიჯნაზე.

იკვლევს რა ქართულ ეთნომენტალურ სამყაროს ისტორიული და კულტურულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით, მკვლევარი იუზა ევგენიძე ამ საკითხების გასარკვევად სწორედ ჩვენს რომანტიკოსებს იმოწმებს და გამორჩეულად მაინც გრიგოლ ორბელიანის მოსაზრებას ეყრდნობა და ამის სამაგალითოდ პოეტის მხატვრული ტექსტი – „თამარის დროშა გაშალეს“ – მოჰყავს:

„თამარის დროშა გაშალეს,

შეკრბა დიდუბეს ლაშქარი;

კახი ფარ-შუბით, თუმი ხმლით,

ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი,

მკლავით ძლიერით ქართლელი,

ვით ციხე-ბურჯი მაგარი,

ოსი ფეხ-მარდი, მთიული

ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული,

გმირი იმერი ზრდილობით

და მშვილდოსნობით აფხაზი,

გურული, მეგრი მკვირცხლობით“ (ორბელიანი 1951:93)

„არსებითი და ეროვნული თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებული, მაინც ქართველი ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს გრიგოლ ორბელიანისეული ის დახასიათებაა, რომელიც თავისი ბრწყინვალე მხატვრული ნიჭით მჭევრმეტყველურად წარმოსახა პოეტმა „სადღეგრძელოში“, რითაც სამარადჟამოდ გაუსიგრძეგანა პოლიტიკურად გადასხვაფერებულ სივრცეში მყოფ ახალ საქართველოს, რომ ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ ველში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ საკუთრივ ეთნოგენეტიკით ენობრივად ერთი ფესვიდან ამოზრდილი ქართული ტომები (ქართლელი, კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიული, მესხი, იმერი, გურული და მეგრი), არამედ „ფეხმარდი ოსი“ და „მშვილდოსნობით“ ცნობილი აფხაზი. ერის კულტურას ჰქმნის ენის, რწმენის, ტერიტორიის, წინაპართა საფლავების კულტი და პოლიტიკური ერთობა; აი, ესაა ლაიტმოტივი გრ. ორბელიანის მრწამსისა, რომელიც მან ესტაფეტად გადასცა შემდგომ ხანას და ჩვენს თაობასაც“ (ევგენიძე 2012:68)

გავიმეორებ ამავე აზრს, რათა მკითხველის უფრო მეტი ყურადღება მივაქციო ავტორის აზროვნების სიმაღლეს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გრიგოლ ორბელიანი ნაციონალურ იდენტობას ქმნის არა ეთნიკური ნიშნით, არამედ საერთო კულტურულ ღირებულებებზე დაყრდნობით, რაც იმდროინდელი მსოფლიოსთვის შესაძლოა გაუგებარიც კი დარჩენილიყო.

დაშლილ, დანაწილებულ და განთვითოებულ საქართველოში გრიგოლ ორბელიანი მაინც შეუმცდარად აგნებს იმ გამაერთინებელ ეთნომენტალურ ნიშნებს,

რომელთა საფუძველზე ერთ დროს ძლიერი სახელმწიფო (თამარის სახელმწიფო) ერთი დროშის ქვეშ უყრიდა თავს როგორც ქვეყნის სხვადასხვა კუთხის, ასევე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ქართული საზოგადოების ელიტარული ნაწილი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს გაყოფას. ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში სხვადასხვა დროს დაწერილი რამდენიმე ლექსი იძებნება, რომლებიც იმერ ძმათ ეძღვნება და საქართველოს ერთიანობის სურვილით არის ნაკარნახევი:

„მმანო, იმერნი,

ვით ჩვენ ივერნო!

დიდს დღესასწაულ შორით გილოცავთ,

და ღვთის ვედრებით ამერნი გლოცავთ!

ღმერთმა თქვენს იმერს მაღლი მოჰფინოს,

ნათელნი დღენი მას მოუვლინოს,

რომ არა ნახოს, რაც ნახა ბნელი,

ბედნიერება წინ ადგას გრძელი!

აღყვავებული შვენებით აღდგეს,

როგორც ედემი ისე ისე აღყვავდეს,

რომ იმის ბედი იმის მტერს ჰშურდეს,

ყოვლის მხრით კაცს მის ნახვა ჰშურდეს“... (ორბელიანი ვ. 1992:526).

იუზა ევგენიძე ქართველთა ერთიანობის სურვილსა და მცდელობას რწმენის, ტერიტორიის, წინაპართა საფლავების კულტითა და პოლიტიკური ერთობით ხსნის, ალბათ ამას უნდა დავუმატოთ ქართველი ფილოლოგის, პროფესორის, ელინისტის, პაპიროლოგის, კლასიკური ფილოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის

დამფუძნებლის, გრიგოლ წერეთლის, მიერ ჩვენში დამკვიდრებული გენოტიპის ცნება, რომელშიც მეცნიერი უპირველესად გენეტიკური თავისთავადობის უზენაესობას აღიარებს.

დღევანდელი უფრო მეტ მიზეზს იძლევა იმისთვის, რომ თანამედროვე სახელმწიფოს იდეურ საძირკვლად სწორედ გრიგოლ ორბელიანისეული მოდელი ვაქციოთ. ამისთვის კი აუცილებელია, პოეტის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოდელის სიცოცხლისუნარიანობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ .

ამ მხრივ ბოლო წლებში მართლაც შესანიშნავი საბუთის არსებობის მოწმენი გავხდით. 2019 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობამ ხელახლა დასტამბა მიხეილ ჩიქოვანის მიერ შედგენილი და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადებული ქართული ხალხური პროზის მეორე ტომი, რომელიც მთლიანად „ამირანიანის“ ფოლკლორულ ტექსტებს დაეთმო.

ამირანიანის მითი თითქოს არ თხოულობს განსაკუთრებულ ახსნას, თუმცა ძალიან ძნელია ქართველ ორიენტალისტ-ასირიოლოგ, ბიბლესტ, ფოლკლორისტ, ბატონ ზურაბ კიკნაძის მეგზურობაზე უარის თქმა იმ დროს, როდესაც ღირებულებათა გადაფასების ტენდენცია დღეს ნაწილობრივ ქართულ მითოლოგიასაც შეეხო.

ამირანიანის ამბავს მთელს საქართველოში იცნობენ, შეიძლება ითქვას, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. იგი დადასტურებულია საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ მხარეში (ქართლი, კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, მესხეთი, ჯავახეთი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი...). „ამირანიანი“ ძველი თქმულებაა, ჩანს, მას მოუსწრია სრულიად საქართველოს შემოვლა. ჩანაწერები კი საკმაოდ გვიანდელია, არა უადრეს XIX ს-ის 60-იანი წლებისა. იგი ძველია, მაგრამ არც ისე ძველი, რომ ათასწლეულებს ითვლიდეს. ათასწლეულების შემონახვა მხოლოდ დამწერლობას თუ შეუძლია, მათ ადამიანის მეხსიერება, თუნდაც `კოლექტიური, ვერ გაუძლებს. უძველესია „ამირანიანის“ მოტივები, მითოლოგემები, მაგრამ თავად სხეული მისი შედარებით მოგვიანო წარმონაქმნია (კიკნაძე 2001:4).



ყოველივე ამის გათვალისწინებით, ერთი-ორად უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება მიხელ ჩიქოვანის შრომა ამ მიმართულებით, რასაც თავის დროზე (1946) დიდი აღტაცებით შეხვდა ცნობილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე:

„ავტორს თავი მოუყრია არა მხოლოდ გამოქვეყნებული, არამედ გამოუქვეყნებელი ვარიანტებისა და ჩანაწერებისათვის, რომელნიც ინახებიან როგორც საქართველოს მუზეუმებსა და არქივებში, ისე საქართველოს გარეშე. მაგრამ ის არ დაკმაყოფილებულა სხვების მიერ შეკრებილი და ჩაწერილი მასალით, მას თვითონ ჩაუტარებია არა ერთი და ორი სამეცნიერო ექსპედიცია, შემოუვლია თითქმის მთელი საქართველო და ჩაუწერია ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ვარიანტები, ეს ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა მისი, ამასთან ერთად შეუმოწმებია სხვების მიერ ჩაწერილი მასალები, რომელნიც, განსაკუთრებით გამოქვეყნებულნი, უმეტეს შემთხვევაში სტილიზებულია. შრომის მეორე ნაწილში მოცემულია სულ 94 თქმულება ამირანის შესახებ, ასე რომ ჩაწერილია მდიდარი და საიმედოდ ჩაწერილი მასალა, რომელნიც ბაზად გახდება შემდგომი მკვლევარებისთვის. რაც საყურადღებოა, თითოეულ თქმულებას თან ახლავს პასპორტიზაცია, ესე იგი ნაჩვენებია: რომელი კუთხიდან მომდინარეობს ის, ვის მიერაა ჩაწერილი, ვინაა მთქმელი, როდის ან სად გამოქვეყნდა ის (თუ გამოქვეყნებულია), სად ინახება დღეს ჩანაწერი და ა. შ.“ (კეკელიძე 1968:139).

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ „ამირანიანის“ ფოლკლორული ტექსტების უმრავლესობა სწორედ მეცხრამეტე საუკუნეშია ჩაწერილი და იმ კუთხეების ჩამონათვალი, სადაც ეს ტექსტები იქნა მოძიებული, ზუსტად იმეორებს და ავსებს ეთნიკური ერთეულების „მოკლე სიას“ (მათ შორის აფხაზებისა და ოსების ჩათვლით), რომელთა ხასიათების შესანიშნავ პალიტრას ჩვენ ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“ გავცანით.

ხოლო ის, თუ რამდენად შემოქმედებითად განიცდის ხალხი (მთხრობელი) საკუთარ მითოსს, კარგად ჩანს რაჭაში ჩაწერილი „ამირანიანის“ ერთ-ერთ ვერსიაში, რომლის პოეტური სათაურიც – „ნისლის ცოლი ორსულია“ – ორიგინალური და საინტერესო ტექსტისთვის განგვაწყობს: „ამირანის ლექსს რო ვიტყოდით ძველად ან სხვა რამ ლექსს, დედამიწა სულ დუგდუნებდა, ეხლა გავმჩატდით ხალხი“ (ამირანიანი 2021:260). ზემოთ მოყვანილმა მაგალითები გვარწმუნებს, რომ ქართული

მითოლოგია (ამირანის მითი) სწორედ ის ცოცხალი ნერვია, რომლის ფეთქვას ყოველთვის გრძნობდა ქართული ეთნოსი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი კვალი იძებნება როგორც ნაციონალურ ეპოსში (რუსთაველის პოემა), ასევე შემდგომი საუკუნის კლასიკურ ლიტერატურაშიც.

აქვე გვინდა კიდევ ერთხელ ავხსნათ ჩვენ დიდი ინტერესის მიზეზი ამ თქმულების გამო, რისთვისაც ცნობილი მკვლევრის, ლონდონის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორის, ენტონი დ. სმიტის, თეორიას მოვიშველიებთ, რომლის თანახმადაც ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ საერთო მითები და ისტორიული მეხსიერებაა: “[ეთნიკური ერთობა ანუ ეთნოსი] არის საკუთარი ეთნონიმის მქონე ადამიანთა გაერთიანება, რომლისთვისაც, ელიტის დონეზე მაინც, დამახასიათებელია მითები საერთო წარმომავლობაზე, საერთო ისტორიული მეხსიერება, ერთიანი კულტურის ელემენტები, გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასთან კავშირი, სოლიდარობის ერთგვარი გრძნობა” (სმიტი 1995:57).

ამის პარალელურად ჩვენ შეგვიძლია იუნგის კოლექტიური არაცნობიერის განმარტებასაც დავეყრდნოთ, რომელშიც შვეიცარიელი ფსიქიატრი მას (კოლექტიურ არაცნობიერს) ადამიანური მოგონებების და ემოციური ხატების ერთგვარი საცავად მიიჩნევს, კონკრეტულ მოგონებებს კი სიმბოლურ არქეტიპად წარმოგვიდგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე მოღწეული ამირანის მითის ნებისმიერი ვარიანტი უამრავ დამატებასა და ცვლილებას შეიცავს, ჩვენ უნდა შევეცადოთ არქეტიპში ის ძირითადი მოტივი დავინახოთ, რომელიც ადამიანის ფსიქიკის ყველაზე ღრმა შრეში, კოლექტიურ არაცნობიერში, ვლინდება.

როგორც აღვნიშნეთ, ამ კრებულში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზეპირსიტყვიერი ტექსტის ჩანაწერია (მათ შორის, ოსური და აფხაზური), რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სწორედ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს ეროვნულ იდენტობას ენის, ტერიტორიისა და სარწმუნოების მჭიდრო კავშირთან ერთად აყალიბებს და ინახავს საერთო კულტურა, გენეტიკური თავისთავადობა, ჩვენი წინაპრების გარემოსთან ადაპტაციის მემკვიდრეობითი გამოცდილება და ასევე კოლექტიური მეხსიერება.

ამავე დროს ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ, თუ ფოლკლორული, ზეპირსიტყვიერი ტექსტი ასო-ნიშნებით არ არის ჩაწერილი, მალე ეძლევა დავიწყებას, თუმცა ვერ დავეთანხმებით იმ შეხედულებას, რომ მიჯაჭვული ამირანის პოპულარობა და გაიდილება მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის საპირწონედ ეროვნული მუხტის მატარებელი გმირის შექმნის აუცილებლობამ განაპირობა. ამის საბუთად მკვლევარებს აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში შექმნილი მითოლოგიური გმირის ლიტერატურული სახე მოჰყავთ. ჩემ მიერ ნახსენები კრებული „ამირანიანი“ კი ადასტურებს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი ამირანის თქმულება სწორედ მეცხრამეტე საუკუნემდე მოღწეული ზეპირგადმოცემებით არის შევსებული და არცერთი მათგანი არ იმეორებს იმ ინტერპრეტირებულ სახეს, რომელიც იმ საუკუნის მიწურულს ქართული კლასიკური მწერლობის სივრცეში ჩამოყალიბდა.

ამისთვის კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ზურაბ კიკნაძის ფუნდამენტურ კვლევას ამ მიმართულებით და მის სამეცნიერო ნაშრომში „ქართული ხალხური ეპოსი“ გამოთქმულ იმ მოსაზრებას დავეყრდნობით, რომელშიც მკვლევარი ამირანის სახის სხვადასხვა არატრადიციულ ინტერპრეტაციას განიხილავს, რომლებიც ხშირად სრულიად ეწინააღმდეგება ამირანის გაგების ინდივიდუალურ საზრისს და მითოლოგიურ არქეტიპს ძირითად მახასათებლებს უკარგავს .

„თუ შევეცდებით „ამირანიანის“ ტიპის განსაზღვრას, უნდა ვუწოდოთ მას „ტრაგიკული ეპოსი“, სადაც საგმირო-სათავგადასავლო და მითოლოგიური მოტივებით შექმნილია ადამიანის აღზევებისა და დაცემის დრამა. როგორც ნაჩვენები იქნება, „ამირანიანს“ უფრო მეტი აქვს საერთო ბერძნულ კლასიკურ დრამასთან, ვიდრე პრომეთევსის მითოსთან (ამაზე ქვემოთ). „ამირანიანიც“, მსგავსად ბერძნული დრამისა, ჰუმბრისზეა აგებული. ჰუმბრისი ანუ გაბუდაყება (მთიულური ტერმინია) კულმინაციაა იმ ზღურბლთა შორის, რომელთაც გაივლის ტრაგიკული დრამის გმირი. უფრო არსებითად რომ ვთქვათ, „ამირანიანში“ დგას ადამიანის პრობლემა და ეს პრობლემა, არ უნდა გაგვიკვირდეს, ეგზისტენციალურ ჭრილშია დასმული და გადაწყვეტილი. ამაში მდგომარეობს „ამირანიანის“

თავისთავადობა, მისი უნიკალური ადგილი მსოფლიო ხალხთა ეპოსებს შორის (კიკნაძე 2001:5).

მითის გაგების ამგვარი ტრადიციული შეხედულება პირველად XIX საუკუნის ბოლოს შეირყა, როდესაც აკაკი წერეთელმა თავის გენიალურ პოემაში „თორნიკე ერისთავში“ პრომეთეს სიუჟეტი ქართული მითოსის გმირს მოარგო და მიჯაჭვული გმირი ტანჯულ ქვეყანასთან გააიგივა, რითაც ჩვენს ლიტერატურაში ამირანის ტოტალურ გამართლებას ჩაუყარა საფუძველი:

„კავკასიის ქედზე იყო

ამირანი მიჯაჭვული,

ყვავ-ყორნები ეხვეოდა,

დაფლეთილი ჰქონდა გული.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის

გულს ცეცხლი არ ნელდებოდა

და რაღაცა მანქანებით

გული ისევ მრთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება,

არც კვნესოდა, არც ოხვრიდა;

უსამართლო ძლიერებას

მონურად ქედს არ უხრიდა.

ბოლოს მაინც გამარჯვება

დარჩა!.. ყველა გააოცა!..

და ის ღვაწლი მაგალითად

მიწის შვილთა მან გადმოსცა...

კავკასიის მაღალ ქედზე

მიჯაჭვული ამირანი

არის მთელი საქართველო

და მტრები კი – ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,

იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი!..

სიხარულად შეეცვლება

ამდენი ხნის გასაჭირი“ (წერეთელი ა. 2011: 99)

ზურაბ კვიციანი აზრით (ამაში ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მკვლევარს), აკაკი წერეთლის „ამ სიმღერის ამირანს არაფერი აქვს საერთო ხალხურ თქმულებათა ამირანთან. ისინი არ იცნობენ ამგვარ ამირანს. მაგრამ ამგვარმა ამირანმა შესანიშნავად აღასრულა ის მისია, რომელიც მას პოეტმა დააკისრა. ამირანი ტანჯული საქართველოს მეტაფორა შეიქნა. ამისათვის მისი სასჯელის ნამდვილი მიზეზი უნდა მიჩქმალულიყო და მას პრომეთეს მიჯაჭვის მოტივი, „ქვეყნად ცეცხლის მოტანა“, ჩანაცვლებოდა. წარმოდგენელია, რომ პოეტს ღვთის მოჯანყე ამირანი ჩაგრული საქართველოს სიმბოლოდ გამოეცხადებინა. ამიერიდან ქართული მწერლობა და ეროვნული იდეოლოგია მხოლოდ ასეთ, სიმართლისათვის მებრძოლ და ქედუხრელ, უსამართლოდ დასჯილ ამირანს იცნობს. თუ ჩავუკვირდებით გამარჯვებულ ქართველ მხედართა ამ სიმღერას, ძნელი არ იქნება მასში მესიანური სულისკვეთების ამოცნობა: თუ ამირანი კაცობრიობისთვის ცეცხლის მოტანის გამო ისჯება, საქართველოსაც უნდა ჰქონოდა რაღაც საკაცობრიო ღვაწლი აღსრულებული, რისთვისაც დაისაჯა (ასე სწამს პოეტს?). და როგორც პრომეთემ თავისი გამარჯვებით „ყველა გააოცა“, ასეთივე იქნება საქართველოს მომავალი“ (კვიციანი 2001:29).

აკაკი წერეთლის შემდეგ ვაჟა-ფშაველამ სიმღერების მთელი ციკლი მიუძღვნა ამირანს. მათში მიჯაჭვული გმირი გაზაფხულის ღვთაებად არის წარმოდგენილი, რომელიც ყინვისა და ზამთრის ძალებით არის შებოჭვილი, ხოლო პროზაულ ტექსტში „ამირანის ხმალი“ ავტორის ჩანაფიქრი მთავარი მეამბოხე პერსონაჟების

სრულ რეაბილიტაციას ემსახურება. ამგვარი ტენდენცია ცნობილია მსოფლიო ლიტერატურაში. ეს პროცესი მაშინ დაიწყო, როდესაც გველი და ძმის მკვლელი, ღვთის მოჯანყე კაენი ჭეშმარიტი ღმერთის მოციქულებად შეირაცხა, ხოლო მოგვიანებით ჯონ მილტონმა „დაკარგულ სამოთხეში“ მეამბოხე და დაცემული ანგელოზი სიმპათიური სახით წარმოადგინა. მათ გზას გაჰყვა ბაირონი, ლერმონტოვი და მრავალი სხვაც.

რაც არ უნდა არგუმენტირებული იყოს ჩვენი მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ, ცხადია, მასობრივი მკითხველის ცნობიერებაში ძალზე ძნელია ერთხელ ჩამოყალიბებულ მხატვრულ სახეებთან და ავტორიტეტებთან ბრძოლა, არადა, ამგვარი ინტერპრეტაციები მითოლოგიურ პერსონაჟს ინდივიდუალურ სახეს უკარგავს, მითების, ლეგენდების წიაღში ეროვნული იდენტობის იდენტიფიკაციის პროცესს ართულებს.

გერმანელი ფილოსოფოსი ჰ.გ. გადამერი პრომეთესს კაცობრიობის თვითტანჯვის, მისი ცნობიერების ტრაგედიის სიმბოლოდ სახავს; კაცობრიობა მასში საკუთარ თავს ჭკრეტს. ფილოსოფოსს ეჩვენება, რომ პრომეთეს ისტორია ისევე დაუმთავრებელია, როგორც თავად ადამიანის ისტორია.

ზურაბ კიკნაძე ფიქრობს, რომ ეს უფრო ამირანის ეგზისტენციალურ მდგომარეობას გამოხატავს, ვიდრე პრომეთესას, რადგან ისტორიაში პრომეთეს დრამა დასრულებულია, ის ჰერაკლეს გამომსყიდველმა აქტმა გააუქმა, ამირანისა კი დღემდე გრძელდება „მიჯაჭვულ“ თუ გამოქვაბულში გამომწყვდეულ კაცთა მოდგმასთან ერთად (გავიხსენოთ პლატონის მითოსი გამოქვაბულზე).

ჩვენ კარგად გვესმის მკითხველის სურვილი, რომ კაცობრიობის თვითტანჯვას ეზიაროს. ამაშია პრომეთეს ხასათით გატაცების საიდუმლო, მაგრამ თუ ჩვენ ამირანის მითს თავის ინდივიდუალურ სახეს შევუნარჩუნობთ, მის მიხედვით ამირანი მუდმივად მიჯაჭვული დარჩება, ვიდრე მასში სინანულის განცდა არ გაჩნდება.

ამგვარი ინტერპრეტაცია მითოლოგიური თემის ინტერნაციონალიზაციის ახდენს და მკითხველი შეამჩნევს, რომ ამით თავად მითიც სიზიფეს მითს იმეორებს, არაკს,

რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში „სიზიფეს მითის“ სახელით არის ცნობილი და ალბერ კამიუს შემოქმედებაში ახალი ლიტერატურული ჟანრის (აბსურდის) კლასიკურ ნიმუშად რომ იქცა.

გავიხსენოთ, რომ სიზიფე ძველბერძნული მითების კორინთელი გმირია, რომელსაც ჰომეროსი ყველაზე ხარბს, ცბიერსა და გაიძვერას უწოდებს, სინამდვილეში კი ის მოხერხებული და ღმერთებთან მეზობლია. ამის გამო ღმერთებმა ის ჰადესთან გააგზავნეს და მძიმე ლოდს შეაჭიდეს. მას მწვერვალზე ააქვს ეს ლოდი, მაგრამ უგორდება და ეს ტანჯვა უსასრულოდ გრძელდება.

თუ ჩვენ ამირანის მითს სხვა კუთხით შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მთლიანად ჯდება სიზიფეს სქემაში, როგორც სიზიფე ეზიდება უზარმაზარ ლოდს მწვერვალისკენ, ამირანიც ასე ცდილობს ჯაჭვის გაწყვეტას, სიზიფეს ლოდი უგორდება, ამირანის ჯაჭვი კი მთელდება და მათი ტანჯვაც მარადიულად გრძელდება.

აქ მკითხველს ამ იგავის ქართულ ვარიანტს გავაცნობთ. სულხან-საბა ორბელიანის იგავში გვევლინება ლოდის დამგორებელი, რომელსაც სიზიფესავით კი არ უგორდება ლოდი, არამედ თვითონ აგორებს: “მუნ კაცი ერთი ჩაღმართს ჩავიდის, აიკიდის ლოდი მრგვალი, ამოვიდის აღმართ, დააგორის; ჩაღმართ კიდევ ჩავიდის, აიკიდის, ამოიტანის და დააგორის. ამოტანაში ხვნეშოდის და და რა დააგორის ლოდი, იცინოდის“ (ორბელიანი ს. 1979: 115).

ლოდის დამგორებელი თავად ხსნის მისი, ერთი შეხედვით, მართლაც აბსურდული ქცევის აზრს: „...მე ამ ერთი ქვით ჭირსაც ვნახავ და ლხინსაცა. ერთი ცოტა ქვა მაქვს და ჭირი და ლხინი ორივე დიდი; და მრავალსა კაცსა ათასი ამდენი ოქრო აქვს და ცუდად უცან, მით ვერც ჭირსა ნახავენ და ვერც ლხინსაო“ (ორბელიანი ს1979:115).

ლოდის დამგორებლისთვის ჭირისა და ლხინის ნახვა მისი საქმიანობის მთავარი შედეგია. მისი ჯაფა სულაც არ არის უნაყოფო (სიზიფესგან განსხვავებით), ხოლო

არაკის მორალი ქრისტიანული რწმენით („ხე ნაყოფით იცნობა“) არის განმტკიცებული<sup>2</sup>.

აქ მნიშვნელოვანია, რომ ლიტერატურის ისტორია იცნობს ამირანის მითის სხვადასხვა ინტერპრეტაციას (მათ შორის, ეპიკურს) და აქედან გამომდინარე, მისი ხასიათის ვარიანტებს, რაც თავისთავად გულისმობს ლიტერატურული იდენტობის მუდმივ კორექტირებას.

ამ კუთხით მკითხველს მივაწვდი ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ მითის უახლესი და ჯერჯერობით უკანასკნელი ინტერპრეტაცია გმირის სრულიად განსხვავებულ ხასიათს გვიჩვენებს, ყოველ ჯერზე, როდესაც პალო ისე მოირყევა, რომ საცაა საბოლოოდ ამოძვრება მიწიდან, ამირანი შეგნებულად ურტყამს მას უროს, რითაც თავის ტანჯვას მარადიულ წამებად აქცევს.

ყველა ეს მითი - სიზიფეს, ამირანის, ლოდის დამგორებლის – ბუნების მუდმივობასა და ციკლურ ცვალებადობას გვახსენებს, ხოლო სხვაგვარი ახსნით ისინი კაცობრიობის მოდემის უბედურებას, მისი ყოფნის აბსურდულობას გამოხატავს, ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს მათ კამიუ; მისთვის სიზიფე უპირველეს ყოვლისა მეზრძოლია, რომელიც არ ნებდება წარუმატებლობას და აგრძელებს ამ ლოდის აღმა აგორებას.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ „სიზიფეს ლოდის“ ქართული ინტერპრეტაცია („ამირანი“, „ლოდის დამგორებელი“ ) სრულიად ცვლის იგავის მთავარ აზრს და მორალს. თუ სიზიფეს მიზანი ლოდის მწვერვალზე აგორებაა, რითაც კაცობრიობა თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზანს განახორციელებს, ამირანს ცხოვრების საზრისი პროცესში გადააქვს და თავად სიცოცხლე, რომელიც სიზიფესთან მხოლოდ საშუალებაა მიზნისა (ლოდის აგორება), მასთან მიზნად იქცევა.

---

<sup>2</sup> დაკვირვება „ლოდის დამგორებლის“ იგავზე და მისი სიზიფეს მითთან შედარებითი ანალიზი ბატონ რევაზ ყარალაშვილს ეკუთვნის. ეს მე მასთან პირად საუბარშიც მომისმენია. სამწუხაროდ, არ ვიცი, აქვს თუ არა სადმე ეს აზრი შეტანილი, მაგრამ ვალდებული ვარ, მივუთითო, რომ საავტორო უფლება სადავო არ გახდეს.



ამირანი იმიტომ ასობს პალოს მიწაში (ლოდის დამგორებელი ლოდს თვითონ აგორებს), რომ გათავისუფლებაში მიზანს ვეღარ ხედავს, მარადიული ტანჯვა სიცოცხლის მარადიულობად იქცა. როგორც უკვე ვთქვით, მიზანი სიცოცხლის ყოველწამიერ განცდად იქცა, რაც მუდმივი ბედნიერების ტოლფასი გახდა.

აქ მკითხველს აუცილებლად გაახსენდება გურამ რჩეულიშვილის „ლავერდობაში“ გახმიანებული ფრაზა, „... ჩვენ ორი დღით დავიბენით, რომ ახალი ძალით გვეგრძნო ნამდვილი შემოქმედური სიამოვნება შრომისგან, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში“ (რჩეულიშვილი 1985: 396).

ახლა უნდა დავუბრუნდეთ ნაციონალური იდენტობის საკითხს მითოლოგიურ პერსონაჟთან კავშირში და ვთქვათ, რომ ამირანის ეგზისტენციალური მდგომარეობა კვლავაც გრძელდება მიჯაჭვულ კაცობრიობასთან ერთად. თუმცა ნაციონალური თვითმყოფადობის გასარკვევად მხოლოდ მითოლოგიურ არქეტიპის საზრისზე დაყრდნობა, რა თქმა უნდა, არასაკმარისია, რადგან მითოლოგიური ხასიათი სხვადასხვა პლასტის წარმოდგენასაც თხოულობს, რომელთა ცოდნითი და რწმენითი ერთობლიობა განსხვავებულ ტრადიციებსა და რიტუალებში ვლინდება.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ არცერთი ერის ნაციონალური იდენტობა არ არის გამიჯნული კაცობრიობის საერთო ისტორიიდან ისევე, როგორც თანაბრად მოქმედებს კულტურათა ურთიერთმოქმედების თეორია, რომელიც აყალიბებს ისტორიულად დაშორებულ ლიტერატურათა კავშირს.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „კულტურული განვითარების მსოფლიო-ისტორიული სტადიები ერთმანეთისგან სრულიად დაშორებულ კულტურულ არეალში წარმოშობენ ტიპოლოგიურად მსგავს მოვლენებს. თუმცა როგორც ვ.მ. ჟირმუნსკი აღნიშნავს, სხვადასხვა ხალხის ლიტერატურებში ისტორიულად მსგავსი მოვლენების კონკრეტული შედარებითი ანალიზისას ლიტერატურულ პროცესთა სტადიურ-ტიპოლოგიური ანალოგიების საკითხი აუცილებლად უპირისპირდება არანაკლებ არსებით საკითხს, კერძოდ, საერთაშორისო ლიტერატურულ ურთიერთობებს. ამკარაა, რომ მისი მთლიანი გამორიცხვა შეუძლებელია. კაცობრიობის ისტორია ფაქტიურად არ იცნობს კულტურის (შესაბამისად, ლიტერატურის) აბსოლუტურად იზოლირებული განვითარების მაგალითებს, როცა

ცალკეულ ტერიტორიებს შორის არ არსებობს პირდაპირი ან დისტანციური ურთიერთქმედება და გავლენა (ჟირმუნსკი 1979: 20) (ლოტმანი 2020:354).

### 1.1.ლიტერატურული იდენტობა

ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის დროს ასევე ბუნებრივად დგება სხვადასხვა ტიპის იდენტობისა და მათ შორის, ლიტერატურული (კულტურული) იდენტობის გააზრების აუცილებლობა, რომელიც მოითხოვს, წარმოდგენა შევიქმნათ მსოფლიო და ნაციონალური ლიტერატურის ცნებებზე. ეს ცნებები თავის მხრივ ეყრდნობა ლიტერატურულ კანონს. ლიტერატურულ კანონად მიიჩნევა იმ ტექსტების ერთობლიობა, რომლებსაც საზოგადოება ღირებულ ნაწარმოებებად მიიჩნევს. XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში ლიტერატურათმორისი და კომუნიკაციური ურთიერთობის განსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად სწორედ ლიტერატურული კანონი ითვლება.

ლიტერატურული კანონი ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს ცალკეული ლიტერატურების კულტურულ ისტორიაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნების კულტურულ სივრცეში, რომლებშიც ლიტერატურა კულტურული ცნობიერების წამყვანი მოდელი და ნაციონალური იდენტობის მთავარი გენერატორია. სწორედ ასეთი ქვეყანაა საქართველო: ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის კულტურული აპლიკაციები (მათ შორის, პოლიტიკის სფეროში) მისი ფორმირების, განვითარებისა და ტრანსფორმაციის ყოველ ეტაპზე თვითცნობიერების ჩამოყალიბებული მოდელის ესთეტიკურ რეფლექსიას წარმოადგენს და უზარმაზარ როლს ასრულებს ეროვნული თვითობის განსაზღვრის საქმეში. ნაციონალური იდენტობა ამ პარადიგმის განუყოფელი ნაწილია (რატიანი 2015:30).

ეს არის ამონარიდი ირმა რატიანის წიგნიდან „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“, რომელშიც მკვლევარი განსაზღვრავს ნაციონალური მწერლობის რაობას და მის საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებას, თუმცაღა იმასაც აღნიშნავს, რომ ამ კანონის აღიარება თეორეტიკოსთა დავის საგნად იქცა.

ლიტერატურულ კანონს ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები, რადგან ის არ იქმნება მთლიანი ლიტერატურული პროდუქციის ბაზაზე, მის შემუშავებაში არ მომაწილებენ ე.წ. მარგინალები, მასში უფრო მეტად გათვალისწინებულია ეპოქის ლიტერატურული ელიტის ინტერესები, რაც თავისუფალი არ არის ლიტერატურული ძალაუფლების გაგებისგან.

მკვლევარი გვაცნობს ფრანკო მორეტის მოსაზრებას, რომელიც განსხვავებულ შეფასებას იძლევა და მიიჩნევს, რომ „ლიტერატურული ისტორია არ შეიძლება განხილული იქნას როგორც მხოლოდ კანონიკური ტექსტების ერთობლიობა, არამედ - კანონიკური და არაკანონიკური ტექსტების მთლიანობა: ჭეშმარიტად ღირებული ლიტერატურული ისტორია წარმოადგენს მთლიანობას კანონიკური და კანონს მიღმა გადასროლილი „დიადი წაუკითხავი წიგნებისა“, რომელთაც შესწევთ ძალა, შეცვალონ (თუნდაც მრავალი წლის შემდეგ) ლიტერატურული ისტორიის ნაციონალური და ზენაციონალური მოდელები (სულაც არ არის აუცილებელი, რომ ის უკეთესობისკენ შეიცვალოს - ი.რ.). ეს უზარმაზარი შანსია, უზარმაზარი ცვლილების მოლოდინია“ (მორეტი 200:227).

მორეტის შეხედულება შეიძლება ნაწილობრივ გავიზიაროთ კიდევ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თავად ნაციონალური ლიტერატურული კანონი ერთგვარი მოდელია, რომელიც მონაწილეობს ზენაციონალური კანონის ფორმირების პროცესში. „ქართული ლიტერატურული ისტორიის ზოგადი პარადიგმის გათვალისწინებით, ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონი, როგორც მყარი ნაციონალური სისტემა, ჩამოყალიბების ძალზე რთულ გზას სძლევს და ქართული ლიტერატურული ისტორიის შემდეგ ეტაპებს მოიცავს“ (რატიანი 2015: 41) ავტორი ჩამოთვლის ამ ეტაპებს დასაწყისიდან დღემდე, თუმცა ჩვენ მხოლოდ იმ მონაკვეთებით დავინტერესდებით, რომელ საზღვრებშიც ჩვენი საკვლევი თემა მოიაზრება:

1. XVI – XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და უკან: ევროპული კონცეპტის რეკონსტრუქცია;
2. ქართული რომანტიზმი - ახალი ქართული იდენტობის ფორმირების დასაწყისი;

### 3. ქართული რეალიზმი - ბრძოლა ახალი ქართული იდენტობისთვის;

ეს ფაზები ცხადყოფს, რომ ქართული ლიტერატურული კანონი ორგანულად ერწყმის უნივერსალური კანონის დასავლურ მოდელს, თუმცა ჩვენ არ ვაპირებთ ამ კონტექსტში განვიხილოთ ჩვენი საკვლევი ეპოქა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურული კანონი ვერ ითვალისწინებს ლიტერატურის ისტორიის ყველა დეტალს, კანონის „მაკრატელი“ ჭრის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთებს, ჩვენ კი უშუალოდ ლიტერატურული პროცესები გვაინტერესებს, რომლებიც განისაზღვრება, როგორც ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიული მოძრაობა, რომელიც ვითარდება რთულ კავშირებსა და ურთიერთქმედებებში; მხატვრული ლიტერატურის ისტორიული არსებობა, ფუნქციონირება და ევოლუცია. ლიტერატურული პროცესი ყოველ ისტორიულ მომენტში მოიცავს როგორც თავად ვერბალურ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ასევე მათი სოციალური არსებობის ფორმებს: პუბლიკაციებს, გამოცემებს, ლიტერატურულ კრიტიკას, მკითხველთა რეაქციას და ა.შ.

ლიტერატურული (კულტურული) იდენტობა ეფუძნება გაზიარებულ ღირებულებებს, ცოდნას, ქცევით ნორმებსა და რწმენებს. ერთი ლიტერატურული იდენტობის ჯგუფი შესაძლოა აერთინებდეს ადამიანებს მსგავსი ეთნიკური, რასობრივი ან ეროვნული იდენტობებით და, შესაბამისად, კულტურული იდენტობა, როგორც ცნება, უფრო ფართოა, ვიდრე ეთნიკური თუ ეროვნული იდენტობები.

ლიტერატურულ-კულტურული იდენტობების საფუძველზე აღმოცენებული ერთობები არ არიან ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებულნი და სტატიკურნი. მართალია, ისინი დროის ხანგრძლივ მონაკვეთში არსებობენ, მაგრამ არა მუდმივად. კულტურული იდენტობანი და ერთობები ისევე ექვემდებარებიან ცვლილებებს, როგორც ყველაფერი სხვა და ეს ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც თანდათანობითი, ასევე უეცარი და არაგანგრძობადი.

ლიტერატურული იდენტობის ცვლილება მოსალოდნელია მაშინ, როდესაც თავად ნაციონალური იდენტობა დგება ექვემდებარება, მაგრამ ეს ისეთი ცვალებადობაა, რომელიც მოქმედებს მოცემული ნაციის კულტურისა და ტრადიციების, მისი განსაკუთრებული მემკვიდრეობის მკაფიო პარამეტრების სიმრავლის შიგნით.

იდენტობა გულისხმობს გარკვეული ზომის სტაბილურობას, იგივეობას დროში. ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მკაფიო და მოხაზულ საზღვრებში.

რამდენადაც ქართული ნაციონალური იდენტობა ემთხვევა და იმეორებს სხვა ქვეყნების იდენტობის ნიშნებს (მათ შორის მამული, ენა და სარწმუნოება), მაგრამ განსხვავებულია ნაციონალური მითების შინაარსი და ისტორიული მეხსიერება, ასევე ლიტერატურული იდენტობა ამჟღავნებს უმივერსალური კანონის დასავლეთ და აღმოსავლეთ მოდელებთან კავშირს, თუმცა არც თუ იშვიათად, ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ირჩევს განვითარების ინდივიდუალურ გზას და ანგარიშს არ უწევს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს.

მიუხედავად ცალკეული კავშირებისა, უნდა ვაღიაროთ, რომ შუა საუკუნეებში ქართული ლიტერატურული იდენტობა (ისევე როგორც ეროვნული შეგნება) საგრძნობლად დაშორდა დასავლურ ღირებულებებს (მიუხედავად ცალკეული შემოქმედებითი კავშირებისა), ხოლო მას შემდეგ, რაც გაჩნდა მათთან კულტურული ურთიერთობის პირველი შესაძლებლობა, ჩვენ ვხედავთ, რომ გაჩნდა საშიშროება ერთგვარი კულტურული შოკისა, რომელსაც პარადიგმის უეცარი ცვლილება, განმანათლებლურ იდეებთან ქართული ქრისტიანული აზროვნების შეხლამ გამოიწვია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ გარკვეული კულტურული ფარის როლი რუსულმა კულტურამ შეასრულა, რომელმაც რამდენადმე შეანელა ახალი იდეების, განმანათლებლობის ე.წ. „რადიაციული“ ფონი, და საშუალება მისცა ქართულ კულტურას (ლიტერატურას) უმტკივნეულოდ გაეგლო ადაპტაციის პერიოდი, რათა საკუთარი ადგილი მოეძებნა მსოფლიო კულტურულ სივრცეში.

## 2. მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურული ცნობიერება

ილია ჭავჭავაძის ხატოვანი გამოთქმით, მეცხრამეტე საუკუნემ 1795 წლის 11 სექტემბერს სონღალულს, კრწანისის ბაღებთან დალია სული და წამების სახელოვანი გვირგვინი დაადგა ამ ქვეყნისთვის თავგანწირულ მამულისშვილებს, რომელთაც ფიცი დასდეს:

„აი, სამასნი გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი

მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი:

—, თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვდევნეთ მტრის ძალა,

იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი“ (ორბელიანი 1951:97)

და შეფიცულთაგან ერთიც არ გამოსულა ომიდამ ცოცხალი. ტყუილად კი არ ამბობს თავ. გრიგოლ ორბელიანი: „ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არსო“; ჯერ კიდევ აქ-იქ ანათებდა იმ დიდებულის მეფის შუქი, რომლის

„დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,

მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ვეღარ ვმზერთ მისს სახეს!

მამული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,

დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!“ (ორბელიანი 1951: 95)

მეცხრამეტე საუკუნეს საქართველო შეხვდა, როგორც დამარცხებული, დანგრეული, ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელიც ცხოვრების ყველას სფეროში უკანასკნელ სასიცოცხლო რესურსს ხარჯავდა, რათა როგორმე კრიზისიდან დაეღწია თავი და ფიზიკურად გადარჩენილიყო.

თუმცა სიცოცხლე არ შეწყვეტილა, არ შეწყვეტილა ლიტერატურული პროცესიც, რომელიც ეროვნული სხეულის გულისცემის სიხშირეს იწერდა და დღეს ჩვენ

სწორედ ამ ჩანაწერზე დაყრდნობით ვცდილობთ იმ სოციო-პოლიტიკური მოვლენების აღდგენას, რომლებიც ისტორიამ სხვადასცვა მიზეზის გამო არ შემოგვინახა.

შეიძლება თუ არა ლიტერატურის ისტორიის დაწერა იმგვარად, რომ ის ერთდროულად იყოს ლიტერატურაც და ისტორიაც? – კითხვა, რომელსაც „ლიტერატურის ისტორიის“ შესავალში უელეკი და უორენი სვამენ, სავსებით სამართლიანია ჩვენი კვლევის შემთხვევაშიც.

„უნდა ვაღიაროთ რომ ლიტერატურის ისტორიები მეტწილად არის ან საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, ან საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია – მეტნაკლებად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებული განსაკუთრებული ნაწარმოებებისგან მიღებული შთაბეჭდილებები ან მათი შეფასებები“ (უელეკი, უორენი 2010: 367).

ინგლისური ლიტერატურის ისტორიის მაგალითზე მკვლევარები იმოწმებენ ინგლისური პოეზიის პირველი „ოფიციალური ისტორიკოსის ტომას უორტონის აზრს, რომელიც ძველი ლიტერატურის შესწავლას იმით „ამართლებს“, რომ მასში „სწორადაა გადმოცემული დროთა თავისებურებანი, ასახულია ზნე-ჩვეულებათა ყველაზე უფრო ლამაზი, ხატოვანი და შთამბეჭდავი მხარეები“ (უელეკი, უორენი 2010: 367).

ამ გამოცდილების გაზიარებით, ვეცდებით წარმოვადგინოთ ჩვენი „ნაციონალური ბიოგრაფია“, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრების ჭეშმარიტი სურათი, რომელიც სოციო-პოლიტიკურ პარადიგმას – კულტურის, ცივილიზაციის, მეცნიერების გარკვეული ეტაპისთვის დამახასიათებელ კონცეპტუალურ შეხედულებათა სისტემას – ეყრდნობა. დროის ეს პარადიგმა რამდენიმე ნიშნით ხასიათდება. მათ შორისაა, აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური და კულტურული გავლენის დასასრული და მის პარალელურად რუსული კოლონიური გავლენის გაძლიერება. ამასთანავე, უკვე აშკარად გაცხადებულია დასავლური კულტურისადმი გაცხოველებული ინტერესი და მასთან ინტეგრირების სურვილი. ყოველივე ეს კი ეპოქის სოციო-პოლიტიკური ფუნდამენტური პროცესების ფონზე მიმდინარეობდა, რომელთა შორის იყო:

## 2.1 ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პერიოდი

ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმის ჩამოსაყალიბებლად ნიადაგი ჩვენში პირველ საუკუნეებში მომზადდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სოციალური და ეკონომიკური დიფერენციის საფუძველზე სამხედრო და სამოხელეო არისტოკრატის გამოყოფის პირობა შეიქმნა და მათი მხრიდან საწარმოო ურთიერთობის საშუალებებზე საკუთრების უფლება გაძლიერდა.

იმდენად დიდხანს გაძლო ჩვენში ფეოდალურმა ურთიერთობამ, რომ მან ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა სოციალურ სტრუქტურაში შეაღწია. ამდენად მისგან გათავისუფლება არა თუ ძნელი, არამედ რიგ შემთხვევაში შეუძლებელიც აღმოჩნდა და სულაც არ გვიკვირს, თუ მის ნაშთებს მე-20 საუკუნეში, ურთიერთობის ფორმებში და ეთნომენტალობაშიც თუ აღმოვაჩინოთ.

რაც შეეხება მის (ფეოდალიზმის) ფორმალურად დასრულების პროცესს, ჩვენში ეს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაიწყო, მართალია, ურთიერთობის ფორმები გვიანობამდე შენარჩუნებული იქნა, თუმცა ისინი მხოლოდ სოციალურ ატრიბუტად იყო დარჩენილი.

რღვევის პროცესს შინაურ მიზეზებთან ერთად ხელს უწყობდა დასავლეთში განვითარებული მოვლენები, როგორც იყო რეფორმაცია და გლეხთა ომი გერმანიაში (1524-1525), რევოლუცია ნიდერლანდებსა (1566-1609) და ინგლისში (1640-1660) და ასევე განმანათლებლური იდეები.

აქ მნიშვნელოვანია მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხსაც შევეხოთ და ისიც ვთქვათ, რომ ამ მხრივ სრულიად განსხვავებული შეხედულებები არსებობს, თუმცა მათ შორის მაინც გამოკვეთილად პროგრესული „სამწევროვანი“ დაყოფაა, რომელიც მსოფლიო ისტორიას ძველ, შუა და ახალ ისტორიად ჰყოფს.

ეს ტერმინი აღორძინების ეპოქაში სრულიად იმპულსურად და უცნაურ ვითარებაში შეიქმნა 1469 წელს, როდესაც კარდინალ ნიკოლაუს კუზანელის პარაკლისზე ეპისკოპოსმა ჯოვანი ანდრეამ აღნიშნა, რომ განსვენებულმა კარდინალმა კარგად იცოდა როგორც ძველი ისტორია, ისე შუა საუკუნეების და ახალი დროის ისტორია.



სწორედ ევროპულ ტრადიციას დაეყრდნო ქართველი ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი (1821–1866 წწ.), როდესაც ქართული ისტორიის მთლიანი პერიოდიზაცია განიზრახა და მის სამწევროვან დაყოფას მიანიჭა უპირატესობა. მან ქართული ისტორია სამ პერიოდად - ძველი (მეოთხე საუკუნემდე), შუა (მეთხუთმეტე საუკუნემდე) და ახალი (დღევანდელი დროამდე) - დაყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანდათანობით დამკვიდრდა საქართველოს ისტორიისადმი ფორმაციული მიდგომა. ძველ ისტორიასა და შუა საუკუნეებს შორის მიჯნად აღებულ იქნა ფეოდალიზმის ჩასახვა IV საუკუნეში, ე.წ. „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“. შუა საუკუნეების დასასრულად და ახალი ისტორიის დასაწყისად ასახელებდნენ XIX საუკუნის შუა ხანებს – საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას, ხოლო საქართველოს უახლესი ისტორია დაიწყო 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოებიდან.

რა თქმა უნდა, მსგავსი ფორმაციული მიდგომა დღესდღეობით სრულიად მიუღებელია, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ეპოქის (რომანტიზმის წლები) სოციო-პოლიტიკური რეალობა რომ განვსაზღვროთ, ამისთვის სწორედ ფეოდალიზმის გენეზისის საკითხებს უნდა შევხვით და ამ თვალსაზრისით ჩვენში განვითარებული სოციალური პროცესები გავიაზროთ.

აქ ისიც საგულისხმოა, რომ ჩვენში ფეოდალიზმი ჯერ პოლიტიკურად დასრულდა (ეს აქტი პირობითად მეფობის გაუქმებას უკავშირდება), ხოლო შემდეგ გაუთავებელი აჯანყებებისა და წინააღმდეგობების შედეგად ეკონომიკურად განადგურდა, სოციალურად მოიშალა და მხოლოდ ხიშტისა და ციმბირის შიშით დაემორჩილა იმპერიის მიერ დანერგილ ახალ წესრიგს.

თუმცა თუ დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმი, როგორც ეკონომიკური ურთიერთობის წეს-წყობილება, უკვე მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეში შეიცვალა (საბოლოოდ ის პოლიტიკურად საფრანგეთის რევოლუციამ დაასამარა), საქართველოში კი ამ პროცესმაც თითქმის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე გასტანა. გერონტი ქიქოძე თავის წერილებში იმ ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს გვაცნობს და მისი გარეგნული გამოვლინების აღწერაც არ ავიწყდება: „ბევრი რამ, რაც გერმანელი, ფრანგი ან ინგლისელი რომანტიკოსებისთვის შორეული წარსულის

ხილვა იყო, ბინდუნდით მოცული ტაძრები, შევარდნებით მონადირე რაინდები, ასპარეზობა, ყანწებითა და აზარფეშებით ღვინის მსმელი თანამესუფრეები, დაჩრდილულ ბაღებში მოსეირნე ქალ-ვაჟები, ეს ყოველივე ქართველი რომანტიკოსებისთვის ნაწილობრივ ცოცხალი სინამდვილის მოვლენებია“ (ქიქოძე 1985:302).

ეს იმ ეპოქის გარეგნული მხარეა. თუმცა მის გვერდით არსებობს მშრალი სტატისტიკა, რომელიც რომანტიკული განწყობისთვის მიზეზს არ იძლევა.

„XVIII საუკუნეში საეკლესიო გლეხების დაბეგვრა საქართველოში აღწევდა ფულზე გადატანით კომლზე 15, 5 აბაზამდე (3 მან.12 კაპ.) ან წელიწადში 60 სამუშაო დღემდე, სახელმწიფო ბეგარის ჩაუთვლელად (სამხედრო, კოდის პური, კულუხი, ირანის ხარკი - კომლზე 3,5 აბაზი). ეს ბეგარა რომ შევკრიბოთ და გადავიტანოთ სამუშაო დღეებზე, მივიღებთ, რომ საეკლესიო გლეხს 150 სამუშაო დღიდან წლიურად 80 სამუშაო უნდა მიეცა ფეოდალისთვის. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საეკლესიო გლეხების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე მემამულეთა გლეხებისა“ (კაკაბაძე 1930: 166).

არასრული იქნება ეს სურათი, თუ დიდკაცობის ფუფუნებით გატაცებას, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულ გლეხთა ბეგარის მზარდ სიმძიმეს არ გავითვალისწინებთ და ტყვეთა სყიდვით გამოწვეულ კატასტროფულ შედეგებს არაფრად ჩავდებთ, „მონობით ვაჭრობა არასოდეს არ ღებულობდა იესთ მახინჯ ფორმებს და საზოგადოების განვითარებისათვის ისეთ სახიფათო ხასიათს, როგორც იყო საქართველოში XVI – XVIII საუკუნეებში“ (ბერძენიშვილი 1930: 24).

მართალია, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ტყვეთა სყიდვა საქართველოში შეწყდა, მაგრამ ადგილობრივი ბანდიტები კაპიტან-ისპრავნიკებმა ჩაანაცვლეს და სოციალურად დაბალ კლასებს შვება ერთი წუთითაც არ უგრძობნიათ.

ბუნებრივია, ამგვარი სისტემური ცხოვრების მიმართ საზოგადოებაში, მეტადრე გლეხობაში, წინააღმდეგობა დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა (საქართველოს ისტორია ამოწმებს გლეხთა აჯანყების ფაქტებს), თუმცა, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, ამ თემაზე ერთ-ერთი პირველ გამოხმაურებას, სოციალურად უმაღლესი

საფეხურის, ხოლო შემოქმედებითად – ერთ-ერთი კლასიკოსი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, პოეტურ ტექსტებში ვხვდებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანტიკოსთა შორის განასკუთრებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების სოციალური სიმწვავე, რასაც მომავალშიც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს:

„ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,

არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,

ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით, ატარებენ ჟამთა

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

მოხელენი, მათ გარეშე მდგომელნი,

ძმათა თვისთა შურ-მტერობის მდომელნი,

ჰკვლენ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომრჩომელნი, და შეექცევიან

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას

და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,

მოელოდდეთ მათთან თანასწორებას. არ მარადის იშვათ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!“ (ჭავჭავაძე 1940:30).

მკითხველი რომ არ იცნობდეს პოეტის ბიოგრაფიას, არ იცოდეს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე აღმატებული პატივით იყო მოსილი იმდობინდელ საქართველოში, შესაძლოა ეჭვიც შეპარვოდა მის ავტორობაში. ეს ყველაფერი კი იმის დასტურია, რომ ავტორის ბიოგრაფიის ცოდნა ხშირად არასწორ გზაზე აყენებს კრიტიკოსს, რადგან ძალზე სტერეოტიპულია იმგვარ თეორიულ მეთოდზე დაყრდნობა, რომელიც წარმატებული ავტორის შემოქმედებიდან მხოლოდ გამარჯვების ყიჟინას, ხოლო დამარცხებულის ბაგეთაგან სასოწარკვეთილ ამოძახილს მოეღის.

ამის საპირისპირო დამოკიდებულებას ვხვდებით ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში. მასთან სრულიად იდეალიზებულია ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა და ის პირდაპირ ეხმიანება და იზიარებს ალექსანდრე ორბელიანის ცნობილ სტატიაში – „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ – გამოთმულ მოსაზრებას:

„შევა ტაძარში, ღმერთს დღისთვის ჰმადლობს,

უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი-ყმანი -

მისთვის ეს ყმან არიან ძმანი,

მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,

მათ საუბარი უმზაკვრო ენა.

ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი:

ერთნი არიან ყმა და პატრონი“ (ორბელიანი ვ. 1992:503).

ზოგადად კი, ვახტანგ ორბელიანი ალბათ ყველაზე მეტად „ჯდება“ რომანტიკოსთა კლასიკურ საზღვრებში. ის თითქმის ვერავითარ ნაკლს ვერ ხედავს წარსულში და ბოლომდე მასზე ოცნების ტყვეობაში რჩება. გრიგოლ კვიციანი ყურადღებას აქცევს ამ თემაზე ვახტანგ ორბელიანის დაპირისპირებას ილია ჭავჭავაძესთან:

„ვახტანგ ორბელიანი იმდენად მოხიბლულია წარსულით, იმდენად გულაყრილია აწმყოზე, რომ მომავალშიც ვერ ხედავს ხსნას. ეს აზრი მკაფიოდაა გადმოცემული მის ლექსში „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, მკაფიოდ იმიტომაც, რომ იგი ერთგვარი პოლემიკური მიზნით არის დაწერილი. პოეტი აქ ეკამათება ილია ჭავჭავაძეს, არ ეთანხმება მის ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და არ იზიარებს მის იმედს, რომელიც გამოიხატა ცნობილი სიტყვებით – „მომავალი ჩვენია“. ამ ოპტიმისტური სულისკვეთებით გაუღნთილი სიტყვების საპასუხოდ ვახტანგ ორბელიანი ამბობს, „მაგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრი სმენია“ და ასეთი „ლექსნი ჩემთვის ტკბილი ჩირიაო“ (კვიციანი 2009:51).

ჩვენი დაკვირვებით კი, სწორედ ამ ეპოქაში ძლიერდება სატირული ჟანრის ნიმუშები ხალხურ პოეზიაში, მათი უმრავლესობა გაბატონებული კლასის – თავდა-  
აზნაურობისა და მათი დაუკმაყოფილებელი სიხარბის წინააღმდეგ არის მიმართული:

„მუცელი აზნაურისა ადლი და ნახევარია,

საწყალი გლეხი კაცისა, არც იმის ნახევარია“ (კოტეტიშვილი 1934: 152).

ხალხური მთქმელი კარგად განასხვავებს პიროვნულ ქმედებას და სისტემურ ნაკლს, ამიტომ, ერთი მხრივ, სრულიად გულწრფელია საკუთარი ბატონის (მეფის) ქებაში:

„ბატონი მეფე გვიცოცხლოს,

ერეკლე ჩვენი გმირიო,

მტერს წინ წაუვა გულადად,

რაზმში იქნება პირიო.

უმისოდ ჩვენი ბიჭობა

იქნება გასაჭირიო,

მტერი მოგვივა, დაგვხოცამს,

როგორც ხორველა ჭირიო“ (ალიბეგაშვილი 1992:282).

ხოლო, მეორე მხრივ, კარგად აცნობიერებს იმ სოციალური სტრუქტურის ძირში ჩადებულ უსამართლობის საფუძველს, რომლის არსებობის გარანტიც თავად ის მეფეა, რომლის გულისთვისაც მზად არის თავიც გაწიროს:

„სხვის მოჯამაგირეობას ადვილად იტყვის ენაო, -

მწევარ-მეძებარს გაგატანს: თუ დაიჭირე ნელაო;

ხორცი შენ, ტყავი ჩვენაო;

თუ დაიჭირო დათვიო, ხორც ჩვენ, ტყავი შენაო“ (კვიციანი 1972:140).

იმპერიასთან იძულებითმა თანაცხოვრებამ კიდევ უფრო გაამძაფრა წინააღმდეგობა სხვადასხვა საზოგადოებრივ წყობილებასა და მათ წარმომადგენლობას შორის. თუ ჩვენ იმდროინდელი ანტიკოლონიური აჯანყებების ხასათს და მათ გამომწვევ მიზეზებს ჩავეძიებით, ვნახავთ, რომ მოხელეთა თავნებობის, ძალადობის, დამცირების და ჩაგვრის გარდა, კონფლიქტის უპირველესი საფუძველი სწორედ ცხოვრების წესის შეუთავსებლობასა და სამართლის სხვადასხვაგვარ გაგებაში იკითხება.

ერთმანერთს უპირისპირდება პატრიარქალური ყოფა და კაპიტალისტური წყობის ახლად ჩამოყალიბებული კლასები, ნატურალურო მეურნეობა და ქარხნული წარმოება, ზეპირი პირობა და წერილობითი დოკუმენტი, ქალაქში ანეგდოტებად ვრცელდება სასამართლოში თამასუქის მაგიერ ქართველი თავადის მიერ წარდგენილი უღვაშის რამდენიმე ღერის ამბავი, ენის არცოდნით გამოწვეული კურიოზული ეპიზოდები.

ქართველი გლეხის გაჭირვებას კარგად გადმოსცემს ეს ლექსიც:

„გავბრიყვდი და დავეწერე

პირველ მილიციის ჯარსა,

მე ვთქვი \_ კახეთს წამიყვანენ,

შევისწავლი მთა და ბარსა.

ქალაქში რო მომიყვანეს,

მეძახიან „ნაპრავასა“,

„ნაპლეჩო“ და „ნაპრაული“

არ სცოდნია ჩვენს პაპასა...“ (ალიბეგაშვილი 1992:303).

ისტორიკოსთა ცნობით, მთიულეთის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი საბაზი სწორედ მთიელთა რუსის ჯარში გაწვევა იყო. მაზრის მარშალ თორნიკე ერისთავის ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ:

„თქვენი ბრწინვლების ბრძანებისამებრ შევკრიბე ანანურის მაზრის ქვეითი და ცხენოსანი ჯარი. ავიყვანე კაიშაურში და წაველ ხევის ჯარის შესაკრებადაც, მაგრამ აღმასიანში ჩასვლისას შევიტყვე, რომ თითქოს ჯარს [არ] უნდა მოსვლა; ამის გამო მათ კაცი გავუგზავნე და კინალამ არ მოეკლათ, და უარი თქვეს ლაშქრად წასვლაზე. (ტოგონიძე 1951:80).

სოფლის თემი თავისი წესითა და ადათით უპირისპირდება უცხო სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეულ კანონს. ეს წინააღმდეგობა ძალზე კარგად აქვს აღწერილი ალექსანდრე ყაზბეგს თავის მხატვრულ ტექსტებში. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ხელმწიფის მოხელის გირგოლას („მამის მკვლელი“) მონოლოგი, როდესაც ის თემის წარმომადგენელს, მოხუცებულ „პაპაის“, თავს სწორედ „ზაკონის „კაცობით ამეტებს და იმპერიის სადამსჯელო სამსახურებით ემუქრება :

„\_ ეგ იქნეა უწინ იყო, იქნება უწინ თემობას ჰქონდა მაგისთანა ძალა, მაგრამ ეხლა თათრობა ხომ აღარაა? ახლა ქრისტიანების ხელში ვართ, ღმერთმა უშველოს რუსებსა, ეხლა სუყველა ზაკონის კანონზედ არის ... არა პაპაუ, ურვადი აულიათ, ქალი უნდა მამცენ, მე რად მინდა ან თემი და ან სხვა? მე წინანდელს ჩვეულებას კი არ მივყვები, წავალ, ერთს სიტყვას ვეტყვი დიამბეგს, ნაჩალნიკსა და ქალსაც წავიყვან და ონისესაც დავვლუპამ! ღვთის მადლმა ცოლ-შვილით დავალუპინებ!“ (ყაზბეგი 1985:201)

და მაინც, ამ ფონზე თითქოს არავის აკვირვებს „მუშა ბოქულამის“ მხატვრულად ძალზე შთამბეჭდავი სახის გამოჩენა, თუმცა სოციალური რღვევის პერიოდში ის ერთგვარ ლიტერატურულ პარადოქსად მოჩანს:

„განცხრომის ძევ, ნებიერად გაზრდილო,

ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!

ველთ სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მზის შუქი,

გაზაფხული, სუნნელების ნიაკით,

შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკობენ!

შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზნი თვალებიც;

ნაზი წელი რხევით შენსკენ რონინებს;  
მიმოჰქრიან შენთვის ზღვაში ხომალდნიც,  
ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველნი.  
თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,  
შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:  
დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას,  
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა,  
და შორით გამზერ, კრძალვით მლოდე წყალობის...  
შენ ხარ მეფე... მე ძალადაც არ მაგდებ!  
რალა გითხრა, ნუთუ ეხლაც ვერ მიხვდი,  
რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა?  
როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს  
და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?  
ეჰ, ძმავ, წადი, შენ შენს გზაზე სიმღერით...  
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,  
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,  
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!“ (ორბელიანი 1951:81)

ცვლილებას, რომელიც მეცხრამეტეს საუკუნეში, უშუალოდ, რუსული იმპერიული რეჟიმის ძალისხმევას უკავშირდება, აღწერს იაკობ გოგებაშვილი თავის ცნობილ სტატიაში „რანი ვიყავით გუმინ?“

„რასაც შემდეგში ვხედავთ მტრულს განწყობილებას, საშინელს სიძულვილს ყმებსა და ბატონებს შორის, ტვინის ამოწოვას გლეხებისას ბატონების მხრივ, წყვეტას და ჟლეტას ბატონებისას გლეხების მხრივ – ყოველივე ეს დაიბადა ამ საუკუნეში, როცა



ბატონსა და ყმას შორის ჩამოსდგა შტიკი და შუბი, რომელთა მოხმარება გლეხების წინააღმდეგ ადვილი იყო, როცა თავად-აზნაურობამ დასტოვა ღვაწლიანი არსებობა, მარტივი ყოფა-ცხოვრება და მიეცა ცუდაობას და პირუტყვულ ფუფუნებას, როცა მან მოინდომა გლეხების ოფლით არისტოკრატიული სადგომი გაეკეთინა, მოერთო ძვირფასი ევროპული მებელითა, ზედ ჩაეცვა ინგლისის მაუდი, ჰოლანდიის ტილო, ვარშავის წაღები, ხშირად ესვა შამპანიის ღვინო და ლიონის აბრეშუმეოლობით, პარიზის მოდებით მოერთოთ თავისი ცუდა ქალ-ბატონები ... როცა მოაკლდა უწინდებულ ვაჟ-კაცურთ თვისებათა და დაიწყო ამაყობა, ამპარტავნობა არისტოკრატობით, გვარიშვილობით, რომლის იქით აღარაფერი გააჩნდა“ (გოგებაშვილი 1989: 200).

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტი გვაშორებს იმ დროსთან, როცა ამგვარი შეფასებები იწერებოდა და ავტორიც გვარწმუნებს, რომ ამ დაპირისპირების მიზეზი მხოლოდ რუსის შტიკი და შუბი იყო, ჩვენ მაინც გვიჭირს ამგვარი სიტყვების დათანხმებაა, რადგან ქართული ლიტერატურა უკვე იცნობს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“ და მრავლ სხვა ნაწარმოებს.

დრო კი თავისით მიდის და გზადაგზა ურთიერთშეუთავსებელი ქმედების მაგალითებს გვიტოვებს. როდესაც ქართველი თავადი, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენარალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ჰელსინკში გადასახლებული ელიზბარ ერისთავი . სამშობლოში ბრუნდება და თავის ძმასთან (დიმიტრისთან) ერთად სოფელ ღვარებში მინის ქარხნის მშენებლობას იწყებს (რითაც საწარმოო ძალების გაჩენას უწყობს ხელს), ამ დროს სხვა თავადები ჯერ კიდევ გლეხთა ოჯახების ყიდვით ირჩენენ თავს და მხოლოდ იმაზე წუხან, რომ ქვეყანა წახდა და კარგ კომლში სათანადო ფასს აღარ იძლევიან ...

ეს მაგალითი მხოლოდ საერთო სურათის შესაქმნელად მოვიყვანე. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში, ერთი მხრივ, კაპიტალიზმი შემოდის და წარმოება ფეხზე დგება, ხოლო, მეორე მხრივ, ფეოდალიზმი თავისი უფლებების დათმობას აგვიანებს და მიწის საკუთრების ძალით ჯერ კიდევ მყარად გრძნობს თავს. იმპერიის სასამართლოები ადგილობრივ ადათ-წესებისა, ქართული კანონების

გვერდის ავლით ცდილობდნენ დაპყრობილ ქვეყანაში სამართლიანობის დამყარებას, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული გლეხების პირისპირ კი ამ გლეხების ყოფილი პატრონები, ქართველი თავადაზნაურობა დგება საბრძოლველად..

ერთი სიტყვით, აშკარაა კოლონიალური მმართველობისადმი ქვეყნის სრული დაუმორჩილებლობა, ეკონომიკური და სამართლებრივი უწესრიგობა, დაკარგული საერთო ღირებულებები და დავიწყებული აზროვნების საერთო წესი, რომელიც კონკრეტულ დროსა და საზოგადოებაში შეხედულებათა სისტემის არარსებობაზე მეტყველებს და პარადიგმულ კრიზისს მოასწავებს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე ქართულ ბატონობას მეფის რუსეთის რეჟიმი ცვლის. ასეთ პირობებშიც ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარება მაინც იწყება. თუმცა ის საკმაოდ დუნედ მიმდინარეობს, რადგან ხელს უშლის ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი და ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების გაჭიანურებული კრიზისი (რუსეთის ხელისუფლება მემამულეთა გადაბირების მიზნით ხელს უწყობს გლეხებზე მათი ბატონობის განმტკიცებას) თავისი უარყოფითი შედეგებით. ეს ყველაფერი პირდაპირ და საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების ხარისხზე.

ეს კრიზისი განაპირობებს იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში იჩენს თავს. კრიტიკოსები მიანიშნებენ ზოგიერთ საკითხში (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ერეკლეს გადაწყვეტილება, კავკასიის ომი და ა.შ.) ავტორთა (ბარათაშვილი, ორბელიანი) „გაურკვეველ“ პოზიციაზე და ხშირად, სოციალური პარადიგმის გაუთვალისწინებლად, მათ მიმართ საკმაოდ მკაცრ და კატეგორიულ შეფასებებს იზიარებენ.

ამ აზრის გასაბათილებლად უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი რომანტიკოსები (განსაკუთრებით, ბარათაშვილი) კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს (ზოგიერთი მათგანი ეპოქალური თვალთახედვით დღეს მხოლოდ პოლიტიკურ კრიზისად აღიქმება) ძალზე მასშტაბური, საკაცობრიო მანძილიდან განიხილავენ და დროისა და სივრცის საზღვრებში მათი ჩაკეტვა გაუმართლებელიცაა.

როდესაც ფეოდალური ურთიერთობის რღვევაზე, მისთვის დამახასიათებელი სოციო-პოლიტიკური მოვლენების ლიტერატურულ პროცესებთან ურთიერმიმართების საკითხს ვარკვევთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე ათასწლოვანი სოციალური ინსტიტუტების ნგრევას ეხება. სოციალური ნიადაგის რყევა კი ყველას თანაბრად აფრთხობს. ამგვარი სტიქიური მოვლენების დროს ლიტერატურის ეპიკური და ლირიკული ჟანრები უფრო „უმწეონი“ ჩანან. მოვლენების აღწერის „ვალდებულებას“ კი ლიტერატურის მცირე ჟანრები, მათ შორის ანდაზები, აფორიზმები, ანეგდოტები იღებენ. საქმეში ენის ლინგვისტური შესაძლებლობები ერთვება, რომლებიც საზოგადოების განწყობას ფიგურალურ თქმებში, ფრაზოლოგიზმებსა და იდიომებში ენაში დაკრისტალეზულ მასალად ინახავს.

## 2.2. ანტიკოლონიური მოძრაობა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლების ქრონოლოგია

ანტიკოლონიური ბრძოლა საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე (1801წ.) დაიწყო და თითქმის არასოდეს შეწყვეტილა ორი საუკუნის განმავლობაში.

ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარი, იმპერიის კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრული ღონისძიებები და მის მიმართ გაჩენილი წინააღმდეგობრივი ფრონტის მოქმედების ქრონოლოგია, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ერთიანი და უწყვეტი პროცესის სახე ჰქონდა.

1800 წლის 18 დეკემბერი – იმპერატორმა პავლე I-მა გამოსცა მანიფესტი, რომლის მიხედვითაც უქმდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთი საქართველო უშუალოდ რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. ეს დოკუმენტი საიდუმლოდ გადაეგზავნა გენერალ კნორინგს და გამოქვეყნდა მეფე გიორგი XII -ის გარდაცვალების შემდეგ.

1801 წლის 12 მარტს იმპერატორი პავლე I მოკლეს, ხოლო ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელახლა გამოსცა მანიფესტი (1801 წლის 12 სექტემბერი), რომლის ძალითაც გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ეს მანიფესტი მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს წაუკითხეს სიონის ტაძრის ეზოში შეკრებილ ალყაშემორტყმულ სამეფო ოჯახის წევრებს, ქართველ არისტოკრატებს.

საქართველოს ანექსიის მანიფესტი გამოცხადებას პეტერბურგში დასწრებია პოეტი გაბრიელ რატიშვილი (1770-1821 წწ.), რომელმაც თავისი განცდები ასეთი შაირით გამოხატა :

„ დაიბეჭდა მანიფესტი და გამოსცეს რა ბრძანება,

როს ვიხილეთ წარვიკითხეთ, ცეცხლმან გვიყო ცეცხლის დება,

გვაქვნიდა მარად გლოვნა, ოხვრა, არა სად ჩნდა ლხინი შვება,

მადლი ღვთისა მისი იყოს, წადილი და მისი ნება !“ (ანთოლოგია 2014 : 133).

1805 წელს ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“<sup>3</sup> მე-19 ნომერში დაიბეჭდა მცირე მოცულობის ნარკვევი – „საქართველო ალექსანდრემ I-ის სკიპტრის ქვეშ“. ნარკვევის ავტორი უცნობია, თუმცა ისინი იყვნენ სამხედროები, რომლებიც იმავდროულად ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ თანამშრომლები იყვნენ, ცდილობდნენ რუსი მკითხველისთვის აღეწერათ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დამყარების პროცესში კავკასიაში მიმდინარე მოვლენები და ბრძოლის ეპიზოდები. ბუნებრივია, რომ მათი მოსაზრებები ხშირად მიკერძოებული, ტენდენციური და გაზვიადებული იყო.

„ჯერ კიდევ 1800 წელს ირაკლი მეფემ საკუთარი თავი, თავისი აზნაურებითა და თავადებით რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომად სცნო, ხოლო მხარეები – ქართლი, კახეთი, შამახია, მინგრელია, გურია და ახალციგი – სამუდამოდ რუსეთის პროვინციებად გამოაცხადა. 1801 წლის 18 იანვარს იმპერატორმა პავლე I-მა

---

<sup>3</sup> ვესტნიკ Европы (Russian : Вестник Европы) (Herald ევროპის და Messenger ევროპის \_ იყო ძირითადი ლიბერალური ჟურნალი გვიანი მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში. იგი გამოდიოდა 1866 წლიდან 1918 წლამდე.

გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლის მიხედვით, საქართველო თავისი აზნაურებით, თავადებითა და ხალხით მიღებულ იქნა რუსეთის სახელმწიფოში. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, რომლის მამობრივი გული ვერ ითმენს ვერანაირ ძალდატანებას, ტახტზე ასვლიდან უმოკლეს დროში განაცხადა, რომ საქართველოსა და მის ხელისუფლებს ადრინდელ დამოუკიდებლობას დაუბრუნებს.

ირაკლის შთამომავლებმა და სრულიად თავადებმა კვლავ წარუდგინეს უმორჩილესი თხოვნა საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების თაობაზე და აღიარეს, რომ მხოლოდ ამ ერთ ქმედებას შეუძლია მათი სამშობლოს უბედურების შემსუბუქება. კაცთმოყვარე ალექსანდრე დაეთანხმა ხელმეორე თხოვნას და 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველო საზეიმოდ გამოცხადებულ იქნა რუსეთის პროვინციად. საქართველო ახლა დაყოფილია ხუთ მაზრად; თბილისი არის გუბერნიის მთავარი ქალაქი. მაზრებს ეწოდებათ ტიფლისის, გორის, ანანურის, თელავის და სიღნაღის. თითოეულ მაზრაში 50-დან 60 000-მდე ადამიანი სახლობს. მაზრის ქალაქებს ჰყავთ თავისი კომენდანტები, პოლიცმეისტერები, ხაზინადარები, მაზრის მოსამართლე და კაპიტან ისპრავნიკები“ (კანდელაკი 2019:31)

აქ ავტორი აშკარად „აჭარბებს“ იმპერატორ ალექსანდრე I-ის დახასიათებაში, როდესაც დაპყრობილი ქვეყნებისადმი მის „მამობრივ მზრუნველობაზე“ ამახვილებს ყურადღებას, ჩვენ კი ობიექტურობისთვის ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ამ ეპიზოდის აღწერას შევთავაზებთ მკითხველს, რიმელიც ქართველი თავადის, გენერალ მაიორის მიერ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი იყო მიწერილი და უნდა ვივარადოთ, რომ ქვეშერდომობის ეტიკეტით სრულად იყო დაცული:

ცხადია, რომ ნარკვევის ავტორი აშკარად მალავს სიმართლეს, რადგან „სინამდვილეში, 1805 წელს (ამ სტატიის გამოქვეყნების წელსაც და წინა წლებშიც) საქართველოში განსხვავებული მდგომარეობა სუფევდა. ქვეყანაში გაბატონებული იყო საყოველთაო უკმაყოფილება, რუსეთის მმართველობის სისტემით აღმფოთებული იყვნენ სამეფო ოჯახის წევრები, თავად-აზნაურობა, საეკლესიო პირები და გლეხობა. მოეწყო პოლიტიკური გამოსვლები კახეთში 1802 წელს და

პირველი შეიარაღებული ამბოხება რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ – მთიულეთის აჯანყება – 1804 წელს“ (კანდელაკი 2019:37).

თუმცა აქ უფრო ისაა საინტერესო, რომ რუსეთის იმპერიაში თავიდანვე ჰიბრიდულ ომს აწარმოებდნენ დაპყრობილი ქვეყნების წინააღმდეგ. ისინი არ ერიდებიან აჯანყების სისხლში ჩახშობას, თუმც იმავდროულად ცდილობენ, რომ საინფორმაციო ომიც მოიგონ, იმდონდელ მსოფლიოს რეალური სურათი დაუმალონ და დასავლეთის წინაშე ერთგარად ლიბერალური სახე აჩვენონ.

დაპყრობილი ქვეყნების რეალურ მდგომარეობას აღგვიწერს გამომძიებელ ერისთავასადმი გაგზავნილი აჯანყებულ მთიულთა საჩივარი, რომელიც მთავარმართებელ ციციანოვს წარედგინა:

„ჩვენ ამ ზემოხსენებული მწუხარებისგან, რომელნიც ყოვლადმოწყალე ხელმწიფის უძლეველი ჯარის საქართველოში განძლიერებას ღმერს ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ, ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით ეს არ ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა-რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ, და დავიწვინეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, \_ მარტო მთიულეთში ცემით ოც და სამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა“ (მაკალათია 1930:35)

გლებთა ამ საჩივარში დასახლებულ ფაქტებს ათეული წლების განმავლობაში დაწყებული აჯანყებების ქრონოლოგია ამოწმებს და ადასტურებს: 1804 წელი – მთიულეთის აჯანყება და სასტიკი მარცხი; 1811 წელი – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და საეგზარქოსოს შექმნა; 1812 წელი – კახეთის აჯანყება და მარცხი; 1819-20 წელი – იმერეთის აჯანყება; 1832 წელი – თავდაზნაურთა შეთქმულება; 1841 წელი – გურიის აჯანყება და ა.შ.

გამუდმებული ბრძოლები იწვევდა ადამიანთა აუნაზღურებელ მსხვერპლს, დასახლებული ადგილების ნგრევას და გაქრობას, მეურნეობის განადგურებას, მოსახლეობის ეკონომიკურ გაჭირვებას, ხოლო სისტემატური მარცხი თანდათან

უფრო ამძიმებდა ქვეყნის სულიერ მდგომარეობას და მოსახლეობას სასოწარკვეთილ განცდაში აგდებდა.

ამას გვიდასტურებს კლასიკური პოეზიის ჩვენთვის ცნობილი სტრიქონები, სადაც სულ მცირეოდენი იმედის ნაპერწკალია ბჟუტავს სამომავლოდ:

„ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!..

თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების“ ( ჭავჭავაძე 1940:60).

მხატვრულ სახეებში გადასული კოლონიური ქვეყნის მდგომარეობა, ერთი მხრივ, თითქოს მალავს ჭრილობებიდან სისხლის დენას, ხოლო, მეორე მხრივ, განაზოგადებს საერთო სურათს, ქმნის უკვდავ მეტაფორას, რომელიც თანაბარიწარმატებით გადმოგვცემს დაპყრობილი ქვეყნის გამოუვალ მდგომარეობას:

„ჰე, ივერიაჲ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,

ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი,

რად არა გახსოვს მეთა შენთა ხრმალთა კრიალი,

ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.

წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,

თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,

მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.

ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაეზას!

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,

ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის,

ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის,

დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხდების“ (1832 წ.)

(ორბელიანი 1951:29).

როგორც ჩანს, უმწყემსოდ დარჩენილი „ცხოვარის“ სახე ზუსტად მოერგო იმდრონდელი ქართველის მდგომარეობას. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრის, სოლომონ რაზმაძის, პოლიტიკური ხასიათის არაკმა „დათვი და ცხვარი“, რომელიც მეტად პოპულარული იყო შეთქმულთა შორის. ამ არაკმა საგამომძიებლო კომისიის ყურადღებაც მიიქცია, რამდენადაც იგი ალევგორიულად გამოხატავდა შეთქმულთა წრის პოლიტიკურ შეხედულებებს, პოლიტიკურ მრწამსს, ანტიცარისტულ სულისკვეთებას.

არაკში მოთხრობილია, მტაცებელი მხეცებისგან შეწუხებულმა მოხუცმა ცხვარმა როგორ სთხოვა მფარველობა დათვს და როგორ მიიღო დაცვის მტკიცე პირობა. შემდეგ კი დათვმა ცხვრის ეზო-კარის დასაცავად სწორედ ის მხეცები მოავლინა, რომლებიც მას აწიოკებდნენ; როგორც კი ცხვარი გარდაიცვალა, აფთარმა ცხვრის ოჯახს შეუტია და მისი მამული წართმევა განიზრახა. ცხვრის ოჯახის წევრებმა დასახმარებლად ისევ დათვს მიმართეს:

„რათ გვართმევ საწყალთ ჩვენსა მამულსა

ეს არის შენის შეწევნის აღთქმა?“

„როგორ მიბედავთ? ჩუმად ეგდენით“

შესძახა დათვმა გაბრაზებულმა.

„მაგ წყალობისაც არა ხართ ღირსნი.

გამიჩენია თქვენთვის ფუთი ბზე,

მოგეფონებათ ჩემის სახის მზე

ათასში ერთხელ, სხვა რაღა გინდათ?

რატომ მაღლობას ღმერთს არ შესწირავთ,

რომ თქვენის ქვეყნით გარდმოგასახლეთ?



თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ

და ამისთვის ჩვენ შემოგვიერთეთ“.

„ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ

ტურა-მგლისაგან და შველა გთხოვეთ,

რადგან ბრძანდებით მეფე ძლიერი“,

უთხრეს ბატკნებმა, — „ახლა მშიერი

უნდა ვეყარნეთ, რა შევიმატეთ

თქვენის შველითა. მგელნი განსდევნეთ

ჩვენის მამულით, ჩვენ კი დაგვთრგუნეთ

ერთიანათა და დაგვატყვევეთ.

რაც მათ გადარჩათ სულ თქვენ მიგვიღეთ“.

როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად

და აღასრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად.

არ ეჭირებათ მკურნალი მრთელთა

არამედ სნეულთ და დავრდომილთა“ (რაზმაძე 1992:117)

აქ ალეგორია ისე ცხადად იკითხებოდა, რომ 1832 წლის ძველი თაობის რომანტიკოსმა სიმამაცეში ლამის ანონიმ ავტორსაც გადააჭარბა, რომელიც („მეორედ ნათქვამი რუსთა უპირობაზედ“) არანაკლები მოწადინებით ცდილობს დამპყრობლის სახე სხვაზე შთამბეჭდავად დახატოს:

„ამ შეჩვენებულს რუსებსა რატომ არა აქვთ ღდინია?!

ჩვენ ვევედრებით უფალსა, ეგებ დაეყოთ პირია!

ფიცი ვთქვათ თუ თავდებობა, ყველა ამათთან ჩირია!

საუკუნომდის მოგვდევენ, ლამის მოგვიწონ ტვინია“ (ანთოლოგია 2014:195).

მათთან შედარებით თითქოს უფრო ოპტიმისტურია აჯანყებული მთიულის ნამღერი, რომელსაც არც ომი უკვირს და არც მარცხი აშინებს. ამ პატარა კუთხეს ჯერ სამასი არაგველის მსვერპლად შეწირვის ტკივილიც არ აქვს მოშუმებული, რომ სულ რაღაც რვა-ცხრა წლის შემდეგ, 1804 წელს, მთიულეთის აჯანყებების სახელით ცნობილ გამოსვლებს იწყებს იმპერიის წინააღმდეგ. ამჯერად მოწინააღმდეგე მხარეს მათი თანამემამულენიც იბრძვიან, თუმცა შანშე ერისთავისადმი (32 წლის შეთქმულთა ერთ-ერთი მეთაურის ელიზბარ ერისთავის მამის) დამოკიდებულებაში აშკარად იკითხება სოციალური შეურისძიების კვალიც. მეზობლთ თითქოს ახარებთ (იგრძნობა ერთგვარი ნიშნის მოგებაც), რომ თავგასული ფეოდალი მოღალატედ ექცა სამეფო ოჯახს და მთელ ქვეყანას, ხოლო უბრალო ყმამ ბოლომდე უერთგულა ფიცს. ხალხური მოლექსე მთელი სიცხადით გამოხატავს აჯანყებულთა ამ განწყობას:

„მთიულეთია, ბატონო, ვერ იზამ ქვეითობას!

დაგიწვრილდება კისერი ვერ იზამ ერისთავობასა „ (მაკალათია 1930:31)

სოციო-პოლტიკური მოვლენებისადმი ხალხური მთქმელის აქტიური პოზიცია შეუნიშნავს წიგნის \_ „ქართული რომანტიზმის“ \_ ავტორს, აპოლონ მახარაძეს:

„ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს მთელი რიგი ნიმუშები, რომლებშიც იგი წყევლა-კრულვით იხსენიებდა მეფის თვითმყრობელობის რეჟიმს და მის მკაცრ მოხელეებს. გენერალ პასკევიჩზე არსებული ერთი ხალხური ლექსი კარგად გვაგრძნობინებს ქართველი გლეხობის საერთო სიძულვილს ამ სასტიკი მმართველისადმი:

„პასკევიჩმა რომ საქმე ქნა, ის არ უქნია სხვასაო:

შემოგვაწერა ურმები ქართლიდ-კახეთის თავსაო,

ისეთიც ურმები იყო, ქვა ვერ შაუშლის ფხასაო,

მაღაროს მომიტანევით, იქა მშინჯავი ჰყავსაო“ (მახარაძე 1982:15).

მომავლის იმედი და შესაძლოა უფრო ძმათა დაპირისპირების კვალი იგრძნობა ერთ-ერთი უფლისწულის (იულონის) ორსტრიქონიან ქებაში, რომელშიც ანონიმი ავტორი თავის პოლიტიკურ სიმპატიას გამოხატავს იმდროინდელი ოპოზიციური ძალების მიმართ:

„იულონი აღმოჭირვების, ვითა ცისკარი

და განეხმის ქართლსა ნათლისა კარი“ (ანთოლოგია 1765-1825 / 2014: 52)

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში მიმდინარე ანტიიმპერიალისტური ბრძოლები საფუძვლიანად არის შესწავლილი როგორც ისტორიული, ასევე ლიტერატურული მეცნიერების კუთხით, რადგან ითვლება, რომ ხალხის მასობრივი წინააღმდეგობა რომანტიკული განწყობის და შესაბამისად, რომანტიზმის ლიტერატურული მიმდინარეობის ერთგარი საფუძველი გახდა ჩვენში. ამავე დროს სწორედ იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში ეხსნება გზა დასავლურ მსოფლმხედველობას – ლიტერატურულ ტენდენციებს, მიმდინარეობებს და სკოლებს. ნიშანდობლივია ასევე, რომ ჩვენში მიმდინარე ანტიკოლონიალისტური მოძრაობა სრულად თანხვედრა სხვადასხვა ქვეყნის მსოფლიო დეკოლონიზაციის გამოცდილებას.

### **2.3. პანდემია – ისტორიული გამოცდილება: ლიტერატურული შედეგების შექმნის პირობები და მიზნები**

პანდემიის თემა ჩვენი ცხოვრების უახლესი წლების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. ის ასევე გვახსენებს, რომ წარსულში გადატანილი პანდემიურ-ეპიდემიური მოვლენები არასდროს გამხდარა სერიოზული მსჯელობის საგანი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თითქმის საუკუნის განმავლობაში ასე ცხადად არ გვიგრძნია მისი ტრაგიკული შედეგები. პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენების ანალიზის დროს კი არასოდეს დასმულა (ან ჩვენთვის მიუწვდომელია ინფორმაცია ამის შესახებ) საკითხი სოციო-პოლიტიკური ეპიდემიების გავლენის შესახებ.

ამ მხრივ, ჩვენი დღევანდელი გამოცდილება კორონავირუსის ორწლიან შემოტევას, სამი თუ ოთხი მძიმე ტალღის გადატანის ფსიქოლოგიურ სიმძიმეს და ერთგვარ პოზიტიურ მოლოდინსაც იტევს. ის გვაფიქრებინებს, რომ ამ არაპოლიტიკურ და არალიტერატურულ თემას შესაძლოა, იმაზე მეტი გავლენა ჰქონდეს ჩვენს ისტორიულ წარსულზე, ჩვენს ლიტერატურულ ცნობიერებაზე (მათ შორის რომანტიკულ თუ რეალისტურ განწყობაზე), ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხრივ თუნდაც ზედაპირული ექსკურსი წარსულში მდიდარ მასალას შეგვძენს ლიტერატურისა და პანდემიის თანაცხოვრებისა და ურთიერთგავლენის შესახებ.

საარქივო ცნობების მიხედვით, უახლოეს წარსულში მე-19 საუკუნე გამორჩეულია პანდემია-ეპიდემიების შემთხვევათა სიმრავლის მხრივ. დაავადების პირველმა სიმპტომებმა ჩვენში კრწანისის ომის დამთავრებისთანავე იჩინა თავი, ხოლო გარდაცვლილი (1798 წ.) მეფე ერეკლეს მცხეთაში ჩამოსვენება და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალვა მხოლოდ განსაკუთრებული სიფრთხილისა და სოციალური დისტანციის დაცვის პირობებში გახდა შესაძლებელი. ამის შემდეგ გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია თბილისში, გორში, თელავში, ანანურში. ის გასცდა აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივ საზღვრებს და შეაღწია დასავლეთ საქართველოშიც. საკმოდ დამძიმდა მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში, სადაც მოკლე ხანში მსხვერპლთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს გადააჭარბა .

გახშირებული პანდემია-ეპიდემიების (შავი ჭირის 1803 –1807 წწ, 1811 – 1812 წწ, 1838 – 1843 წწ; ხორველას 1830; 1847; 1865 წწ) საფრთხის წინაშე მდგარი და ამის გამო სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანების მდგომარეობა იწვევდა ცნობიერების ცვლილებას, ჩვეული გარემოს მიმართ გაუცხოებას და ფსიქიკურ რყევებს.

იმ დროს ძალზე ჩვეულებრივი პროცესი იყო ეპიდემიის შიშით დასახლებული ადგილების მიტოვება, უკაცრიელ ადგილებში გახიზვნა და ტრადიციული მეურნეობების მოშლა. პანდემიურმა პროცესებმა მოსახლეობაში გააჩინა უმწეობის და უიმედობის განცდა, რამაც უნდობლობა გააჩინა როგორც ჰიგიენური ცხოვრების წესის, ასევე რელიგიური ინსტიტუტების მიმართ. ეს ყველაფერი იწვევდა ცრურწმენების გამრავლებას და ადამიანთა შორის შეუწყნარებლობას.

არცთუ იშვიადათ ვრცელდებოდა ინფორმაცია პანდემიისგან „ბუნებრივად დაცული“ ტერიტორიების შესახებ. საინტერესოა, რომ 1893 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში იაკობ გოგებაშვილი მკითხველს მოუთხრობს ამგვარი ეპიდემიების დროს ხალხის დაკვირვებით არსებულ უსაფრთხო ადგილებზე, სადაც ეპიდემია არ ვრცელდებოდა (ასეთ ადგილებად იმ დროს ითვლებოდა საფრანგეთის ქალაქი ლიონი და რუსეთის ქალაქი პეტერგოფი): „ჩვენდა სასიხარულოდ ამგვარი ადგილი, დაცული ხოლერისაგან, საქართველოშიც ჩნდება. მანგლისს, საიდანაც ამ წერილს ვწერს თავის დღეში ხოლერა არ უნახავს. დიდხოლერობის დროსა, 1830 წელსა, თურმე, ნახევარი თბილისი მანგლისსა და მის გარეშემო ყოფილა გახიზნული და ხოლერა აქ მაინც არ გაჩენილა. ასევე, ხოლერას მოშორებულია თითქმის მთელი საბარათიანო, კოჯრიდან მოყოლებული თითქმის ახალციხემდე“ (ივერია 1893, №183).

როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე პანდემიის გავლენასა და ლიტერატურაში მის ასახვაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ თემატურ არჩევანს, არამედ იმ ფსიქოლოგიური ფონის აღწერას, რომელსაც ჩვეულებრივ იწვევდა საზოგადოებში გაჩენილი არაბუნებრივი სიფრთხილე და ფსიქიკური ცვლილების შემთხვევები.

ილია ჭავჭავაძე თავის სტატიაში „ასი წლის წინათ“, რომელიც 1798 წლის საქართველოს მდგომარეობას ეხება, სხვა მიზეზებთან ერთად (მათ შორისაა ახალციხის ფაშას წაქეზებით ქვეყნის ლეკთაგან აკლება, შინააშლილობა, რომელსაც მეფე გიორგის დედინაცვლისა (დარეჯანის) და მისი ძმების ურჩობა იწვევდა) ავტორი შავ ჭირსაც ასახელებს: „ამას შავი ჭირიც დაერთო და მთელი ქვეყანა შეამრწუნა და სასოწრკვეთილებას მისცა“ (ჭავჭავაძე 1984: 704).

ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ამგვარი განწყობა პირდაპირ, სარკისებურად აისახება ლიტერატურულ ტექსტებში, თუ უშუალოდ რომანტიზმის ჟანრის თავისებურებებზე არ ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

ჩვენი ზოგადი შეხედულება ამ საკითხზე ასე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ: უიმედობის მიზეზი (რომელიც რომანტიკოსთა შემოქმედებაში შეიმჩნევა) ეპოქის სოციო-პოლიტიკურ გარემოში და შემოქმედთა პირად ცხოვრებაშია საძებნი. თუმცა

არ უნდა გამოგვრჩეს პანდემიის – შავი ჭირისა და ხორველას შემოტევაც და ამ საშიშროებათა შედეგად გამოწვეული ეგზისტენციალური შიშიც, რომელსაც ლიტერატურა ერთგვარ თერაპიად ევლინება. ამ შემთხვევაში ჩვენი კლასიკოსი მწერლების სასარგებლოდ გვინდა გავიმეოროთ, რომ არცერთ ქართველ რომანტიკოსს ხსნა სიკვდილში არ დაუნახავს, რითაც ისინი საბოლოოდ გაემიჯნნენ პესიმისტ-რომანტიკოსთა მიმდინარეობას.

მართალია, ჩვენს ცნობილ რომანტიკოსებს უშუალოდ პანდემია-ეპიდემიების შესახებ არაფერი დაუწვიათ (ვგულისხმობთ მხატვრულ ტექსტებს), მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ შემოქმედებაში ამ ტკივილის (ხშირად პირადულის) სხვა განცდაში გადატანა მოხდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ თავიანთ მოგონებებში ცოცხლად აღწერეს პანდემია-ეპიდემიების გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებული არანაკლებ დრამატული და ცოცხალი ისტორიები.

1838 წელს, როდესაც ახალციხეში შავი ჭირი გაჩნდა და პანდემიის საშიშროება შეიქმნა, გენერალმა გოლოვინმა საკარანტინო ზონების უფროსობა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს (ცნობილ პოეტს) მიანდო. მას დიდი შრომა დასჭირდა, რათა გადამდები სენის გავრცელებისგან მთელი ამიერკავკასია ეხსნა. იმდროინდელი ისტორიული და ლიტერატურული წყაროები გვიდასტურებენ, რომ რომანტიკოს პოეტს კეთილსინდისიერად და წარმატებით შეუსრულებია თავისი მოვალეობა:

„იგი თვითონ ათვალიერებდა ყველა საკარანტინო ზონას არტანუჯიდან შავი ზღვის ნაპირებამდე და მართლაც ყველგან, თვით გოლოვინის ცნობით, ალ ჭავჭავაძე ისე თადარიგიანად იქცეოდა, რომ მიუხედავად ამ ჭირიანობის ხანგრძლივობისა, სხვა ახლომახლო სოფელ-ქალაქებს არ მოსდებია ეს მძვინვარე ავადმყოფობა“ (გრიშაშვილი 1952:62).

როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ალექსანდრე ჭავჭავაძეს დიდი ნდობა მოუპოვებია საზოგადოების და ზემდგომთა წინაშე, რადგან 1841 წელს ერევნის მაზრაში გაჩენილი შავი ჭირის შემწყვეტი კომისიის უფროსადაც კვლავ ის დაინიშნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ხოლერას ეპიდემიამ იმსხვერპლა ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომე (1842 წ.) და მისი შვილი, გრიბოედოვის მეუღლე ნინო ჭავჭავაძე (1857 წ.) (გრიშაშვილი 1952: 67).

ისტორია ცოცხლად ინახავს კიდევ ერთი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ორბელიანის, მოგონებას, რომელშიც ის ეპიდემიის გამო სავლელე პირობებში ცხოვრებაზე მოგვითხრობს. პანდემიების დროს გადარჩენის ერთადერთ პირობად საცხოვრებელი ადგილიდან გაიხივნა ითვლებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მიუვალ ტყეებში დღესაც არაერთი ნანგრევია, რომელიც პანდემიისგან გამოწვეული „შიშიანობის“ დროს ხალხის მიუვალ ადგილებში ცხოვრებას ადასტურებს:

„ზაფხულში ქალაქის მოსახლეობა გაიხივნა და მარტყოფის მინდვრებს შეაფარა თავი. მე მაშინ ცხრა წლისა ვიქნებოდი. ეს ხმა ყველასთვის საშინელი იყო. იძახდნენ, აქ გაჩნდა, იქ გაჩნდა, ეს მოკვდა, ის მოკვდა, ის გაიხივნა, სულ ეს ხმები იყო, ზევით და ქვევით, ქართლში და კახეთში, და ეს ხმები აქაც მოდიოდა, ტფილისში, სადაც აქაც იყო გაჩენილი ეს ჭირი... მიდიოდნენ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ არ გაჩენილიყო... ჩვენამდისინაც მოვიდა ეს რიგი, რომ ჩემნი დედ-მამანიც უნდა აყრილიყვნენ სულერთიან სახლეულობითა სოფლისკენ სადმე წავსულიყავით და საჩქაროდ წავედით ს. მარტყოფისკენ, ამბობდნენ იქ არ არის გაჩენილი ჭირიო“ (ორბელიანი 2009: 35).

ამ მოგონებებზე დაყრდნობით როსტომ ჩხეიძე მხატვრულად მოგვითხრობს მწერლის სიმამაცეზე, როდესაც ის ეპიდემიის კერებში ავადმყოფებს ეხმარებოდა. „ალექსანდრე ორბელიანი არ მოერიდებოდა ხოლერას და ქუჩა-ქუჩა რომ ივლიდა, რათა მიშველებოდა, ვისაც შემწეობა ესაჭიროებოდა, ერთხელაც თმაგაწეწილსა და გულსაკლავად აკვნესებულ დედაკაცს შეეჩეხებოდა: ქმარი და ერთი შვილი გუშინ დავმარხე და ახლა მეორეც წამექცაო.“

ალექსანდრეს გული არ გაუძლებდა და შინ შეჰყვებოდა, გონდაკარგული ყმაწვილს ჯერ ცივი წყლით მოაბრუნებდა და მერე დედაკაცს წითელ ღვინოს მოატანინებდა.

ერთი ჭიქის დალევა ყმაწვილს აშკარად, რომ არგებდა, ალექსანდრე დაარიგებდა:

– ეს ღვინო ცოტ-ცოტა სვი და ხვალ სრულიად კარგად იქნები. და სასიკვდილოდ გადადებული ყმაწვილი... მართლაც მალე გამოჯანმრთელდებოდა“ (ჩხეიძე 2020:61)

ალექსანდრე ორბელიანი საგანგებო წერილს უძღვნის ქოლერის ეპიდემიას, რომელიც 1816-1818 წწ. ინდოეთ-ჩინეთიდან დაიწყო და შემდეგ გავრცელდა იერუსალიმში, ევროპასა და კავკასიაში, მწელის მემუარების მიხედვით, საქართველოში მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1830 წელს, მოუღწევია.

გრიგოლ ორბელიანი დოკუმენტურ პროზაში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ გვიამბობს ეკატერინოგრადში ეპიდემიის მიზეზით დადგენილ კარანტინში სტუმრობის ამბავს:

„ 24-სა. – გამოვლეთ 12-ი ვერსი და მოვედით ეკატერინოგრადს კარანტინში. კარებში მოგვეგება ერთი ბებერი წითელცხვირა სალდათი რკინის მაშით, რომლითაც გვართმევდა ბილეთებს საქართველოდამ მოსულთა და არ გვეკარებოდა, რათა არა შეგვეხეს ემინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჭირიანნი. მაშაში ველარ დაეტოვა მრავალი ბილეთები, რომლისაცა ნახევარი გასცვინდა მიწაზე, – წითელცხვირამ აკრიფა მიწიდან შიშველის ხელით ბილეთები და ისევ მაშაშივე ჩააწყო და მით დაიცვა და დაამტკიცა კანონი და რჯული კარანტინისა. ბევრი ვიცინეთ ამგვარს მის სიფრთხილეზე“ (ორბელიანი გრ. 2013: 110).

როგორც ვნახეთ, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყანაში გაჩენილი სხვადასხვა ეპიდემიის შესახებ მოგონებებში ქართული ელიტარული მწერლობა უფრო პუბლიცისტურ ნიჭს ამჟღავნებს (ყამიანობის შემთხვევები ხომ ძირითადად მოგონებებშია აღწერილი), მხატვრულ სახეებში გარინდებულ ტკივილს კი ძირითადად ფოლკლორში და ეპისტოლარული ლირიკის მრავალრიცხოვან (ასზე მეტი ავტორი) წარმომადგენელთა შემოქმედებაში და აშუღურ პოეზიაში ვხვდებით. კრებულში „ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825)“ (შემდგენელი ირაკლი კენჭოშვილი) წარმოდგენილი პოეტური ნიმუშები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ დღეს სრულიად დავიწყებულ ე.წ. „საშუალო ფენის“ პოეტთა ხშირად ნედლ ფრაზაში, დაუხვეწავ მხატვრულ სახეებსა და ლექსის პუბლიცისტურ ნაკადში უკეთ იგრძნობა იმდროინდელი რეალური სურათი და შეულამაზებელი გარემო. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკურ თუ კულტურულ პარადიგმას სწორედ კოლექტიური ცნობიერება, ცნობილი სახალხო მთქმელები „ბუდალ ოლლი, სკანდარნოვი, ხარაზი პავლე, მეჩუსტე ნიკოლა, მირზაანა მადათოვიც, ოჰანეზაც,



ამიროვი, გივიშვილი, ჰაზირა” და მათთან ერთად ეპისტოლარალური ლირიკის წარმომადგენლები ხორგიაშვილი, ქობულაშვილი, ლარაძე, ვახვახიშვილი, ყანჩაშილი და მათთან ერთად ასზე მეტი ანონიმი ავტორი ეპოქის ყველაზე სანდო მატიანეს ქმნიან:

„ჰაი, მოვსთქვამ საყვარელსა, ჰაი, სრულად ია-ვარდი,

ჰაი, სენი უკურნები, ჰაი, მთხრებელსა ია, ვარდი,

ჰაი, პირველ ბაგე ვარდი, ჰაი, ან მთად ია-ვარდი,

ჰაი, მზემან უკუმრიდა, ჰაი, დავკარგე ია-ვარდი

ჟამს იე წლისასა - პეტრე ლარაძე (ანთოლოგია 2014:290)

ან თუნდაც ეს:

რგული

„ისარი პირბასრეული აქვს სვესა ჩემზედ სრეული,

მიკვირს, რასთვის მბრძავს წყეული, რა მაქვსყე მე მისეული,

ვარ ტკივილთაგან ძლეული, მრავლით ჟამთაგან სნეული,

ჯალათნი მისგან სეული მებრძვიან მრავლასეული“

პეტრე ლარაძე (ანთოლოგია 2014: 291).

აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქის ანტონ I-ის (თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი) გარემოცვაში მოღვაწე პოეტი როსტომ ყაითამაზშვილი კი დეტალურად აღწერს განუკურნელი სნეულების სიმპტომებს და ამით ერთგვარ „მხატვრულ“ სამედიცინო ისტორიას გვიქმნის:

„მძანო, კარგად მოიხსენეთ, ამ ცრუ სოფლის საქმე ნახეთ,

მოიწია რისხვა მღვთისა, ჟამი გაჩნდა თქვენცა ნახეთ,

კაცს გულს ცეცხლი ედებოდა: დედაჩემი მომინახეთ!

შვილი დედას წყალსა სთხოვდა, არ აძლევდა თვალით ვნახეთ“

(ანთოლოგია 2014: 47).

კიდევ რამდენიმე საინტერესო ნიმუში შეგვიძლია მოვიძიოთ, სადაც პანდემიით გამოწვეულ ტრაგიკულ შემთხვევაზე მოგვითხრობს ესა თუ ის ავტორი, თუმცა არსებითი განსხვავება ამ ლექსებს შორის თითქმის არ იგრძნობა. ყოველ მათგანში მხოლოდ ტკივილის მხატვრულ სახეებში გადმოცემა ან მძიმე განცდის გაზიარების სურვილი ჩანს, სასოწარკვეთა საერთო დამოკიდებულებაშია, სადაც არავინ ეძებს ჭირის მიზეზს და არც გამოსავალზე არავინ ლაპარაკობს. აქ უკვე არ იგრძნობა ის ძლიერი რწმენა, რომლის წყალობითაც ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინ სამშობლოდან შორს მყოფი პოეტი მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ამყარებდა უზენაეს შემოქმედთან:

„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა;

ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა;

ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა.

მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა!“ (გურამიშვილი 1979: 244).

მკითხველს ახსოვს, რომ აქ ავტორი (დავით გურამიშვილი) სწორედ საშინელი სენის გაჩენაზე მოუთხრობდა მკითხველს, რომელიც სხვა მრავალ სასჯელთან ერთად მოუვლინა ღმერთმა გაორგულებულ ერს:

„არც მით მოიქცნენ! შეჰყარა უცხო, უწყალო სენები;

ხოცა კაცნი და პირუტყვნი, ცხვარნი, ძროხა და ცხენები,

კვლავ შეაყენა, მახვილთა სისხლით ადივსო ხევნები,

სრულად აღსრულდა მათზეთა დავითის მონახსენები“ (გურამიშვილი 1979:25).

მართალია, ინდივიდუალურ შემოქმედთა მხატვრულ ტექსტებში ამგვარ რწმენას ვეღარ ვხვდებით, თუმცა ის უფრო სახიერად არის გამოხატული კოლექტიურ აზროვნებაში და ხალხურ შემოქმედებაში.

სავარაუდოდ, სწორედ პანდემიის გავრცელებით გამოწვეულ ეგზისტენციურ შიშს უკავშირდება ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში „სიკვდილის სიმღერა“, რომელსაც „ივერიის“ 1886 წლის 36-ე ნომერში თავად ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებია თავის ვრცელ სტატიაში „ფშაველები“:

„სიკვდილ სთქვა, ზღვიდამ წამოველ,

ზღვა ჩქეფით შემოვიარე,

შევკაზმე თავის ლურჯაი

ხმელეთ სუ შამოვიარე;

გადმოუხედენ ფშაველთა,

ყოოდნენ, როგორც იანი,

ჩაველირე და ვერ ჩაველ,

ხატი ჰყოლიყო ძრიალი;

შორს გზაზე ამომეგება,

შავარდენ იყო მხრიანი.

გადმაუხედენ ხევსურთა

შავნ იყვნენ როგორც ჭიანი

ჩაველ და ისე ჩავთიბე,

როგორც ნალევმა თივანი,

ბევრისა კარი დავსჯარე,

ბევრისა ისევ მღე არი,

ბევრისა დედა ვატირე,

ბევრისა ცოლი თმიანი;

ბევრისა თოფი შაკვიდე, -

სიათა პირ-კომლიანი,

ბევრისა ხმალი დავაგდე,

ფრანგული ფხა-სისხლიანი,

ბევრის ქალისა გავწირე

კალათა ხშირ-წინდიანი“ (ივერია 1886 : 23).

საქართველოს კუთხეებს შორის პირველობისთვის შეჯიბრში და პოეტური ურთიერდაპირისპირების ფონზე ამ ლექსში დიდი ტრაგედიის გამოძახილი იგრძნობა. ტექსტის შინაარსი ამტკიცებს, რომ მასობრივი სიკვდილიანობის მიზეზი აშკარად პანდემიაა (ლექსში იმის მინიშნებაცაა, რომ პანდემია ზღვით გავრცელდა, „სიკვდილმ სთქვა, ზღვიდამ წამოველ...“) პირველი შთაბეჭდილებით ლექსი შესაძლოა ანატორიის აკლდამებში „დაწერილ“ დიდ ტრაგედიათა ამბავს მოგვითხრობს. ყოველ შემთხვევაში, ტექსტის დათარიღებისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ის თოფის ეპოქაშია („სიათა პირ-კომლიანი..“) შექმნილი, სავარაუდოდ, მე-18 საუკუნის ბოლოს ან მე-19 საუკუნის დასაწყისში.

ეს ლექსები, მოგონებები, ჩანაწერები, ლირიკული ტექსტები დაახლოებით წარმოდგენას გვიქმნიან იმ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე, რომელიც ორი საუკუნის წინ არსებობდა საქართველოს დედაქალაქში და მთლიანად ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში (მსხვერპლის რაოდენობა საგანგებოდ არ მიკვლევიან, რადგან ეს მხოლოდ დაამძიმებდა საერთო სურათს, რომელსაც ისედაც არ აკლია ტრაგიზმი). ამ ტექსტებზე დაყრდნობით მკითხველს შეუძლია ყველაზე მძიმე მდგომარეობის წარმოდგენა. თუმცა ჩვენთვის (ჩვენი მდგომარეობის გათვალისწინებით) , ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია პოსტ-პანდემიოლოგიური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი და საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა.

ამ მხრივ ეპოქათა საერთო სიტუაციის შედარებითი ანალიზი სრულიად გამართლებულია, რადგან ჩვენ გვაინტერესებს არა მხოლოდ ავადმყოფობის ფიზიკური გამოვლინებები (თავისი უმძიმესი შედეგებით), არამედ პანდემიის

შემდგომი ფსიქო-ემოციური სიმპტომები: მარტობისა და გარიყულობის განცდა, ნეგატიური აზრები, დეპრესიული განწყობილება, შინაგანი ფორიაქი, შფოთვა, მეხსიერების სირთულეები და ა.შ. (ინფორმაციას ამის შესახებ ორგანიზაცია - ამერიკის მენტალური ჯანმრთელობა {MHA} აქვეყნებს, რითაც პანდემია საზოგადოების უფრო ფართო სპექტრს ემუხრება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ნაადრევი გვეჩვენება ჩვენში კორონავირუსის თემაზე შექმნილი არაერთი მხატვრული ტექსტის აქ წარმოდგენა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნების გაკეთება, რადგან სიმპტომები, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ (მარტობისა და გარიყულობის განცდა, ნეგატიური აზრები, დეპრესიული განწყობილება, შინაგანი ფორიაქი, შფოთვა, მეხსიერების სირთულეები) სინამდვილეში პანდემიასთან დაკავშირებული ლიტერატურისთვის მომავალი სამუშაო თემებია, რომელთა გამოყენებით მან თავისი თერაპიული როლი უნდა შეასრულოს.

ასეთი ვრცელი სურათის წარმოდგენა ჩვენ მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ მკითხველისთვის წარსულის გამოცდილებით ხვალინდელი დღის კონტურები დაგვეჩვენებინა. სპეციალისტები ხომ პირველივე დღიდან გვაფრთხილებდნენ, რომ მომავალი ვეღარ იქნებოდა ისეთი, როგორც იყო წარსული. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პანდემია აუცილებლად დამარცხდება, მაგრამ შეიცვლება ჩვენი გარემო და შევიცვლებით ჩვენც (ან უკვე შევიცვალეთ) და ამგვარ რეალობაშიც ლიტერატურამ კვლავაც თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს. ის უნდა ექცეს მომავალს მანუგეშებლად, ამ საქმეში მას პრესა, ტელევიზია, სოციალური ქსელებიც ეხმარებიან. ისინი დღესაც გარკვეული წინამავლის როლს ასრულებენ, რადგან პანდემიის პირველადი განცდა სწორედ მათში ტყდება და ირეკლება: ემოციურად, უფრო ხშირად კი ტრაგიკულადაც, თუმცა სწორედ მათი ძალისხმევით ფსიქოლოგიური ფონი შედარებით მსუბუქდება, ხოლო ლიტერატურა ემზადება ზოგადი პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, რომელიც მომავალ თაობას ცხოვრების რაციონალურ ხედვას და შესაბამის იმედიან განწყობას შესთავაზებს.

ზოგადად, ისტორიაზე დაყრდნობით ჩვენ დღვანდელელი მდგომარეობის ანალიზს მივმართავთ-ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევს საპირისპირო

დისკურსის გავრცობა, რათა მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ ის ზოგადი მიზეზები (მათ შორის პანდემია-ეპიდემის) , რამაც მე-19 საუკუნეში მთლიანად განაპირობა ნაციონალური ლიტერატურის ხასიათი და მიმართულება.

## 2.4.იმედი და ნიჰილიზმი

როდესაც ამა თუ იმ ეპოქის ისტორიულ მოვლენებზე დაკვირვებას ვცდილობთ, სრულიად ბუნებრივია, რომ ხედვის შუალედურ წერტილს დავეძებთ, საიდანაც საგნებსა და მოვლენებს უფრო დავუახლოვდებით. ასეთ წერტილებად ჩვენ წინა თაობის ექსპერტების მოსაზრებები გვესახება, რომლებიც ისტორიულ მოსახვევებში „დგანან“ და პროცესების აღქმას გვიადვილებენ.

თანამედროვე ეპოქის მკვლევარისთვის ასეთად მოჩანს 1992 წელს გამოცემული „ქართული მწერლობის“ მე-9 ტომი, სადაც ცნობილი ქართველი კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე თავის წინასიტყვაობაში – „მეცხრამეტე საუკუნე“ – წარსულს პირუთვნელად აფასებს.

კრიტიკოსის აზრით, „მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადი ებრძოდა ერთმანეთს ... იმედი და ნიჰილიზმი. ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტებიც არ ყოფილან ქართველი ხალხის მტრები. მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერჯია. ამიტომ სხვის იმედად ყოფნა ერჩიათ. ურწმუნოება კი გამოწვეული იყო ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრით“ (ბაქრაძე 1992:7).

მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ კრიტიკოსი ამ სიტყვებით „...მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერჯია“, პირდაპირ ციტირებს ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მეშვიდე თავის ფინალს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარსულის (მეცხრამეტე საუკუნე) შეფასებაში სხვადასხვა მანძილით დაშორებული მოაზროვნენი სრულიად თანხმდებიან საერთო აზრში:

„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას

და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული

ჭკვიტ არ განსჭკვიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,

იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,

უქმისა დრტვინვით, გულის წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,

მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,

და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის,

ჰლადადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა“ (ჭავჭავაძე 1987: 184).

აკაკი ბაქრაძემ კრებული წინასიტყვაში ამ ორი დაპირისპირებული მხარის აზროვნების მაგალითად გრგოლ ორბელიანის და ივანე აფხაზის საუბარი შემოგვთავაზა:

„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არის მკვდარი მამულისათვის, ჰსცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა: ყოველი ფიქრობს საკუთარისა თავისისა სარგებლობისთვის, რომლისა მისაღებელად არა მიხედავენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენენ. ანგარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება; გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა. არა! ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“ (ორბელიანი 1992:388).

ცხადია, რომ ივანე აფხაზის ამ სიტყვაში ნიჰილიზმი და უიმედობა სჭარბობს, მკითხველი მის კითხვაზე პასუხს მოელის, საუბარში აქ გრიგოლ ორბელიანი უნდა ჩაერთოს, თუმცა აკაკი ბაქრაძე თხოვრის მიმართულებას ცვლის და სამსჯელოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ორი მეფის“ თემა („ბედი ქართლისა“) შემოაქვს.

დიალოგის ფორმა რომ არ გაწყდეს, საუბრის ლოგიკა არ გამრუდდეს და ოპოზიციური წონასწორობა არ დაირღვეს, საშუალებას მივცემთ მკითხველს გრიგოლ ორბელიანის პასუხსაც მიადევნოს თვალი:

„ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღხოცენ იგინი, ვინცა იქმნებიან, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქნებიან გონებიან და შორსმხედველ. ძალა იქმნების მათ ხელში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა;

სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქმნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოს შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების, მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებით გონება“ (ორბელიანი 1992:387).

ერთი უცნაურობა აქ ისაა, რომ აფხაზ-ორბელიანის ოპოზიციურ წყვილში სწორედ რომანტიკოსი პოეტი და მისი შორსმხედველი გონება იმედიანობს, ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში უკვე დაბეჯითებით საუბრობს რუსთაგან საქართველოს დატევებაზე და ამ დღეს ისე „ნათლად „ხედავს“, რომ მის მიერ შემდგომი პერიოდის აღწერა (სასწავლებლების მოწყობა და უცხო ქვეყნებიდან მასწავლებლების მოწვევა) მკითხველში ერთგვარად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამის შთაბეჭდილებას ტოვებს:

„თაყვანსვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!

გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?

აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი.

„ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო

მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;

მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული

უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული“ (ბარათაშვილი 1954:43).

სასოწარკვეთილებისა და განწირულების განცდა უთუოდ თანამდევია ამ ეპოქისა, თუმცა მასთან ბრძოლა ჯერ კიდევ რომანტიკოსებმა (ბარათაშვილი, ორბელიანი, ჭავჭავაძე) დაიწყეს და პირველი საიმედო ნიშნები კრიტიკული რეალიზმის ჩასახვისთანავე (გიორგი ერისთავი) გამოჩნდა.



### 3. ქართული რომანტიზმის თავისებურება

„მოარიდე მზერა ყოველივეს, რაც შენ გარშემოა და მიმართე საკუთარი შინაგანი სამყაროსკენ. აი, პირველი მოთხოვნა, რომელსაც ფილოსოფოსი აუცილებელ პირობად წაუყენებს ერთგულ მიმდევართ. იმას, რაც შენ გარეთაა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს: ერთადერთი პრობლემა შენთვის შენ თვითონ ხარ.“

იოჰან გოტლიბ ფიხტე

ზოგადად, რომანტიზმის და კონკრეტულად ქართული რომანტიზმის თავისებურებების საკითხი მრავალჯერ დამუშავებულა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში. უფრო თუ დავაზუსტებთ, ამ კვლევას ას ორმოცდაათი წლის ისტორია აქვს და შეიძლება ითქვას, რომ ყოველ თაობაში, ერთი მხრივ, მატულობს და ღრმავდება სამეცნიერო მასალა, მეორე მხრივ, ჯამდება არსებული ცოდნა და ამის საფუძველზე თანადროული, თუმცა ხშირად კატეგორულად განსხვავებული დასკვნებიც კეთდება.

ამ მხრივ უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე აკადემიურ და სრულფასოვან გამოცემად, ალბათ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადებული კრებული „ქართული რომანტიზმი“ (ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები) (რედაქტორი ზაზა აბზიანიძე) უნდა ჩაითვალოს, რომელშიც საუკუნენახევრისწინანდელი ლიტერატურული პროცესები ოცდამეერთე საუკუნის თვალთახედვიდან არის შეფასებული.

წიგნში დაბეჭდილია ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტების (ასევე მოწვეული მეცნიერების) სტატიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (ბრიტანული, ამერიკული, გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური, იტალიური, პოლონური) რომანტიზმის შესახებ, ასევე ქართველ რომანტიკოსთა (ალ.ჭავჭავაძე, გრ.ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი ) შემოქმედების განხილვა და ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, რაც უფრო ახლოა ჩემს საკვლევ თემასთან, რომელიც ქართული რომანტიზმის თავისებურების განხილვას სოციო-პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით ისახავს მიზნად.

და რაც არანაკლებ უფრო ღირებულია ამ წიგნში, ესაა მისი მდიდარი ბიბლიოგრაფია (სამასამდე წიგნია) ქართული და უცხოური სამეცნიერო წყარო, რომლებიც თითქმის სრულად მოიცავს ამ მიმართულებით დღემდე არსებულ მეცნიერული კვლევების შედეგებს და მომავალშიც კარგ საფუძველს შექმნის, ხელს შეუწყობს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

უნდა აღვნიშნო, რომ გარდა ამ კრებულში წარმოდგენილი ავტორთა კვლევებისა, დღემდე ოდნავადაც კი არ მოძველებულა და თავისი ღირებულება არ დაუკარგავს კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, პავლე ინგოროყვას, გურამ ასათიანის, გრიგოლ კიკნაძის, აკაკი გაწერელიას, რევაზ სირაძის, იუზა ევგენიძის და სხვათა ფუნდამენტურ ნაშრომებს, რომლებიც ასევე რომანტიზმის საკითხებს განიხილავდნენ, თუმცა, ფორმატის გათვალისწინებით, მათი ნამუშევრების ამ წიგნში შეტანა არ მოხერხდა.

### 3.1. რომანტიზმი დღევანდელი გადასახედიდან

ამ სფეროში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, რომანტიზმი დღემდე განიხილება, როგორც ზოგადევროპული (საერთო-დასავლური) მოძრაობა, რომელიც რადიკალურად გაემიჯნა ასევე ზოგადევროპულ მოძრაობას – განმანათლებლობას. რომანტიზმმა გაილაშქრა იმ რწმენის წინააღმდეგ, რომლის თანახმად გონება აბსოლუტური ძლიერების მატარებელია და მხოლოდ რაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი კაცობრიობის წინაშე მდგარი არსებითი პრობლემების გადაწყვეტა.

„რომანტიზმი უპირისპირდება განმანათლებლობას, რომელიც ადამიანს იაზრებს, როგორც უპირატესად რაციონალურად მოქმედ არსებას. ადამიანის არსს, რომანტიზმის მიხედვით, იგივე განსაზღვრავს, რაც მთელი სამყაროს არსს – სწრაფვა, ლტოლვა, შინაგანი აქტივობა, ნება. ამასთან რომანტიზმი ამ სწრაფვას თავისებურად იაზრებს და მას ადამიანის სასრულობას უკავშირებს. რომანტიზმის მიხედვით, ადამიანის არსი ისაა, რომ იგი უნდა ესწრაფვოდეს, უპირველეს ყოვლისა, მიღმურს,

აბსოლუტურს. ამავე დროს მას თავისი სასრულობის გამო არასდროს ძალუმს ამ აბსოლუტურის მიღწევა“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012:17).

გარკვეული აზრით, განმანათლებლობა ერთმანეთისგან აშორებს ღმერთს და სამყაროს (განმანათლებლების აზრით, ღმერთი ქმნის სამყაროს, მაგრამ შემდეგ აღარ ერევა მასში მიმდინარე პროცესებში – დეიზმი). ამის საპირისპიროდ რომანტიზმის ფილოსოფია თეიზმის პოზიციაზე დგას. თუმცა ეს არ არის ტრადიციული, შუასაუკუნეობრივი თეიზმი. მასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც არატრადიციულმა თეისტურმა თვალსაზრისებმა, ისე პანთეიზმმაც. აბსოლუტი, აბსოლუტური „მე“, რომანტიზმის მიხედვით, მსჭვალავს მთელ სამყაროს. ამიტომ ამ უკანასკნელზე საუბარი აბსოლუტის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

„რომანტიზმის ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო და აბსოლუტი ერთი და იმავე კანონზომიერებითაა განმსჭვალული. ის, რასაც ვპოვებთ სამყაროში, შეიძლება ვპოვოთ აბსოლუტში და პირუკუ, ის, რასაც ვპოვებთ სამყაროს ყოველ მნიშვნელოვან მოვლენაში, შეიძლება ვპოვოთ აბსოლუტში. ამ მტკიცებით, რომანტიზმი აღორძინებს პრინციპს „ყველაფერი ყველაფერშია“, რომელიც უკვე ანტიკურ ფილოსოფიაში იყო შემუშავებული და სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული. ამავე მტკიცების ძალით რომანტიზმში ხდება მიკრო და მაკრო კოსმოსის, შინაგანი და გარეგანი იდენტობის შუასაუკუნეობრივი პრინციპის აღორძინება“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012:14).

ესაა ძალზე ზოგადად რომანტიზმის მთავარი საფუძველი და პრინციპი. ამ ცოდნაზე დაყრდნობით ჩვენში წლების განმავლობაში გამოითქმოდა სხვადასხვა მოსაზრება. ხშირად ერთმანეთისადმი თანმხვედრი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც... საერთოდ კი, ჩვენში ალბათ იშვიათია ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის შესახებაც ამდენი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობდეს და მისი თავისთავადობა მაინც ეჭვის ქვეშ იდგეს (იგულისხმება ქართული რომანტიზმი). თითქმის საუკუნე-ნახევრის კვლევა-ძიებამ კი ეს ეპოქა იმდენად დაუახლოვა თანამედროვეობას, რომ ამის გამო ხშირ შემთხვევაში ფოკუსური მანძილიც დარღვეულია, საგნების ზუსტი აღქმა კი გაძნელებული. აქედან გამომდინარე, ისტორიულ-სოციალური პარადიგმის გაუთვალისწინებლად, ვერც ჩვენი დაკვირვება იქნება ობიექტური. ინდივიდის პირადი ისტორიის, მისი შესაძლებლობების, სოციალური გარემოსა და ისტორიული

კონტექსტის შესწავლის გარეშე შეუძლებელია მისი განვითარების დინამიკისა და თვისობრივი ცვლილების შეფასება.

სწორედ ამ გადასახედიდან ჩანს, რომ რომანტიზმი არა როგორც მხოლოდ ფილოსოფიურ-იდეოლოგიური მოძღვრება ან ლიტერატურული მიმდინარეობა, არამედ როგორც კაცობრიობის „მწიფობის“ ასაკით გამოწვეული მძაფრი შეგრძნებების სინდრომი „დაუპატიჟებლად“ სტუმრობდა სხვადასხვა ქვეყნას, კონტინენტებს. მას ვერ აკავებდა ვერც სახმელეთო საზღვრები და ვერ ოკეანის სივრე, თუმცა ვერც საფრანგეთის რევოლუცია, ვერც ლიტერატურული მიმდინარეობა „ქარიშხალი და შეტევა“ და ვერც ნაპოლეონის ლაშქარი ვერ შეძლებდა დაპყრობილ ქვეყნებში რომანიზმის გავრცელებას, იქ რომ ამის შესაბამისი პირობა და განწყობა არ ყოფილიყო, ამიტომ, როცა რომანტიზმის წარმოშობაზე და მის გავრცელებაზე ვმსჯელობთ, უმჯობესია, უპირველესად, იმ საერთო სოციო-პოლიტიკურ ვითარებას ჩავუკვირდეთ, რომელმაც რომანტიკული მზაობა და მისი გავრცელების ბუნებრივი პირობები შექმნა. ჩემი აზრით, ამგვარმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა უფრო გლობალური და დროში განვრცობილი მიზეზის აღიარებამდე მიგვიყვანოს.

### **3.2. რომანტიზმის საერთო საფუძველი და მისი გავრცელების პირობა**

#### **სხვადასხვა ქვეყანაში**

ნებისმიერი კონკრეტული მიჯნის დათქმა და რომანტიზმის დასაწყისად ამა თუ იმ მოვლენის თარიღის გამოცხადება, მათ შორის – თუნდაც რომელიმე რევოლუციის ან კონკრეტული ლიტერატურული ტექსტის შექმნის, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან თვით ეს რევოლუციაც უკვე შედეგია ადამიანის იმ შინაგანი მღელვარებისა, რომელსაც უფრო მასშტაბური ეპოქალური რყევები და ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებები უძღოდა წინ.

რაც შეეხება უშუალოდ საფრანგეთის რევოლუციას, ჩვენ შეგვიძლია ისეთივე წარმართებით გამოვაცხადოთ ის რომანტიზმის წინაპირობად, როგორც პირიქით, რადგან სამყაროსადმი მხოლოდ რომანტიკულ დამოკიდებულებას და შესაბამის

განწყობას შეუძლია იმ ოცნებების გამოკვება, რომელთაც ყოველგვარი რევოლუციები ისახავს მიზნად.

სამწუხაროდ, ისტორიის პერიოდიზაციაში მიღებული არ არის ერთიანი სქემა, რაც წარსულზე მსჯელობის დროს ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობას არ გამოიწვევდა. პერიოდიზაციის სხვადასხვა მოდელი (მათ შორის სამწევროვანი /ჯოვანი ანდრეა/, ფორმაციული /ენგელსი/, რელიგიური, ეკონომიკური და სხვა) ხელს უშლის იმ საერთო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო თვალნათლივს გახდიდა შუა საუკუნეობრივი ცხოვრების წესის შეცვლას, ეკონომიკური ურთიერთობების რღვევის პროცესს და მის თანამდევ მოვლენებს.

და მაინც, ალბათ, ბიზანტიის იმპერიის დაცემის (1453) წელია ის თარიღია, რომელსაც ბუნებრივად ალტერნატიული სავაჭრო გზების ძიება, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბება მოჰყვა. ამან კი ბუნებრივად წარმოშვა ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმდინარეობა – კლასიციზმი. ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს შუა საუკუნეების (ფეოდალიზმის) დასრულების გამოუცხადებელ ქრონიკად, რამაც ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბება და „ახალი ადამიანის“ დაბადებისთვის სასურველი გეოპოლიტიკური გარემოს შექმნა დააჩქარა.

ჯვაროსნული ომების შედეგად დასუსტებული ათასწლოვანი (ბიზანტიის) იმპერიის დაცემამ და ევროპის დიდი ქვეყნების კოლონიალურმა პოლიტიკამ მთლიანად შეცვალა ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური რეალობა. ადრეული კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვამ გამოიწვია ბურჟუაზიული იდეალების წინ წამოწევა. რენესანსის ხელოვნებამ, რომელიც თავისი ბუნებით ანტიფეოდალურიც იყო, ადამიანი ინტერესების ცენტრში დააყენა. რაციონალიზმი, ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი გახდა აღორძინების ხანის შემოქმედთა მთავარი დევიზი (ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ფრანგული რომანტიზმი თავის უშუალო წინაპრებს სწორედ რენესანსულ კულტურაში ეძებდა).

თუმცა პროცესები ბუნებრივად და საკმაოდ დუნედ ვითარდებოდა. ორ საუკუნეზე მეტი დასჭირდა, ვიდრე გონება საბოლოოდ დაუპირისპირდებოდა გრძნობას და მის ადგილს დაიკავებდა; ვიდრე სამყაროს სტატისტიკურ და მექანიკურ მოდელს

(გალილეი-ნიუტონი) მისი დინამიკური მოდელი შეცვლიდა; ვიდრე ლიტერატურა ფილოსოფიის იარაღად გადაიქცეოდა და ამისთვის ის მაღალ და დაბალ ჟანრებად დაიყოფოდა; ვიდრე განმანათლებლობის ხმაურიანი ლოზუნგები ადამიანში პროტესტის გრძნობას გააჩენდა და არსებული რეალობა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე კულტურულ მოვლენას, რომანტიკულ მიმდინარეობას, დაუდებდა სათავეს.

უშუალოდ რომანტიზმის ჩამოყალიბებას კი მთელი ევროპის მასშტაბით იმგვარი მძაფრი პოლტიკური მოვლენები უძღვოდა წინ, სულის შებერვასავით რომ იმოქმედა მასების საერთო განწყობაზე და შინაგანი წვის პროცესში ახალ ფილოსოფიურ მიმდინარეობად გარდაქმნა გამოიწვია. ამ მოვლენათაგან ერთ-ერთი უმთავრესი მაინც 1789 -1994 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუციაა, რომელმაც ადამიანი, წარმომავლობის მიუხედავად, ერთადერთ, განუმეორებელ ფასეულობდ გამოაცხადა და ამით ძველი ფეოდალური მორალი საბოლოოდ დავიწყებას მისცა.

რომანტიზმი იმდენად რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომ მისი ზუსტი და ამომწურავი დეფინიცია თითქმის არ ხერხდება. ამიტომ თანამედროვე მკვლევარმა ძალზე ფრთხილად უნდა გაიაროს მის ზედაპირზე და მხოლოდ მისთვის საინტერესო მიმართულებების (ვთქვათ, სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურული ცნობიერება, ინდივიდუალიზმის პრევალირება, ფოლკლორული არქეტიპები, ბუნებასთან თანაზიარობა, რელიგიური სიღრმე და სხვა) შემცველი ინფორმაციით და სათანადო მაგალითების მოძიებით დაკმაყოფილდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დრო-სივრცით დაშორებულ იმგვარ კულტურათმორის საზღვრებში მოუწიოს კვლევა-ძიება, საიდანაც გზის გაგნება თითქმის შეუძლებელი ხდება.

ხშირად ამა თუ იმ ცნების აღქმა უჭირს ადამიანს. მისი თუნდაც უზუსტესი განმარტება ვერ მიდის მკითხველის ცნობიერებამდე, თითქოს სიტყვები არ ყოფნის, ანდა წინადადების წყობა შეუსაბამოა აზრთან და ამ დროს მცირეოდენი ცვლილებაც კი საკმარია, რომ ნათქვამს ნათელიც მოეფინოს და მიღებულმა ცოდნამ ადეკვატური რეაგირება გამოიწვიოს მსმენლის გონებაში. დაახლოებით ასეთად წარმოგვიდგება ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგერის (ნოვალისის) სახისმეტყველებითი აზროვნების წესი,

როდესაც ის სამყაროს გარომანტიულების (და არა რომანტიზების) შესახებ ფიქრს აიძულებს მკითხველს:

„სამყარო უნდა გარომანტიულდეს. ასე მოვიპოვებთ კვლავ პირველსაზრისს. გარომანტიულება სხვა არაფერია, თუ არა ხარისხობრივი პოტენცირება. ამ ოპერაციის დროს ხორციელდება მდაბალი თვითობის მაღალ თვითობასთან იდენტიფიცირება ისევე, როგორც ჩვენ წარმოვადგენთ ამგვარ ხარისხობრივ პოტენცირებათა რიგს. ეს ოპერაცია ჯერ კიდევ შეუცნობია. როდესაც მე უბრალოს დიად აზრს ვანიჭებ, ჩვეულებრივს იდუმალებით ვმოსავ, ნაცნობს შეუცნობლად გადავაქცევ, სასრულს უსასრულობას ვანიჭებ, მე სამყაროს ვარომანტიულებ. და პირუკუ, იგივე ოპერაცია შეესაბამება უმაღლესს, შეუცნობს, მისტიკურსა და უსასრულოს. რომანტიკული ფილოსოფია. ამ შეერთებით ხდება ლოგარითმიზება და მიიღება კარგად ნაცნობი გამოხატულება. *Lingua romana*. ცვალებადი ამაღლება და დამდაბლება. ნოვალისი“ ( ბრეგამე 2012:15)

„ევროპისთვის რომანტიზმი იმთავითვე გერმანულ მოვლენად აღიქმებოდა; რაც შეეხება რომანტიკულ-ქრისტიანულ კულტურას, მის მიმართ თავიდანვე სხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა. მაგალითად, შექსპირი ყოველთვის ნაციონალური ინგლისური საკუთრება იყო და მისი რომანტიკულ კონტექსტში თავიდან აღმოჩენა საჭირო აღარ იყო. ფრანგებსაც ლუდოვიკო მეოთხემეტედან მოყოლებული უკვე ჰქონდათ საკუთარი, როგორც ნაციონალური ლიტერატურის, ნაწილი. იტალიისთვის საერთოდ რთული იყო რაიმე კონტრასტის აღმოჩენა, რადგან ეს იყო თავად ანტიკური კლასიკის ქვეყანა, რომლის ტაძრებიც მის მიწაზე იყო აღმართული და ჰორაციუსი თუ ვირგილიუსი მათ ენაზე იქმნებოდა. დანტე და რომანტიკული კულტურისთვის მნიშვნელოვანი სხვა დიდი სახელები იქ თავს შინაურულად გრძნობდნენ. ესპანეთმა მხოლოდ აუგუსტ ვილჰელმ შლეგელის რომანტიკული დრამისადმი მიძღვნილი ლექციების გადათარგმნის შემდეგ გაოგო, რომ თურმე მათი სერვანტესი და კალდერონი რომანტიზმის ბურჯები ყოფილან“ (შამანაძე 2012:100).

აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია, რომ უახლოესი კვლევები ჩვენში სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა და ეს მუშაობა ქართული რომანტიზმის გერმანულ (იენურ) ფილოსოფიურ სკოლასთან დაახლოვებას ისახავდა მიზნად

(კაციტაძე, ჯამბურია). შემთხვევითი არც ის არის, რომ ნაშრომშიც „ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი“ ნაციონალური ლიტერატურის რომანტიკული მიმდინარეობის შესწავლა და ლიტერატურულ ფაქტად მისი აღიარება კვლავაც ტრადიციულ კითხვებზე („არსებობს თუ არა ქართული რომანტიზმი და ჩვენი მხრიდან რამდენად საფუძვლიანია ამგვარი ლიტერატურული ტერმინის საერთაშორისო სივრცეში გამოყენება“?) პასუხის გაცემით იწყება და მკითხველს ავტორთა ამგვარი გადაწყვეტილება სულაც არ მიაჩნია უსაფუძვლოდ.

„რაში მდგომარეობს ალ.ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების რომანტიკულობა? მათი შემოქმედების ინტერპრეტაცია იმას ხომ არ გვაფიქრებინებს, რომ ეს მწერლები სინამდვილეში რომანტიკოსები არ არიან? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შემდეგი მომენტები უნდა გავითვალისწინოთ რომანტიზმის ისტორიიდან:

1. რომანტიკოსი მწერლები არც ერთიან, განუყოფელ თეორიულ შეხედულებებს აღიარებდნენ და, მით უმეტეს, ერთნაირი არ იყო ყოველი მათგანის შემოქმედებითი მიდგომა სინამდვილისადმი. მაგალითად, თუ ფრიდრიხ და ავგუსტ შლეგელები ისეთი სისტემის შექმნას ცდილობდნენ, რომელიც რომანტიზმს თიშავდა სხვა მიმართულებებისგან და მათი გავლენისთვის შეუვალად აქცევდა, ბაირონის, შელის და ჰიუგოს შეხედულებანი და შემოქმედებითი პრაქტიკა სრულიად თავისუფალი იყო რომანტიზმის ასეთი ვიწრო გაგებისგან...

2. რომანტიკოსებმა ისტორიულ წარსულს, შუა საუკუნეებს, მიმართეს, მაგრამ რომანტიკოსთა ერთმა ნაწილმა წარსული ყოფისა და ზნეობრივი სიმარტივის იდეალიზაცია დაიწყო, რომანტიზმის სხვა წარმომადგენლები თავიანთი პროტესტანტული განწყობილებების შესაბამისად, იქ იმას ეძებდნენ, რასაც გმირობის, კერძოდ კი, სოციალური ქველობის იერი დაჰკრავდა“ (კაციტაძე 2012:21).

გავიხსენოთ, რომ ჩვენს პოეზიაში რომანტიკოსთა არსებობა-არარსებობის საკითხი ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაისვა. ამგვარი ეჭვის საფუძველი გააჩინა ილია ჭავჭავაძემ და მის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ, რომ ჩვენში „რომანტიზმს ერთი ღამეც არ გაუთენებია“



(ამ სტატიაში ილია ჭავჭავაძე ნაციონალურ რომანტიკოსად მხოლოდ ვახტანგ ორბელიანს თვლის), რაც თავისთვად განპირობებული იყო, ერთი მხრივ, თვითონ რომანტიზმის განსხვავებული გაგებით (ილია ჭავჭავაძე რომანტიკოსების მთავარ თვისებად წარსულის მიმართ დამოკიდებულებას მიიჩნევს), მეორე მხრივ კი, დღეს რომანტიკოსებად შერაცხული მწერლების შემოქმედების საზღვრების ვრცელი დიაპაზონით...

„...თ. ვახტანგ ორბელიანი ნამდვილი ლირიკოსია რომანტიული სკოლისა, ეგრედ წოდებულ „რომანტიზმს“ იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთადერთი წარმომადგენელი, ერთადერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით თითქმის შეურეველია და აუჭრელელებელი. „რომანტიზმს“ ევროპის პოეზიაში იმ ხანებში დიდი ადგილი ეჭირა და მისი უდიდესი დედაბოძი იყო ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი, რომლის თხზულებათა კითხვა თ. ვახტანგ ორბელიანს, როგორც სჩანს მისი ლექსებიდან, ხშირად ჰყვარებია“ (ჭავჭავაძე 1991:573).

მართლაც, ილია ჭავჭავაძე ხასგაზმით მიანიშნებს პოეტის (ვახტანგ ორბელიანის) შემოქმედების „შეურევლობას“ და „აუჭრელელობას“, რაც სწორედ რომანტიზმის საზღვრებში მის სრულ თავსებადობას გულისხმობს. ამავე დროს პოეტისგან ვიქტორ ჰიუგოს თხზულებათა მიმართ სიყვარული, შესაძლოა გაგებული იქნას მხოლოდ როგორც ფაქტი (ვახტანგ ორბელიანი თავის ლექსებში მართლაც ახსენებს ევროპელ მწერლებს), მეორე მხრივ კი, არ გამოვრიცხავთ, რომ ილია ჭავჭავაძე მკითხველს ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაზე ევროპული ლიტერატურის, უშუალოდ ვიქტორ ჰიუგოს გავლენაზე მიანიშნებდეს.

ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას ილია ჭავჭავაძის მიერ ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის რომანტიზმის საზღვრებს გარეთ დაყენება. ეს მით უფრო საფუძვლიანია, რომ ქართველ რომანტიკოსთა მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა ლიტერატურულ სკოლაზე, არამედ ლიტერატურულ ოჯახზე, რომელთაც ლიტერატურული პროცესებისთვის აუცილებელი საფეხურებიც (ბეჭდვა, მასობრივი მკითხველი, შეფასება) არ გაუვლიათ და უმეტეს შემთხვევაში ისინი იმ თეორიულ საფუძველსაც აცდნენ, რამაც დასავლეთის რიგ ქვეყნებში რომანტიკული ლიტერატურის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

„ეტიუდების“ ავტორმა (კიტა აბაშიძე) ფრანგი კრიტიკოსი ბრიუნეტიერის ევოლუციის თეორიაზე დაყრდნობითაც (ლიტერატურაში მოქმედებს ბუნებრივი კანონი, რომლის მიხედვითაც ერთი გვარი ლიტერატურული ნაწარმოებისა იბადება, იზრდება და კვდება ან გარდაიქმნება სხვა მონათესავე გვარად) პირველად მოახდინა მეცხრამეტე საუკუნის მდიდარი ლიტერატურის კლასიფიკაცია. კიტა აბაშიძე თვლის, რომ ამ პერიოდის ჩვენმა ლიტერატურამ ევოლუციის რამდენიმე საფეხური გაიარა. მათ შორის პირველი იყო სალირიკო რომანტიზმი, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე მეთაურობდა, შემდეგ ის განავითარა გრ. ორბელიანმა, უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ნ. ბარათაშვილმა, ხოლო მისი დაცემის, დეკადანსის გამომხატველი იყო ვახტ. ორბელიანი. ზოგადად კი, მისი აზრით, რომანტიზმი საზოგადო მოვლენას, რომლის განსაკუთრებული თვისება ინდივიდუალიზმისკენ მიისწრაფება.

ეს კლასიფიკაცია დღემდე არ შეცვლილა, თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გაჩენილი ეჭვი რომანტიკული მიმდინარეობის არარსებობის შესახებ არ გამქრალა და მეცხრამეტე საუკუნიდან იგი მეოცე საუკუნესაც გადმოჰყვა. სხვათა მსგავსად, გურამ ასათიანსაც, რომელმაც ლიტერატურულ აზროვნებაში ერთგვარი „მომრიგებლის“ როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნესა და დღევანდელობას შორის, მოუხდა ამ საკითხზე თავის მართლება:

„ჩვენ არ უარვყოფთ საქართველოში რომანტიკული მიმდინარეობის არსებობას. აუცილებელია, ჩვენი ფიქრით, მხოლოდ ამ დღემდე თითქმის უცვლელად შემორჩენილი სქემის უფრო მკაფიო, შინაგანი დიფერენცირება. აუცილებელია ქართულ პოეზიაში რომანტიკული იდეებისა და შესაბამისი პოეტური ფორმების აღმოცენება განხილულ იქნას მთელი თავისი წინააღმდეგობით და კონკრეტული ნაირსახეობით“ (ასათიანი 1988:34).

ეს „წინააღმდეგობა“ შეუნიშნავთ მკვლევარებს – კახა კაციტაძეს და კახა ჯამბურას – და „დღემდე უცვლელად შემორჩენილის სქემის“ გამართვა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე რომანტიზმის თეორეტიკოსთა ნააზრევთან ქართველ რომანტიკოსთა ობიექტური სახის გამოკვეთა უცდიათ და ამ შედეგებამდე მისულან.

მათი აზრით, ქართველ პოეტ-რომანტიკოსთ შორის არასოდეს დასმულა ადრინდელი ლიტერატურული ტრადიციების უკუგდების საკითხი. ქართველ რომანტიკოსთა თხზულებებში არ ჩანს გარე სამყაროს უგულვებლყოფა და მის საპირისპიროდ პიროვნების განცდათა უპირატესობის აღიარება. ქართველ რომანტიკოსებს არასოდეს ეჭვით არ შეუხედავთ ადამიანის ინტელექტისთვის. ინტელექტის წარმატების უზრუნველსაყოფად მათ მხოლოდ გრძნობათა მოშველიება დაინახეს საჭიროდ. ქართველ რომანტიკოსებს პოეტი სრულიადაც არ ჰყავდათ წარმოდგენილი მსოფლიოს კანონმდებლად (წინასწარმეტყველად, ქურუმად) და პოეზიაც არ მიაჩნდათ ისეთ სფეროდ, რომელიც ყველასა და ყველაფერს მოიცავს.

„ერთი სიტყვით, რაც ქართველი რომანტიკოსების შესახებ ვიცით, მოწმობს, რომ მათთვის (კიდევ რომ შეესწავლათ, მაინც) არ იქნებოდა გასაზიარებელი ის ზემოთ დახასიათებული ფილოსოფიური ასპექტი, რომელსაც თეორიულ პლანში მსოფლიოს გამოჩენილი რომანტიკოსები იცავდნენ და რომლის პროპაგანდასაც ისინი ეწეოდნენ“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012:21).

როგორც ჩანს, აქ განსხვავების დანახვა უფრო ადვილია. შეიძლება ითქვას, რომ ის „შეუიარაღებელი“ თვალითაც ჩანს. უფრო რთულია იმ თვისებების იდენტიფიკაცია, რომლებიც კონკრეტულ მიმართულებას რომანტიზმის ფილოსოფიასთან აკავშირებს. კაციტაძეს და ჯამბურიას კი სწორედ ამ გზით წარუმართავთ ძიება და ორიენტირად ის მოსაზრება გაუხდიათ, რომ ყოველი ხალხის ლიტერატურას მხოლოდ ეროვნული თავისებურება განსაზღვრავს და სწორედ ამ გზაზე მისულან ისინი ამ დასკვნამდე:

„ქართველი რომანტიკოსები სწორედ იმიტომ შეიძლება ჩაითვალოს ამ ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენლებად, რომ მათ მიზნად დაისახეს ადამიანის არსში წვდომა. რომანტიკული მსოფლხილვა ამ შემთხვევაში იმით გამოიხატა, რომ მათ ისეთი საკუთარი სულიერი სინამდვილე წარმოსახეს და წინა პლანზე გამოიტანეს, რომელსაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აღმოაჩნდა. სახელდობრ, ჩვენი რომანტიკოსების განცდათა ფონზე აისახა ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი ყოფა და ეროვნული ფსიქიკური წყობა; მათ სცადეს ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების თავისებურებების გამოვლინება. სწორედ ისაა იმის პირობა, რომ ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება განსხვავდება და

გამორჩევა სხვა ერების მწერალთა შემოქმედებისგან და მას თავისი საკუთარი კოლორიტი აქვს“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012: 25).

### 3.3. ლიტერატურული გამოცდილების გაზიარება

კოლორიტი გამორჩეულ, ორიგინალურ სახეს გულიხმობს. განსხვავებულობა მწერლის ან მწერალთა ჯგუფის სახასიათო აუცილებელი თვისებაა, მაგრამ შემოქმედებითი გავლენაც ხომ არსებობს? არსებობს ლიტერატურული სკოლის თეორიული საფუძვლები, სასარგებლო გამოცდილება, დაკვირვების შესაძლებლობა. ამ დაკვირვებამ შეიძლება მწერლის (დამკვირვებლის) მსოფლმხედველობის, თემატიკის, ინდივიდუალური სტილის შეცვლაც კი გამოიწვიოს, უკეთესობისკენ შეცვლა, შეიძლება ერთი მწერლის უმნიშვნელო ნაწარმოებში აღძრული მცირე ამპლიტუდის ოდნავ შესამჩნევი რხევები მეორე მწერლის შემოქმედებაში ქარიშხლად გადაიზარდოს.

ქართველ რომანტიკოსთა სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკულ მიმდინარეობებთან დაკავშირება ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო. ეს მცდელობები ეფუძნებოდა გეოგრაფიულ სიახლოვეს, პოლიტიკურ გავლენას თუ პიროვნული თვისებების მსგავსებას. ინდივიდუალური და ეროვნული განსაკუთრებულობის მიღმა ყოველთვის იგრძნობოდა ის ზოგადი და საკაცობრიო, რომლის შესახებაც მიგვანიშნებდა თავის წერილებში ილია ჭავჭავაძე.

იმ რომანტიკულ მიმდინარეობებს შორის, რომლებთანაც ქართული რომანტიზმის დაკავშირების არაერთი მცდელობის მოწმე ჩვენც გავმხდარვართ, არის რუსული, ფრანგული, პოლონური, ინგლისური, იტალიური სკოლები, ქართველი პოეტების, განსაკუთრებით კი ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით ხშირად ახსენებდნენ ჯორჯ ბაირონის, ადამ მიცკევიჩის, ლერმონტოვის, ჯაკომო ლეოპარდის სახელებს. თუმცა ჩვენთვის იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან დაკავშირება უფრო ლოგიკურია, რომელთათვისაც ეროვნული თვითგამორკვევის იდეა, სამშობლოს დამონებით გამოწვეული სევდის ბუნებრივი ტკივილი და შესაბამისად, „მსოფლიოს სევდაც“

უფრო მეტად მოტივირებული იყო თუნდაც იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ამგვარი ტკივილის „გამოგონება“ ხდებოდა საჭირო.

თუმცა, როგორც გრიგოლ კიკნაძე შენიშნავს, მართალია „გ. ორბელიანს, ა. ჭავჭავაძეს და, ხანდახან, ნ. ბარათაშვილსაც შეჰქონდათ ეჭვი ცხოვრების აზრში, მაგრამ არც ერთ მათგანს ხსნა სიკვდილში არ დაუნახავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილი არ წარმოადგენს ქართველი რომანტიკოსების მოტივს“ (ახალი... 1972:243).

„ქართველი რომანტიკოსები ამბობდნენ, რომ ეს ცხოვრება ტანჯვა და წამებაა (ალექსანდრე ჭავჭავაძის „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“), გრიგოლ ორბელიანის „დავბერდი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „სული ობოლი“ და სხვა). ორბელიანს, ჭავჭავაძეს და ბარათაშვილსაც შეჰქონდათ ეჭვი ცხოვრების აზრში, მაგრამ არცერთ მათგანს ხსნა სიკვდილში არ დაუნახავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილი არ წარმოადგენს ქართველი რომანტიკოსების მოტივს; ისინი არც მსოფლიოს „საიდუმლოებათა ახსნას თვლიდნენ შეუძლებლად და ამით იმიჯნებოდნენ პესიმისტ-რომანტიკოსთა თვალსაზრისისგან“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012:27).

ამის შემდეგ მკვლევრები აანალიზებენ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში სიყვარულის თემას და მიდიან შემდეგ დასკვნამდე: 1. ქართველი რომანტიკოსისათვის სიყვარული არ არის მხოლოდ ტანჯვის მიზეზი, რადგან შვებაც მისგან ეძლევათ. 2. განსხვავებულია ქართველი რომანტიკოსების ბუნებისადმი დამოკიდებულებაც. ისინი იმიტომ კი არ მიისწრაფიან იქ, რომ ამით საზოგადოებას ზურგი შეაქციონ და საბოლოოდ გაემჯნონ ამქვეყნიურ ცხოვრებას; ისინი ბუნებას სტუმრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ შეისვენონ, ძალა მოიკრიბონ და მწარე ფიქრთაგან დროებით განიტვირთონ.

კახა კაციტაძის და კახა ჯამბურიას კვლევა გერმანულ რომანტიკულ სკოლასთან ქართველ რომანტიკოსთა, კერძოდ კი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის, დაკავშირებას ისახავს მიზნად. ეს კი ბუნებრივად სოლომონ დოდაშვილის შემოქმედების განხილვასაც გულისხმობს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე დოდაშვილის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი გავლენის ჩვენების ცდისას შემდეგ წანამძღვარს

ვეყრდნობით: დოდაშვილის რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ბარათაშვილზე მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს ნაჩვენები, თუ მათ შეხედულებებს შორის არსებობს საკმაო რაოდენობის ანალოგია, ვინაიდან გამორიცხული არ არის, რომ ცალკეული ტიპოლოგიური პარალელი, რომლებიც ნათლად ჩანს ბარათაშვილისა და დოდაშვილს შეხედულებებს შორის, შემთხვევითი იყოს. მაგალითად, თვითშემეცნების ანალოგიური ეტაპები, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი...“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012:32).

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სოლომონ დოდაშვილის გავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე თითქმის უექველი ფაქტებით არის გამაგრებული და განსჯას აღარ ექვედებარება, თუმცა თავს უფლებას მივცემთ, ხელახლა გავიაროთ მტკიცებულების ის ლოგიკური გზა, რომელმაც ეს აზრი დასაბუთებულ აქსიომად აქცია და მისი რევიზიის უფლება შეზღუდა. მივყვეთ თანმიმდევრობით.

თავდაპირველად ეს მოსაზრება მხოლოდ ფოლკლორულ გადმოცემას ეყრდნობოდა, როდესაც იოანა მეუნარგიამ ზაქარია ჭიჭინაძის ზეპირგადმოცემაზე დაყრდნობით ვახტანგ ორბელიანის მოსაზრება (სოლომონ დოდაშვილის ბარათაშვილის შემოქმედებაზე გავლენას შეეხებოდა) გააცნო მკითხველს. ჩვენ საშუალება გვაქვს ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან „სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ წინაშე და ნიკ. ბარათაშვილის პოეზიის იდეის აღორძინება ქართულ მწერლობაში“ უფრო ვრცელი ფრაგმენტი გავაცნოთ მკითხველს:

„...სოლომონ დოდაშვილის ერთობამ ნიკო ბარათაშვილი ძირიან ფესვიანათ შესცვალეს, ნიკ. ბარათაშვილი მალე იქცა შეგნებულ მამულისშვილათ და ამან თავის ლექსებსაც მალე მისცა მამულიშვილური კილო. მაშინ თურმე ეს პირველი მაგალითი იყო, თუ არა ეს სოლომონ დოდაშვილი და მისი ქადაგება, უიმისოთ ნიკ. ბარათაშვილის პოეზია უიდეო, იქნებოდა ცარიელი ჩონჩხი - ამიტომაც აი რა სთქვა ერთხელ პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწურთნა სოლომონ დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან შეიგნო მან მამულიშვილური მიმართულება, თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ბარათაშვილი არ ყოფილიყოს, ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა

სამთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ქართველი ერის წინაშე იწვოდა“ (ჭიჭინაძე 1885:15)

ეს ფრაგმენტი გვაფიქრებს იმაზე, თუ რა სიფრთხილით უნდა მოვექცეთ ისტორიულ მოგონებას, რაც არ უნდა პატივისცემას იმსახურებდეს ჩვენში ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი ქართული ლიტერატურის წინაშე, ეჭვს აჩენს მისი მთელი ეს წიგნი, საქართველოს იმდროინდელი ვითარების, საზოგადოების ცხოვრების მისეული შეფასება. თუმცა ჩვენთვის საინტერესოა ის ფრაგმენტი, რომელშიც უშუალოდ ბარათაშვილისა და დოდაშვილის ახლო ურთიერთობაზე საუბრობს, თუმცა ვახტანგ ორბელიანის კატეგორიული განცხადება, რომ თუ არა სოლ. დოდაშვილის კეთილისმფოფელი გავლენა, ნიკ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი არ შედგებოდა, ნდობას არ იმსახურებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პოეტები ნიკ. ბარათაშვილის დონის მხოლოდ კარგი აღზრდითა და კეთილისმყოფელი გავლენით არ ხდებიან. როგორც არასდროს, ისე დროულია აქ პოეტის (ა. წერეთლის) შეგონება, რომ, თუ ბუნებამ არ უშველა, წვრთნა ვერაფერს გააწყობს.

გარდა ამისა, ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ მხოლოდ სოლ. დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან ურთიერთობამ გააღვიძა მასში მამულიშვილური მიმართულება, მათ გარეშე პოეტის შემოქმედება ცარიელი ჩონჩხი იქნებოდა. ამის პასუხად გვინდა განვაცხადოთ: ვისაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია ბარათაშვილის შემოქმედებასთან, იცის, რომ გამოკვეთილად „მამულისშვილური“ თემატიკა, ჭაბუკებს რომ გულებს აუთრთოლებს (თუ „ქართველთა ომს კავკასიაში“ და „ბედი ქართლისას“ არ ჩავთვლით), მის შემოქმედებაში თითქმის არ იძებნება. ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ ბარათაშვილი ნამდვილად ვერ შეედრება საკუთარ ბიძას და თვით ვახტანგ ორბელიანს და საკვირველია, რომ „ჰე ივერია“ და „თამარის დროშა გაშალეს“ თემატიკაზე გაზრდილ ყმაწვილ ბარათაშვილს მხოლოდ სოლომონ დოდაშვილის და პოლონელი პროფესორების ქადაგებამ გაუღვიძა მამულიშვილური გრძნობა!

ამ ნათქვამმა რაღაც ეჭვიმუტანელი ვერდიქტის სახე მიიღო. თუმცა ამ აზრის გამზიარებლებს არაფერი ჰქონდათ ხელთ, გარდა იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტისა, რომ სოლომონ დოდაშვილი თითქმის ხუთი წლის განმავლობაში

ბარათაშვილის პედაგოგი იყო გიმნაზიაში და მასწავლებელ-მოსწავლეს საკმაოდ ცხოველი შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონიათ.

უთუოდ ძალზე რთული ამოცანის წინაშე იდგნენ მკვლევრები, როდესაც შეეცადნენ, რომ აზრი სოლომონ დოდაშვილზე, რომელიც ჩვენში ცნობილი იყო როგორც მატერიალიზმის, გამანათლებლობის და რეალიზმის წარმომადგენელი, საპირისპიროდ შეეცვალათ და მისი შეხედულებები რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის – შელიგის – ნააზრევთან დაეკავშირებინათ. თუმცა ამ მოსაზრების უტყუარ ფაქტად წარმოდგენა გარკვეულწილად მკვლევრებსაც გასჭირვებიათ:

„გაუმართლებელია ამ გავლენის (დოდაშვილის ბარათაშვილზე გ.ა.) დასადგენად მიმართული კვლევის იმგვარად წარმართვა, რომელიც ბარათაშვილს დოდაშვილის ფილოსოფიური იდეების უბრალო გამლექსავად წარმოადგენს. „გავლენაში“ ვგულისხმობთ, რომ სამყაროს ფილოსოფიურმა მოდელმა, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი აგებს, გარკვეული როლი ითამაშა სამყაროს ბარათაშვილისეული ხედვის ჩამოყალიბებაში“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012: 32).

როგორც ჩანს, მკვლევრები ბოლომდე არ ენდობოდნენ თავიანთი კვლევის არჩეულ მეთოდს და როდესაც ბარათაშვილისა და ფიხტეს აზრების სიახლოვაზე საუბრობენ (დოდაშვილის ფილოსოფიური აზრებში ჩაღრმავებამ ბუნებრივად ამოატივტივა ფიხტეს სახელიც), მათ მსჯელობაში ისევ თავს იჩენს ეჭვი. თუმცა ამჯერად ამ ეჭვს მკვლევრები უფრო თვითრწმენის ასამაღლებლად იყენებენ: „რასაკვირველია, ბარათაშვილი ფიხტეს ფილოსოფიის გამლექსავი არ ყოფილა, მაგრამ საფიქრებელია, რომ პოეტი იცნობდა სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკაში“ გადმოცემულ ფიხტეს იდეებს“ (კაციტაძე 2012 : 48). ამის შემდეგ მკვლევრები ერთგვარად აჯამებენ კვლევის შედეგებს და ბარათაშვილისა და დოდაშვილის პოზიციების სიახლოვეს შემდეგ საკითხებში ხედავენ:

„1.სამყაროს დაყოფა მოვლენათა და მიღმურ სამყაროებად;

2.ამ ორი საყაროს რადიკალური დაპირისპირება;

3.აქცენტირება სუბიექტზე;



4.ყოფიერების პრინციპად სწრაფვის გაგება;

5.ადამიანის განსაკუთრებულად, კერძოდ, ცნობიერად, გააზრება, როგორც მსწრაფველი არსებისა;

6. ადამიანის გაგება, როგორც ზეგრძნობადი მიღმური სინამდვილისკენ მსწრაფველი არსებისა;

7. ცნობიერი სწრაფვის გენეზისის რომანტიკული გაგება (რომელიც თავის მხრივ ფიქტიდან მოდის)“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012:49).

ძნელია არ დაეთანხმო მკვლევრებს, უფრო სწორად, ძნელია მათთან დავა, რადგან თავიანთი მოსაზრების მტკიცების გზაზე ისინი კონკრეტული ფილოსოფიური სწავლების ყველასთვის ცნობილ საფუძველს ეყრდნობიან. ასევე უსაფუძვლოდ გვეჩვენება იმის მტკიცებაც, რომ სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოზიციები ამ საკითხებში განსხვავებულია, თუმცა ამ ნონსენსის გასაბალითებლად მე ცნობილი კრიტიკოსის, გურამ ასათიანის, აზრს დავიმოწმებ:

„არსებითად მიუღებელია სოლომონ დოდაშვილის მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის რომანტიკულ რკალში შეტანის ცდა. ს. დოდაშვილი შეთქმულების დამარცხების წინააღმდეგი იდეოლოგიის ტიპური წარმომადგენელია. მის მსოფლმხედველურ და ლიტერატურულ შეხედულებებში აშკარად გამოვლინდა განმანათლებლური იდეალები. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში „მაისის“ავტორი გვევლინება, როგორც ფართო ერუდიციის მოაზროვნე, შეუპოვარი მებრძოლი და ბრწყინვალე პრაქტიკოსი. ის არის იშვიათი ტიპის რევოლუციონერი განმანათლებლისა. ს. დოდაშვილის პიროვნებამ, განსაკუთრებით მისმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა, უთუოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მომდევნო თაობათა წარმომადგენლებზე, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, მაგრამ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ისევე როგორც მთელ მოღვაწეობას, საფუძვლად უდევს სწორედ ის თვალსაზრისი, ის რაციონალური წარმოდგენები და განწყობილებები, რომელთა მიმართ რომანტიზმი უშუალო მსოფლმხედველობრივ ანტიეთეზას წარმოადგენდა“ (ასათიანი 1988:73).

და ბოლოს, უნდა დავეთანხმო ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებ მკვლევრებს და გავიზიარო ის აზრი, სოლომონ დიდაშვილმა ნამდვილად მოახდინა გავლენა თავისი მოწაფის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, შემოქმედებაზე, ოღონდ ისე, როგორც განმანათლებლობა ახდენს გავლენას რომანტიზმზე. ამ მხრივ ბარათაშვილს შორს წასვლა ნამდვილად არ დასჭირდებოდა, მთელი ხუთი წლის განმავლობაში ის იყო მის წინაშე და სწორედ ამიტომ იგრძნობა მის (ნიკოლოზ ბარათაშვილის) შემოქმედებაში ცოცხალი დაპირისპირების კვალი...

### 3.4. ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურულ ტრადიციასთან კავშირი

„...ქართველ რომანტიკოსების წინაშე არათუ ადრინდელი ლიტერატურული ტრადიციების უკუგდების საკითხი არ დასმულა, არამედ ამ ტრადიციათა კრიტიკის ტენდენციაც კი არ არის შესამჩნევი“ (კაციტაძე, ჯამბურია 2012:20),

ამ მოსაზრების ასე განუსჯელად მიღებაც არასწორად მიგვაჩნია, ვინაიდან რომანტიკოსი პოეტების ლიტერატურულ ტრადიციებთან დამოკიდებულება არც ისე საფუძვლიანად არის შესწავლილი, რომ ამგვარი თამამი დასკვნის საშუალებას იძლეოდეს. უფრო დეტალურად თუ განვიხილავთ ამ საკითხს, ვნახავთ, რომ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების რუსთაველის პოემასთან კავშირია დასაბუთებული (პავლე ინგოროყვა), რომლის უკრიტიკოდ მიღება შეუძლია მკითხველს. თუმცა ამ კავშირის აღიარებაც ერთმნიშვნელოვანად არ გულისხმობს ტრადიციის ერთგულებას, რადგან არც თუ იშვიათად გარკვეული საკითხებისადმი მიმართება განსხვავებულია და რომანტიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ქართველ რომანტიკოსთა შორის მკითხველი ყველაზე ნაკლებად ვახტანგ ორბელიანს იცნობს და შესაბამისად, შეიძლება თანამედროვე მკითხველმა არც იცის, რომ წარსულთან კავშირი ყველაზე მეტად სწორედ მის შემოქმედებაში იგრძნობა. ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ ნიშნით გამოარჩია ის რომანტიკოსად:

”საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ჩვენი პოეტი თ. ვახტანგ ორბელიანი ასეთი გულწრფელი ტრფიალია თავის სამშობლო ქვეყნისა, ასე გულმწუხარე მგოდებელია მის წარსულის დიდებისა, ასე გულაყრილია აწმყოზე” (ჭავჭავაძე 1991:566).

ვახტანგ ორბელიანი მთელი თავისი პოეტური მრწამსი გადმოგვცა ლექსში „პოეტი“, რომელშიც მან აღმოსავლური „ყარაჩოღული“ სტილი უარყო და დეკლარირებულად ქართულ ლიტერატურულ ტრადიციასთან კავშირი დაადასტურა:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,

კინტოთ კილო, კილო შუა – ბაზრისა;

იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,

თუ არ ღვინო, ტოლუბაში და კინტო,

მათ დუდუკი, დიპლიპიტო და ზურნა,

მათ უაზრო ლაზღანდარობა, ყიჟინა?

მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.

მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?

მე მომეცი კილო რუსთაველისა,

გაფურჩქნილი, ვით ყვავილი ველისა,

მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,

ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი“ (ორბელიანი 1992:547)

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში სხვა რომანტიკოსების მსგავსად დიდი ადგილი ეთმობა სამშობლოს ბედს, წარსულის იდეალიზაციას, ერეკლე მეფის სახეს, პოეტი განიცდის დაკარგულ დიდებას, თუმცა მომავლის იმედს მაინც არ კარგავს და ეს იმედი მისთვის, უპირველესად, წარსულის გამეორებას გულისხმობს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია ერთგვარი მცდელობაა ეპოქათა შორის კავშირის დასამყარებლად. გურამ ასათიანის აზრით, ის უკანასკნელი „წარმართი“ პოეტია, ის ერთდროულად მწვერვალიცაა და ჩიხიც. მისი შემოქმედება ძველი ქართული ლირიკის განვითარების უკანასკნელი საფეხურია.

მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა შექცევა და ქალის სიყვარულია, თუმცა მასში მხოლოდ ფორმალურად არის შემორჩენილი რუსთველისებური „შორით ალვა, შორით დაგვის“ მოტივი. კრიტიკოსი (გურამ ასათიანი) ადვილად პოულობს ამის თვალსაჩინო დადასტურებას:

„ნუ ეტრფით ვარდსა გარს შემოვლებით,

მიეახლენით გულისა ხლებით,

იგემეთ სიტკბო სიყვარულისა“ (ჭავჭავაძე 1992:44)

ძველი ქართული ლიტერატურის გავლენა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაშიც ჭარბად იგრძნობა, თუმცა ახლა მხოლოდ ერთ ლექსზე შევჩერდებით. უფრო სწორედ კი, ვრცელი ლექსის („ჩემს დას ეფემიას“) მხოლოდ ერთ პასაჟზე. მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ლექსი მთლიანად რომანტიკული განწყობისაა. ლირიკული გმირი აღვიწერს თავის უიმედობას, რამაც იგი სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე მიიყვანა და გული გაუქვავა. სწორედ ამ სრულ უიმედობაში თითქოს ნაპერწკლად გაკრთა სასოების სხივი:

„მაგრამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა ჭიჭიკი მერცხლის,

და სწორედ ვიტყვი, მწამდა იგი ხმად მეგობრისად,

იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული,

და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!

მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის განხდა ხრიალი.

და კედელთაცა დაყრუებულთ წარმოსთქვეს ბანი!

ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი,

გავვოცდი, ვჰსდუმენ და ხმა ჩემი მევე ვერ ვსცანი,

მის ჟამით ვიყავ, ვით სამარეს, უხმოდ, უსიტყვოდ

ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიდეს“ (ორბელიანი 1951:47)

ამ „ხრიალს“ უამრავი ახსნა მოეძებნება, მაგრამ მე ადამიანის ბუნებასთან გაუცხოებაზე გავამახვილებ ყურადღებას (ჰეგელი გაუცხოების ცნებაში უპირველესად სწორედ ბუნებისგან გაუცხოებას გულისხმობდა). შედარებითი ანალიზისთვის მკითხველს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტროფებს გავახსენებთ, რომელშიც უცხო მოყმის სამებნელად წასულ ავთანდილს, მარტოობისგან და უიმედობისაგან სასოწარკვეთაში ჩავარდნილს, ცრემლი რუდ სდის და ეს გაუსაძლისი მდგომარეობა მას საბრალო ლექსებს ათქმევინებს:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,

მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,

ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;

იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“ (რუსთაველი 1970:175)

ვფიქრობ, მკითხველი ადვილად შენიშნავს იმ მსგავსებას, რომელიც ამ ორ ეპიზოდს ერთმანეთთან აახლოვებს. ერთსა და იმავე სიტუაციაში ეპოსის გმირი და ლირიკული პერსონაჟი სრულიად სხვადასხვა თვისებას ავლენენ. პირველ შემთხვევაში (რუსთაველი, ეპოსი) თუ ბუნებასთან სრული ჰარმონია და თანხვედრა იგრძნობა, მეორე შემთხვევაში (ორბელიანი, ლირიკა) აშკარაა ადამიანის ბუნებასთან სრული გაუცხოება და იმ ჰარმონიული დამოკიდებულების დაკარგვა, რომლის აღდგენასაც რომანტიკული მსოფლმხედველობა ისწრაფვოდა.

თავის სტატიაში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ილია ჭავჭავაძეს მაინც გაუმართლებლად ეჩვენება ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედების ერთ კონტექსტში გააზრება. ამისთვის ის ეძებს იმ ლიტერატურულ „საბუთს“, რომელიც უფრო თვალნათლივს გახდის მათ შორის განსხვავებას და ამით ახალი „სარეიტინგო სიის“ ჩამოყალიბების საფუძველსაც შექმნის:

„ესეც (იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილი გ.ა) უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხდიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას და ამიტომაც ამბობს იგი: „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეებს, და

მარტო მშვენიერი სულთა კავშირი ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა“ (ჭავჭავაძე 1991:534).

ეს თემა ამის შემდეგაც არაერთგზის დამუშავდა ჩვენს ლიტერატურაში და შემდგომმა კვლევა-ძიებამ მხოლოდ და მხოლოდ განამტკიცა იმის ვარაუდი, რომ ბარათაშვილის შემოქმედება ამ უმაღლესი გრძნობის (სიყვარულის) გადმოცემაში რუსთაველს გამოცდილებას ეყრდნობა: „სატრფიალო თემატიკაში სახარებისეული მოტივების გამოყენებით ბარათაშვილმა მიჯნურობას ტრანსცენდენტალურობის გაგება მიანიჭა და მხატვრული სიმბოლოების გამოყენებით ამქვეყნიური სიყვარული საღვთო სიყვარულის მიზამვად და ღვთისაკენ სწრაფვად წარმოაჩინა“ (შარაბიძე 2008: 132).

ილია ჭავჭავაძეს ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების სათანადო შეფასება, რაც უპირველესად, ნაციონალური ლიტერატურის გენერალური ხაზის გამართვას და პოეზიის თამასის ზოგადსაკაცობრიო სიმაღლემდე აწევას დააჩქარებდა: „...მისნი (იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილი) გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაოა, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მის საკუთარ გულისანი, მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერმიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობა“ (ჭავჭავაძე 1991:535).

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე საკმარისი საფუძველი გაჩნდა იმისთვის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ორი ძირითადი ხაზი გამოკვეთილიყო, რომელთა ფარგლებშიც მოხდა მისი მთელი შემოქმედების, განსაკუთრებით კი ყველაზე ცნობილი ლირიკული შედეგის – „მერანის“ – გააზრება. პირველი იყო პოეტის შემოქმედებითი სიახლოვე ევროპულ, უფრო კი გერმანულ რომანტიზმთან (ფრ. შლეგელი, ფრ. შლაიერმაცერი, ნოვალისი), ხოლო მეორე – მისი ორგანული კავშირი ეროვნულ ლიტერატურასთან, სადაც ბარათაშვილი თავიდანვე აღიარეს, როგორც კლასიკური ლიტერატურული ხაზის უშუალო შემოქმედი და გამგრძელებელი. აღსანიშნავია, რომ ათწლეულების განმავლობაში ორივე მიმართულებით მრავალი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა, რაც

მიების საიმედო საფუძველს უქმნის ბარათაშვილის შემოქმედების მომავალ მკვლევრებს.

„ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორი მიმართულების ეპოქალური და თვისობრივი სხვადასხვაობა სრულიად არ აჩენს მკვლევართა წინაშე რაიმე პრობლემას, რადგან რომანტიზმი, როგორც მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური მიმდინარეობა, თავისი მასშტაბით საყოველთაო მოვლენაა და გარკვეული მზაობა რომანტიზმის იდეების, თემებისა და განწყობილებათა მისაღებად ეროვნული სულიერების წიაღშივე არსებობდა“ (დოიაშვილი 2017:125).

როგორც ვთქვით, ამ მიმართულებით არაერთმა ცნობილმა მკვლევარმა იმუშავა. თუმცა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებით პავლე ინგოროყვას ღვაწლია საყურადღებო, რადგან სწორედ მან შეძლო შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანსა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“ შორის იმგვარი საგულისხმო პარალელების მოძებნა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მისი საკმაოდ თამამი ვარაუდის გაზიარება.

### **3.5. ეპოსის გმირი ლირიკული პერსონაჟის როლში**

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის უეცარი აღმოჩენით გამოწვეულმა აღფრთოვანებამ და ამ განწყობით მისი შემოქმედების კვლევამ ჩვენში თავიდან სტიქიური ხასიათი მიიღო და ამის შედეგი იყო, რომ მის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოეტურ ტექსტს („მერანი“) დიდი ხნის განმავლობაში ძალზე ცნობილი პოეტების (მიცკევიჩის, ბაირონის, ლერმონტოვის, ედგარ პოს) შემოქმედებითი გავლენის ჩრდილში მოუწია ყოფნა.

ჩვენი დრო ღირებულებათა გადაფასების პერიოდს დაემთხვა. ერთ მხრივ, შეფასების მზამზარეული სისტემების მოშლა და კონიუნქტურული ძალადობისგან თავის დაღწევა მართლაც საშური საქმეა, თუმცა ვერ დავიჩემებთ, რომ ჩვენი დრო მთლიანად თავისუფალია გარკვეული იდეოლოგიური ზემოქმედებისგან (თითოეულ ჩვენგანში მუშაობს შინაგანი ცენზორი), შემოქმედებით ინტერპრეტაციის ცალკეული წარმატებული მცდელობა საერთო სურათს მაინც არ ცვლის, ე.წ.

„უდაბნოს თაობაში“ ჯერ კიდევ მძლავრობს წარმართული ფასეულობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერთხელ უკვე „გადაწერილ“ ჩვენს კლასიკურ შემოქმედებას.

„ამიტომ გვმართებს სიფრთხილე და კიდევ იმიტომ, რომ ღირებულებათა გადაფასების პროცესი თავის თავში რევოლუციურ ხასიათსაც ატარებს, ცვლილებათა შედეგის განჭვრეტა კი მაშინ ხდება შეუძლებელი, როდესაც მასში მონაწილეობის სურვილს საზოგადოების ყველა ფენა ერთდროულად აცხადებს (ნახტომისებური ცვალებადობა), სწორედ ამ დროს იწყება მასობრივი ნგრევა. უმრავლესობა თვალდახუჭული ანგრევს, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ ამ ნგრევაში შენების სწავლა, მხოლოდ მათ შეუძლიათ იმ საყრდენების გადარჩენა, რომელიც პირველყოფილ ქაოსს აგვარიდებს“ (არგანაშვილი 2006:119)

ასეთი საყრდენები კი მხოლოდ ზოგადასაკაცობრიო კულტურას გააჩნია, ცალკეულად არა მხოლოდ აღმოსავლეთს ან დასავლეთს, გერმანულს ან რუსულს, არამედ ზედროული და ზენაციონალური ნიშნით აღბეჭდილ იმგვარ ღირებულებას, რომელიც კაცობრიობას აღთქმული მომავლისაკენ უჩვენებს გზას.

თუმცა თანდათანობით ბარათაშვილოლოგიაშიც დაიწყო ფუნდამენტური კვლევების ხანა და მეცნიერულმა ძიებამ მის შემოქმედებაში ორი ძირითადი ხაზი გამოკვეთა, რომელთა ფარგლებშიც მოხდა ამ ღირიკული ლექსის (და მთლიანად მისი შემოქმედების) გააზრება. პირველი იყო პოეტის შემოქმედებითი სიახლოვე ევროპულ, უფრო კი გერმანულ რომანტიზმთან (ფრ. შლეგელი, ფრ. შლაიერმაცერი, ნოვალისი), ხოლო მეორე – მისი ორგანული კავშირი ეროვნულ ლიტერატურასთან, სადაც ბარათაშვილი თავიდანვე აღიარეს, როგორც კლასიკური ლიტერატურული ხაზის უშუალო შემომქმედი. აღსანიშნავია, რომ ათწლეულების განმავლობაში ორივე მიმართულებით მრავალი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა, რაც ძიების საიმედო საფუძველს უქმნის ბარათაშვილის შემოქმედების მომავალ მკვლევარებს.

თუმცა ვიდრე ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევარნი სხვადასხვაგვარ ლიტერატურულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მის სრულიად ახალ ინტერპრეტაციას შემოგვთავაზებენ, უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ „მერანის“ ავტორის მსოფლმხედველობა ყველაზე მეტ სიახლოვეს გერმანულ რომანტიზმთან ამჟღავნებს, მაგრამ ასევე უნდა დავეთანხმოთ ქართულ კლასიკურ



ლიტერატურულ კრიტიკასაც, რომელმაც ღრმა მეცნიერული კვლევის საფუძველზე ახლაგაზრდა ქართველი რომანტიკოსის მთელი შემოქმედება (უშუალოდ კი „მერანი“) რუსთაველის შემოქმედებასთან დაკავშირა.

ამასთან დაკავშირებით დეტალურად შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებამ (უფრო მეტად „მერანმა“) თავიდანვე აღძრა ინტერესი და სურვილი, რათა ის ქართული ლიტერატურის უპირველეს პოემასთან (შოთა რუსთაველის „ვეფხისტაოსანი“) დაეკავშირებინათ, რადგან, როგორც გურამ ასათიანი აღნიშნავდა: „მერანი“ ქართული პოეზიის ისეთივე მაღალი მწვერვალია, როგორც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. თუ რუსთაველის პოემაში თავისი სრულქმნილი გამოხატულება ჰპოვა კლასიკურმა ეპიკურმა აზროვნებამ, „მერანი“ რომანტიკული პოეზიისთვის დამახასიათებელი ლირიკული თვითგამოხატვის უბრწყინვალესი ნიმუშია“ (ასათიანი 1988: 123).

ამ მიმართულებით არაერთმა ცნობილმა მკვლევარმა იმუშავა. თუმცა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამსაკუთრებით პავლე ინგოროყვას ღვაწლია საყურადღებო. მან შეძლო ამ ორ ნაწარმოებს შორის იმგვარი საგულისხმო პარალელების მოძებნა, რამაც შესაძლებელი გახდა მისი საკმაოდ თამამი ვარაუდის გაზიარება.

თავდაპირველად მან ყურადღება მიაქცია „მერანსა“ და „ვეფხისტაოსანს“ შორის გარკვეულ მხატვრულ-ლექსიკურ თანხვედრას, თუმცა ძირითადი ვარაუდი მაინც ბარათაშვილის ლირიკული გმირისა და რუსთაველის პოემის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის - ავთანდილის მსგავსებაზე აიგო.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,

ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,

ნუ დამიტროს სატრფომ გულისა,

ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის...“ (ბარათაშვილი 1954:45).

„მერანის“ ცნობილ სტრიქონებს შესაძარებლად მკვლევარმა ავთანდილის „ანდერძის“ ის ადგილი შეუთანადა, რომელშიც ამ ორ მხატვრულ ტექსტს შორის აშკარად ფრაზების დონეზეც კი იგრძნობა კავშირი:

„თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხოხელმან,

ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან.

ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და

ვერცა მისანდობელმან...“ (რუსთაველი 1970:146)

„... როდესაც აქ „მერანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ნათესაობაზე მივუთითებ, მე შორს ვარ მტკიცებისაგან, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ გვექონდეს რაიმე უშუალო პროტოტიპი „მერანისა“. რუსთაველი და ბარათაშვილის ეს ორი სხვადასხვა პოეტური მსოფლიოა. მაგრამ მიუხედავად ამისა, „მერანში“ მაინც შეინიშნება ზოგიერთი შეხვედრითი ხაზები რუსთაველთან, ამასთან ეს შეხვედრა ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანია იდეურად. არის ნაწილობრივ შეხვედრა პოეტურ ინვენტარშიაც“ (ინგოროყვა 1975:127

ავტორი ვრცლად და საინტერესოდ ასაბუთებს თავის ვარაუდს, თუმცა აქ ზედმეტად მეჩვენება მისი მოტანა, რადგან პავლე ინგოროყვას აზრი ქართველმა მეცნიერებმა იმთავითვე გაიზიარეს და დღეს ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევართა უმრავლესობა აღიარებს „მერანის“ ლირიკული პერსონაჟის შინაგნ სიახლოვეს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ გმირისთან – ავთანდილთან .

ჩვენ კი მკითხველის ყურადღებას კვლევის მხოლოდ იმ ფრაგმენტს მივაქცევთ, რომელშიც მეცნიერს სხვა ნაწყვეტი მოჰყავს ამ ორი მხატვრული ტექსტის შესაძარებლად და თვლის, რომ ბარათაშვილის ამ ქმნილების ძირითადი პოეტური სახე სწორედ რუსთაველის პოემის რემინესცენციას წარმოადგეს.

„ანაზდად მოყმე გამოჩნდა, კუმტი, პირგამქუშავია

ზედან ჯდა შავსა ტაიჭსა , მერანი რამე შავია...“ (რუსთაველი 1970:39)

„ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად..“ (რუსთაველი 1970:21)

საინტერესოა, რომ ეს სტრიქონები „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟს – ტარიელს ახასიათებს, ანუ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მკვლევარი თავდაპირველად ბარათაშვილის ლირიკული გმირის კავშირს ტარიელთან ხედავდა. თუმცა ამ მიმართულებით ძიება აღარ გაუგრძელებია, რადგან მისი ყურადღების ვექტორი ავთანდილისკენ გადაიხარა. ხოლო კითხვა, შესაძლებელია თუ არა, რომ ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული პერსონაჟი ერთდროულად „ვეფხისტყაოსნის“ ორივე მთავარ პერსონაჟთან (ტარიელი, ავთანდილი) ამჟღავნებდეს სიახლოვეს, პასუხგაუცემელი დარჩა.

დღეს ამ საკითხის ხელახლა წამოწევა რომ შევძლოთ, ამისთვის პირველ რიგში უნდა დავასაბუთოთ, რომ ამ ორი პერსონაჟის ერთ მხატვრულ სახეში გაერთიანებას თვით რუსთაველის პოემაშიც ლოგიკური საფუძველი აქვს (შესაძლოა, ამგვარმა დამოკიდებულებამ გარკვეული სიახლე რუსთაველის პოემის კვლევაშიც შეიტანოს) და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამართლება მოეძებნოს ამგვარი „სრულყოფილი“ გმირის ბარათაშვილის რომანტიკულ პერსონაჟთან დაკავშირების მცდელობას.

ამისთვის კი ზუსტად უნდა გავიაზროთ, ერთი მხრივ, ტარიელის, როგორც ნესტანის (მარადიული ცხოვრების) მაძიებელი, აწ უკვე რწმენდაკარგული, ბედთან ბრძოლაში დამარცხებული ადამიანის (გავიხსენოთ ნესტანის ჩივილი: „ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!“) (რუსთაველი 1970:232) მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, მოყვასისთვის თავდადებული ავთანდილის სახე, რომელიც ამ გზაზე სიკვდილსაც არ უშინდება.

ამასთანავე, ისიც გავიხსენოთ, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ტარიელს ავთანდილი, პირველ რიგში, სწორედ მოყვასის (ასმათის) დავიწყებას საყვედურობს:

„სჯობს ასმათისა არ - ლევა მაგა სამხრისა ლევასა ...“ (რუსთაველი 1970:162).

ავთანდილის ეს საყვედური სამართლიანია... თუმცა მკითხველს ახსოვს, რომ ტარიელსაც არ აკლდა ეს უნარი, არც მაშინ, როცა ფრიდონს გაუწია ომში დახმარება და არც მას შემდეგ, რაც ნესტანი გამოიხსნა ტყვეობიდან და ავთანდილის მომავალზე ზრუნვას შეუდგა:

„აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება...

არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არც დარბაზსა, არცა ხულს...

თუ შენ შენ ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარები...“ (რუსთაველი 1970: 264).

აქ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მას შემდეგ, რაც ტარიელმა საკუთარი თავი „იპოვა“, მან შეიერთა ავთანდილის ფუნქცია (შეიერთა თავისი დაკარგული ნახევარი) და მიაღწია ადამიანურ სრულყოფილებას.

დავუბრუნდეთ ისევ ბარათაშვილის „მერანს“, რომელშიც თავაწყვეტილი რბოლა ამქვეყნიური ამაოებიდან მარადიულობაში დამკვიდრების წყურვილითაა ნაკარნახევი. ბედისწერის საზღვრის გადალახვის შემდეგ ადამიანი აღწევს თავისუფლებას. სწორედ იმ გაგებით, რომ თავისუფლებაც ნებაა უფრო მაღალი სუბსტანციის საზღვრებში, რომლისკენაც მხედარი მიილტვის. აქვე შევნიშნავთ, რომ ამგვარი ლტოლვა (როგორც მხოლოდ ტარიელის მაძიებელ ბუნებას ახასიათებს) ბარათაშვილის შემოქმედებაში ყველგან იგრძნობა, განსაკუთრებით კი ის ჩანს ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“.

„გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,

ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება...“ (ბარათაშვილი 1954:13).

თამარ შარაბიძე თავის სამეცნიერო ნაშრომში „ნიკოლოზ ბარათაშვილის 12 ბიოგრაფია“ სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებას გვაცნობს ამ საკითხზე: „სამეცნიერო ლიტერატურაში „ბედის საზღვრის“ შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. გრიგოლ კიკნაძე მას თავისუფლების მოპოვებას უკავშირებს (კიკნაძე 1954 : 193), რევაზ სირაძე \_ სულიერ სიკეთეს (სირაძე 1987 : 229), კორნელი კეკელიძე \_ ფიზიკურ სიკვდილს (კეკელიძე 1974 : 138), ხოლო ილია ჭავჭავაძე \_ გონების მიერ ორ სამყაროს შორის გავლებული საზღვრის გადალახვას, ანუ გონებით იმქვეყნიური ჭეშმარიტების შეცნობას“ (შარაბიძე 2021:232).

თითქოს ეჭვს არ იწვევს, რომ ბედისწერის რკალის მიღმა განგების რკალია, ზენაართ სამყოფია, სადაც ადამიანის მარადიული სიცოცხლე \_ თავისუფლება სუფევს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“

გამჟღავნებული აღმოსავლური ჭვრეტა აქ („მერანში“) დასავლური ფილოსოფიის გავლენით აქტიური ქმედებითაა შეცვლილი.

პირობითად ეს ლექსი („მერანი“) შეიძლება რამდენიმე ნაწილადაც დავყოთ. პირველი ხუთი სტროფი ზედმიწევნით მიზანმიმართული და ანგარიშმიუცემელია. აქ სრულიად არ ჩანს გონების კვალი. მიზანი, რომელიც ბედისწერის რკალის გადალახვას გულისხმობს, იმდენად დიდია, რომ მხედარი არად აგდებს ამ გზაზე სიკვდილს, მამულისგან შორს დამარხვას, სატრფოსგან დაუტირებლობას (აქვე მნიშვნელოვანია აღიარება, რომ მასში მხოლოდ ტრფობის ნაშთია დარჩენილი) ... თუმცა სწორედ სატრფოს ხსენება იწვევს მხედარში პესიმისტურ განწყობას. მეექვსე სტროფში კი თითქოს ხელახლა ხდება გააზრება სატრფოს გარეშე სიკვდილისა და რაღაც ინერციით მეორდება რეფრენი: „გასწი, გაფრინდი...“ თუმცა აშკარად იგრძნობა, რომ ის შემართება, რომელსაც მხედარი ლექსის დასაწყისში გრძნობდა, სადღაც გაქრა...

მეშვიდე სტროფში კი ბედთან შეგუება იგრძნობა. „დაე“ – ეს ნაწილაკი სწორედ ამის მიმანიშნებელია. მკითხველს კი შეუძლია წარმოსახვაში მხედრის (ტარიელის) შინაგან მონოლოგსაც დაუგდოს ყური: „როგორც ჩანს, შეუძლებელს ვცდილობ, ამ გზაზე უბედურება მელოდება, სიკვდილი გარდაუვალია, ესაა ჩემი ბედისწერა, რომელთან ჭიდილშიც ვმარცხდები... თუმცა, იქნებ, არც ამის გამო ღირს სასოწარკვეთაში ჩავარდნა, რადგან ყოველთვის რჩება შესაძლებლობა, რომ საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვას გაუადვილო გზის სიძნელე...“ დიახ, რჩება მოყვასისადმი თავგანწირული თავდადების, თვითშეწირვის შესაძლებლობა, რომელიც ავთანდილს ახასიათებს...

მერვე სტროფში კი – „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება...“ (ბარათაშვილი 1954:50) – სწორედ ადამიანში გასხვავებული, ახალი ფუნქციის აღმოჩენით გამოწვეული იმედი იკითხება.

„ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება პოეტის ინდივიდუალურ ბიოგრაფიაზე აღმოცენებული ერთი ადამიანის (ლირიკული გმირის) მთელი ცხოვრებაა, დაბადებიდან („ჩვილი“) –სიკვდილამდე („მერანი“). იმავდროულად ეს ადამიანი კაცობრიობის განვლილ ცხოვრებასაც იტევს, მისი სიხარული სასუფეველის ენით

მოტიკტიკე, უზრუნველი ყრმის სიხარულია, მისი დაცემა პირველცოდვით დამძიმებული ადამის დაცემაა, მარადიული ჭეშმარიტებისკენ ლტოლვა – ბედისადმი დაუმორჩილებლობა, თავგანწირული სრბოლა – ტარიელის ძიება, დაუმორჩილებლობა და ველად გაჭრაა, რადგან ესეც („მერანის“ ლირიკული პერსონაჟი) ისეთივე გულისთქმის კაცია, ისევე ემორჩილება წადილის ნებას, როგორც „ვეფხისტყაოსანის“ მთავარი გმირი, მასაც ტარიელივით უმტყუნა ბედმა და ქვეყანამ და ამიტომ ორივემ მოიძულა ეს ქვეყანა“ (არგანაშვილი 2006:120).

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელს ავთანდილი გამოუჩნდა მხსნელად. მან გამოიყვანა სიკვდილთან მიახლოებული სასოწარკვეთილი მდგომარეობიდან, ბარათაშვილის ლირიკული გმირიც (ავტორი) სწორად აფასებს საკუთარ სულიერ მდგომარეობას, გრძნობს რა უხილავ კავშირს თავის უშუალო წინამორბედთან და დაემებს მეგობარს (ავთანდილს), რომელიც წონასწორობისთვის აუცილებელ პირობას შეუქმნის: „...კაცი მინდა, რომ ამ პატარა კლდე-ღრეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილას, ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხემწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა“ (ბარათაშვილი 1954:99).

საინტერესოა, რომ „მერანის“ ბედთან ბრძოლაში დამარცხებული (როგორც ტარიელი) ლირიკული პერსონაჟი ავთანდილს (კაცს, ადამიანს) სწორედ საკუთარ თავში პოულობს, პოულობს ძალას, რათა ირწმუნოს, რომ ისიც ამ სოფლის შვილია და მოვალეობად აწევს, მშობლისა ესმოდეს, რადგან არ ვარგა ისეთი კაცი, რომელიც სოფელში ცხოვრობს და სოფლისთვის არ ზრუნავს.

ის განსხვავება, რომელიც ზოგადად ეპოსსა და რომანტიკულ პოეზიას შორის არსებობს, რომელიც სხვადასხვა ეპოქათა შესაბამის ლიტერატურულ მიმდინარეობათა სხვადასხვაობით არის გამოწვეული, უფრო მეტად აახლოვებს რუსთაველისა და ბარათაშვილის შემოქმედებას, რადგან თუ ტარიელის ცხოვრებისა და ძიების გზა ზღვიდან-ზღვამდეა გაშლილი, თუ მისი მერანი ამ უკიდურეს სივრცის დაუფლებითაა დაღლილი, ბარათაშვილის ლირიკული გმირის ასპარეზი მხოლოდ გულსა და გონებას შუა არარსებულ მანძილს სწვდება, სწორედ „არსაით“ სრბოლა იწვევს იმ უნუგემო განწყობილებას, ბედისწერის არარსებული საზღვრის გადალახვის სურვილით შეპყრობილ მხედარს რომ ეუფლება.

ისიც ვიქონიოთ მხედველობაში, რომ „სწორედ რუსთაველის მრავალფეროვანი სამყაროა ასე გაუდაბურებული და გავერანებული („შემოდამება მთაწმინდაზე“) ბარათაშვილის შემოქმედებაში. ის მოწყალე, მორჩმული და განგებანი მეფე აღიძვრის იმავე მიწისთვის, რომელიც დღეს თუ ხვალ თვითონვე გახდება („ფიქრნი მტკვრის პირას“), ამიტომაც ასე გამოკაცრიელებულა მისი მამული და, ალბათ, მხოლოდ წინაპრისადმი ბაძვის სურვილი აძლევს მიუსაფარ მწირს („ვპოვე ტაძარი“) იმის ძალას, რომ მაცხოვარივით შერისხოს („სულო ბოროტო“) გონების მომხიზვლელი ბოროტი სული“ (არგანაშვილი 2006:121).

დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა ლიტერატურამ (ბარათაშვილის მაგალითზე) ეპოსის გმირების ლირიკულ ტექსტში გაცოცხლება შეძლო, მითოსურმა გმირმა რომანტიკული პერსონაჟის თვისებები შეიძინა და ასე გადმოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. ლიტერატურული პერსონაჟის ასეთი რთული გენეზისი კი მხოლოდ მსოფლიო დონის კლასიკურ ტექსტებს ახასიათებს. მხოლოდ მდიდარ ტრადიციას შეუძლია ლიტერატურული მემკვიდრეობითობის მთავარი ხაზის მუდმივობა და დროთა კავშირის უწყვეტობა დაადასტუროს.

\*\*\*

აქვე მინდა ბარათაშვილის ამ ლექსთან დაკავშირებით კიდევ ერთ თემას შევეხო, რომელმაც უკანასკნელ წლებში არანაკლები ვნებათაღელვა გამოიწვია.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ბარათაშვილმა „მერანი“ თავის მეგობარსა და უახლოეს ნათესავს, ილია ორბელიანს, მიუძღვნა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ილიას ტყვეობა გახდა ლექსის დაწერის მიზეზი, რასაც თავად პოეტი ადასტურებს თავისი ბიძისადმი, გრიგოლ ორბელიანისადმი, მიწერილ ბარათში:

„არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე.- ილიას დაჭერა რომ შევიტყე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება

მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“ (ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1842 წლის 2 მაისი.) (ბარათაშვილი 1954: 94).

თითქოს აქ რაღა უნდა ყოფილიყო სადავო, მაგრამ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში მაინც მოიკიდა ფეხი აზრმა იმის შესახებ, რომ „მერანი“ შთაგონებულია არა ილია ორბელიანის, არამედ ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნებით, მისი დაუღალავი ბრძოლით სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ეს აზრი დაეყრდნო ლეკურ ფოლკლორში არსებულ ლეგენდას ალექსანდრე ორბელიანის მფრინავი რაშის შესახებ, თუმცა ამის მიზეზი მაინც ის იყო, რომ, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ილია ორბელიანის ლეკთაგან დატყვევება შეუსაბამო მიზეზი იყო (უფრო სწორად კი, ძალზე მცირე მიზეზი) ამ დონის შედეგის შთაგონებისთვის, ხოლო ავტორისაგან მისი დასახელება მხოლოდ კონპირაციული ხერხი იყო ნამდვილი მიზეზის დასაფარავად.

ეს აზრი თავიდან გიორგი შატბერაშვილის და სანდრო ახმეტელის წრეში იშვა, შემდეგ მან ერთგვარი ლეგიტიმაცია შეიძინა პავლე ინგოროყვას შემოქმედებაში. ხოლო ჩვენს დროში სამეცნიერო თეორიად ჩამოყალიბდა როსტომ ჩხეიძის და ნინო ვახანიას შრომებში.

ჩვენ ვთქვით, რომ ეს აზრი ძალზე პოპულარული გახდა მკითხველში და უკანასკნელ ხანში მან ღია იდეოლოგიური მხარდაჭერაც მოიპოვა, თუმცა ის მაინც ვერ ჩაითვლება მიღებულ დოგმად და ამის ერთი მაგალითია ცნობილი მკვლევრის, ზაზა აბზიანიძის, წერილი (გამოქვეყნდა ჟურნალ „აფინაჟში“), სადაც იგი კრიტიკულად აფასებს ზემოაღნიშნულ თეორიას ცდილობს მის გაბათილებას.

მკვლევარი ქრონოლოგიურად მოყვება ბარათაშვილის შემოქმედების კვლევის ისტორიას. მიზანმიმართულად უღრმავდება ჩვენთვის საინტერესო თემის ხაზს, რაც ერთგვარდ აქარწყლებს ზოგიერთი არგუმენტაციის უცთომელობას:

„უკიდევანო წარმოსახვის მქონე პავლე ინგოროყვას, ნიკო მარის მსგავსად, შეეძლო, იმ თავისი განსაცვიფრებელი ფილოლოგიური მიგნებების გვერდით რაიმე



პარადოქსული ფრაზა წამოესროლა ან ისეთი ინტრიგის შემცველი სიუჟეტი შეეთხზა, რომლის რეალობისაც უფრო სჯეროდა, ვინემ - ნებისმიერი ისტორიული ფაქტის. თუმცა, ზოგჯერ, ვგონებ, იგი მისტიფიკაციას გამიზნულად მიმართავდა. ეს - ისეთ შემთხვევაში, როცა, ისევ და ისევ ლიტერატურული ინტერესებიდან გამომდინარე, თვლიდა, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“. გულახდილად ვიტყვი, რომ ეს ექსპანსიურობა, უზომო განსწავლულობასთან ერთად, თავისებურ ხიბლს სძენდა ქართული ფილოლოგიის ამ დონ-კიხოტს ფრთებშეკვეცილი აკადემიკოს-გრანდების ფონზე... რადგან ნიკო მარი ვახსენეთ, ეგების, „მერანის“ მისეული ლაკონიური და ერთობ დამაფიქრებელი დახასიათებაც გაგვეხსენებინა: „მერანი“ \_ ესაა მონოლოგი კატასტროფის ზღურბლზე მდგარი ნაციისა“ (აბზიანიძე 2022).

წერილის დასარულს მკვლევარი სათანადო პატივს მიაგებს პავლე ინგოროყვას მოღვაწეობას და მის სამეცნიერო მემკვიდრეობას. აღნიშნავს, რომ მას მაინც არასოდეს დაუწერია და დაუსაბუთებია, რომ ეს ლექსი ილია ორბელიანს არ ეძღვნებოდა. ჩემი აზრით კი, აქ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ამ თეორიას იდეოლოგიური სარჩული ედო საფუძვლად და წმინდა მეცნიერული არგუმენტებით მისი უარყოფა ან მისი მხარდაჭერა რამდენადმე უსაფუძვლოა. ჩვენი მხრიდან კი ამ საკამათო აზრისთვის აქ ადგილის დათმობა მხოლოდ იმითაა გამართლებული, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა გამოვლინებაა იმ სამწუხარო ტენდენციისა, რომელიც არც წარსულში გვაკლდა და მომავალშიც ვერ ვიქნებით მისგან დაზღვეულნი. ეს ეხება ტექსტის და ავტორის ურთიერთმიმართების საკითხს (ჩვენს ნაშრომში ამას ცალკე თავი ეძღვნება) და მკითხველის წადილი, რომ ლიტერატურულად განზოგადებული თემატიკა კვლავაც კონკრეტულ ისტორიულ სახეებამდე დაიყვანოს, დააზიანებს ლიტერატურის აღქმას და მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

### 3.6. ნაპოლეონის სახე ქართული ტრადიციული აზროვნების შუქზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ნაპოლეონ“

თემა, რომელიც ბაირონის, პუშკინის, გოეთეს, ტოლსტოის, ბარათაშვილის შემოქმედებას ერთმანეთთან აკავშირებს, საფრანგეთის დიდ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს – ნაპოლეონ ბონაპარტეს სახელს უკავშირდება. დღეს, მისი ცხოვრებიდან თითქმის ორასი წლის შემდეგ, სულაც არ გვიკვირს, რომ მსოფლიო ლიტერატურის დიდმა წარმომადგენლებმა თვალი ვერ აარიდეს მის გავლენას ეპოქალურ მოვლენებზე, მის თავბრუდამხვევ კარიერას, რომელმაც არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს ბედი შეცვალა.

დიდი გერმანელი მწერალი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე იოჰან ვოლფანგ გოეთე ცდილობდა ამ კორსიკელი გენიის საიდუმლო მომავალი თაობებისთვისაც აეხსნა, როდესაც მასზე წერდა, რომ მთელი მისი ცხოვრება იყო სვლა ნახევრად ღმერთისა ბრძოლიდან ბრძოლამდე, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

ეცნობი ამ დახასიათებას და გეჩვენება, რომ ჰომეროსის ეპოქის რომელიმე მომღერალი პოეტი - აედი ანტიკური ხანის რომელიმე ნახევრადღმერთის გმირობაზე მოგვითხრობს, სინამდვილეში კი მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე რაციონალური აზროვნებით განთქმული ქვეყნის საუკეთესო მწერალი და მოაზროვნე თავისი ქვეყნის დამპრობელს, საფრანგეთის პირველ კონსულსა და თვითგამოცხადებულ იმპერატორს ახასიათებს.

ამ თავის დასაწყისში სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მსოფლიო ლიტერატურის რამდენიმე გენიოსის სახელი ვახსენეთ, რომლებიც ასობით სხვა მწერალთან, ფილოსოფოსთან, მოაზროვნესთან ერთად წლების გამავლობაში ცდილობდნენ ნაპოლეონ ბონაპარტეს პიროვნულ ხასიათში წვდომას, მისი პორტრეტის შექმნას. ამისთვის ზოგი მას ნახევრად ღმერთად ხატავდა, ზოგი ტირანს უწოდებდა, ზოგი ღირსეულ მტრად თვლიდა, ზოგს უბრალოდ დიდ პიროვნებად მიაჩნდა. თუმცა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, როცა ავტორები მონუმენტური ფიგურის ხატის შექმნას ცდილობენ, შეგნებულად თუ შემთხვევითობების წყალობით, გამოჩენილი პიროვნების სახეში, როგორც სარკეში, თავიანთი პორტრეტის კონტურებს ხედავენ და აღწერენ.

ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. ლექსში „ნაპოლეონ“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაპოლეონის ხასიათს გვიხატავს და ამ დროს ის უფრო მეტს საკუთარ თავზე, საკუთარ ღირებულებებსა და იმ ტრადიციულ აზროვნებაზე გვიყვება, რომელშიც ის ცხოვრობდა და რომელსაც მისი დიდი შემოქმედება ეყრდნობოდა.

თუმცა ვიდრე უშუალოდ ლექსზე ვიტყვოდეთ რამეს, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ, როდესაც ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენელი მსოფლიო პროცესების უდიდეს შემოქმედს – ნაპოლეონს – ლექსს უძღვნის, ამით ის მთელ ერს საერთაშორისო მოვლენების თანამონაწილედ ხდის და კაცობრიობის წინაშე გარკვეულ შინაგან პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

ამ ლექსის ანალიზის დროს კრიტიკოსი აკაკი გაწერელია მკითხველს ახსენებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ინტერესი დიდი ადამიანების მიმართ მხოლოდ ნაპოლეონის პიროვნებით არ ამოწურულა. პოეტი კარგად იცნობდა მსოფლიო ისტორიას და მის პირად წერილებში ჩვენ ვხვდებით იმპერატორ ავგუსტუსს, ატილას, ასევე ნაკლებადცნობილი ავსტრიელი მხედარმთავრის – მონტეკუკოლის სახელს.

ამ აზრს ეთანხმება მკვლევარი იუზა ევგენიძეც. ის თვლის, რომ „ძლიერ პიროვნებათადმი განსაკუთრებული ინტერესი ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში“ (ევგენიძე 2007:107). პოეტი ახსენებს „ქართლოსის საფლავს“, დავითის სულს, ირაკლის ხმას და მის „წმინდა აჩრდილს“ მრავალ რომანტიკოსთა მსგავსად, ბარათაშვილიც მოხიბლულია ნაპოლეონით, ამ ჭეშმარიტად დიადი პიროვნებით.

კრიტიკოსთა აზრით, ეს ლექსი თამამად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ჰიუგოს, ჰაინეს, ლერმონტოვის, ტიუტჩევის მიერ ნაპოლეონზე დაწერილი შედეგების გვერდით.

ამით ჩვენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ შედეგს „ლექსთა შეჯიბრებაზე“ კი არ ვიწვევთ, არამედ იმის თვალსაჩინოებას ვახდენთ, რომ ქართველი რომანტიკოსის ხედვა (ისევე როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებისა) სრულიად ინდივიდუალურია. ის ნაპოლეონს თავისი სუბიექტური თვალთახედვის კუთხიდან უმზერს და აფასებს.

ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ტექსტს და ვიტყვით, რომ დღემდე ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევართაგან ვერავინ აუარა გვერდი ამ ლექსს. აკაკი გაწერელიასთან, გურამ ასათიანთან, ვახტანგ კოტეტიშვილთან, იუზა ევგენიძესთან ერთად ჩვენ უნდა ვახსენოთ ჩვენი თანამედროვე მკვლევარები, მათ შორის ლალი დათაშვილი, მათა ჯალიაშვილი, ეკა ვარდოშვილი, ფატი აბაშიძე და სხვანი.

თუმცა ყველაფერი ილია ჭავჭავაძემ დაიწყო, როდესაც თავის ცნობილ სტატიაში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ბარათაშვილის სხვა ლექსების ანალიზის დროს ბუნებრივად ამ ლექსსაც შეეხო:

„ბოლოს , როცა ეს „ხმა იდუმალი“, პირველში სუსტი, თანდათან გაუძლიერდა და ყურთასმენა მისი სრულიად დაიმორჩილა, აკი გაიგო, რომ იგი ხმა მისი მფარველი ანგელოზი კი არ არის, არამედ „ბოროტი სულია“, რომელმაც აურია წრფელნი ზრახვანი და „მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება. ამისთანა „იდუმალი ხმა“ მხვედრია მარტო მისი, „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვითონ ბარათაშვილი ნაპოლეონზედ ამბობს“ (ჭავჭავაძე 1991:537).

ამ ქრონოლოგიურ წრფეზე, სადღაც „ხმა იდუმალის“ და „მერანის“ შუა საზღვრებში „დიდი, ძლიერი, თავის სულიერ მისწრაფებებში შეუზღუდავი, ჭაბუკური გატაცებების გამოხატულებად“ (ასათიანი 107:106) თავის კუთვნილ ადგილს ნაპოლეონის სახეც დაიკავებს.

აზრი იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონ“ ფაქტობრივად პოეტის ავტოპორტრეტს წარმოადგენს, თავდაპირველად ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და ჩვენს დროშიც ის მრავალი შესანიშნავი მკვლევრის მიერ იქნა გაზიარებული და მათ სამეცნიერო ნაშრომებში დამაჯერებლად გადმოცემული.

ზოგადად კი ბარათაშვილი თავის ავტოპორტრეტს აქაც და სხვა ლექსებშიც სულ რამდენიმე თემატური ელემენტით ქმნის. მათ შორისაა ბედისწერა, რომელიც ამ ლექსში სრულიად სხვა კონტექსტში გვევლინება და „აღუვსებლობის ტრაგედია“, რომლის არსებობა აქ ვახტანგ კოტეტიშვილს შეუნიშნავს:

„ამ ლექსში იშვიათი ოსტატობით და განცდების სიღრმით არის გადმოცემული მისწრაფებათა დაუსრულებელი მისტიკა, ადამიანის „აღუვსებლობის ტრაგედია, რამაც ნაპოლეონის სახით ჰპოვა უდიდესი გამოცხადება“ (კოტეტიშვილი 2007:108).

აქ მკვლევარი პოეტის კიდევ ერთ ტრადიციულ თემას ანუ თემატურ ელემენტს გამოყოფს და ამით არა მხოლოდ „ნაპოლეონს“ აკავშირებს ლექსთან „ფიქრი მტკვრის პირას“, არამედ მთელი მისი შემოქმედების საკვანძო საკითხებს გამოყოფს, რაც ერთგვარად „ამარტივებს“ მის მიზანდასახულებაში გარკვევას.

„მანც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,

თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,

და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?!“ (ბარათაშვილი 1954: 20)

ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელ შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი ამ ორ ლექსში – „მერანი“ და „ნაპოლეონ“ – მთელი სიმძვინვარებით ჩნდება ბედისწერის საკითხი. თუმცა, თუ „მერანში“ ბედისწერა წინააღმდეგობის ყრუ კედელივით აღმართულა, „ნაპოლეონში“ ის უფრო „დამყოლია“ და მხოლოდ პერსონაჟის ბედით თამაშობს.

ეს თემატური ელემენტები ტრადიციული აზროვნებიდან იღებს სათავეს და მათი ძირები როგორც ფოლკლორულ, ასევე მითოლოგიურ წიაღშია საძებნი. ბუნებრივია, ბედისწერის საკითხი აქ უმთავრეს ადგილს იკავებს. ხალხური სიტყვიერებისა და რწმენა-წარმოდგენის მიხედვით, ხალხს სჯერა, რომ ადამიანის ცხოვრება დაბადებისთანავე დასაზღვრულია ბედის მიერ. ხალხური ავტორი ადამიანის უიღბლობაში სწორედ ბედისწერას ადანაშაულებს.

მკვლევარი ფატი აბაშიძე თავის სადისერტაციო ნაშრომში „ქართველ რომანტიკოსთა ფოლკლორული ძირები“ გულდასმით იკვლევს კოლექტიური ავტორის ბედისწერასთან დამოკიდებულებას და ამით ნიკოლოზ ბარათაშვილის ინდივიდუალურ აზროვნებასთან პარალელს პოულობს:

„ჩამოსხდებიან ყორნები,

არ გაირევენ ძერასა;

კაცი ვერსაით წაუვა,

თავის ბედსა და წერასა” (ქ. ხ. პ. 1979: 34)

სახალხო მთქმელის მსგავსად, რომანტიკოსი პოეტისთვისაც ლექსში „ნაპოლეონ“ ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი ბედისწერაა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაპოლეონს ამგვარად ალაპარაკებას:

„...მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!

მიტხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,

ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;

ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!

მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვსწყინდე,

და სხვა მან ჩემის სახელითა დაავიგვინოს!..” (ბარათაშვილი 1954:24)

სხვა ხალხურ ლექსში „...ზღვა-ზღვა მივცურავთ...“, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილს კახეთში ჩაუწერია, სახალხო მთქმელი ბოლომდე ბედს არის მინდობილი:

“ზღვა-ზღვა მივცურავთ უაფროთ,

ნიჩბების მოუსმელადა,

არცა რას ვდარდობთ, არც ვჩივით,

ბედი გვაქვს წინამძღოლადა.

გავალთ თუ დავიღუპებით,

არავინ იცის სწორადა!” (ქ. ხ. პ. 1979: 36)

მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად „ნაპოლეონ“ წინ უსწრებს „მერანს“, აზრობრივად მის შემდგომ ეტაპს ეხება. ჩვენ გვახსოვს, „მერანში“ ავტორი ცდილობს, რომ ბედისწერის რკალი გადალახოს და განგების რკალში გადავიდეს (ეს

საკითხი, რომელიც ცნობილი ფილოსოფოსის ბოეთიუსის შრომას ეყრდნობა და აქ მხოლოდ ვარაუდის დონეზე გვაქვს გამოთქმული, ცალკე კვლევას მოითხოვს), სადაც მთელი სამყარო მის გულისთქმას დაემორჩილება. „ნაპოლეონში“ კი ეს მიზანი უკვე სრულიად მიღწეულია. „ბარათაშვილის მიერ დახატული ნაპოლეონი ესაა ბედთან მეზობელი და ბედისწერის საკუთარ ნებას დამაქვემდებარებელი პიროვნება. ესაა ადამიანი, რომლისთვისაც ადამიანური ძალა ყველაფრის მომდრეკია და დამმორჩილებელია“ (იუზა ევგნიძე 2007:107).

აქვე ვიტყვი, რომ ლექსში ნაპოლეონი უფრო ბედის ნებიერად არის გამოყვანილი, ვიდრე ბედთან მეზობლად. თუმცა ამით ყველაფერი არ სრულდება, მიზანმიღწეულ პიროვნებას მომავალი მეტოქეები აშინებს. მან იცის, რომ ბედს ორგულობა სჩვევია, თუმცა იმედი აქვს, რომ „გამზრდელი“ თავისი „გაზრდილის“ ძლევას ასე იოლად ვეღარ შეძლებს.

რაც შეეხება „აღუვსებლობის ტრაგედიას“, ეს თემაც საკმაოდ კარგად არის დამუშავებული ჩვენს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, უმეტესად კი ზღაპარში, სადაც ადამიანის სიხარბე თითქმის ყველა ტრაგედიის მიზეზი ხდება (ერთ-ერთ ზეპირ თქმულებაში საუბარია მეომარ-გმირზე, რომელიც მეფემ მიწით დააჯილდოვა და ის კვდება ამ მიწის (საჩუქრის) მიღების დროს. მისი სიხარბე თვალსაჩინოდ არის დანახული, როდესაც სიკვდილის წინ ხელს გაიწვდენს, რათა დამატებით კიდევ ერთი მტკაველელი მიწა მიიღოს, რომელიც მას, ბუნებრივია, აღარ დაჭირდება).

და კიდევ ერთი მთავარი ელემენტი, რომლითაც სრულდება ნაპოლეონის ბარათაშვილისეული პორტრეტი. თუმცა მანამდე ის სხვა პოეტების შექმნილ პორტრეტებს უნდა შევადართ და მათ შორის განსხვავება გამოვკვეთოთ.

ჯორჯ გორდონ ბაირონმა ოდა მიუძღვნა ნაპოლეონ ბონაპარტს. ტექსტი ცხრამეტი თავისგან შედგება და თითოეულ მათგანში პოეტი დაუფარავ სიხარულს გამოხატავს ტირანის დამხობის გამო (თარგმანი ინესა მერაბიშვილისა):

„რომ აიწონოს გმირის ნეშტი ზუსტი სასწორით,

გაუტოლდება ის ერთ მუჭა გამხმარ აყალოს,

მხოლოდ სიკვდილით თუ გავხდებით ჩვენ

თანასწორნი,

მხოლოდ მას ძალუმს ყოველ ჩვენგანს მიწა აყაროს.

მე კი ვფიქრობდი, ის, ვინც ცოცხლობს სიდიდით

სრულით,

ცაზე ვარსკვლავებს გააცოცხლებს უკდავი სულით,

რომ ბრწყინვალეობამ ცისკიდური ააელვაროს,

და არ მეგონა, თვით განგება თუ ჯავრს იყრიდა

მასზე, ვინც ტახტი სხვისი ტანჯვის ფასად

იყიდა“ (ჯორჯ ბაირონი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“)

ნაპოლეონს ეძღვნება ასევე ჰაინრიხ ჰაინეს ლექსი „გრენადერები“, რომელშიც აღწერილია ფრანგი მეომრების უსაზღვრო თავყვანისცემა (ავტორი დასცინის ამგვარ დამოკიდებულებას) საკუთარი იმპერატორისადმი. ჯარისკაცებისთვის ნაპოლეონი თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოა და მზად არიან მისთვის არა მხოლოდ სიცოცხლე, არამედ ცოლ-შვილიც კი გაწირონ. ასე წარმოუდგინა ჰაინრიხ ჰაინემ ნაპოლეონის გაკერპებული სახე გერმანელ მკითხველს (თარგმანი აკაკი გელოვანისა) :

„...რომელი შვილი, რომელი ცოლი!

დე, იმათხოვრონ! რა დროს შვილია!

მე სხვა დარდი მაქვს: ღმერთების სწორი

იმპერატორი შეპყრობილია!

მისმინე, ძმაო, თხოვნა მაქვს ერთი:

თუ დღეს შევინგრევ ამ გულის ფიცარს,



შინ წამასვენე, იწამე ღმერთი,  
და მიმაბარე სამშობლო მიწას...  
ასე მეფაროს სუდარა მწუხრის,  
გუშაგის თოფი მეჭიროს ხელთა,  
ვიდრე მოვისმენ ქვემეხთა ქუხილს,  
სამარეს შესძრავს ჭიხვინი ცხენთა.  
ის ჩამიქროლებს სამარის კართან  
ზათქით, ზანზარით, მახვილთა ცემით,  
მეც აღჭურვილი აღვდგები, რათა

იმპერატორი დავიცვა ჩემი“ (ჰაინრიხ ჰაინე „გრენადერი“). (ჰაინე 1938: 33)

რაც შეეხება ბარათაშვილს, მის ლექსში ნაპოლეონის მხატვრული სახე კონკრეტდება და პოეტი მის მსოფლმხედველობას ასე აყალიბებს:

„ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!

რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფებდეს,

მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,

თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“ (ბარათაშვილი 1954:24)

მაინც როგორია პორტრეტი პერსონაჟისა, რომელიც ამ ლექსშია დახატული? ეს არის ბედის ნებიერი ადამიანი, რომელმაც ყველაფერს მიაღწია, ყველა სურვილი შეისრულა და თითქოს მზად არის, რომ შეჩერდეს, დაკმაყოფილდეს მიღწეულით, თუმცა „იდუმალი ხმა“ აფრთხილებს და ბედის ცვალებადობაზე აფიქრებს. მას ეშინია, ბედს არ მოსწყინდეს მისი წარმატება, ბედმა არ უორგულოს და მის მაგივრად სხვა არ აირჩიოს.

ნაპოლეონი ვერ შეეგუება თავის გვერდით ტოლ-სწორის გამოჩენას, რომელიც მის საქმეებს დაჩრდილავს და მის პირველობას საეჭვოს გახდის. ამგვარი შიში (ხასიათი) ქართველი მკითხველისთვის ძალზე ნაცნობია. ასეთ პერსონაჟს ის დიდი ხანია იცნობს, იცის მისი ტრაგიკული ბედისწერის ისტორია და მარადიული სასჯელის ფორმაც, რომელიც კაცობრიობას ხშირად ახსენებს თავს. ამ შემთხვევაში კი სწორედ ამ მითის ქართულ ვერსიასთან და მის ზღაპრულ პერსონაჟთან – ამირანთან – ჩნდება ბუნებრივი პარალელები:

„დაამარცხა ამირანმა დევები და გაამაყდა. ახლა მისი მომრევი აღარავინ იყო. გაიდიდა თავი და თვითონ ქრისტე ღმერთი გამოიწვია ომში“ („ამირანიანი“ 2019:151).

ამგვარ ადამიანურ ამპარტავნებას ხალხური ეპოსი „გაბუდაყებას“ არქმევს (ეს ტერმინი მთიულური ზეპირსიტყვიერებიდან ზურაბ კიკნაძემ შემოტანა სამეცნიერო ლიტერატურაში). მას კარგად იცნობს ქართული ტრადიციული აზროვნება. ეს ადამიანური ცხოვრების უკანასკნელი საფრთხეა, რომელიც მთელ კაცობრიობას დასჯით ემუქრება.

საინტერესოა, რომ ნაპოლეონის ხასიათის გადმოცემის დროს ბარათაშვილმა სწორედ ეს საშიშროება დაინახა პიროვნული დიდების გზაზე და „ჟამის იმედიც“, რომლის სახეში უთუოდ მთელი კაცობრიობის ბედისწერა და მისი გადარჩენის იმედიც ჩანდა, ამგვარ ტრაგიკულ ბედს დაუმორჩილა.

როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე წლის შემდეგ პოეტი „მერანს“ წერს, რომელშიც მან ხელახლა წამოწია ბედისწერის საკითხი, ამჯერად უკვე ბედის დამორჩილების (ბედისწერის რკალის გადალახვის) იდეა, რადგან ბედისადმი მინდობა ამპარტავნების – გაბუდაყების საფრთხეს ქმნიდა (ვფიქრობთ, ამგვარი საფრთხე წმინდა ნაციონალურ ხასიათს ატარებს). თუმცა ამ შემთხვევაში ბარათაშვილი აცდა იმ საფრთხეს, რომელსაც ჩვენ ამ ლექსის გავლენით „ნაპოლეონის სინდრომიც“ შეგვიძლია ვუწოდოთ, და მთელი თავისი პოეტური ძალისხმევა მოძმისთვის სავალი გზის გაკვალვაზე გადაიტანა.

ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით და ნიკოლოს ბარათაშვილის შემოქმედების საერთო ანალიზის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ პოეტი მეთოდურად ებრძვის კოლონიალურ მდგომარეობით გამოწვეულ უიმედობის სოციო-პოლიტიკურ პარადიგმას და ცდილობს წინააღმდეგობის სურვილი გაჩენას< ტრადიციულ აზროვნებაში მაღალმოტრალური ღირებულებების დამკვიდრებას.

### **3.7. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ ლიტერატურული მოდელი ფენომენოლოგიური კრიტიკის შუქზე**

რაც უფრო ვმორდებით წარსულს, თითქოს უფრო კარგად მოჩანს ჩვენი ლიტერატურის ისტორია, საუკუნეების განმავლობაში საორჭოფოდ გამხდარმა რთულმა საკითხებმაც თითქოს უფრო მეტი სიცხადე შეიძინა და ბევრ რთულ კითხვაზეც სწორედ ჩვენს დროს მოუწია პასუხის გაცემა.

ამგვარი ოპტიკური ილუზიის ეფექტს ქმნის, ერთი მხრივ, განვლილი წლების გამოცდილება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ დროის განმავლობაში შეძენილი სამეცნიერო ცოდნა, კვლევის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარსულის ყოველ მოვლენას განსხვავებული კუთხით შევხედოთ და ისტორიულ ეპოქებთან მათი მიმართება სათანადოდ შევაფასოთ.

ნიშანდობლივია, რომ დღეს სწორედ ჩვენმა არაპროგნოზირებადმა ცხოვრებამ მოიტანა და სოციო-პოლიტიკურმა რეალობამ ხელახლა წამოჭრა ათწლეულების, ხშირად საუკუნეების წინ გაჩენილი ფილოსოფიური დილემა, როგორც ერის ცხოვრების სხვადასხვა ალტერნატივა, რომლებზეც ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი თავის დროზე ვერ მიიღო საზოგადოებამ .

სწორედ ასეთ განცდას აჩენს ა/წ მარტში ერთ-ერთ ქართულ სატელევიზიო არხზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით ჩატარებული ინტერაქტიური გამოკითხვა, რომელიც თავისუფლებისა და მშვიდობის მარადიულ ურთიერთმიმართებას ეხებოდა.

როგორც ჩანს, დღეს ეს საკითხი ჩვენი საზოგადოების შიდა დაპირისპირების მიზეზიც გახდა და ახლა მისი გადაწყვეტა, მტყუნ-მართლის გარჩევა ტელემედიკურების აქტიურობას, ერთ სატელეფონო ზარსაც კი შეუძლია.

კამათში ერთვებიან სტუდიაში მოწვეული სტუმრები: პოლიტიკოსები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები, მწერლები, ცნობადი სახეები, პარალელურად რეჟიმში ირთვება ხმების დათვლის ელექტრონული პროგრამა, ტაბლოზე სწრაფად იცვლება მონაცემები. ჩნდება იმის იმედი, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით შეიარაღებული ადამიანი ამ მარადიულ დილემას წამის რაღაც მეასედში გადაწყვეტს...

მკითხველი კი, როგორც ერთ დროს ცუდად ნასწავლ გაკვეთილს, ისე იმეორებს განვლილ მასალას და ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილ პოემას – „ბედი ქართლისას“ – უბრუნდება, რომელშიც ავტორის მიერ სწორედ ეს კითხვები იყო დასმული და პრობლემა თითქოს გადაწყვეტილად ითვლებოდა, ვიდრე ცხოვრებამ ხელახლა არ დაგვაყენა მსგავსი რეალობის წინაშე.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პოემის დაწერიდან ორასი წლის განმავლობაში ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში არასოდეს შეწყვეტილა ამ ნაწარმოების განხილვა. არასოდეს ჩაუთვლიათ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ფონზე (როგორც ნაწარმოების ინსპირაციის წყარო) წარმოშობილი დაპირისპირების მიზეზი დიდი ხანია უკვე ამოიწურა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება, ფაქტობრივად, მას შემდეგ გაუქმდა, რაც საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული იქნა დამოუკიდებლობის აქტი (1918 წ.), რომლის ძალითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ახლა ჩვენ ხელახლა გვიწევს იმ უზარმაზარი მოცულობის სამეცნიერო ლიტერატურის გადახედვა, რომელიც ამ ნაწარმოების შესახებ დაგროვდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებამდე, რომელშიც პოემის ირგვლივ თავისთავად იკვეთება ჩვენში ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების ზოგადი თავისებურება, განსაკუთრებით კი რომანტიკოსთა აქტივობა ამ მიმართულებით.

წარსულის გაიდება რომანტიკოსთა დამახასიათებელი თვისებაა, თუმცა ქართველი რომანტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც თავიანთი ქვეყნის ისტორიის, კერძოდ „ქართლის ცხოვრების“, უფრო კი მე-18 საუკუნის გმირი წინაპრების მიმართ იჩენენ, რომელთა უშუალო მემკვიდრენიც თავად იყვნენ და იმჟამად კოლონიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის შვილები იმ ძველი ომების უშუალო მონაწილეთა მონათხრობით იკმაყოფილებდნენ დაუძლეველ პატრიოტულ განცდას, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა აჩენდა მათში:

„ნეტავი ოდეს -

შენ მომითხრობდე

მე ყმა გისმენდე

მოხუცებული მოხუცებულსა,

თუ ვით ივერნი

ლომ-გულნი გმირნი,

ჰრბოდნენ, სცხოვრობდნენ დღესა წარსულსა“ (ორბელიანი 1951:15)

ამგვარ „მონათხრობებს“ ორბელიანები, ჭავჭავაძეები და ბარათაშვილები ხან უბრალო მოგონებად და დოკუმენტურ პროზად აქცევდნენ, ხანაც ლირიკული პოეზიისა და სიმღერების მხატვრულ სამოსელში ახვევდნენ წინაპართა ცხოვრების საგმირო ეპიზოდებს, რომელთა წაკითხვა ან მოსმენა არაერთ ჭაბუკს უთრთოლებდა ხმლის ტარზე ხელს.

სწორედ ასე იყო ამ თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების პირდაპირი და უმთავრესი დანიშნულებაც და ამ ფუნქციას ისინი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ, რადგან მათი ავტორები უმეტესად „ნამდვილი“ გენერლები იყვნენ და თავიანთ მკითხველს არა გამოგონილ ან შეთხზულ, არამედ ნამდვილ, რეალურ ამბებს უყვებოდნენ.

შესაბამისად, „ნამდვილები“ იყვნენ მათი პერსონაჟებიც. უმეტესად ისევ თავიანთი გვარიდან ან წრიდან გამოსული გმირები, რომლებსაც სხვადასხვა ომში მიეღოთ მონაწილეობა და ქვეყნის წინაშე თავიც ესახელებინათ.

მხატვრულ ტექსტებთან ერთად გარემოც ინახავდა მათი ბრძოლების ამბავს. განსაკუთრებით კი ბოლო ომის \_ ალა მაჰმად ხანის ლაშქრობის \_ სისხლიან კვალს და ყოველივე ამის ფონზე ამ პოემაშიც („ბედი ქართლისა“) ისეთი „დამაჯერებელი“ და რეალისტური ჩანდა მეფე ერეკლეს საუბარი თავის მდივანბეგთან, რომ მკითხველი ყურადღებას აღარ აქცევდა ისტორიული ფაქტების შეუსაბამობას და მხატვრულ ტექსტში ავტორის პირადი განცდების ამოკითხვას ცდილობდა, ხოლო საექვო ვარაუდების მტკიცებულებას ავტორის პირად ცხოვრებაში ეძებდა.

ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ რომანტიკოსი პოეტის მხატვრულ ტექსტში წარსულის გადაჭარბებული იდეალიზაციის ნაცვლად ცხოვრების რეალური სურათებიც იყო ნაჩვენები, რაც მკითხველს სურვილს უჩენდა, რომ ისტორიული ქრონიკების მსგავსად წაეკითხა ეს ტექსტი და მასში კონკრეტული საკითხებზე პასუხი ეძებნა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, პოემისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა საკმაოდ მდიდარია და მასში სამი ძირითადი თვალსაზრისი, „ბედი ქართლისას“ შინაარსის სამი განსხვავებული ინტერპრეტაცია იკითხება. სამივე მათგანის მთავარი სათქმელი პოემისადმი პოლიტიკურ ინტერესს ეხება.

პირველი მოსაზრების მიხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი მთლიანად იზიარებს მეფე ერეკლე მეორის პოზიციას რუსეთთან მიმართებით და თავად ეს პოემაც ერეკლე მეორის პოლიტიკის ერთგვარ აპოლოგიას წარმოადგენს.

საპირისპირო პოზიციაზე დგანან ისინი, რომლებიც ავტორს სოლომონ ლიონიძის ეროვნული მრწამსის გამზიარებლად და ნაციონალური დამოუკიდებლობის მომხრედ თვლიან.

მესამენი კი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოზიციაში ერთგვარ გაორებას ხედავენ. ფიქრობენ, რომ ავტორი ღიად ტოვებს ამ საკითხს და მკითხველი პოეტის გულისა და გონების დაპირისპირების მოწმე ხდება.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ნაწარმოებში ზედმიწევნით ცხადად იკითხება, რომ ერეკლე მეორის გადაწყვეტილება, რომელიც პოემაში მეტისმეტად გამმაფრებულია და რუსთა ხელმწიფისთვის სამეფო მმართველობის მემკვიდრეობის გადაცემას გულისხმობს, ერეკლე მეორისთვის მხოლოდ იძულებითი ნაბიჯია და სოლომონ მსაჯულის პოზიციასთან, რომელიც თავისუფლების მომხრეა, არსებითი განსხვავება თითქმის არ არსებობს.

ყოველივე ამის ფონზე გადაჭარბებული გვეჩვენება მკვლევართა გამმაფრებული ინტერესი ტექსტის ავტორის პოზიციის მიმართ და კითხვის ასე დასმა: „ვინაა მართალი ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრით: ერაკლი მეორე თუ სოლომონი?“, ვფიქრობთ, რომ რამდენადმე არღვევს ტექსტის ავტონომიურობის საზღვრებს, მით უფრო, როდესაც მკვლევრები ამ კითხვაზე პასუხს პოეტის სხვადასხვა ნაწარმოებში ან მის ბიოგრაფიაში ეძებენ.

და ეს ყველაფერი ხდებოდა იმის ფონზე, რომ, „ასეთი შინაარსის საუბარი ერეკლესა და მის მსაჯულს შორის სინამდვილეში ვერ შედგებოდა, რადგან ორივე მათგანისთვის ერთნაირად უცხო იყო ეროვნული „თავისუფლების განსყიდვის“ იდეა. ერეკლეს გეგმა მხოლოდ ძლიერი მფარველის დახმარებას ითვალისწინებდა (ასათიანი 1988: 82).

მხატვრული ტექსტისადმი ამგვარი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში არ შეცვლილა, ყოველ ახალ კვლევას ახალი ცოდნა მოჰქონდა, ზოგადი სურათი კი უცვლელი რჩებოდა. მკითხველს აინტერესებდა მხოლოდ ავტორის აზრი ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე, პერსონაჟთა გადაწყვეტილებაზე, თავად პერსონაჟები კი ისე „უსუსურად“ გამოიყურებოდნენ მკითხველის თვალში, რომ მათ არ შეეძლოთ თავიანთი პოზიციის დაცვა, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, გარკვეული იდეის სრულფასოვნად გადმოცემა.

საკითხავია, რას შეგვძენდა იმის ცოდნა, თუ ზუსტად გვეცოდინება ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ პერსონაჟის პოზიციის მიმართ, შეცვლიდა თუ არა ის მკითხველის დამოკიდებულებას ამ ზოგადი იდეის მიმართ, ისტორიამ რომ კვლავ დააყენოს ის არჩევანის წინაშე?.

მკითხველს კარგად ახსოვს, რომ ეს ავტორმა „დაუახლოვა“ ისტორიული თარიღები ერთმანეთს, რათა კრწანისის სისხლისმღვრელი ომის ფონზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი უფრო დრამატული გაეხადა და როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის არგუმენტები ემოციური განწყობით გაემლიერებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა კრიტიკამ მრავალჯერ შენიშნა მეფისა და მისი მდივნის კამათის მოდერნიზებული ხასიათი, მკითხველს მაინც გაუჭირდა „გამოგონილი“ რეალობიდან თავის დაღწევა და მხატვრული ტექსტისთვის დამახასიათებელი პირობითობის დანახვა.

მკითხველისთვის დამახასიათებელი ეს „სისუსტე“ შენიშნული აქვს მკვლევარ გოჩა კუჭუხიძეს თავის სტატიაში „გამოგონილი პერსონაჟის გენეზისათვის“, რომელშიც გადმოცემულია, თუ როგორ იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ცნობიერება, როგორ ემზადებოდა ის იმისთვის, რომ რეალობაში არარსებული, გამოგონილი გმირი შეექმნა და როგორც მკითხველს მიეღო ის.

ამის მაგალითია ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩა“, რომლის შესავალში ავტორი არწმუნებდა მკითხველს, რომ ეს ამბავი სიტყვა-სიტყვით მოხუცმა ღინჯამ მიაგებოდა, თუმცა მხატვრული ტექსტის ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფდა, რომ ფოლკლორული სიუჟეტის ამგვარი ინტერპრეტაცია (რომელსაც მხატვრულ ტექსტში მთავარი ინტრიგა შემოჰქონდა) სწორედ ავტორს ეკუთვნოდა და მისი მცდელობა, რომ პასუხისმგებლობა ხალხურ მთქმელზე გადაეტანა, ერთგვარი ხერხი იყო მკითხველის რისხვისგან თავის დასაცავად.

სრულიად საპირისპირო მაგალითი კი მკითხველს წინ ედო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სახით. აქ კი ავტორი ამკარად იმ შეგნებით მოქმედებდა, რომ სიუჟეტის განვითარება სრულიად უცხო (ზოგიერთ შემთხვევაში ზღაპრულ) ქვეყნებში გადაეტანა, რათა მკითხველისთვის არ მიეცა მიზეზი, რომ წარმოსახვით რეალობაში კონკრეტული ისტორიული ამბის გამოძახილი დაენახა, რაც უპირველესად, იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მკითხველი ტექსტის მთავარ საზრისს ვერ ჩასწვდა, ერთი ქვეყნის მაგალითზე მსოფლიო პროცესების განვითარების ლოგიკური ხაზი ვერ დაინახა.



„ესე ამბავი სპარსული..“ - მხატვრული ტექსტის ასეთი დასაწყისი სრულიად ბუნებრივი იყო იმ ეპოქაში, როდესაც მკითხველს „გამოგონილი“ ამბის მიმართ ჯერ კიდევ გარკვეული ეჭვი ჰქონდა და ნდობას მასში მხოლოდ ნამდვილად „მომხდარი“ ამბის თხრობა იწვევდა.

მას შემდეგ ლიტერატურამ დიდი გზა განვლო, დღეს მკითხველს თითქოს აღარ სჭირდება იმის შეხსენება, მხატვრულ ტექსტში მოხვედრილი ისტორიული პიროვნება, იმთავითვე მხატვრული პერსონაჟია (რომელსაც ძალიან ცოტა რამ აკავშირებს რეალურ პროტოტიპთან), წარმოსახვით რეალობაში შექმნილი გმირი, რომლის მოქმედებას მყარი მოტივაცია უდევს საფუძვლად, ყოველთვის იმაზე „ნამდვილია“, ვიდრე ნებისმიერი მისი თანამედროვე, რომელსაც ხედავს, ხელით ეხება და ფიქრებს უზიარებს.

თუმცა, როგორც ორი საუკუნის წინ, მკითხველს დღესაც ისე უჭირს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის რეალისტური ხიზლისგან თავის დაღწევა. უჭირს ობიექტური ანალიზის გაკეთება, რადგან იმ პატარა ქვეყანაში, რომელსაც პოემაში ივერთ ქვეყნად ვეცნობით, ის ყოველთვის თავის სამშობლოს ხედავს, რუსთა ერთმორწმუნე ქვეყნის სახით კი აგრესორს, რომელსაც დღესაც მიტაცებული აქვს მისი ქვეყნის ვრცელი ტერიტორია.

და რადგან, საბედნიეროდ, ლიტერატურის ჟანრულ მრავალფეროვნებაში დოკუმენტური პოეზიის განსაზღვრება ჯერჯერობით არ არსებობს, ჩვენც მეტი უფლება გვაქვს, ვამტკიცოთ, რომ პოემის („ბედი ქართლისა“) ერთ-ერთ პერსონაჟს – ქართლ-კახეთის მეფეს, ძალიან ცოტა აქვს საერთო ისტორიულ მეფე ერეკლესთან, ნაწარმოების მთავარი იდეის მნიშვნელობა აშკარად სცდება კონკრეტულ დროის გამოძახილს და უფრო ვრცელ მასშტაბებზე ვრცელდება.

იურიდიული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, აქ აშკარად ინტერესთა კონფლიქტი იკითხება, რაც ქართველ მკითხველს ხელს უშლიდა პოემის ობიექტურ ანალიზსა და ავტორის მიერ დიალოგურ თხრობაში ჩაკარგული მთავარი იდეის სრულფასოვნად აღქმაში.

თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ ტექსტის წაკითხვის ამგვარ გამოცდილებას, რადგან ესეც ინტერპრეტაციის გზაა. აქ საქმე გვაქვს ბიოგრაფიულ მხატვრულ ლიტერატურასთან, რომელიც ისტორიული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი სახეობაა. ის გვაცნობს ისტორიულ ინდივიდს და მხატვრული თხრობის ქანრში ხელახლა წარმოგვიდგენს მისი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს, მაგრამ რა მოხდება, თუ ამ სიტუაციას გარეგანი მახასიათებლისაგან დამოუკიდებლად შევხედავთ, თუ სიტუაციას კონკრეტულობას ჩამოვაცილებთ და ყველაფერს ზოგად იდეამდე დავიყვანთ, თუ დოგმატურ, გულუბრყვილო, ნატურალისტურ განწყობაში ექვს შევიტანთ და ბუნებრივი განწყობიდან, ე.წ. ფენომენოლოგიურ განწყობაზე გადასვლას მოვიწადინებთ?

ეს არის ფენომენოლოგიური მოძღვრების (ჰუსერელი) ზოგადი მოდელი, რომლის მიხედვითაც, ფენომენოლოგიური განწყობა მიიღება ბუნებრივი განწყობისგან თავის შეკავებით (არსებობის საკითხის ფრჩხილებს გარეთ გატანით, ონტოლოგიური მსჯელობისგან მეთოდური თავის შეკავებით [ეპოქა], რომლის საფუძველზეც ერთადერთ მოცემულობად ცნობიერების და მისი პირველადი გამოცდილების აღიარება ხდება.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში ლიტერატურათმცოდნეობითმა მეცნიერებამ (რომან ინგარდენი), მხატვრული ტექსტის კვლევის საქმეში წარმატებით მოიგო ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდი, ხოლო ის, თუ როგორ უნდა შევადწინოთ მისი დახმარებით ავტორისეული ცნობიერების სიღრმისეულ შრეებში, მკითხველი ამის თეორიულ მექანიზმს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ კრებულში (2008) „ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი“ გაეცნობა:

„ფენომენოლოგიური კრიტიკა ცდილობს ლიტერატურული ნაწარმოებისადმი სრული ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას, პირადული ინტერესების დაოკებას, ტექსტის პირობით სამყაროში ჩადირვას და მაქსიმალური სიზუსტითა და სამართლიანობით ნაწარმოების ყველა კუთხე-კუნჭულის აღწერას. ფენომენოლოგიური კრიტიკა გულისხმობს ტექსტის არა შემფასებლურ ანალიზს,

რომელიც მის კონსტრუქციულ და აქტიურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს და კრიტიკოსის სუბიექტურ პოზიციას ავლენს, არამედ ტექსტის პასიურ რეცეფციას (აღქმას), მისი იდეური არსის მიუკერძოებელ აღწერას. კონკრეტული ლიტერატურული ტექსტი განიხილება ერთი ორგანული მთლიანობის შემადგენელ ნაწილად. მთლიანობა ავტორის ცნობიერების შესაბამისი ცნებაა; ნაწილი კი მოიცავს ავტორის შემოქმედებით გზას და ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგებულ მის თხზულებებს, რომლებიც თემატურად განსხვავდებიან, მაგრამ მუდამ მიელტვიან ორგანულ მთლიანობას“ (რატიანი 2008:56).

ჩვენს შემთხვევაში ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჰუსერელი „ფრჩხილებში“ ათავსებდა რეალურ ობიექტებს, ფენომენოლოგიური კრიტიკა კი „ფრჩხილებში“ სვამს ლიტერატურული ნაწარმოების ისტორიულ კონტექსტს, ავტორს, შექმნის წინაპირობებს და კითხვის პროცესს.

ამ ცნობიერების შესამეცნებლად უკვე საჭირო აღარ არის ბიოგრაფიული კრიტიკის დახმარება, საკმარისია ძირითადი ასპექტების ტექსტის დონეზე შემეცნება, რომლებშიც ავტორის ცნობიერება რეალიზდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის ძალზე კარგად ცნობილი პოემის სიუჟეტის მოყოლა ასეთნაირად შეიძლება:

„ერთ პატარა ქვეყანას, რომელსაც მოხუცი მეფე მართავდა, მტერი შემოესია. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და, ორი დღის თავგანწირული კვეთების მიუხედავად, მოხუცი მეფე იძულებული გახდა დედაქალაქს გასცლოდა და თავი ქვეყნის ერთ-ერთი კუთხისთვის შეეფარებინა. აქ ის შეხვდა თავის გამორჩეულ ვაზირს და გაუმხილა აზრი იმის შესახებ, რომ ამ მარცხმა მასში მომავლისადმი სრული უიმედობა გააჩინა და რადგან თავის მემკვიდრეებში ვერ ხედავდა სახელმწიფოს საიმედო პატრონს, გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ქვეყნის მმართველობის სადავეები ერთმორწმუნე დიდი ქვეყნის ხელმწიფისთვის გადაეხარებინა და ამით სამშობლო სრული განადგურებისგან ეხსნა.

ვაზირი შეაშფოთა მეფის ამ გადაწყვეტილებამ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იმ მშვიდობის სანაცვლოდ, რომელსაც მისი ქვეყანა უცხო ხელმწიფის

ქვეშევრდომობის პირობებში მიიღებდა, მათ მოუწევდა თავისუფლების და დამოუკიდებლობის ნებაყოფლობით დათმობა.

მისი აზრით, მხოლოდ სარწმუნოებრივი ერთიანობა ვერ გახდებოდა კეთილდღეობის გარანტი იმ პირობებში, როდესაც ამ ორ ხალხს შორის ადათი, წესი, ტრადიცია, ზნე-ჩვეულებანი სრულიად განსხვავებული იყო.

ერთმანეთს უპირისპირდება ორი განსხვავებული აზრი, მსოფლმხედველობა, რომელიც სხვადასხვა სიტყვით გამოთქმის:

ბედისწერა და ბედნიერება,

აუცილებლობა და თავისუფლება,

მოვალეობა და პასუხისმგებლობისგან თავის არიდება,

კეთილდღეობა და მემკვიდრეობა,

სასურველი და შესაძლებელი,

თავისუფლება და მშვიდობა.

კამათი კი გვიანობამდე გაგრძელდა...

რა იცვლება მხატვრულ ტექსტში წარმოდგენილი ისტორიული მოვლენების ამგვარი განზოგადებით?

აი, კითხვა, რომელიც სრულიად სამართლიანად არის აქ დასმული და პასუხს ითხოვს.

უპირველესად, იცვლება ხედვის კუთხე და შესაბამისად, აღქმის პროცესი (თავად ფენომენოლოგია არის სწორედ ხედვის წესი და არა მეცნიერება საგნის შესახებ), ამით ნაწარმოების მთავარი იდეა, რომელიც წლების განმავლობაში ერთი ტრაქტატის საზღვრებში იყო ჩაკეტილი, განივრცო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა, მკითხველიც „გათავისუფლდა მხატვრული ტექსტის მიღმა არსებული მოვლენებისგან, მეფისა და მისი მსაჯულის დიალოგიც უფრო მიზანმიმართული გახდა, ინტერპრეტაციის სივრცე გაფართოვდა და ტექსტის ავტონომიურობის

პირობებში სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის დეტალებმა უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. გამოიკვეთა ბიბლიური ალუზია, მემკვიდრეობის თემამ ლირიკული პოემა ეპოსთან დააკავშირა, უფრო აქტუალური გახდა ინდივიდუალური თვისებების მქონე ლიტერატურული პერსონაჟის გენეზისი, კვლევის ობიექტად იქცა ორი მდინარის ალეგორიული საზრისი და დაგვიანებული მხედრის ლირიკული სახე, რომელიც ნაწარმოების შინაარსს ერთგვარ სიმბოლურ დატვირთვას სძენს .

მკითხველი (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობაც) სრულიად გათავისუფლდა იმ აშკარად შეუსაბამო კითხვებისგან, რომლებიც, უპირველესად, ავტორს მიემართება და მხატვრული პერსონაჟებისადმი მის დამოკიდებულებას, უფრო კი მათი მსოფლმხედველობისადმი ავტორის პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს.

გამოიკვეთა ნაწარმოების მთავარი იდეა, რომელშიც თავისუფლებისა და მშვიდობის ცნებათა დისკურსი ვრცელ საზღვრებში გაიშალა, თანამედროვე მნიშვნელობები შეიძინა და ჩვენ დროსაც მოსწვდა.

პერსონაჟებმა თავიანთი კუთვნილი ადგილი დაიკავეს „ლიტერატურული საქართველოს“ პერსონაჟთა გალერეაში. „მოხუცი მეფე“ კი, როგორც ლიტერატურული ტიპი, მსოფლიო ლიტერატურის ცნობილ მონარქთა გვერდით დგება მას შემდეგ, რაც ერთ ეპიზოდში მისი ბედიც საოცრად ემსგავსება ნაციონალური ეპოსის (რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“) სიუჟეტს. ეს კი საინტერესო პერსპექტივას აჩენს ამ ორი პოემის შემდგომი პარალელური კვლევისა და შედარებითი ანალიზისთვის. ამის სანიმუშოდ შეგვიძლია მკითხველს რამდენიმე ნაწყვეტი შევთავაზოთ დაკვირვებისთვის:

„მე გარდავსრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,

დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;

რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!

ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“ (რუსთაველი 1970:11)

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ სწორედ უმემკვიდრეობა (მემკვიდრეებისადმი უნდობლობა, მათი დასჯის სურვილი) არღვევს კლასიკური სიუჟეტის განვითარების ტრადიციულ ხაზს, რაც სრულიად ესადაგება პოემის რომანტიკულ ხასიათს:

„მე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს,

გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;

შენი ირაკლი ის აღარა ვარ,

პატარა კახად რომ გინახვივარ!

მარქვი, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,

რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..“ (ბარათაშვილი 1954: 71)

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ „ვეფხისტყაოსანზე“, რომელშიც სწორედ მეთორმეტე საუკუნის რეალურ-ისტორიული მოვლენების განზოგადებით არის მიღწეული ეპოქალური საკითხების გადაწყვეტა, რაც ერთ-ერთ ცნობილ გამოთქმაში – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“, ასე აფორისტულად არის გადმოცემული.

ამის მსგავსად, ჩვენ მიერ განხილულ პოემაში („ბედი ქართლისა“) ახლა უკვე მეთვრამეტე საუკუნეში „მოხუცი მეფე“ სრულიად ახალი იდეის პრეზენტაციას ახდენს, რომელიც ძალზე მარტივად აყალიბებს ქვეყნის სამომავლო გზას:

"ახლა კი დროა, სოლომონ, რომა

მშვიდობა ნახოს საქართველომა ...“ (ბარათაშვილი 1954:73).

მეფის ეს გადაწყვეტილება თანაბრად ეხება წარსულს (სადაც ამ ქვეყნის შვილების მიერ უამრავია დაღვრილი სისხლია), აწმყოს (როდესაც ამ რთული გადაწყვეტილების გააზრება ხდება) და მომავალს (ერის ცხოვრება ახალ გზაზე დგება), როდესაც მცირე ერებს თანდათან უფრო უჭირთ დამოუკიდებლად არსებობა და იდენტობის შენარჩუნება. ცივილიზებული მსოფლიოს თანამეგობრობაში ყოფნა, სხვადასხვა პოლიტიკური თუ სამხედრო კავშირის წევრობა (როგორც მშვიდობის

გარანტი), ეს ყველაფერი კი თავისთავად მოითხოვს თავისუფლების გარკვეულ დათმობას.

რომანტიკული ტექსტისთვის ეპოსი ერთგვარი წინამორბედის როლს ასრულებს. მძაფრი, მღელვარე, შინაგანი წინააღმდეგობით სავსე ცხოვრება თითქოს არ ეტევა ნათელ და ჰარმონიულ სამყაროში. უმემკვიდრეობა არაბეთის ქვეყანაში არსებულ წესრიგს ინდოეთის ქაოსში ძირავს (საიდანაც უნდა დაიბადოს ახალი წესრიგი [ახალი ქართლი]) მსგავსება კი ამ ორი ჟანრის საუკეთესო ნიმუშებს შორის კიდევ არაერთხელ ხდება თვალსაჩინო:

„ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაემანთა ჯარები.

თქვა: "წამილია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,

ყოვლგნით გამისხმან, მორჭმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები";

და ბრძანა: "წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები" (რუსთაველი 1970:56).

მემკვიდრეობის გადაცემა, რომელიც მე-12 საუკუნეში გვარის ერთიანობით („თვით ჩემივე გვარი არსა“ (რუსთაველი 1970:57)) არის გამართლებული, მე-18 საუკუნეში ის ერთმორწმუნეობით არის ჩანაცვლებული:

„აწ განთქმულია რუსთა სახელი,

ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,

დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,

მტკიცე კავშირი, სარწმუნოება,

მას, მინდა მივცე მემკვიდრეობა,

და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!" (ზარათაშვილი 1954:73)

იქ, სადაც ეპოსის პერსონაჟები საკუთარი სურვილით მოქმედებენ, რომანტიკული გმირები იძულებით მიჰყვებიან ამ გზას. რომანტიკოსები (შემდეგ ნეო რომანტიკოსები) ხშირად მიმართავენ ეპოსს, ოღონდ, არა შესაჯიბრებლად, არამედ

იმის საჩვენებლად, თუ რამდენად დიდია განსხვავება მათ შორის, რაც ახალი სამყაროს, ახალი ეპოქის „შექმნის“ აუცილებლობას ამართლებს.

ამ შემთხვევაში მეფის გადაწყვეტილება სწორედ რომანტიკოსთა მსოფლმხედველობით არის გამართლებული. შესაძლოა, ამ ქმედებას საფუძველს პოეზიის მედიატორული ფუნქცია უმაგრებს, რომლის ძალითაც ის „ასრულებს შუამავლის ფუნქციას აუცილებლობასა (მიზეზს ) და თავისუფლებას (სულს ) შორის (რატიანი 2015:103).

საგულისხმოა, რომ „ვაზირიც“, რომლისგანაც მეფე რჩევას მოელის, ვერაფერს სთავაზობს მას, გარდა სურვილისა, რომ ქვეყანას თავისუფლება შეუნარჩუნოს, ხოლო მისი საბოლოო სიტყვა აშკარად ცხადყოფს, რომ ისიც, როგორც ერთგულ ვაზირს შეეფერება, უფრო მეტად მეფის ავტორიტეტზე ფიქრობს, ხოლო ქვეყნის მომავალი თავისთავად მეორე რიგში იწევს.

„ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,

შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,

და, მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,

მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს“ (ბარათაშვილი 1954:72).

ახლა კი ორიოდ სიტყვით იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც თემის განზოგადების პირობებში უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა და ერთგვარ წინასწარმეტყველებადაც გაცხადდა:

„რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,

ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“ (ბარათაშვილი 1954:74)

მეფის საბოლოო სიტყვაში „რუსთ ხელმწიფებას“ „ცივილიზებული სამყაროთი“ თუ შევცვლით, ეს პოემის დედააზრს გააცოცხლებს და ნაწარმოებს იმ მასშტაბურ სივრცეზე გაშლის, რომელიც უთუოდ იყო მასში ნაგულისხმევი.

ბუნებასთან თანაზიარობა რომანტიკოსთა ძირითადი მახასიათებელია. მათ მხატვრულ ტექსტებში სიტყვასთან ერთად ბუნებაც ჰყვება ამბავს და მასში



სიმბოლურ-ალეგორიულად არის გადმოცემული ის, რისი გამოხატვაც ენას ბოლომდე არ ძალუძს.

ამ პოემაშიც სააზროვნო სივრცით საზღვრებს ორი მდინარე აწესებს. პირველი „მრავალ დროების მოწამე“ მწუხარე მტკვარია (აქ აშკარად ჩანს, რომ პოეტი ამ თემას ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ აგრძელებს), რომელიც ქალაქის ნგრევის სურათებს ინახავს:

„რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,

დიდხანს უჭვრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!

პალატნი მისნი გარდმონგრეულან,

სახლნი-სამშობლო დანაცრებულან;

მიდამო ხედავს უპატრონობას,

აღოხრებასა და ნატამლობას!

დუმილი სუფევს მის არემარე!

მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,

შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:

იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!“ (ბარათაშვილი 1954:79)

მეორე მდინარე თავისუფლების და სიცოცხლის წყაროა. სწორედ მის ფონზე ვხედავთ ქართველის ზოგად სახეს, რომელიც იმდენად სავსეა გარემოს ცხოველმყოფელობით, რომ ვიდრე კრწანისის ველზე მამულისათვის გაიწირება, თავს უფლებას აძლევს, რომ სიცოცხლით დატკბეს, „წუთისოფელს ერთ წამს თვალი მოუხუჭოს“:

„ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს:

"არაგვო, მაგ შენს ამწვანებულს მთებს!" -

და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,

იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!“ (ბარათაშვილი 1954:69)

ამ „დაგვიანებულ მხედარს“ მკითხველი სწორედ პოემის მეორე კარის დასაწყისში ეცნობა. ეს წარმოსახვითი სურათი არაგვის ხეობაში ჩნდება, სანახაობა მეფისა და მისი ვაჭირის თვალსაწიერში ხვდება და არის იმის საშიშროება, რომ მკითხველმა ის ერთ-ერთი პერსონაჟის გულისთქმად ჩათვალოს და ლირიკული გმირი კამათში (როდესაც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება) თავისი სიცოცხლით ჩაერთოს.

პოემაში ორი ქებაა ჩართული, პირველი „კახთა მიმართ“, ამკარად ტექსტის გარეთ არის გატანილი და მთლიანად „მიძღვნის“ საზღვრებში ჯდება, ხოლო მეორე ქართველ დედათ მიემართება („ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო...“) და ის უფრო შუა საუკუნეების გადამწერელთა ემოციურ განწყობას გვაგონებს, რომლებიც ტექსტით გამოწვეულ ემოციებს ვერ მალავდნენ და ხელნაწერის არშიაზე გამოხატავდნენ თავიანთი აღტაცების სიტყვებს.

სწორედ სოფიოს სიტყვებში ("უწინამც დღე კი დამეღევა მე! უცხოობაში რაა სიამე“) გაცხადდა ნაწარმოებში ჩადებული ის ბიბლიური განწყობილება: „ვითარმე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქუეყანასა უცხოსა?“ (ფს. 136) (ბიბლია 2013:458), რომელმაც კოლონიური რეჟიმის პირობებში სრულიად განსაზღვრა ნაციონალური ლიტერატურის განვითარების ორსაუკუნოვანი პერსპექტივა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ პოემის გავლენის სივრცე.

#### 4. ლიტერატურის განვითარების პერსპექტივა კოლონიური რეჟიმის და ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია ისეთი ავტორი, რომლის შემოქმედება გაჯერებული არ იყოს თავისუფლებისკენ იგავური თუ პირდაპირი მოწოდებებით. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები და განვითარების ვექტორი მთლიანად თანხვედრაშია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან, მაგრამ როგორი იყო ამ მხრივ ჩვენი მწერლობის მიზნები წარსულში, რა ინტერესები ჰქონდა დაპყრობილი ქვეყნის შემოქმედს, როგორ შეიცვალა სოციო-პოლიტიკური პარადიგმა ფა მასთან ერთად ნაციონალური ლიტერატურის მიმართულება, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ კოლონიურ მდგომარეობას დააღწია თავი და თანასწორ ერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი, როგორია ლიტერატურის განვითარების პერსპექტივა ჩვენში დღეს და ახლო მომავალში ?!

ყოველივე ამის კვლევა მდიდარ ემპირიულ მასალას მოითხოვს, რომლის ნაკლებობა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ნამდვილად არ იგრძნობა, მაგრამ თუ ქრონოლოგიურად გავადევნებთ თვალს ამ საკითხს, დავინახავთ შემაშფოთებელ რეალობას, რომ რუსთაველის შემდეგ არც ერთ ქართველ კლასიკოსს მწერალს გურამიშვილს, ბარათაშვილს, ორბელიანს, ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონს სახელმწიფო არა ჰქონიათ(!)

ჩვენს ლიტერატურას საუკუნეების განმავლობაში კოლონიური რეჟიმის პირობებში უხდებოდა განვითარება. მკითხველს უჩნდება განცდა, რომ ლიტერატურისთვის ეს ბუნებრივი მდგომარეობაა. უმეტეს შემთხვევაში, ის კარგავს უნარს დაინახოს განსხვავება თავისუფლების პირობებში და კოლონიურ რეჟიმში შექმნილ მხატვრულ ლიტერატურას შორის.

„- განა, ამით რამე დააკლდა ჩვენს ლიტერატურას? – იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი

- დააკლდა ... აი, თუნდაც ის, რომ კოლონიურ რეჟიმში აღზრდილი მწერლის შემოქმედების შეფასებას ჩვეულებრივ ასე ვიწყებთ: „რუსთაველის შემდეგ. . .“ (არგანაშვილი 2006:152)

ისიც დააკლდა, რომ ასწლეულების განმავლობაში ქართველი მწერლები ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, ერის წინამძღოლის ფუნქციებსაც ითავსებდნენ და იბრძოდნენ სახელმწიფოსთვის - სახელმწიფოსთვის როგორც კულტურისთვის, რადგან ხელისგულისოდენა ადგილიც კი არ ჰქონდათ თავიანთი გმირების დასასახლებლად.

-აი, რატომ ვერ მღერიან მათი გმირები ავთანდილის სიმღერას. აი, რატომ ამოისმა სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი საუკუნეთიდან მხოლოდ მწუხარი გლოვის ხმა“

ეს ლირიკული გადახვევაა თემიდან, უფრო ზუსტად რომ შევიგრძნოთ რეალობის სიმძიმე . კვლევამ კი დეტალურად უნდა გვაჩვენოს თუ როგორ იცვლება ღირებულებათა იდეალები და შემოქმედებითი მიზნები ქვეყნის თავისუფლების პირობებში და რამდენად საფუძვლიანი იმის მტკიცება, რომ კოლონიურ გარემოში თვით გენიალური შემოქმედნიც ვერ ახერხებენ თავიანთი ნიჭის და უნარ-ჩვევების სრულ რეალიზაციას.

დღეს ჩვენში კოლონიურ ეპოქაში შექმნილი ტექსტების მრავალმხრივი ანალიზი მომდინარეობს, როგორც აზრობრივი ასევე ენაში დაფარული ეტიმოლოგიური მინიშნებების დონეზე. თუმცა ეს მუშაობა ჯერ იმ შედეგამდე არ მისულა, რომ პლაგიატის პროგრამის მსგავსად ზუსტად აღმოაჩინოს არა მხოლოდ ეპოქისთვის დამახასიათებელი სიტყვიერი ამ მხტვრულ სახეში არსებული კოლონიური მინიშნებები, არამედ ე.წ. ქვეცნობიერი წამოცდენებიც.

აქვე აღვნიშნავთ, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ანტიკოლონიურ ე.წ. იატაქვემა ლიტერატურას, რომელიც პატრიოტული გრძნობით და თავისუფლებისადმი სწრაფვით იყო შთაგონებული. თავისუფლებისთვის ბრძოლა თავისთავად კეთილშობილური ზრახვაა, მაგრამ იძულებითი ნაბიჯია და შემაფერხებელ გავლენას ახდენს შემოქმედებით წინსვლაზე, ხელოვნების თავისუფალ განვითარებაზე.

ზოგადად კი, ჩვენი ქვეყნის მაგალითზე თუ განვიხილავთ ამ საკითხს, მოგვიწევს კოლონიური მდგომარეობის პირობებში შექმნილი ლიტერატურის დაპირისპირება თავისუფალი ქვეყნის მწერლობასთან და შედარებითი ანალიზის საფუძველზე იმ

თავისებურების გამოკვეთა, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა დროში შექმნილ ლიტერატურას.

ბუნებრივია, ასეთ დროს უნდა გავითვალისწინოთ, ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ასევე ეპოქისთვის დამახასიათებელი პარადიგმული ნიშნები, რომელიც განსაკუთრებულ ვალდებულებს უჩენს ავტორს, როგორც თავისი თანამედროვეობის, ასევე გაბატონებული კულტურის მიმართ.

ჩვენ დავინტერესდით თავად მწერლობაში თუ არის შენიშნული კოლონიური რეჟიმის უარყოფითი გავლენა ლიტერატურის უმაღლესი დანიშნულების განხორციელების გზაზე და ამ მხრივ ძალზე საინტერესო ნიმუშს წავაწყდით. ეს არის იოანე ბაგრატიონის („კალმასობის“ ავტორი) ლექსი, რომელშიც ავტორი მწერლობის „დაგლახავებას“ სკვითთა მიერ ქვეყნის დაპყრობას უკავშირებს:

„სკვითთ წაგვართვეს მთლად ქვეყანა,

არც კი მოგვცეს კაცი ერთი,

ქართლ-კახეთსა არ დასჯერდნენ,

ზედ დაიდვეს იმერეთი.

მწერლობაში დავგლახაკდით,

შემწე არ გვყავს მისამართი,

შევთხოვთ ზენას სამართალსა,

ვნახოთ როგორ განსჯის ღმერთი“ (ანთოლოგია 2014: 216)

მწერალი რუსთა დამპყრობლური პოლიტიკის უარყოფით გავლენაზე მიიქცევს მკითხველის ყურადღებას და მწერლობის დაკნინებას მის პირდაპირ შედეგად განიხილავს. თუმცა ზუსტ განმარტებას არ იძლევა რაში გამოიხატება „მწერლობის დაგლახავება“ და ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ის არის, რომ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვკვეთოთ ის „სუსტი“ ადგილები, რომლებიც კოლონიური რეჟიმის პირობებში ლიტერატურული პროცესებში იჩენს თავს.

ამისთვის გრიგოლ ორბელიანის ერთ ლექსზე შევჩერდებით. უფრო სწორედ კი, ვრცელი ლექსის („ჩემს დას ეფემიას“) მხოლოდ ერთ პასაჟს მივაქცევთ ყურადღებას. მკითხველს გავახსენებ, რომ ეს ლექსი მთლიანად რომანტიკული განწყობისაა. ლირიკული გმირი აღგვიწერს თავის სასოწარკვეთილ მდგომარეობას საპყრობილეში ყოფნის დროს. და ამ უიმედობაში გაისმის სარკმლიდან შემოფრენილი ჩიტის ხმა. პატიმარი ცდილობს მერცხლის ჭიკჭიკს ხმა ააყოლოს, მაგრამ ნაცვლად ნაცვლად სიმღერისა გაისმება ხრიალი:

„მაგრამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა ჭიკჭიკი მერცხლის,

და სწორედ ვიტყვი, მწამდა იგი ხმად მეგობრისად,

იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული,

და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!

მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის განხდა ხრიალი.

და კედელთაცა დაყრუებულთ წარმოსთქვეს ბანი!

ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი,

გავვოცდი, ვჰსდუმენ და ხმა ჩემი მევე ვერ ვსცანი,

მის ჟამით ვიყავ, ვით სამარეს, უხმოდ, უსიტყვოდ

ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიღეს“ (ორბელიანი 1951:47)

პოეტი ხვდება, რომ მიგან ამომავალი ეს „ველური და საზარელი ხმა“, რომელიც მის ირგვლივ ყველა სულიერს აფრთხობს სწორედ სამარის, ტყვეობაში ყოფნის ხმა არის, მკითხველი კი მასში ბუნებასთან გაუცხოებას (ჰეგელი) ხედავს და შედარებისთვის უცხო მოყმის საძებნელად წასული ავთანდილის, მარტოობისგან და უიმედობისაგან სასოწარკვეთაში ჩავარდნილი ადამიანის სიმღერა ახსენდება, რომლის მოსასმენად მთელი სამყარო იკრიბება:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,

მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,

ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;

იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“ (რუსთაველი 1970:175)

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ (ეპოსი) ბუნებასთან ჰარმონია და თანხვედრა იგრძნობა, გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში (ლირიკა) კი თავს იჩენს იმავე ბუნებასთან ადამიანის სრული გაუცხოების ტენდენცია. შესაძლოა მკითხველმა ეს განსხვავება, ჟანრის თავისებურებით და ეპოქის განმასხვავებელი ნიშნითაც ახსნას (რადგან ბუნებასთან დამოკიდებულება კოლონიურ მდგომარეობაშიც ისე იცვლება, როგორც თავისუფალ გარემოში) , მაგრამ ავტორი თავის სხვა ტექსტში („თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“) კიდევ უფრო აშკარად აჩენს თავის დამოკიდებულებას დაპყრობილი ქვეყნის მდგომარეობის მიმართ, რადგან მისი მხრიდან რუსთაველის ხელახლა დაბადების ნატვრაში, მის მიერ სწორედ ქვეყნის თავისუფლების, სამშობლოს გამოხსნას და მისი სულიერი აღდგენის სურვილი იკითხება:

„შენი ივერი

აღსდგეს ძლიერი,

და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,

წმიდით საყდარით,

ენით მდიდარით,

სწავლისა შუქით განათებული!

ზნე ამაღლებით,

ძლევის დიდებით,

სამშობლო მიწის სიყვარულითა! —

და გაგვიცოცხლდეს,

რომ კვლავც მოგვესმეს

სიტყვა ქართული რუსთაველისა“ (ორბელიანი 1951:77)

კიდევ ერთი ლიტერატურული პარალელი იმ იდეის საილუსტრაციოდ, რომ კოლონიური რეჟიმის დროს მიზანი ყოველთვის ეძებს გამართლებას (მაკიაველი) და პოულობს კიდევ, რადგან ეროვნული ჩაგვრა და ცხოვრების გაუსაძლისი პირობები უფრო და უფრო ნაკლებ ადგილს ტოვებს ძველებური სიამაყისთვის.

მკითხველს გავახსენებ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ ის ეპიზოდს, რომელშიც პოემის პერსონაჟები (ლელა და კვირია) ბახტრიონის ციხის ასაღებად მიდიან.

„კარს გაგვიღებენ ციხისას,

მარჯვედ მოვხვდებით შიგნითა,

შენ თუნდაც ხელსა ნუ გასძრავ,

ჩვენს ჯარს მე ვუშველ იქითა“ (ვაჟა-ფშაველა 1979:571)

მათი გეგმის მიხედვით კვირიამ ციხის მცველებს ლელა ყაენისთვის მირთმეულ საჩუქრად უნდა წარუდგინოს, ხოლო როდესაც ამ ხერხით ციხეში შეაღწევინ, კარის მცველები დახოცოს და ჩვენს ჯარს გზა გაუხსას. ეს გადაწყვეტილება კი თითქმის ზუსტად იმეორებს ავთანდილის („ვეფხისტყაოსანი“) თათბირს, როდესაც გმირები ქაჯეთის ციხის აღებას ეპირებიან:

„მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები,

ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები“ (რუსთაველი 1970:250)

ჩვენ ასევე გვახსოვს ტარიელისგან დიდი ტაქტიკა და გონივრულობით დაწუნებული ავთანდილის ეს ნათათბირევი. „ესე მე დამსვრის“– ამბობს პოემის მთავარი გმირი და ჩვენც გვახსენდება, რომ მისთვის მიპარვით, მოტყუებით მტერზე თავდასმა სრულიად მიუღებელია.

თუმცა მეთორმეტე საუკუნეში ავთანდილის დაწუნებულ ნათათბირევეს მეჩვიდმეტე საუკუნეში ალტერნატივა აღარ ეძებნება. მრავალსაუკუნოვანი კოლონიალური მდგომარეობა და მისგან გამოწვეული სოციო-პოლიტიკური პარადიგმა ლიტერატურას აღარ უტოვებს არჩევანის უფლებას, აღარც ვალდებულებას მაღალიდებული ტექსტის შექმნისა ან თუნდაც მისი წაკითხვის მიმართულებით .



სამწუხაროა, რომ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ ველარავინ იტყვის:

„ფიცხლა შევებნათ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა..“ (რუსთაველი 1970:252)

(ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ისტორიულად ბახტრიონის ციხე-სიმაგრე მოლაშქრეებმა სწორედ პირდაპირი იერიშით, ტარიელის მეთოდით, აიღეს).

ამ მიზეზი კი ისაა, რომ მეთორმეტე საუკუნიდან (თავისუფალი ქვეყნიდან) ჩვენს ლიტერატურას აღარ გადმოჰყოლია ტარიელის რაინდული სახე (თუ მისი პორტრეტის პაროდიულ ცვლილებას არ ჩავთვლით). ჩვენ კიდევ მრავალჯერ დავწრმუნდებით, რომ წარსულში დარჩა მისი ღვთაებრივი სული და შეგნება, ადამიანური მორალი და ლიტერატურული სიმაღლე. ამიტომ, თანდათანობით ავთანდილმა დაამეტა მის სახელს. ის იქცა მკითხველთა ტრფიალების საგნად და მისაბამ პერსონაჟად, მისი თათბირი გახდა შთამომავლობისთვის უფრო მისაღები.

ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტი თარიღი დავასახელოთ თუ როდიდან დაიწყო „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა ადგილმონაცვლეობითი პროცესი, როდიდან დაუპირისპირდნენ მთავარი პერსონაჟების (ტარიელი, ავთანდილი) ერთმანეთს, რამაც ნაწარმოები მთავარი ხაზი დაარღვია და მკითხველის ემოციებზე დაყრდნობით ღირებულებათა შკალაზე იდეოლოგიური ძალდატანება გამოიწვია.

ტრადიციული შეფასებით, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები საკაცობრიო ბუნების, უმაღლესი ჰუმანიზმისა და ღირებულების მატარებელი გმირები არიან. თუმცა პოემის იდეური და მხატვრული ამოცანის შესრულებაში მათ სხვადასხვა ფუნქცია აკისრია და სწორედ ხასიათთა მრავალფეროვნება ჰქმნის იდეალური პერსონაჟის სახეს, რომელიც ადამიანურის და ღვთაებრივი ბუნების შერწყმაში გამოიხატება.

ნაწარმოების მთავარი იდეის მტვირთველი რომ ტარიელია ეს სათაურიდანაც კარგად ჩანს. ავთანდილს და ფრიდონს ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი და შეუცვლელი ფუნქცია აქვთ და მხოლოდ პოემის ფინალში ხდება ცხადი, რომ პერსონაჟთა როლების „შეცვლა“ ნაწარმოების იდეურ-მსოფლმხედველურ სამყაროს ანგრევს და პოემას საკაცობრიო ღირებულებას უკარგავს.

რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ თანამედროვე მკითხველისთვის ასე გაუცხოვდა ტარიელის პერსონაჟი, მისმა ადამიანურმა შესაძლებლობამ დაკარგა აქტუალობა და ერთგვარად სიმბოლური ხასიათი შეინარჩუნა. ამის წილ უფრო მეტი პოპულარული შეიძინა ავთანდილმა, რომლის ადამიანური უნარ-ჩვევები უფრო თანამედროვე და მისაბამი გახდა მკითხველისათვის. (შემთხვევით, არ არის სულ ახლახან ევროპაში გამოცემული პერსონაჟთა ენციკლოპედიაში ქართული ლიტერატურიდან მხოლოდ ავთანდილის პერსონაჟი იხსენიება)

ბუნებრივია, ამ ცვლილებებთან ერთად პოემაში დაიკარგა კეთილისაგან ბოროტების ძლევის ქრესტომათეული იდეა და ნაწარმოების მთავარი საზრისი მხოლოდ მეგობრობის, რაინდული მორალის, ერთგულების გამოხატულებად იქცა.

თავად ავტორის შემოქმედებითი უნარი, რომელიც იდეალური პიროვნების ჩამოყალიბებასა და უზენაესი იდეალის აღსრულებას ემსახურებოდა, დამცირდა და დღეს მხოლოდ მხატვრული სახეების გამორჩეულ მწერლად და სიტყვის ოსტატად დამკვიდრდა თანამედროვე მკითხველის მეხსიერებაში.

ყოველივე ამის მიზეზად ჩვენ პოსტკოლონიური სინდრომის არსებობას მივიჩნევთ. მიუხედავად იმისა, რომ სოციო-პოლიტიკური პარადიგმა ათეული წლების წინ შეიცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება აყოვნებს შესაბამის ცვლილებებს. ამ ფონზე სწორედ ლიტერატურამ უნდა იტვირთოს ამ წინააღმდეგობის გადალახვა, საკაცობრიო თემების დამუშავებით და „წაკითხით“ მან უნდა შეძლოს, რომ დღევანდელი მკითხველი საკაცობრიო ლიტერატურულ პროცესებს არ ჩამორჩეს.

დღეს ჩვენს მწერლობას და მწერლებს დამოუკიდებელი სახელმწიფო აქვთ. ეს კი, არა მხოლოდ ახალი ტექსტის დაწერის, არამედ მისი სათანადოდ წაკითხვის პირობას და ვალდებულებასაც აჩენს. ყოველივე ეს კი მკითხველში დაკარგული ჰარმონიის ძიებისა და მასში დაბრუნების სურვილს აღვიძებს .

## 5. „რომანტიზმიდან რეალიზმამდე - 1932 წლის შეთქმულება და რეალიზმის

### დასაწყისი

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ჩვენში მიმდინარე სოციო-პოლიტიკური მოვლენები და შესაბამისად, მისი თანამდევი საზოგადოებრივი განწყობაც აუცილებლად უკავშირდება ანტიკოლონიურ მოძრაობას, განსაკუთრებით კი 1832 წლის შეთქმულთა დამარცხებას და იმ რეპრესიულ ღონისძიებებს, რომლებმაც, ერთი მხრივ, სრულიად ჩაკლა მომავლის იმედი, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების მაღალი ფენა (მისი ერთი ფრთა) აიძულა კოლონიალურ რეჟიმთან თანამშრომლობაზე, ხშირად ეროვნული ღირსების და ურთიერთობის სხვადასხვა დამამცირებელი ფორმების შეგუების ხარჯზე.

ეს თემა ყოველთვის იყო ისტორიკოსთა თუ ლიტერატურისმცოდნეთა ინტერესის საგანი. გასული ორი საუკუნის განმავლობაში არასდროს შეწყვეტილა ფაქტების ძიების, მათი შეფასების და ანალიზის პროცესი, თუმცა საზოგადოებრივი აზრისა და იდეოლოგიური წნეხის ცვლილების პირობებში მისადმი დამოკიდებულებაც ხშირად რადიკალურადაც იცვლებოდა და იცვლება დღესაც.

თემა საკმაოდ ვრცელია და მრავალ მიმართულებას მოიცავს, როგორც ისტორიულს, ასე სოციო-პოლიტიკურს, საზოგადოებრივს, ლიტერატურულს, ფსიქოლოგიურს და ა.შ. თუმცა ისინი ისე სიღრმისეულად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ შეუძლებელია ერთმანეთი არ გადაფარონ. ძნელია ვილაპარაკოთ მხოლოდ ლიტერატურაზე და ის მთლიანად გავმიჯნოთ პოლიტიკისგან, სოციალური ურთიერთობისგან.

თუმცა ჩვენი კვლევის მიზანი აქაც (ისევე როგორც მთელ ნაშრომში) ძალზე ნათლად არის გამოკვეთილი, ის თუ როგორ გადავიდა შეთქმულების ისტორია ლიტერატურაში და რამდენად ზუსტად განზოგადდა ის მოვლენები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით მსოფლიო ანტიკოლონიალურ პროცესებს ეხმიანება და ამ მხრივ საკაცობრიო ისტორიის ნაწილს შეადგენს.

უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველები მცირე ერი ვართ და ყველა საქმისთვის არ ვკმარვართ, ამ შემთხვევაში ძალზე

გამართლებულად გვეჩვენება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი მუჭა ელიტარული ჯგუფი იძულებულია ერთდროულად გასწიოს ომის სარდლობა, დიდი ოჯახების წინამძღოლობა, წეროს ლექსები, პოემები, პიესები, გამოსცეს ჟურნალები, ითამაშოს სცენაზე და უხელმძღვანელოს ანტიკოლონიურ შეთქმულებას.

სწორედ შენიშნავდა თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი პოეტი მუხრან მაჭავარიანი თავის ლექსში „ცივი ქუჩები პეტერბურლის შემოიარა რა“ პოეტისა და გენერლის გრიგოლ ორბელიანის შესახებ:

„სიმძლავრე პეტერბურლის - ვითარცა ღენერალი,

ვითარცა პოეტი - სიმძლავრე ქართველთა.

იმ სისხლით „სადღეგრძელოს“ სწერდა აუღელვებარი,

იმ სისხლით - დაღესტანში ლეკებს რომ ადენდა“ (მაჭავარიანი 1989:256).

ლიტერატურის ისტორიის მიხედვით, პოეტი და მეომარი დღემდე ყველაზე თავსებადი წყვილია გულისა და გონების მარადიულ ჭიდილში. თუმცა არსებობს ალბათ რაღაც უფრო ზოგადი, რომელიც ნაკლებად ემორჩილება დროისა და პოლიტიკური რეალობის ცვლილებას, რომელზე დაყრდნობით ისტორიის ეს ეპიზოდი „პოლიტიკური ინციდენტად“ შეგვეძლო მოგვენათლა, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში ის უკვე პოლიტიკური რომანტიზმის სახელით არის შესული და ჩვენც სწორედ ამ სახელწოდების ფარგლებში შევეცდებით მის ანალიზს.

„რა იყო მაინც 1832 წლის შეთქმულება, პოლიტიკური რომანტიზმის გამოხატულებაც და ნიშანსვეტიც? - კითხულობს როსტომ ჩხეიძე ალექსანდრე ორბელიანისადმი მიძღვნილ წიგნში „150 ამბავი“ და თავადვე ეძებს ამ კითხვაზე პასუხს სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში.

„პოლიტიკური რომანტიზმის“ გამოვლენად კიტა აბაშიძე მონათლავდა ამ მოვლენას, და ეს ზუსტი განსაზღვრება მოგვიანებით უნდა გაშლილიყო და გამოკვეთილიყო კახა კაციტაძის მიერ. პოლიტიკური რომანტიზმი ისეთი მოვლენაა, ისეთი პოლიტიკური პრაქტიკაა, რომლის მიხედვითაც: ნებას შეუძლია დაძლიოს

ყოველგვარი წინააღმდეგობა და მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობით მიაღწიოს იმ მიზანს, რაც დაუსახავს, ანუ არსებული ძირფესვიანად გარდაქმნას. ამ მრწამსისათვის სრულიად უცხოა ყოველგვარი დათმობა, ძველის, დასაძლევის წინაშე“ (ჩხეიძე 2020:187).

ავტორი განმარტავს, რომ პოლიტიკური რომანტიზმი არარეალისტურ აზროვნებას არ გულისხმობს (ვფიქრობთ, რომ ავტორს გაუჭირდება ამაში მკითხველის დარწმუნება. გ.ა). უფრო მეტიც, მისი თქმით, სიტყვა რომანტიზმი ამ შემთხვევაში ნების ძალაუფლებას აღიარებს და სიცოცხლით ადავსებს მშრალ რაციონალისტურ გონებას.

მეტი დამაჯერებლობისთვის ამ იდეის მომხრეები (კახა კაციტაძე და როსტომ ჩხეიძე) მკითხველს შეახსენებენ იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ მოვლენებს და აჯანყებების გრძელ ჯაჭვს, რომელმაც მოიცვა ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ვრცელი ტერიტორია და რომლის ერთ-ერთ რგოლად 1832 წლის შეთქმულებაც მოიაზრება, როგორც პოლიტიკური რომანტიზმის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელმაც ის მსოფლიო ლიტერატურული პროცესების მონაწილედ და დეკოლონიზაციის მოძრაობის აქტიურ წევრად აქცია.

ჩვენი მხრიდან კი დავუმატებთ, რომ შეთქმულების რომანტიკულ ხასიათს აჩენს არა მხოლოდ შეთქმულთა მოქმედება, არამედ მათ მიერ დაწერილი და ნათქვამი თითოეული სიტყვა, ლექსი თუ პროზაული ტექსტი. მათ შორის სოლომონ დოდაშვილის ქაღალდებში ნაპოვნი ეს პროკლამაციაც:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და ადავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყულულ იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა! რაისათვის არს ესე ესრეთ, ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა პაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა,

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა რაისათვის ვცოცხალვართ (X. 1833)“ (გოზალიშვილი 1935:93).

ამ ტექსტში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ შეთქმულნი თავიანთი შეთქმულების „გასამართლებლად“ მხოლოდ წარსულს იხსენებენ, წარსულს ეყრდნობიან და ბრძოლის მიზეზად იმას აღიარებენ, რომ ქართველებს ერთ დროს ჰქონდათ დიდი და ძლიერი სახელმწიფოებრივი წარსული და ყოველივე ეს აძლევს მათ იმის უფლებას („ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი“), რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოითხოვონ.

ზუსტად იმავე მოთხოვნას ახმიანებს ილია ჭავჭავაძე მოხვევის პირით: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვოდესო - სთქვი შენ და მე გავიგონე“ (ჭავჭავაძე 1988:32), და ამ ორ პოლიტიკურ მოთხოვნას შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ 32 წლის შეთქმულნი ამ უფლებას მემკვიდრეობის ძალით ითხოვენ (ქვეყანას ჰქონდა რჯული, სარწმუნოება, ენა, დამოუკიდებლობაო), ილია ჭავჭავაძე კი ამ უფლებას ერის წმიდათაწმინდა უფლებით – თავისუფლების ძალით ითხოვს (ამ საკითხში ილია ჭავჭავაძემ თითქმის ასი წლით გაუსწრო ერთა თვითგამორკვევის თეორიას (1960)), რაც სხვა ერთა გვერდით ქვეყანას თავს მათ თანასწორად აგრძნობინებდა.

32 წლის შეთქმულთა აზროვნებაში თავი იჩინა ერთგვარმა ტრადიციამ, რომელიც ეროვნულ ხასიათში მუდმივად „მუშა“ მდგომარეობაში არსებულ შემოქმედებით ნიჭს ეყრდნობოდა, რომელიც, რაც არ უნდა ტრაგიკული ყოფილიყო ეპოქის თანმდევი მოვლენები, მუდამ მაინც მის გარომანტიულებაზე იყო ორიენტირებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია სოლომონ დოდაშვილის ეს ლექსიც, რომელიც რაღაც ნიშნით რუსთველის პერსონაჟების სიმტკიცეს ახსენებს მკითხველს:

„მაისის თვესა იქმნას ძახება,

გამოხატული ქართველთ უფლება,

აღვიპყრათ ხელსა კი მახვილი,

მივცეთა მტერთა შიში ძრიელი,

შემოვიკრიბოთ გულით მსურველნი,

ვეცეთ ვეძგერნეთ გაგულებულნი,

განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,

ჩვენ მამულისა მათხრებელნი,

ქართველნო, ხართ სადმე თუ არა,

არავინ არ იცის, მოიგეთ გონება“ (ანთოლოგია 2014:326).

შეთქმულების დამარცხებამ კი მის მონაწილეებში და მთლიანად საზოგადოებაში თავიწყებას მისცა შუასაუკუნებრივი ეპიკურ-რანდული ბუნების აღორძინების სურვილი (დაკითხვის ოქმები ნამდვილად სავალალო სურათს წარმოაჩენს ამ მხრივ). ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან გამოხსნის წარუმატებელმა „ოპერაციამ“ კი საბოლოოდ დაასამარა კეთილშობილთა მიმართ დაკარგული ნდობის აღდგენის წადილი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მთავარი მოტივატორი იყო შეთქმულების მომზადების პროცესში.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენებაში იკითხება საინტერესო ეპიზოდი, სადაც ზაქარია ალექსანდრე ორბელიანის იმოწმებს იმის შესახებ, თუ რა აზრის იყო დაბალი ფენის მოსახლეობა ამ შეთქმულების თაობაზე:

„ამ მხრივ ნუ გეფიქრება ძმაო ზაქარიავ. თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ აქაურ ხალხს, იმათი შიშით თავადებს ვეღარ გაგვივლია, სულ იმას გვაყვედრიან, რომ ჩვენ ისინი რუსებს გადავეცით, მხოლოდ ერთ რამეს გაიგონებ ყველგან ნეტავი გამოჩნდებოდეს ვინმე, რომ ისინი რუსების ხელიდან დაიხსნას“ (გოზალიშვილის 1935:146).

ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის მიერ იმის აღიარება, რომ ხალხი რუსეთთან შეერთებას სწორედ თავადაზნაურობას აბრალებდა. ჩვენ ამ უმნიშვნელო დეტალს არც მივაქცევდით ყურადღებას, საუკუნის დასასრულს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდესს პრობლემას – „ხიდჩატეხილობას“ – რომ არ ეჩინა თავი. ეს საკითხი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ილია ჭავჭავაძის ერთი ნაწარმოების თემად არის ცნობილი და ის მხოლოდ ბატონყმობით გამოწვეულ

უსამართლობას უკავშირდება, ხოლო მას შემდეგ, რაც წოდებრიობა მთლიანად მოისპო, ჩვენ ის „ხიდი“ გამთელებულად ჩავთვალეთ და ყველა პრობლემა, რაც ამ საკითხს უკავშირდებოდა, ისტორიის კუთვნილებად ვაქციეთ.

მომავალში ჩვენ კიდევ შევხებით ამ პრობლემას და ვეცდებით დღევანდელი კუთხიდან დავინახოთ ამ თემის მასშტაბურობა. თავიდანვე ვაღიაროთ, რომ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენი წახდენა და წარუმატებლობა მეტწილად სწორედ სოციალური დაპირისპირების („ხიდჩატეხილობის“) შედეგი იყო, რომლიდან თავის დახსნაც იმაზე არანაკლებ რთული აღმოჩნდა, ვიდრე კოლონიური სინდრომიდან საზოგადოების გათავისუფლება.

თავიდანვე გულუბრყვილობა იყო იმის იმედად დარჩენა, რომ ეს პრობლემა თავისთავად, ბატონყმობის გაუქმებასთან ერთად გაქრებოდა, რადგან „ხიდჩატეხილობა“ არა მხოლოდ თავადსა და გლეხს შორის, არამედ ქვეყნის მმართველ ჯგუფსა (მათ ხან თავადაზნაურობა ერქვა, ხან ბიუროკრატია, ხან პარტიული ელიტა და ხან ფინანსური ოლიგარქია) სოციალურად დაუცველ ნაწილს შორის არსებობდა გარკვეული სახით და ასე გრძელდება დღემდე.

დაპირისპირება კი სწორედ ორი საუკუნის წინ გამძაფრდა. ჩვენ არ ვემხრობით იმ აზრს, რომ საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მანამდე მამაშვილური დამოკიდებულება არსებობდა, თუმცა უნდა ვაღიაროთ (ამ შემთხვევაში ერეკლე მეფის სასრგებლოდ უნდა ვთქვათ), რომ მან, როგორც ქართლ-კახეთის მეფემ, ამ დაპირისპირების მიზეზები შეასუსტა, რადგან თავისი მეფური მოღვაწეობა მთლიანად დაბალ ფენების ერთგულებას დააყრდნო.

ამ ეპოქის ზოგადი სურათის, მათ შორის, ბატონისა და ყმის ურთიერთობის, ობიექტურ შემფასებლად ჩვენ იაკობ გოგებაშვილს მივიჩნევთ. ცნობილი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სწორედ თავისი სამართლიანობით არის ცნობილი, ის ერთნაირი რუდუნებით იკვლევდა როგორც წარსულის, ასევე თავისი ეპოქის მოვლენებს და სხვა ნაწარმოებებთან ერთად დაულალავად ქმნიდა „თავდადებულ ქართველთა გალერიას“.



იკვლევს რა საქართველოს წარსულს, იაკობ გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გასაკუთრებულ შემთხვევებზე, როდესაც სისტემის ძალმომრეობას პიროვნული ხასიათი უპირისპირდებოდა:

„ბატონი ხშირად იყო პატრონი, მოსარჩლე და მფარველი თავიანთი ყმებისა და არა მათი ტვინის ამომწოვი. იმას სასიქადულოდ მიაჩნდა თავის ყმების კეთილ-მდგომარეობა, მათის დოვლათის სიუხვე და ბედნიერება. მარტო ამ სათნოიანი განწყობილებით ბატონთა და ყმათა შორის აიხსნება ის ფაქტი, რომ ტყვეობითგან დაბრუნებული გლეხები, რომელნიც ერეკლეს ბრძანებით ყმობისაგან სრულიად განთავისუფლებულნი იყვნენ, თითონვე ეძებდნენ ბატონებს და თავის ნებით უბრუნდებოდნენ მათ, „რათა არ დარჩენილიყვნენ ღვთის ამარა, უპატრონოდ და უმფარველოდ. რასაკვირველია, ბატონ-ყმობა, როგორც ბუნების წინააღმდეგი და ადამიანის ღირსების დამამცირებელი დაწესებულება, მაშინაც საზარელ სენს შეადგენდა, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს სენი მოკლებული იყო თავის გამრყვნელ და დამამხობელ თვისებასა“ (გოგებაშვილი 1989: 196).

ერეკლე მეფის ღვაწლი და ხალხის მისადმი სიყვარული \_ ეს ის თემაა, რომელიც ერთნაირად ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც ინდივიდუალურ შემოქმედებაში, ასევე ლირიკოსთა, ანონიმ ავტორთა და ხალხური სიტყვიერების ტექსტებში. ამის დასტურად ჩვენ მხოლოდ იმ ლექსს დავიმოწმებთ, რომელშიც ხალხური მოლექსე მეფეს ეპოსის გმირად წარმოაჩენს.

„ბატონიშვილს ერეკლესა

ირმის ძუძუ უწოვნია,

წყალი უსვამ ალგეთისა,

თრიალეთზე უძოვნია,

გადუგდიათ საჩალეში

მონადირეს უძოვნია“ (ხალხური პოეზია 1985:26).

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ამ ლექსში საჩალეში გადაგდება და მონადირისგან მისი პოვნა გმირს პირდაპირ ამირანის მითოსურ ისტორიასთან აკავშირებს. აქ

სრულიად ვეთანხმებით მკვლევარ თემურ ჯაგოდნიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ პატარა კახისადმი მიძღვნილ უმრავ ტექსტში ხალხური ეპიური აზროვნების ყველა ეტაპი დალაგდა და დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია სხვა ეპოსების გვერდით „ერეკლეს ეპოსი“ ვახსენოთ.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის საჩვენებლად, თუ როგორ უყვარდა და ეიმედებოდა გლეხკაცს პატარა კახი. მით უფრო, რომ ის ვერ ხედავდა საყვარელი მეფის ბრალს რუსეთის მიერ საქართველოში მეფობის გაუქმებაში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი ისტორიული საბუთი არ არსებობდა. ხოლო ის ფაქტი, რომ მკითხველს გაუჭირდა მხატვრული პერსონაჟის გამიჯვნა ისტორიული პერსონაჟისგან (ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“) მხოლოდ მხატვრული ტექსტის წაკითხვის პრობლემას აჩენს, რაც დროთა განმავლობაში აუცილებლად წარმატებით დაიდრევა.

იმპერიამ კი ისარგებლა სამეფო ოჯახში გაჩენილი დაპირისპირებით, საჩუქრებზე და ორდენებზე გადაგებულ ფეოდალთა სიხარბით და მათი მხრიდან გლეხთა გაძლიერებული ექსპლოატაციით, რომელსაც თან ერთვოდა ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების თარეშით შეწუხებული და უიმედოდ დარჩენილი მოსახლეობის მოლოდინი, რომ ერთმორწმუნე ქვეყანა უსაფრთხოების პირობას მაინც შეუქმნიდა.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით დღეს ჩვენ სულაც არ გვიკვირს, რომ რუსეთის ჯარის თბილისში შემოსვლის 100 წლისთავზე ილია ჭავჭავაძე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის აღსრულებას (საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას) ერთგვარ პოზიტიურ მოვლენად აფასებს:

„ამ ღირსახსოვარი დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა, დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან, დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდარბევა და აკლება; მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-და დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულისა, უშიშარის

ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს. რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინალამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგემ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად, დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვერავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გალვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალს, დიდი რუსეთის მფარველობის იმედით და ნუგემინით ფრთაშესხმული“ (ჭავჭავაძე 1984: 711).

სულ რამდენიმე წელში რადიკალურად იცვლება ეს დამოკიდებულება და ტრაგიკულია იმ სურათის წარმოდგენა, რაც რუსეთის მხრიდან მეფობის გაუქმებამ გამოიწვია ჩვენში, სწორედ იმ ხალხში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აღტაცებული ხვდებოდა რუსი ჯარის გამოჩენას.

ლიტერატურას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ეს ცვლილებები, ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯაში“ მხატვრულ ეპიზოდადაა ჩართული ისტორიულად დადასტურებული განწყობა, საიდანაც კარგად იკითხება ქვეყანაში უმეფობით განცდილი შეშფოთება და საფუძვლიანი ეჭვი, რაზე დაყრდნობითაც ხალხი უცხო ძალების მიერ ქვეყნის ანექსიაში ადგილობრივ მმართველობასაც სდებდა ბრალს:

„ \_სტუმარო, \_ დაიწყო აბდიამ, \_ ამ ხალხს გაგონება უნდა, რაიც საქართველოში ხდება... მართალია, რომ გვიღალატეს, გაგვყიდეს?

\_ თქვენ ყველას გაგონილი გაქვთ, რომ განსვენებულმა მეფე გიორგიმ რუსეთს შუაკაცები გააგზავნა იმ პირობათა შესაკრავად და დასამტკიცებლად, რა პირობითაც რუსები ჩვენში უნდა დარჩენილიყვნენ. ჩვენ ყველას ისე გვქონდა გაგებული და გარდაწყვეტილი, რომ რუსეთს, როგორც მართლმადიდებელ ხალხს, ძმური ხელი უნდა გამოეშვირა ჩვენთვის და შეერთებულის ძალით წინავლდგომოდით მაჰმადიანებს: მაგრამ მეფე მაინც ჩვენი უნდა გვეყოლოდა. ამის სანაგიეროდ ჩვენ უნდა შეგვენახა ის ჯარები, რომელიც საქართველოში იქნებოდა და ცოდაოდენი მახტის მაგიერი ხარჯი გვეძლია მათთვის.

– რად გვინდოდა ისინი, შენი კვნესამე? ათასჯერ ვყოფილვართ გაჭირვებაში, მაგრამ ჩვენვე მოგვიშორებია თავიდგან! – წარმოსთქვა რამდენიმე პირმა.

– მაგაზე ეხლა ლაპარაკი გვიანიც არის და მეტიც. მეფემ და ხალხმა აგრე დაინახეს უკედ, აგრე ამჯობინეს თავის ქვეყნისათვის და აგრე გადასწყვიტეს... ამ პირობათა შესაკრავად მეფემ გააგზავნა შუაკაცები, რომელნიც დაბრუნდნენ და ქალაქში სწორედ მეფის სიკვდილის დღეს შემოვიდნენ. ისინი ჯერ ისევ ვერაზედ იყვნენ, ქალაქში არ შემოსულიყვნენ და მეფე არ ენახათ, როდესაც ჩვენდა ვაგლახად, მეფემ დალია უმანკო სული... დიაღ, მეფემ დალია სული, და იმის უკანასკნელი ჟამი მნახველს გულს მოუკლავდა, ისე იტანჯებოდა განსვენებული. იმის სიკვდილის შემდეგ შემოვიდნენ ქალაქში რუსეთს გაგზავნილი კაცები და მაშინდელმა მართებულობამ გამოაცხადა მეფე გიორგის სურვილად – საქართველოს რუსეთის მფლობელობის ქვეშ შესვლა! ... ეს ხმა ზარსავით დაგვეცა თავს, რადგანაც ჩვენ რუსეთისაგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმად კი გადავიქცეთ ... მართლა მეფემ გარდასცა საქართველო, თუ გაგზავნილებმა გამოსცვალეს ქალაქები და მეფე კი ქალაქში მოწამლეს, როგორც ხმა გამოვიდა, – ეხლაც არავინ იცის...“ (ყაზბეგი 1985 :99).

სწორედ ამას მოჰყვა 1904 წლის მთიულეთის აჯანყება, რომელშიც აჯანყებულთა გვერდით თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც მონაწილეობენ, მათ შორისაა ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, მოწინააღმდეგე მხარეს კი თავად შანშე ერისთავს (ელიზბარ ერისთავის მამას) და ხევის მმართველ მიხეილ ჩოფიკაშვილს (ალექსანდრე ყაზბეგის პაპას) ვხედავთ, ეს უკანასკნელი შუამავლის როლს ასრულებდა მეფის რუსეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების წარმომადგენელთა შორის, რათა გარკვეული საფასურის ნაცვლად მათ უარი ეთქვათ აჯანყებულთა დახმარებაზე.

მოგვიანებით აჯანყებას სათავეში ჩაუდგებიან ბატონიშვილები – ფარნაოზი (ეს ის უფლისწულია, რომელმაც კრწანისში სამასი არაგველი გლეხი ჩაიყვანა საომრად), იულონი და ალექსანდრე. ისინი აჯანყების იდეური ხელმძღვანელები ხდებიან, თუმცა იულონის მიერ სხვა თავადებისადმი გაგზავნილ წერილს, სადაც ის რუსი ჯარის წინააღმდეგ მათ დახმარებას ითხოვს, ქართლ-კახეთის თავადთაგან არავინ

ეხმაურება. „მათ ყველა ეს წერილები წარუდგინეს ვოლკონსკის, ხოლო გორელმა თავადებმა გიორგი ამილახვარმა და ელიზბარ ერისთავმა იკისრეს ბატონიშვილების შეპყრობაც კი, თუ ისინი ლიახვზედ გამოჩნდებოდნენ, რადგამ მათი დაბრუნებისაგან არაფერს კარგს არ მოელოდნენ, გარდა ახალი არეულობისა საქართველოში“ (ტოგონიძე 1952:87).

როგორც ვხედავთ, აჯანყებულები ხალხის გვერდით მათი ინტერესის დამცველად, სამეფო ოჯახში დამკვიდრებული საკუთარი ყმების დაცვის ინერციით კვლავაც ბატონიშვილებს ვხედავთ. ქართლის თავადები კი მზად არიან აჯანყების ჩახშობაში მიიღონ მონაწილეობა და წარმატებითაც ასრულებენ ამ დავალებას. საგულისხმოა, რომ ამ დღიდან მოყოლებული ქვეყანაში გაშლილი ანტკოლონიური მოძრაობის მთელი პერიოდის განმავლობაში (მათ შორის იარაღით დაპირისპირების დროს) ქართველი ერი ერთიანი არასოდეს ყოფილა მტრის წინააღმდეგ.

ამით საბოლოოდ ჩაიშალა თავადაზნაურობას და გლეხობას შორის გადებული ერთ დროს მტკიცე ხიდი და 1832 წლის შეთქმულებაში თავადაზნაურობა მარტო ცდილობს კოლონიალური უღლის გადაგდებას და გატეხილი სახელის გამთელებას. ისინი იმედოვნებდნენ, რომ აჯანყების დაწყების შემდეგ ერთ დროს მათგან მიტოვებული გლეხობა და მსახურთა წარმომადგენლობა მაინც ჩაერთვებოდნენ აჯანყებაში. თუმცა მათ მოლოდინს გამოცდა აღარ ეწერა, რადგან შეთქმულთა მეთაურები თოფის გაუსროლლად აიყვანეს ლოგინებიდან და რუსეთის გზას გაუყენეს.

როგორც ჩანს, იმპერიის მოხელეები უკვე ძალზე კარგად იცნობდნენ ქართულ ხასიათს, იცნობდნენ მათ რომანტიკულ ბუნებას, რომელიც ხშირად არარეალისტური ამოცანების გადაწყვეტას ისახავდნენ მიზნად და შედეგიც შესაბამისად, მხოლოდ რეალობის იმიტაცია უფრო იყო, ვიდრე რაიმე ხელშესახები მიღწევა.

შეთქმულების ჩაშლამ, იმპერატორის მხრიდან შეთქმულთა მიმართ გამოჩენილმა ლმობიერებამ, ვერც წოდებათა შორის ნდობა აღადგინა და ვერც ის სოლიდარობის გრძნობა გააჩინა ქვეშევრდომთა შორის, რასაც მოელოდნენ (სოლომონ დოდაშვილის გარდა, ყველა ცოცხალი დაუბრუნდა თავის სახლს) 1832

წლის შეთქმულებამ, რომელსაც სხვა მიზნებთან ერთად წოდებათა შორის უფსკრულის ამოვსება ჰქონდა ჩაფიქრებული, უფრო გააღრმავა ეს დაპირისპირება მანამდე, ვიდრე ჯერ კრიტიკული რეალიზმის პირველმა წარმომადგენლებმა, შემდეგ კი თეგდალეულებმა, თავად ილია ჭავჭავაძემ, ამ დაპირისპირებით გამოწვეული საშიშროება არ იგრძნეს და ლიტერატურაში, როგორც დემოკრატიული ტალღის პირდაპირი გამოხატულება, დაბალი წოდების ღირსებით სავსე მსატკრული სახეები არ შემატეს კეთილშობილ პერსონაჟთა გალერიას.

ქართველმა მწერლობამ გაითვალისწინა როგორც ბაგრატიონთა გვარის, ასევე თავადაზნაურთა მთელი დასის მრავალსაუკუნოვანი დამსახურება სამშობლოს წინაშე, განსაკუთრებით კი მეფე ერეკლესადმი სიყვარული და სახელი შეუნახა მის შთამომავლობას, რათა ქვეყნის გამოსახსნელად მათი არასაკმარისი მცდელობა ან შიდა დაპირისპირების არაერთი შემთხვევა არ გამხდარიყო უსარგებლო ბრალდებებისა და ბინძური ჭორების გავრცელების საბაზი.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ქართული ელიტარული საზოგადოების ერთმა ნაწილმა ზუსტად წაიკითხა ერეკლეს ანდერძი, რომელიც უპირველესად ქვეყნის ევროპეიზაციას გულისხმობდა. ამ მიმართულებით საკმაოდ გააფართოვა ეროვნული ინტერესი იოანე ბაგრატიონის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გიორგი ერისთავის მოღვაწეობამ, უპირველესად კი მათმა ლიტერატურულმა პოლიტიკამ გამოაჩინა სამომავლო ამოცანები და მათი განხორციელების გზები.

ეს პერიოდი მეცხრამეტე საუკუნის 30-40-იან წლებს ემთხვევა და ეროვნული თვითმყობადობის იდეის აღორძინებასაც უკავშირდება. ითვლება, რომ ამ დროს ჩვენ უკვე გავიარეთ პოლიტიკური რომანტიზმის ხანა, ნაციონალური ცნობიერების განვითარების ეპოქა, გავეცანით მის ზოგად პრინციპებს, ქართული რომანტიზმის თავისებურებებს და ამით გარკვეული საფუძველი მოვამზადეთ რეალიზმში გადასასვლელად, ახალი პოლიტიკური პარადიგმის – ქართული ეროვნული თვითმყობადობის იდეის გასაცნობად.

როდესაც ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის მეორეთი შეცვლას ვაანონსებთ, ეს არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ ისინი ასე გაცხადებულად, თეატრალურად ცვლიან ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ (თუ ბარათაშვილის შემოქმედებით

დინამიკას გავითვალისწინებთ) რომანტიზმი კერ კიდევ არ იყო თავის მწვერვალს მიღწეული, როდესაც რეალიზმი უკვე ლიტერატურული სივრცის დაპატრონების სხვადასხვა გზას ეძებდა.

ეს პერიოდი ემთხვევა კავკასიაში მთავარმართებლის თანამდებობაზე რუსეთის დაპყრობითი ომების ერთ-ერთი წინამძღოლის, გენერალ-ფელდმარშლის, რუსი თავადის, მიხელ ვორონცოვის დანიშვნას, რომელმაც ქვეყნის კოლონიზაციისა და იმპერიასთან სრული შერწყმის პოლიტიკა საკმაოდ დახვეწილი და მოქნილი მეთოდებით წარმართა. ეს კი უპირატესად კულტურულ-საგანმათლებლო ცხოვრების გააქტიურებაში – ქართული თეატრის აღდგენა, საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა, ადგილობრივ თავად-აზნაურთა შვილების გაგზავნა რუსეთის სასწავლებლებში – გამოიხატა.

„ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ (ტომი 1) შესავალში პროფესორი დავით გამეზარდაშვილი ვორონცოვის მოღვაწეობის წლებს ასე აფასებდა:

„ვორონცოვმა, რომელსაც კარგად ესმოდა ცარიზმის ინტერესები კავკასიაში, ხელი მოჰკიდა მოქნილი და უფრო მშვიდობიანი ღონისძიებების გატარებას. იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებებში იგი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ იარაღის გამოყენებას და მთავარმართებელთა გადაჭარბებულ აჩქარებას ბევრი ცუდი შედეგი მოჰყვება. ვორონცოვმა ალღო აუღო ადგილობრივ მაღალ წოდებას და გადაწყვიტა მთავარი დასაყრდენი მასში ეპოვა. მან მაღალ წოდებას მთელი რიგი უფლებრივი უპირატესობანი მიანიჭა, რითაც მოახერხა მისი დიდი ნაწილის გადაბირება მეფის რუსეთის მხარეზე. იარაღის ნაცვლად ვორონცოვი ადგილობრივ მცხოვრებთა დასამორჩილებლად და შემოსარიგებლად სხვა საშუალებებთან ერთად იყენებდა პირად ურთიერთობას, სკოლას, თეატრს, ეკლესიას, ვაჭრობას და სხვ. იგი გზას უხსნიდა ადგილობრივ ელემენტებს, თუკი მათში ხედავდა ერთგულ მოხელეებს. ასეთი პოლიტიკის მეოხებით ქართველი თავადაზნაურობა ფართოდ ჩაება სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი მონდომებითაც იღვწოდა ჩინ-მედლებისათვის“ (გამეზარდაშვილი 1972: 14).

ამ მოვლენებს შემდეგ თავებში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ და მის დადებით და უარყოფით მხარებსაც გავაანალიზებთ, თუმცა ჯერ მთავარ თემებზე უნდა შევჩერდეთ, უნდა ვისაუბროთ იმ საკითხებზე, რომლებმაც იმდროინდელ ეპოქალურ ცვლილებებს დაუდო სათავე და მისი ეროვნული თავისებურებების ხასიათიც განსაზღვრა.

მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლები, რომელთაც ჩვენში „ვორონცოვის წლებად“ იხსენიებენ, ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან, როგორც კულტურული, ასევე საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ეს პერიოდი აშკარად უფრო ნაყოფიერი გამოდგა და მას, როგორც ისტორია აფასებს, თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა.

ძალზე საინტერესოა ამ თემის ირგვლივ მკვლევარ თამაზ ჯოლოგუას მოსაზრება:

„ვორონცოვის კავკასიური პოლიტიკის- მიზანდასახულობა... ეს იყო – რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია, ოღონდ აუცილებლად ქართველთა ენობრივი დაკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და აღორძინებით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველი მოღვაწეებისათვის, დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სავსებით მისაღები აღმოჩნდა ასეთი პერსპექტივა, მით უმეტეს, ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის ევროპეიზაციის გზით“ (ჯოლოგუა 2011: 137).

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ ქართული საზოგადოება სრულიად მზად იყო არა მხოლოდ თეატრის დაარსებისთვის, არამედ ჟურნალის გამოცემისა და სწავლა-განათლების მისაღებადაც. მიხეილ ვორონცოვმა კი მათი ნდობის მოსაპოვებლად სწორედ ამ სურვილების აღსრულება აიღო საკუთარ თავზე და მიუხედავად იმისა, რომ ის უპირველესად რუსეთის მეფის უერთგულესი მსახური იყო და კავკასიაში განხორციელებული მისი პოლიტიკის მიზანიც მხოლოდ იმპერიის გაძლიერებას გულისხმობდა, საგარეო და საშინაო პოლიტიკური პროცესები იმგვარად წარმართა, რომ დაპყრობილ ქვეყნებს (ამ შემთხვევაში საქართველოს) მიეცა შესაძლებლობა კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ერთგვარი გაუმჯობესებისა, რამაც თავის



მხრივ საზოგადოების ერთ ნაწილს თვითრწმენა დაუბრუნა და გადაუდებელი ღონისძიების განხორციელების აუცილებლობაც დაანახვა.

სწორედ ამ დროიდან იწყება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ეტაპი, ხოლო ჩვენი ლიტერატურისთვის სრულიად განსხვავებული ხანა, რომელიც არსებული მსოფლმხედველური მიმართულების ცვლილებასა და ახალი სტილის (ამაში დასარწმუნებლად გიორგი ერისთავის შემოქმედების გადახედვაც კი საკმარისია) დამკვიდრებაში გამოიხატა.

ვორონცოვმა თითქმის მთლიანად შეცვალა იმპერიის დამოკიდებულება კოლონიური ქვეყნისადმი. მისი მმართველობის პერიოდში რუსეთის მკაცრი რეჟიმი შერბილდა და „მათრახის“ პოლიტიკას „თაფლკვერის“ პოლიტიკა ჩაენაცვლა.

საზოგადოების დამოკიდებულება ამგვარი პოლიტიკის მიმართ იმთავითვე ორად გაიყო. ერთნი მას კულტურული აღორძინების ხანას უწოდებენ (არჩილ ჯორჯაძე), ხოლო მეორენი (ალექსანდრე ორბელიანი) მიხეილ ვორონცოვის „მეგობრულ“ დახმარებაში მხოლოდ მოტყუებას და ცბიერებას ხედავდნენ.

ვახტანგ კოტეტიშვილი ამ საკითხზე მსჯელობის დროს სწორედ ალექსანდრე ორბელიანის სიტყვებს იმოწმებს და აცხადებს, რომ „მისი (ალექსანდრე ორბელიანი) სტრიქონებიდან მომწიფებული პოლიტიკური აზროვნება ისმის, რაც მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანისად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ საზოგადოების ერთი ნაწილის აზროვნებად. ამ ნაწილმა სწორად აუღო ალლო და ვორონცოვის „მეგობრული“ დახმარებაში მოტყუება და ცბიერება დაინახა. ეს მიმართულება სწორ გზაზე იდგა. თვით რუსეთის ოფიციალური ისტორიკოსები შემდეგში აღარ მალავდნენ ვორონცოვის პოლიტიკის ფარულ აზრს და წერდნენ: „კავკასიის მრავალ ტომთა შედუღება რუსის ხალხთან იყო ვარანცოვის მთავარი მიზანი, რომლისკენაც ვარანცოვი დაუღალავად მიისწრაფოდა“ (კოტეტიშვილი 1965:170).

და ვის შეეძლო, რომ ამ აზრს შეწინააღმდეგებოდა, ვინ იტყოდა, რომ ვორონცოვის პოლიტიკა მოტყუება და ცბიერება კი არ იყო, არამედ ეს ყველაფერი მხოლოდ ქართველი ერისადმი ზრუნვის სურვილით იყო ნაკარნახევი? მაგრამ განა ვორონცოვს კი შეეძლო იმის წარმოდგენა, რომ მისი შეგნებულად რუსიფიკატორული პოლიტიკა

სრულიად საპირისპირო შედეგს გამოიღებდა და სწორედ თეატრი, პრესა და სკოლა გახდებოდა ქართველი ერისთვის ის აუცილებელი პირობა, რომელიც სულ რაღაც ერთი ათეული წლის შემდეგ საუკეთესო სოციალურ გარემოს შექმნიდა ქვეყანაში თერგდალეულთა (მათ შორის ილია ჭავჭავაძის) სამოღვაწეოდ.

ცხადია, რომ მთავარმართებელს (ისევე, როგორც იმპერიას) მიზნად კავკასიის ხალხთა რუს ხალხთან შერევა და მცირე ერების (ენების) მოსპობა ჰქონდა განზრახული და ამ მიზნის მიღწევას ის მთელი თავისი ძალითა და შესაძლებლობით ცდილობდა. მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო იმ დროს ქართველი ხალხის დამოკიდებულება ამგვარი ცბიერი და მტრული პოლიტიკისადმი? უნდა ესარგებლა ქართულ საზოგადოებას შემოთავაზებული სიკეთით (საუბარია პრესიის დაარსებაზე, თეატრის გახსნაზე, ქართველი ახალგაზრდებით სტიპენდიებით უზრუნველყოფაზე და სასწავლებლად პეტერბურგში გაგზავნაზე) თუ აჯანყების დროშა უნდა აეფრიალებინა და შუასაუკუნეებრივი დევიზისთვის („ან სიკვდილი ან გამარჯვება“) ახალი ძალა შთაებერა?

დაპყრობილ ერს თავისი წინააღმდეგობის არსენალში სხვადასხვა იარაღი უნდა მოეპოვებოდა. ამ სხვადასხვაგვარი იარაღის არსებობაზე და მისი გამოყენების მიზანშეწონილობაზე მიუთითებდა მოხუცი მონარქი თავის მდივანბეგს: „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა“ (ბარათაშვილი 1954:72), როდესაც ურჩევდა, რომ ქვეყანას ამ ჟამად მშვიდობიანობის სტრატეგია აერჩია მტერთან საბრძოლველად.

დედამიწაზე ყველა ქვეყნის მიზანია საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდეს, თუმცა სუვერენულ სახელმწიფოსაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი აქვს. ამ გზაზე მას შეუძლია სრულიად დამოუკიდებლად იაროს, ან შეიძლება რაღაც მიზნით დროებით რომელიმე კავშირში გაერთიანდეს (ავტორი უშვებს ამ შესაძლებლობას, თუ ის ძალადობით არ განხორციელდება), საუკუნეში ერთხელ კი მან თავისი იდენტობა უნდა გადაამოწმოს, რომელიც მაქსიმალურ თავისუფლებას ითხოვს. ჩვენ თვალწინ მოხდა, რონ დავაღწიეთ თუ არა რუსული იმპერიალიზმის კლანჭებს თავი, უმალ ახალი კავშირების ძებნა დავიწყეთ და ეს სრულიად ბუნებრივია. ერის (პიროვნების) თავისუფალი ნება არ უნდა შეიზღუდოს

თავისუფლების იდეით. თუმცა, ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნებისმიერ კავშირში გაერთიანება მომავალშიც ჩვენი თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე მოხდება, რადგან გაზრდილი უსაფრთხოება თავისთავად მეტ პასუხისმდებლობასაც გულისხმობს.

შემთხვევითი არ არის, რომ ბარათაშვილის ამ სტრიქონებში „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა“ (ბარათაშვილი 1954:72), მონარქი (ავტორი) აწმყო დროზე („ახლა“) აკეთებს მინიშნებას. ისიც თავისთავად იგულისხმება, რომ მშვიდობის გარანტიას (პირობას, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მხოლოდ აწმყო („ახლა“) ქმნიდა, ერთი მხრივ, ქვეყნის ძალზე საეჭვო მომავლით, ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიოს იმდროინდელი პოლიტიკის და ახალი რეალობის („ახალი ისტორიის“) გათვალისწინებით, რომელსაც უთუოდ გულისხმობდა ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ოდნავ მინიშნებასაც კი არ აძლევს მკითხველს.

ზოგიერთი ანალიტიკოსი ამგვარი „მშვიდობის“ აუცილებლობას ერის დაუძღვრებით ხსნის და წინააღმდეგობაზე ხელის აღებასთან აიგივებს. მშვიდობიანობის არჩევანს ე.წ. „უმოქმედობის სიბრძნეს“ ადარებს (ასეთი მქადაგებელი ყოველთვის შორიდან აქეზებენ ხოლმე მეომრებს) . ვფიქრობ, აქ ამ სიტყვის მნიშვნელობის დევალვაციასთან გვაქვს საქმე, ეს ტენდენცია კარგად აჩვენა ილია ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“, როდესაც მოხვევსთან კამათში წარსულ დროების („ადრიდა“ ) უპირატესობის გასაბათილებლად და საპირწონედ მშვიდობა, როგორც ყველაზე წონადი არგუმენტი („ეხლა რომ მშვიდობიანობა არის“) გამოიყენა ( ჭავჭავაძე 1988:30).

ამ აზრის საწინააღმდეგო არგუმენტები, რომ „ცარიელი მშვიდობა“ უსარგებლოა, რადგან „უხმარ სატევარს ჟანგი დაედების“, ხოლო „უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდების“ მხოლოდლა მხატვრული ხერხია, ფრთიანი გამოთქმაა, მოსწრებული სიტყვაა, მაგრამ არცერთ „სასამართლოში“ ამგვარი „მეტაფორა“ საბუთად არ გამოდგება. მოხვევე ძველი, რომანტიკული საქართველოს შვილია, მის საუბარში ყველაზე ხშირად ისმის სიტყვა „ადრიდა“, ის რუსთაველის აფორიზმზე – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ – არის

გაზრდილი. ოღონდ ესაა, რომ აქ ღირებულებები აღრეულა და და მზად არის „ბიჭობის“ დასამტკიცებლად, სახელის დასაგდებად, პირველივე მომხვედურს შეაკლას თავი, რადგან მისი მორალი მშვიდობის თხოვნას (თუნდაც დამნაშავე იყოს) სამარცხვინო საქციელად მიიჩნევს (ამის შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს ალექსანდრე ყაზბეგი „მოდვარში“, როდესაც ახალგაზრდა მოხვევე ონისე თავის მეზობელ გელას უპირისპირდება):

„\_ბიჭავ, შენმა გაზრდამ, განვშორდეთ ერთმანეთსა, ის ემჯობინების.

\_ მშიშარაუ, მშიშარაუ!... აჰუ!... შრცხვეს ის კაცი, ვისაც იარაღი ხელში უჭირავს და შერიგებაზედ უბნობს“ (ყაზბეგი 1985:432).

ამ სიტყვებში წარსულის შემადრწუნებელ რეალობას გვიხატავს მწერალი. მართალია, მას შემდეგ საუკუნუნახევარი გავიდა, მაგრამ ამ მხრივ ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა ჩვენში. თუმცა, რატომ უნდა შეცვლილიყო, ამ საუკუნუნახევრის განმავლობაში განა ვინმე შეუშფოთებია ამ სიტყვებს ?!

დავუბრუნდეთ ისევ ვახტანგ კოტეტიშვილის შეფასებას მე-19 საუკუნის 40-იანი წლების სამოქალაქო საზოგადოების ქმედების მიმართ და საყვედურს იმის გამო, რომ ისინი ვორონცოვის პოლიტიკას უჭერნენ მხარს:

„იმედთა ასეთმა დაღუპვამ გამოიწვია ჯერ შემართება, ბრძოლა, მაგრამ როდესაც ეს ბრძოლა დამარცხდა, შეიქმნა რაღაც გაბრუებული სულისკვეთება, ათრეული ცხოვრება, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო“. პასივობის სიბრძნე პრაქტიკულ ფილოსოფიად გამოცხადდა, თითქოს ყველა თავის ნაბადში გამოეხვია და გაყრუვდა ქვეყანა“ (კოტეტიშვილი 1965: 184).

ჩვენ კი ახლა უფრო მეტი სითამამით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლოა ისინი არც იმსახურებდნენ ამგვარ ბრალდებას. მათი არჩევანის „პასივობის, უმოქმედობის ფილოსოფიად“ გამოცხადება არც თუ სამართლიანი მსჯავრი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონების ავტორს (ვახტანგ კოტეტიშვილს) ყოველნაირი უფლება ჰქონდა (ეს მან თავისი ტრაგიკული ცხოვრებით დაიმსახურა), გამბედაობა და შემართება დაეწუნებინა საზოგადოებისთვის:

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის ქართულმა საზოგადოებამ, შესაძლოა ქვეყნის ისტორიის განმავლობაში ერთადერთხელ, მტრის (რუსეთის იმპერიის და ვორონცოვის) ცბიერი პოლიტიკა გამოიცნო, ტყუილს მიუხვდა, მისი სხვადასხვა მზაკვრული ხერხი გაშიფრა და თავსმოხვეული ზოგი ჭირისგან სარგებელი ნახა.

ამ პირობებში განვლო რომანტიზმის არცთუ ხანგრძლივმა პერიოდმა. იმ ფუნდამენტურმა მოვლენებმა, რომლებიც ჩვენ რომანტიკული განწყობის სოციო-პოლიტიკური პარადიგმის მიზეზად დავსახეთ, კვლავაც განაგრძო არსებობა. ოღონდ პროცესებში შედეგებიც გამოკვეთა და მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ჩვენ უკვე ვსაუბრობთ ფეოდალიზმის ნაშთების სარეაბილიტაციო პროცესზე, კოლონიურ მდგომარეობასთან ადაპტირებაზე და პანდემიური შიშით ადამიანის ქცევაში გამოწვეულ ფსიქოლოგიურ და ფსიქიკურ ცვლილებებზე.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ქართულ მწერლობაში ერთდროულად მოქმედ მრავალსახოვან ტენდენციებს გურამ ასათიანი ასე გვიხასიათებს:

„მართალია, რომანტიკული მიმართულება სულ უფრო და უფრო ფართოდ იკაფავდა გზას და ეპოქის მოწინავე მხატვრული მოძრაობის მნიშვნელობას იძენდა, მაგრამ ამავე დროს ძალზე ინტენსიურად მოქმედებენ სრულიად სხვა ხასიათის ლიტერატურული ძალებიც.

ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ამ დროს კლასიკური ტრადიციის ინერცია (ძველი ქართული პოეზიის მოტივები და ფორმები), სხვადასხვა სახით მჟღავნდება კლასიციზტური და განმანათლებლური ესთეტიკის გავლენა, ჩნდება რეალისტურ მიდრეკილებათა პირველი ნიშნებიც, თვით რომანტიკული ნაკადიც მეტად არაერთგვაროვანია, და ხშირად დიამეტრალურ უკიდურესობებში იჩენს თავს“ (ასათიანი 1988:67).

მართლაც, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გავლენით იცვლება წარმოდგენები და შეხედულებები, სინამდვილისადმი უკმაყოფილებას, წარსულისადმი აწმყოს დაპირისპირებას, მომავლისადმი უიმედობას, რომანტიკულ

ჩივილებს თვითკრიტიკა და არც მეტი, არც ნაკლები, გესლიანი დაცინვა და მწარე სიცილი ენაცვლება.

ფაქტობრივად, აქ უკვე ადრეული რეალიზმის სახე იკვეთება. კრიტიკოსი თამაზ ვასაძე ასე ახასიათებს ამ პერიოდს:

„ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულებამ, მისმა მარცხმა დიდი როლი შეასრულა ქართული რომანტიზმის ფორმირებაში. ქართულ პოეზიაში გამოვლენილი რომანტიკული შეუთავსებლობა რეალობასთან, პესიმიზმი და „მსოფლიო სევდა“, თავშესაფრის ძიება გარემომცველი მკაცრი ემპირიულ-კონკრეტული სინამდვილის მიღმა ბევრად განსაზღვრა შეთქმულების მარცხის მტკივნეულმა აღქმამ ქართული ცნობიერების მიერ. მაგრამ თუ ამ ფაქტის უშუალო ზემოქმედებამ ქართული რომანტიზმის ჩამოყალიბებას მისცა ძლიერი ბიძგი, მისმა დროში განფენილმა, გახანგრძლივებულმა, შორსმწვდომმა ზემოქმედებამ, ჩვენი აზრით, ქართული რეალიზმის აღმოცენებას შეუწყო ხელი

შეთქმულების მარცხი თანდათანობით იქცა ქართული ცნობიერების გამომაფხიზლებლად, ისტორიული რეალობის დაკვირვებული აღქმის და შესწავლისთვის მის განმაწყობლად. ამგვარი მძიმე განსაცდელის გამომვლელი ცნობიერება უფრო თვითკრიტიკული ხდება, ცდილობს უფრო საფუძვლიანად გაერკვეს ნაციონალური საზოგადოებრივი ცხოვრების რაობაში და ეს გამოხატულებას პოეზებს ლიტერატურაში, რომელშიც წარმოიშობა და შემდეგ ძლიერდება რეალიზმი“ ((ვასაძე 2015:5)

ტერმინი „რეალიზმი“ ლათინური სიტყვიდან “რეალიდან” მომდინარეობს, რაც საგნობრივს, ნამდვილს ნიშნავს. რეალობის, სინამდვილის ასახვა ამ ლიტერატურული მიმდინარეობის უპირველესი მოთხოვნაა.

რეალიზმის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი არა მარტო სინამდვილის ასახვაა, არამედ მისი განალიზება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ძიებაა. სწორედ ამ ანალიტიკური ბუნების გამო უწოდებენ XIX საუკუნეს „კრიტიკულს“. საერთოდ კი, მიღებულია, რომ რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, ჩვენში XIX

საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა და თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა განვითარებას.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხელოვნების დარგებს და, მათ შორის ლიტერატურას, აქვს თავისთვის ყველაზე კომფორტული პერიოდები, როდესაც საკუთარ შესაძლებლობას მაქსიმალურად ამჟღავნებს.

თქმა არ უნდა, რომ რომანტიკული განწყობა უფრო პოეტურ ფიქრებს აღძრავს, ვიდრე რეალისტური ხედვა. ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ რეალისტურ პოეზიას ზოგიერთი ფილოსოფიური აზრების გართმევად წარმოგვიდგენს.

ამ ფონზე მთიდან დაბლა ჩამოსვლას ემსაგავსება რომანტიზმიდან რეალიზმში გადასვლის პროცესი: „მაღლიდამ დაბლა ჩამოსვლა,/ ვაჰმე, რა მეტად ძნელია“ (ვაჟა-ფშაველა 1979:109), მაგრამ იცვალა დრო და ჩვენ შეგვიძლია მაქსიმალური სიზუსტით მოვნიშნოთ ლიტერატურის ერთი მიმდინარეობის მეორეთი ჩანაცვლების პროცესი, თუ სოციო-პოლიტიკური ვითარების პარადიგმის ცვლილებას და სხვა შემეცნებითი პროცესების დინამიკას მივადევნებთ თვალს :

„თუ ჩვენი რომანტიკოსები რომანტიზმის თეორიული პრინციპების შესწავლის გარეშე რომანტიკოსებად აღმოჩნდნენ თავიანთი განცდებითა და აზროვნების წყობით, ქართველი რეალისტები, უფრო კი მესამოციანელები, საფუძვლიანად გაეცნენ რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლებსაც და იმ კრიტიკულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რომლებიც მოწინავე რუსმა მოაზროვნეებმა ჩამოაყალიბეს. ასე, რომ ქართველ რომანტიკოსებთან შედარებით, ისინი უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ: მათ შესაძლებლობა ჰქონდათ თავიდანვე ნათელ პოზიციაზე დამდგარიყვნენ და ამ სახით დაეკმაყოფილებინათ სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომა და მისწრაფება“ (კვიციანი 2009:72).

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ თემას, რათა გავარკვიოთ, რას გულისხმობს კრიტიკოსი „ნათელ პოზიციაში“, მანამდე კი უნდა შევნიშნოთ, რომ რეალიზმი ჩვენთან ბევრად ადრე, მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო და მის სათავეში გიორგი ერისთავი, ლავრენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე იდგნენ.

გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებში ან კულტურულ-ლინგვისტურ სივრცეში ამა თუ იმ ლიტერატურული მომდინარეობის გაბატონება მხოლოდ ესთეტიკური პრინციპების ცვლილებას და სამყაროს სუბიექტურად ხედვის სხვაგვარად კორექტირებას არ გულისხმობს. რომანტიზმის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ მისი ფუნქცია შორს ცდება ლიტერატურულ საზღვრებს, მისი ინტერესი ნაციონალური სივრცის ვრცელ ისტორიულ-კულტურულ არეალს მოიცავს:

„რომანტიზმის ერთ-ერთი ცენტრალური იდეაც სწორედ ნაციონალური ცნობიერების გაბატონება იყო – ადგილობრივი პრობლემების, ტრადიციების და ჩვეულებების ევოლუაცია, რაც ხელს უწყობდა რომანტიზმის არა მარტო განვრცობას ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით, არამედ ევროპის რუკის გადაწერას ნაციონალური თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების, ახალი იდენტობის ძიების კულტურული პროცესის ფონზე“ (რატიანი 2015:105)

მკვლევარის (ირმა რატიანის) აზრით, რომანტიკოსებს ძალიან ბევრი საერთო ნიშანი (ცხოვრების სტილი, სიკვდილის მოტივაცია, საერთო ესთეტიკური პრინციპები) აკავშირებს ერთმანეთთან, მათი განსხვავება კი ძირითადად ეროვნულობის განცდაში ვლინდება. ქართული რეალობიდან გამომდინარე, ჩვენს რომანტიკოსთა შემოქმედებაში ვრცელი ადგილი უჭირავს რუსული კოლონიალიზმის თემას. თუმცა მათი ფიქრი გაორებულია. დაპყრობილი ქვეყნის დამპყრობელთა სჯულის ერთობა ბევრ მათგანს აბნევს, სოლომონ მსაჯულის გაფრთხილება (ნიკოლოზ ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“), რომელიც სწორედ ამ საშიშროებას გულისხმობდა, თითქოს დავიწყებას ეძლევა:

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა

არარას არგებს, ოდეს თვისება

ერსა მის შორის სხვადასხვაობდეს“ (ბარათაშვილი 1954:72)

ამ წინააღმდეგობის დასაძლევად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მემკვიდრეობითობის განცდას, რომელიც ქართველმა რეალისტებმა, უპირველესად კი ილია ჭავჭავაძემ იგრძნო რომანტიკოს პოეტებთან (ბარათაშვილი) და ეს სიახლოვე



მის პოეტურ გადაძახილში გამოხატა. მკითხველს შევახსენებ, რომ ერთი მხრივ, ასე დაასრულა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი სიყმის შედეგური „შემოღამება მთაწმინდაზე“:

„რომ გათენდება დილა მზიანი

და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“ (ბარათაშვილი 1954:14).

მეორე მხრივ, თითქოს ისტორიის გრძელ გზაზე ამანათი ჩამოართვა და ასე დაიწყო ილია ჭავჭავაძემ თავისი საპროგრამო ტექსტი პოემაში „აჩრდილი“:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა

და გაანათლა ქვეყანა ბნელი ...“ (ჭავჭავაძე 1987: 179).

აქ უკვე იგრძნობოდა, რომ რეალიზმის წარმომადგენლებმა შინაარსობრივად გაიაზრეს რომანტიკოსთა „საუკეთესო ინტერესები და მასში ეპოქისა და დროის შეაფერისი ცვლილებები შეიტანეს, რაც „ანტიკოლონიური მოძრაობის ისტორიულად გამომუშავებულ სარწმუნოებრივი სტრატეგიის ეროვნული სტრატეგიით ჩანაცვლებას გულისხმობდა (რატიანი 2015:108).

ეროვნულმა სტრატეგიამ მთლიანად შეცვალა როგორც პოლიტიკური ორიენტაციის ვექტორი, ასევე „მტერ-მოყვარის“ ადრეული გაგება და როგორც „კავკასიელის“, ასევე „საერთო კავკასიის“ რომანტიკოსთაგან დავიწყებული და გარემოებათა გამო უარყოფილი ისტორიული ტერმინი ააღორძინა.

ეს იდეა ასე დეკლარირებულად მთელი ქვეყნის სანუკვარ ოცნებად წარმოგვიდგინა ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში „ქართლის დედა“:

„მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი:

ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,

მთელი კავკასი მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,

ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა“ (ჭავჭავაძე 1987:201).

ეს სიტყვები ერთგვარ დისონანსად და წარსულთან დაპირისპირების მაგალითად ისმის სწორედ ნიკოლოს ბარათაშვილის ამ სტრიქონების გვერდით:

„ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა,

შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა...“ (ბარათაშვილი 1954:53).

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობისა და თაობათა შორის პოლიტიკური შეხედულებათა სხვადასხვაობისა, სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია რომანტიკოსთა (უპირველესად, ბარათაშვილის) დადანიშნულება ანტიკავკასიურ განწყობაში, რადგან მათი ქმედება იმდენად შურისძიების გრძნობით არ ყოფილა მოტივირებული, რამდენადაც ის სრულად ადეკვატური პასუხი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში წახალისებული ანტიქართული პოლიტიკისა, რომელიც საუკუნების განმავლობაში მიმართული იყო სამხრეთი მეზობლის სახელმწიფოებრიობის მოშლისკენ, რამაც ჩვენი ქვეყანა აიძულა, რომ პოლიტიკური და სამხედრო დახმარება სწორედ რელიგიური ნიშნით ეძებნა.

თუმცა ეს ხედვა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სრულიად შეიცვალა. საერთო გაჭირვებამ ძველი ყონალები (მეგობრები) ერთმანერთისკენ მოახედა და კვლავაც ერთმანერთის მოიმედედ აქცია. ისტორიულად კი ეს პერიოდი ლიტერატურულ ასპარეზზე თერგდალეულები გამოსვლას, 1832 წლის შეთქმულთა პოლიტიკურ რეაბილიტაციას დაემთხვა, რამაც, ერთი მხრივ, სოციო-პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებას, ხოლო, მეორე მხრივ, რეალისტურ ხედვას, საერთო პოლიტიკური მტრის ხატის შექმნას შეუწყო ხელი.

### **5.1. ახალი ცხოვრების პირველი რეალისტური სურათები გიორგი ერისთავის შემოქმედებაში**

XIX საუკუნეში ყველა პირობა შეიქმნა ცივილიზებული მსოფლიოსთვის, რომ დრო-ჟამის ამ მონაკვეთისთვის ეპოქათა მიჯნა გვეწოდებინა. ტექნოლოგიური სიახლე, მსოფლმხედველობრივი ცვლილება და მასთან ერთად ახალი ადამიანური

საზრისის ჩამოყალიბება აუცილებელ პირობას ქმნიდა არა მხოლოდ სოციო-პოლიტიკური, არამედ ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართულებით მათი საერთო წინსვლისთვის.

თუ ამ ფონზე იმდროინდელი საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას გადავხედავთ, სასიამოვნო გაკვირვება დაგვეუფლება იმის გამო, რომ, მიუხედავად ქვეყნის კოლონიური მდგომარეობისა და ამ მიზეზით გამოწვეული მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, ჩვენში ერთი დღითაც არ დაუგვიანია ჯერ რომანტიკულ, შემდეგ რეალისტურ, შესაბამისი მხატვრული სახეებით გაფორმებულ, საუკუნის მსოფლმხედველურ განწყობას, რომელმაც კარგი საფუძველი მოამზადა ჩვენში, რათა ქართული მწერლობა დიდი კულტურების გვერდით მსოფლიო ლიტერატურული პროცესების მონაწილედ დარჩენილიყო.

დღევანდელი გამოცდილებიდან თუ შევაფასებთ, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ეს არის ერთმანეთში არეული გვიანი ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური უთანასწორობა, ცნობიერების რადიკალური ცვლილება, იმპერიული კანონების დაპირისპირება ქართულ სამართალთან, ეროვნული ადათ-წესების გაუქმება და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებთან შეგუების სირთულე და ამ ქაოსში თითქმის აღარ იხილვება გადარჩენილი საუნჯის ის სვეტები, რომელთაც მომავალში ეროვნული სხეული უნდა დაეყრდნობოდა.

რომ არა ლიტერატურული ტექსტები, რომელთაგან ზოგიერთი დღეს ჩვენთვის ისტორიული მატრიანის ფუნქციასაც ასრულებს, მეცნიერების სხვა დარგები რამდენადმე უძლურნიც იქნებოდნენ დოკუმენტური სიზუსტით გადმოეცათ იმდროინდელი სოციო-პოლიტიკური ვითარება, ეროვნული წინააღმდეგობის სურათები, კლასობრივი დაპირისპირების ნამდვილი მიზეზები და მდგომარეობა, ადამიანური ყოფის სხვადასხვა დეტალი. თუ ამ კუთხით შევაფასებთ მე-19 საუკუნის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ვნახავთ, რომ ქართულმა მწერლობამ ჩვეული პასუხისმგებლობით იტვირთა ამ სიცარიელის შევსება...

მართალია, ჩვენში ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარი იდეა უპირველესად ეროვნული თვითმყობადობის თემას დაეყრდნო, თუმცა ამ გზაზე ჩვენ ვერ უგულვებელყოფთ გიორგი ერისთავის, ლავრენტი არდაზიანიანისა და დანიელ

ჭონქამის ღვაწლს. ამ მწერლებმა უმწვავესი სოციალური და ეკონომიკურის საკითხები გამოიტანეს სააშკარაოზე და მათი ზუსტი მხატვრული განზოგადებაც შეძლეს. ამასთან ერთად გიორგი ერისთავმა არიტოკრატიისა და ბურჟუაზიული კლასის დაპირისპირებაც გვაჩვენა, ლავრენტი არდაზიანმა ბურჟუაზიული კლასის ჩამოყალიბების პროცესი აღწერა, ხოლო დანიელ ჭონქამემ ბატონყმური ურთიერთობის ნეგატიური მხარე დაგვანახა, რითაც ბატონსა და ყმას შორის „მამაშვილური ურთიერთობის“ თეორია (ალექსანდრე ორბელიანი) საფუძვლიანად საეჭვო გახადა.

გიორგი ერისთავის კომედიებში გამოყვანილნი ჩარჩ-მევახშეთა (კარაპეტა, მიკრიტუმა, მარტირუზა) სახეები თავიანთ სრულყოფილებას ლავრენტი არდაზიანის მეჯღანუაშიღში აღწევენ, მათ შორის ბევრი რამ არის საერთო.

თუმცა ჩვენს მსჯელობაში ლიტერატურის ისტორიის ამ ხაზს ვერ გავყვებით, რადგან ლავრენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქამე სამწერლო ასპარეზზე საუკუნის მეორე ნახევარში გამოვიდნენ და ამით ისინი ჩვენი კვლევის საზღვრებს სცდებიან. ამავე დროს ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით კიტა აბაშიძის „ეტიუდებში“ გამოთქმული საყურადღებო აზრიც გავითვალისწინოთ, სათანადო ყურადღება დავუთმოთ მის მსჯელობას; ქართველი მკვლევარი ცნობილი ფრანგი კრიტიკოსის ბრიუნეტიერის ევოლუციის მეთოდზე დაყრდნობით იკვლევს მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას. ვნახოთ, თუ როგორ უხნის კიტა აბაშიძე მკითხველს ამ მეთოდის არსს:

„როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში არის გვარი, ლიტერატურული ჟანრი, ფორმა. ეს გვარი, ჟანრი, ფორმა, როგორც ბუნების ყოველი ნაწარმოები, იბადება, იზრდება და მერე კვდება ან გ ა რ დ ი ც ვ ლ ე ბ ა სხვა მონათესავე გვარად. ამა თუ იმ გვარის დაბადებას, ისე როგორც მის აყვავებასა, მოსპობას და გარდაცვლას – ტრანსფორმაციას ხელს უშლიდა ან ხელს უწყობდა ზოგიერთი პირობა, ზოგიერთი გარემოება. სხვადასხვა გვარს შორის მხოლოდ ის სცოცხლობდა და ძლიერდებოდა, რომელიც უფრო ღონიერი იყო და რომელსაც ძალ-ღონე შესწევდა, თავისდა სასარგებლოდ მოეხმარა სხვადასხვა გარემოება და პირობა. ერთის სიტყვით, ლიტერატურაშიაც მოქმედობდა კანონი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ს შ ე რ ჩ ე ვ ი ს ა. აქაც

სხვადასხვა გვართა შორის სწარმოებდა ცხოვრებისათვის ჭიდილი, მეტოქეობა, ბრძოლა, საუკეთესო და იდეალური, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, და ჭიდილი ესე თავდებოდა მით, რომ ერთი გვარი (ლიტერატურულის ნაწარმოებისა) გზას უთმობდა მეორეს, ხოლო თვით კი ან მთლად მოისპობოდა, ანდა გარდაიცვლებოდა მეორე გვარად“ (აბაშიძე 1962:4)

სწორედ ამ მეთოდზე დაყრდნობით მკვლევარი ამართლებს თავის გადაწყვეტილებას, რომ „ეტიუდებში“ მხოლოდ იმას მიაქცია ყურადღება, ვისაც რაიმე ადგილი უჭირავს ევოლუციის მიმდინარეობის სხვადასხვა საფეხურზე და არ ახსენებს მათ სახელებს, რომელთაც არავითარი როლი არ უთამაშია ამა თუ იმ ცვლილებაში (მაგ., ალ. ორბელიანი, ბარბ. ჯორჯაძისა, თუმანიშვილი, მაჩაბელი და სხვა მრავალი).

ამ მეთოდის ერთგულებამ მკვლევარს ხელი ააღებინა ისეთი მწერლების ნაწარმოებების განხილვაზე, როგორებიც არიან ლავრენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე. მისი თქმით, ლავრენტი არდაზიანი, როგორც რეალიზმის დამწყები ჩვენს ლიტერატურაში, დაგვიანებული იყო, ვინაიდან უკვე გიორგი ერისთავი შეიქმნა ამ მიმართულების ინიციატორი. რეალიზმის განმამტკიცებლად და გამამშვენიერებლად კი ილია ჭავჭავაძის გვერდით მისი სახელის ხსენებაც კი შეუძლებელია; ხოლო რეალიზმის დაცემის, დეკადანსის გამომხატველობა გიორგი წერეთელს ხვდა წილად.

მკვლევარი ბრიუნეტიერის ევოლუციის მეთოდზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ლიტერატურის ისტორიის კვლევის დროს „ლიტერატურის ევოლუციაში მარტო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვინც შეიტანა ახალი რამ ლიტერატურის მსვლელობაში, ან ძველი გამამშვენიერა და მიიყვანა უმაღლესს წერტილამდე; უნდა ადგილი ჰქონდეს მას, ვინც დააჩქარა ეს მსვლელობა, ან მისი მიმართულება შესცვალა, ან შეაჩერა ეს მსვლელობა“ (აბაშიძე 1962:5)

ჩვენ არ შევუდგებით ევოლუციის მეთოდის ძირეულ განსჯას. ჩვენთვის სრულიად საკმარისია იმ აზრზე დაყრდნობა, „რომ არსებობს მთელი ციკლი განვითარებისა ამა თუ იმ გვარში, ამა თუ იმ პირობისა და გარემოების მიხედვით, ამას თვით ჩვენი სალირიკო პოეზია გვიმტკიცებს, რომელიც რომანტიზმით იწყება, გადადის

რეალიზმზე და მერე ნეორომანტიზმისა და სიმბოლიზმის სამკვიდროდ გახდება“ (აბაშიძე 1962:4)

მკვლევარის მიერ ნახსენებ „პირობად და გარემოებად“ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის სოციო-პოლიტიკური მოვლენა, რომლებიც ჩვენი კვლევის დროს დაწვრილებით მიმოვიხილეთ, რომლებმაც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა გიორგი ერისთავის (არა მხოლოდ მისი) შემოქმედების ხასიათი, მიმართულება, ლიტერატურული გვარის რაობა და რეალისტური ხედვა.

ამდენად ყველა ნიშნით და დამსახურებითაც, უფლება გვაქვს, რომ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რეალისტებს შორის გიორგი ერისთავი დავასახელოთ, როგორც ამ მიმდინარეობის ფუძემდებელი, რომელმაც პირველად გადმოგვცა ახალი ცხოვრების პირველი რეალისტური სურათები და დაგვიხატა იმგვარი ცოცხალი გარემო, რომელიც დღესაც ცხოველ ინტერესს ჰბადებს მკითხველთა წრეში.

ვიდრე გიორგი ერისთავის მოღვაწეობაზე ვისაუბრებდეთ, მკითხველს მინდა გავახსენო ერთი საგულისხმო დეტალი მეცხრამეტე საუკუნის ორი დიდი ადამიანის ურთიერთობისა, რომელიც გარკვეულად მათი შემოქმედითი ურთიერთობის კვლევის საფუძველსაც აჩენს .

ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბრის გაგზავნილი წერილის პირველი გვერდის აშიაზე დატეული მიწერილობა, სადაც პოეტი თავის ახლო მეგობრის გიორგი ერისთავის ამბავს კითხულობს:

„შენ გაზდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარი, რა ღმერთი გაგიწყრა რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისკენა თქო, როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურ სულს თქო“ (ბარათაშვილი 1954: 98)

ჩვენ საგანგებოდ არ ვიკვლევთ გიორგი ერისთავის და ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად ურთიერთობებს. ისინი ერთ საზოგადოებაში ტრიალებდნენ და, რასაკვირველია, საერთო თავგადასვლებიც მრავლად ექნებოდათ. დღესდღობით ჩვენ შემოგვრჩა გიორგი ერისთავის ერთი ლექსი მეგობრისადმი მიძღვნილი „ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ“, რომელიც მან 1852

წლის „ცისკრის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა (სრულად ვაქვეყნებთ ამ ლექსს იმის საბუთად, რომ გიორგი ერისთავი სრულად გრძნობდა ახალგაზრდა პოეტის გენიალობას და საყვედური იმის გამო, რომ გიორგი ერისთავმა კარგად ვერ უპატრონა ბარათაშვილის შემოქმედებას, უსაფუძვლოა. როგორც თამარ შარაბიძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, სწორედ ეს ლექსია იმის დასტური, რომ ავტორი გულწრფელად განიცდის ბარათაშვილის დაკარგვას:

„ჰოი, ჭაბუკო, ახლად სოფელს კნინ გადაშლილო,  
ყოვლის კეთილით აღსავსეო მამულის შვილო,  
რა სოფელს შეხველ, სათნოება ისხივ-ცისკარე,  
შენ მშობელს მამულს რად შემოსწყერ ობლად დაგვყარე?  
იქნებ სოფლისა მღელვარება ვერ შეიწყნარე?  
ანუ ანგელოზთ შეიშურეს და აღგაფრინეს,  
თვისთა გუნდ შიგან დაგამკვიდრეს ფრთენი შეგასხეს?  
რაც მიგვეფარე ცას შევსცქერი და დღე ბნელდების,  
უყურებ ტატო რომლის ვარსკვლავით გამობრწყინდების,  
თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან,  
და მციურ მცხოვრებთ უგალობებ დამღერ ჩანგზედან,  
ანგელოსთ დასნი, გეხვევიან ყურს დაგიგდებენ,  
მერე ცის სივრცეს ლაჟვარდოვანს განავარდებენ?  
ვგონებ ჭმუნვათა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას,  
ხედავ რა შენ ძმათ თვისსა შორის შურსა, მტერობას,  
მაგრამ შეგვინდონ, შეგვავედრე ცისა მცხოვრებთა,  
და ნუ მოგვკითხვენ, სოფლიურსა ჩვენთა ცოდვებსა“

(ჟურნალი „ცისკარი“, 1852 წ., # 5).

ამასთანავე, ალბათ ისიც ნიშანდობლივია გიორგი ერისთავის პორტრეტისათვის, რომ მან პირველად დაბეჭდა ბარათაშვილის ლექსები ჟურნალ „ცისკარში“ 1852 წლის მე-4 ნომერში. ეს ლექსებია: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ („რად ჰყვედრი კაცსა“), „სულო ბოროტო“. ბუნებრივია, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარები ამ ლექსების დაბეჭდვას დიდ დამსახურებად უთვლიან გიორგი ერისთავს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის გამო.

„... ნ. ბარათაშვილს დიდი სამსახური გაუწია გიორგი ერისთავმა. გ. ერისთავმა 1852-1853 წლებში ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის მთელი რიგი ლექსები. ამით მან, ჯერ ერთი, ეს ნაწარმოებები მოსალოდნელ დადუპვას გადაარჩინა, და, მეორეც, თუ აქამდე ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ვიწრო ლიტერატურული წრეების საკუთრებას შეადგენდა, ბეჭდვის საშუალებით მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ხდება. ეს უბრალო დამსახურება როდია გ. ერისთავის მხრივ“ (მახარაძე აკ. 1967 : 321).

მკითხველი, რომელიც კარგად იცნობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას, იცის, რომ პოეტის ხასიათი და შემოქმედება თითქოს გამიჯნულნი არიან ერთმანეთისგან და გული სწყდება, რომ მისმა მახვილმა ენამ, სილალემ, სარკავზმმა, იუმორმა, მხილების ნიჭმა ვერ გაუძლო მისი რომანტიკულის სევდის სიმძიმეს და შემოქმედებაში განუხორციელებელი დარჩა. თუმცა ვინც გიორგი ერისთავის შემომოქმედებას კარგად იცნობს, არ გაუჭირდება იმის აღიარება, რომ „გლუხარიჩმა“ სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მეორე ბუნების“ (სატირიკოსი) რეალიზება მოახდინა თავის შემოქმედებით სარბიელზე.

„გიორგი ერისთავს მოუწია ყოფილიყო სახელმწიფო მოხელეც, რუსული იმპერიული მანქანის ნაწილიც და ამავე დროს ეზრუნა თავისი ერის ბედზე, მის პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობაზე. 1827 წელს მან სამსახური დაიწყო საგანგებო მინდობილობათა მოხელის თანამდებობაზე თბილისის გუბერნატორთან. 1831 წელს მთავარმართებლად ბარონი როზენი დანიშნეს და იგი მის ამაღლებაში გადაიყვანეს. ამ დროს კი ახალგაზრდა კაცი, რომელიც, ერთი შეხედვით, რუსული სამოხელო კიბის საფეხურებზე სულ მაღლა-მაღლა სვლით კარიერული წინსვლის



გზაზე შემდგარსა და დაინტერესებულს ჩამოჰგავს, დიდი გატაცებითა და ინტერესით მონაწილეობდა თბილისის განათლებულ ოჯახებში გამართულ საუბრებში საქართველოს შემდგომ ბედსა და პოლიტიკურ მომავალზე. იგი ხდება „ფარული საზოგადოების“ წევრი“ (მილორავა 2015:61).

გიორგი ერისთავის, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის, ევროპულ (პოლონურ) კულტურას გაცნობილი და გადასახლებიდან ახალდაბრუნებული შეთქმულის, აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში თავიდანვე იძლეოდა, ერთი მხრივ, ეროვნული, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლური კულტურის სინთეზის საშუალებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოძისელი თავადი ჯერ კიდევ შეთქმულების გამოაშკარავებამდე იყო ლიტერატურით გატაცებული და თავისი „ოსური მოთხრობით“ უკვე საიმედო შემოქმედებით ნიშანსაც იძლეოდა, დავრწმუნდებით, რომ იმდროინდელი საზოგადოების არჩევანი თავისი კულტურული ცხოვრების მეთაურად პრინციპულობით გამორჩეული პიროვნება დაესახელებინათ, სრულიად გამართლებული გვეჩვენება.

„ოსური მოთხრობა“ ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ ქართული რეალისტური პოეტური ეპოსის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ნიმუშად. მთლიანობაში კი გიორგი ერისთავის შემოქმედება თავად არის იმის მაგალითი, თუ როგორ ტოვებს რომანტიკული განწყობა ლიტერატურის ასპარეზს და რეალისტური ამბების აღწერა აქ უკვე ლიტერატურულ მეთოდად გვევლინება. სამაგალითოდ შეგვიძლია ქალაქის ციხეში ჟამსა პატიმრობისასა დაწერილი ლექსი „ყაზახისადმი“ (1936) შემოგთავაზოთ (ამჟამად თითქმის ეჭვს არ იწვევს, რომ გიორგი ერისთავის ადრეული ლექსები თითქმის მთლიანად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით არის შთაგონებული), მათში ადვილად იგრძნობა უპირველესი რომანტიკოსის შემოქმედებითი გავლენა:

„ოდეს რაზედმე ან რისთვისმე რა ვჭმუნვარებდი,

შენზედ სეირნით მყის კაეშანს განვიქარვებდი.

ვით გრძნების სარკე, ამაო სოფელს დამანახვებდი,

ვითა მეგობარს, ხვაშიადს გულის-შენ გარწმუნებდი.

შენსა პირზედან კითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ,

შენზედ ჰსწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ.

შენ შთამბერავდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას

და ჩანგზედ მღერით დავიწყებდი მამულის მკობას“ (ერისთავი 1936:6)

სატირული ლექსები, რომელშიც გიორგი ერისთავი არისტოკრატიის ერთი ნაწილის გადაგვარებაზე მოგვითხრობს, თითქოს გარდამავალი ეტაპია მის შემოქმედებაში, ვიდრე „გაყრამდე“. „ფიქრნი ყმაწვილი ქალისა“ ერთგვარი „დასურათებაა“ ბარათაშვილის („ბედი ქართლისა“) შემოქმედების იმ ეპიზოდისა, სადაც პოეტი სოფიოს საპირისპირო ბუნების მაღალი წრის ქალბატონებს ამხელს:

„ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ

გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!

"ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,

ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;

რის ქართველობა, რა ქართველობა,

მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?" (ბარათაშვილის 1954:78)

გიორგი ერისთავის „ფიქრნი ყმაწვილის ქალს“ კი ოცნებად ჰქცევია რუსული არისტოკრატიის მსგავსი ცხოვრება და საქმროდ ნატრობს ისეთ მამაკაცს, რომელიც მის სურვილებს ფრთებს შეასხამს:

„მართალი მითხრა დედამ, რად გინდა ბეგლარ ქმარად:

იმას არ შეუძლიან ცხოვრება რუსულ გვარად.

მე შევირთავ ასეთს ქმარს, იყოს ჯერ მაიორი,

ლამაზი და მდიდარი, არ ჰყვანდეს თანასწორი.

თვეში ორჯერ მდიდრულსა ვაკეთებდე ბალებსა,

მერე ხუთშაბათობით ვპატიჟებდე ქალებსა;

დილით ფაიტონით ყოველთვის დავგულაობდე,

სალამოს კავალრებით უნდა ვკავალკადობდე“ (ერისთავი 1936:33)

ამგვარი განწყობის შემდეგ ჩვენ აღარ გვიკვირს გიორგი ერისთავის აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება და ერთგვარი კულტურტრეგერობა. სრულად რომ გადმოვცეთ გიორგი ერისთავის ღვაწლი, რომელიც თეატრის დაარსებასა და ჟურნალის გამოცემაში გამოიხატა, ერთი წუთით უნდა წარმოვიდგინოთ უგაზეთოდ, უთეატროდ დარჩენილი საზოგადოება, სადაც ინფორმაციის ერთდერთი წყაროდ მხოლოდ ქალაქის სალაცხოა დარჩენილი, სადაც დილიდან საღამომდე ქვეყნის ამბები ირჩევა.

სალაცხო კი იყო ერთი ადგილი ბატონის მოედნის (ბატონის მოედანი სიონსა და ანჩისხატს შორის მდებარეობდა) ჩრდილო–დასავლეთით, ერეკლეს მოედნის სკვერის ზედა მხარეზე. აქ ერეკლე მეორემ ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა ააშენა. აღ–მაჰმად–ხანის შემოსევისას სპარსელებმა ქარხანა დაანგრიეს და დაწვეს. აქ მცირე მოედანზე იკრიბებოდა ხოლმე თავადაზნაურობა, რომელიც ძირითადად ამ მოედნის სიახლოვეს, ზედა უბანში სახლობდა და ყვებოდნენ ქვეყნის ამბებს და თავის აზრს გამოთქვამდნენ. სწორედ ამიტომ შეარქვეს თბილისელებმა ამ ადგილს „სალაცხო“.

(სალაცხოზე ვრცლად იმიტომ შევჩერდი, რომ იგი თავისი ხასიათით რამდენადმე თანამედროვეცაა, რადგან ინფორმაციის გავრცელების მექანიზმით ძალიან ჰგავს დღევანდელ სოციალურ ქსელებს, სადაც „ახალი ამბები“ უმეტესად ყოველგვარი წყაროს გარეშე ვრცელდება და, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი ახასიათებს ომდროინდელ ქალაქს, თბილისში ჭირიანობა და ჭორიანობა ერთნაირად სწრაფად ვრცელდებოდა).

„თბილისში, ცნობილი „სალაცხოს“ ერთადერთ ალტერნატივად რჩებოდა წარჩინებულ ოჯახებში სალონური შეკრებები და ხელოვნებაზე და საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობა. განსაკუთრებით ხშირად მოიხსენებდნენ მანანა ორბელიანის სალონს, რომელსაც მაღამ რეკამიესაც კი ადარებდნენ ხოლმე. სწორედ აქ საუბრობდნენ მწერლობაზე, ხელოვნებაზე და ტონს აძლევდნენ იმდროინდელ

საზოგადოებას, 1800-იანი წლების დასაწყისიდან ასეთი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის, ბარათაშვილების, ფალავანდიშვილების, ერისთავების, ციციშვილების ოჯახებში. სწორედ ამ გარემოში ჩაეყარა საფუძველი ქართულ რომანტიზმს (ლომიძე 2012:224).

აი, ამ ქალაქში „ჩვენ პრესა არ გვქონდა, - ჟურნალი დაგვიარსა, თეატრი არ გვქონდა - შექმნა, დრამატული ნაწარმოები არ მოგვეპოვებოდა - დაგვიწერა. მსახიობი არ იყო - თვითონ იკისრა როლი, ცოტას ფიქრობდნენ საქართველოზე და მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოზე ფიქრს მოანდომა. და თუ მესამოცე წლებიდან ილია ჭავჭავაძე იყო მთელი ჩვენი კულტურის შთამაგონებელი და ხელმძღვანელი, ორმოც-ორმოცდაათიან წლებში გიორგი ერისთავმა უმეტაურა ჩვენს განათლებას და თუ თვით ვერ შექმნა უკვდავი ნაწარმოები, სამაგიეროდ თავისი დიდი ნიჭი ქართული ლიტერატურისა და კულტურის აღორძინებისთვის მსხვერპლად მიიტანა. დიდ ქართველთა ბედი დღევანდლამდე ასეთი იყო და გიორგი ერისთავმაც ეს ბედი გაიზიარა“ (კოტეტიშვილი 1965:199).

(აქვე სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ პირველ ქართულ ლიტერატურულ ჟურნალად მიიჩნევა 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოცემული „ტფილისის უწყებანის" დამატება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომლის გამოცემის ხელშემწყობნი იყვნენ ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე. ჟურნალის სარედაქციო განცხადებაშია ნათქვამი იყო, რომ ის დაარსდა „შესაწევნელად განათლებისა, გავრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩუენისა და მიახლოებისათვის განგრძობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა." ჟურნალის გამოცემა 1832 წელსვე შეწყდა. გამოიცა სულ ხუთი ნომერი).

ასე ახასიათებს გიორგი ერისთავის ღვაწლს ცნობილი ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი ვახტანგ კოტეტიშვილი და დღეს, ამ სიტყვების დაწერიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, უფრო თავდაჯერებით შეგვიძლია განვაცხადოთ, არც ერთი სიტყვა აქ გადაჭარბებული არ არის, არც შეფასებაა უსაფუძვლო და თუ რამეს დაუმატებს მას დღევანდელი თაობა, ეს იქნება, მხოლოდ სურვილი მისი ღვაწლის სათანადოდ დაფასებისა, მისი ნიჭ-უნარის

გამეორებისა, რაც ჩვენს ბევრ ნაკლოვანებას აქცევს ერისთავისეული სატირის სამიზნედ.

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ გიორგი ერისთავს თეატრის ჩამოყალიბების საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაუწყია. მართალია, სწორედ ამ პერიოდში გაიხსნა ჩვენში თეატრი, სკოლები, გაზეთი, მაგრამ წინასწარ უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ თავად მიხეილ ვორონცოვი ვერ შექმნიდა ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, ვერც სკოლას, თვით საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო ამისთვის მზაობა და მონდომება. იოსებ გრიშაშვილი თავის მონოგრაფიაში „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა“ იონა მეუნარგიას გადმოცემაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ქართული მუდმივი თეატრის იდეა პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში ჩაისახა.

აქ შემდგარა სცენისმოყვარეთა პატარა წრე, სადაც სულ წარჩინებულთა ქალ-ვაჟები ყოფილან მსახიობებად და ამ პირველ დასს თვითონ ალექსანდრე ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა:

„ალექსანდრე ჭავჭავაძეს სწორედ ამ ხანებში უთარგმნია კორნელის ტრაგედია „სინნა“. განუზრახავს ამ პიესის წარმოდგენა და რეპეტიციებიც კი გაუმართათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილ დარბაზში. იონა მეუნარგიას სიტყვით, „სინნას“ როლები ასე ყოფილა განაწილებული: აგვისტო - ალექსანდრე ჭავჭავაძე, სინნა - გრიგოლ დადიანი, მაქსიმე - დიმიტრი ყიფიანი, ერთ-ერთი როლი უნდა ეთამაშა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, მაგრამ წარმოდგენა ჩაშლილა. მეუნარგიას თქმით, ალბათ როლები კარგად არ იცოდნენო...“ (გრიშაშვილი 1952:85)

ქართულ დრამატურგიას კი საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. მიხეილ ზანდუკელი განსაკუთრებით აღნიშნავს XVIII საუკუნეში რუსეთში გადახვეწილ ქართველთა ღვაწლზე ლიტერატურის ამ დარგში. მათ შორის ზოგი გადმოკეთებულია, თუმცა არის ორიგინალური პიესებიც, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქების არქივებში ინახება.

სამაგალითოდ დავასახელებ მხოლოდ გოდერძი ფირალიშვილის პიესას „ვეფხისტყაოსანი“ – ტრადედიად, ანუ როგორც იმ დროის ოფიციალურ

დოკუმენტებშია აღნიშნული: „ინდოეთის ტახტის მემკვიდრე ანუ სიყვარული სამშობლოსადმი“.

გიორგი ერისთავი კი იმ დროს გამოვიდა ასპარეზზე, როდესაც საზოგადოება, როგორც ილია ჭავჭავაძე თავის ლექსში – „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“ – პაპას ათქმევინებს, მთელი ქვეყანა ბედოვლათობასა და მამულებზე ცილობას იყო გადაყოლილი, ხოლო სახლს ცეცხლი ეკიდა:

„მერე, როცა მაგ ცილობით

ერთმანეთი ჩვენ დავღუპეთ,

ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს

ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, –

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

– ჭკვიანურად იმ ცეცხლი წინ

ვისხედით და ხელს ვითბობდით...“ (ჭავჭავაძე 1987:124).

ბუნებრივია, მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ჩვენში გაშლილი კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი მიზეზები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მმართველობაშიც უნდა დავინახოთ. კავკასიის მეფისნაცვალის, მიხეილ ვორონცოვის, მოღვაწეობის წლები ჩვენს ისტორიაში წინააღმდეგობრივად არის შეფასებული, თუმცა აქ ჩვენ ამ დავაში არ ჩავერევით, ჩვენ მხოლოდ კულტურული აქტივობის (გაზეთი, თეატრი, მუზეუმი) პროცესი და მისი უშუალო შედეგი გვანტერესებს, რომელსაც ორი ათეული წლის შემდეგ კრიტიკული რეალიზმის ეპოქა და თერგდალეულთა თაობა დაეყრდნო.

გიორგი ერისთავი შემოქმედებითად იყო დაკავშირებული ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის – ქართველი რომანტიკოსების დიდ პოეტურ ოჯახთან. ისიც რომანტიკული განცდით იყო შეპყრობილი საქართველოს წარსულისა და მისი აწმყოს მიმართ, მაგრამ, როგორც

ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს: „გიორგი ერისთავის ბუნება სევდიანობისთვის არ იყო მოწყობილი. მასში სრულიად სხვა ტემპერამენტი ფეთქავდა და მისი პოეტური ფიქრები სულ სხვა გვარად ზრუნავდნენ, თითქოს მასში სასიცოცხლო ენერგია უფრო ჭარბობდა და სევდის გამომწვევ მიზეზებს სიცილითა და დაცინვით უპასუხებდა“ (კოტეტიშვილი 1965:188).

საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე გიორგი ერისთავს ქართული თეატრის მამას უწოდებს და მის შემოქმედებით ღვაწლს ამგვარად ახასიათებს:

„ჩვენი გონება ჩვენს შინა ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა და ... ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც სატირას ემახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაემგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს“ (ჭავჭავაძე 1953 ა:89)

ეს შეფასება გიორგი ერისთავის რეალისტ-სატირიკოსად აღიარებას გულისხმობს და ამ აზრს ეყრდნობა თავის შესანიშნავ წიგნში „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისთვის“ გრიგოლ კვიციანი, როდესაც საგანგებო თავს უძღვნის დრამატურგის სატირასა და იუმორს. კრიტიკოსი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს ერისთავის შემოქმედებას; თვლის, რომ მეცხრამეტე საუკუნეში თითქმის არაფერი შექმნილა ქართულ კომედიოგრაფიაში მასზე უკეთესი და აღმატებული, რასაც გიორგი ერისთავის პიესებში ვკითხულობთ: „პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გ. ერისთავის კომედიებში დაცინვის საგნად არის გადაქცეული მისი თანამედროვე ქართველი არისტოკრატების ისეთი ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრას, მწერლის აზრით, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ამ რიგის ნაკლოვანებებს მიეკუთვნება ადამიანის არაპრაქტიკულობა, ცხოვრების მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლობა. ასე მაგალითად, როდესაც გიორგი ერისთავი დასცინის ივანესა („გაყრა“) და არჩილს („მუნწი“), იგი თავის მახვილს სწორედ მათი ნაკლოვანებებისკენ მიმართავს. მისი კომედიების ეს „რომანტიკული“ ფიგურები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცხოვრებისგან დაცილებულნი არიან, თავიანთ მოქმედებას ვერ უფარდებენ მის მოთხოვნილებებს და ამიტომ არიან ისინი კომიკურნი“ (კვიციანი 1972:290).

მისი კომედიის პერსონაჟები ის ადამიანებიც არიან, რომლებიც ბრმად მისდევენ ძველ ადათ-წესებს, სრულიად მოკლებულნი არიან სიახლის გრძნობას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მათთვის უცხო შეხედულებების და ყოველგვარი სიახლის გამოვლენას.

„გიორგი ერისთავის კომედიებში კრიტიკული ხედვისა და შეფასების საგანი ხდება თავადაზნაურობის მენტალური გახევებულობა და ჩამორჩენილობა, მისი უუნარობა, განახლდეს და იპოვოს შეცვლილ რეალობასთან ადაპტირების გზები; აშკარავდება, რომ თავადაზნაურობა ვეღარ ახერხებს რაიმე პოზიტიური სოციალური ფუნქციის შესრულებას, მოკლებულია სასიცოცხლო-შემოქმედებით ენერგიას, პროდუქტიულობას; მის წიაღში გაჩენილი ლტოლვაც პროგრესისკენ უნიათოა და არაპრაქტიკულ რომანტიკულ მეოცნებეობად გვევლინება – რეალიზმი თავის წინამორბედს, რომანტიზმს, თვალდათვალ ავიწროებს, დამცინავი გამოსახვის ობიექტად აქცევს.

მაინც გიორგი ერისთავის კრიტიციზმი თავადაზნაურობის მიმართ პრინციპული ხასიათისა და სიმწვავის მქონე არ არის, მისი კომიზმიც რბილი და მსუბუქია. მის კომედიებში უწყინარი და ხალისიანი მხიარულების, თავის შექცევის ვოდევილური ატმოსფეროა შექმნილი; შესამჩნევია ანალიტიკურ-მამხილებელი საწყისის გამოუკვეთელობა – ეს ხარვეზი 40-50-იანი წლების ქართული რეალიზმის მემკვიდრემ, ილია ჭავჭავაძემ, შეავსო თავადაზნაურობის ცხოვრებისა და მენტალობის სატირული და ანალიტიკური სურათებით“ (ვასაძე 2015:6).

გიორგი ერისთავი დასცინის უვიცობას, უსაქმურობას, გაქნილობას, გაიდვერობას, ცრუმორწმუნეობას, ქედმაღლობას, ფუქსავატობას, კონსერვატიზმს, ზერელობას, უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახური ცხოვრების მახინჯ ფორმებს თავისი ყველა უარყოფითი შედეგით.

დრამატურგის სატირისა და ირონიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი ახალი წოდების წარმომადგენელი ბურჟუაზიაა. მისი წარმომადგენლები გამოირჩევიან თავიანთი ზღვარდაუდებელი სიძუნწითა და უპატიოსნო საქციელით, მათი ოცნების მწვერვალი გაარისტოკრატება – მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკავება და წარჩინებულ მოქალაქეთა დასში ყოფნაა.



თეატრის დიდ მნიშვნელობასა და მის გაგებაზე ესაუბრებოდა მაყურებელს პოეტი მიხეილ თუმანიშვილი გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებიდან:

„...ჯერჯერობით ვხედავთ იმას, რომ ასეთ მაყურებლებთან, რომლებიც შეჩვეულნი არიან სცენიურ სიამოვნებას, წარმოდგენაზე მიდიან აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც არა მარტო სრულებით არ იცნობენ თეატრს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთ მხარეს არ იცნობენ. რამ გამოიწვია, მაგალითად, ეს მორიდებული ოჯახები პირველად ბნელი დარბაზებიდან? რამ აიძულა ისინი მოეხსნათ ჩადრები ლოჟებში, უცნობთა მეზობლად დამსხდარიყვნენ? რამ მოიყვანა აქ – ეს ყოველდღიური ბაზრის მცხოვრებიც, ეს არისტოკრატიაც. რომელნიც მიმაგრებულნი არიან თვალითაც და გონებითაც: ერთი – თავის დახლს, მეორე – თავის მთასა და ღელეებს? ისინი, რასაკვირველია, უმთავრესად მოიყვანა საქმის სიახლემ, რომელიც ასე ახლოა მათთან თავისი მდგომარეობით, მაგრამ შემდეგში, ეჭვის გარეშეა, მათაც მიიზიდავს მოთხოვნილება, მასში მონაწილეობის მიღებისა, რის უფლებასაც კაცს აძლევს განათლება“ (ზანდუკელი 1989: 262-63).

გრიგოლ კიკნაძის დაკვირვებით, გიორგი ერისთავის პიესებში „სავსებით გახრწნილნი არიან“ მეფის ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლები, მათ დახასიათებაში ვხვდებით ისეთ ეპითეტებს, როგორებიცაა: „მაიმუნი“ (მარტიშკა), „სულის წურბელები“, „მჭამელები“ და ა. შ. ირონიულია დიამბეგის მიერ საკუთარი თავის დახასიათება: „მე ვარ საფუძველი, მე ვარ ფესვი, მე ვარ სვეტი ხალხის ბედნიერებისა და უბედურებისაო“ („დავა“). თუ ავტორი სხვა შემთხვევაში, სხვა პერსონაჟების მიმართ ტოვებს მათი გამოსწორების იმედს და შესაძლებლობას, ბიურაკრატიულ მოხელეთა მიმართ მისი დამოკიდებულება ძალზე კატეგორიულია და გადარჩენის შანსს მათ სრულიად აღარ უტოვებს.

დრამატურგის პიესებში ასეთ პერსონაჟებად წარმოგვიდგენენ თავადი ანდუყაფარ დიდებულიძე, პავლე — მისი ძმა, ასევე ივანე — ვარშავიდან ახალდაბრუნებული თავადი, მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი — ვაჭარი, რამაზი — სეკრეტარი სუდისა და ბარამი — მოურავი („გაყრა“), ასევე ამირინდო — თავადი სპასპეტის ძე, რაფიელ არზამანოვი \_ არზის მწერალი, იაია თავადი ჭიორელი — მეგობარი ამირინდოსი, სარქის ბულდანიჩ კუმუხტოვი — პერევილჩიკი სუდისა, ხარიტონ ფილიპიჩ

ვზიატკინი — სტრაპიჩი, ლომინ გოდაბრელიძე — იმერლის აზნაური, მცნობი ამირინდოსი („დავა“) და მრავალი სხვა: მოურავები, გამდელები, შემლოცველები, მსახურები და მოახლები.

მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ ამ პერსონაჟებს ქართული ლიტერატურის ერთგული მკითხველიც კი ძალიან ცუდად იცნობს, ან თითქმის არ იცნობს და ამის მიზეზი სულაც არ არის მათი ხასიათის ნაკლოვანება ან დრამატურგის პროფესიული წარუმატებლობა.

საქმე ისაა, რომ ქართულმა დრამატურგიულმა ნაწარმოებებმა მაინც ვერ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი სხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტების გვერდით. მიუხედავად ჩვენი განათლებული საზოგადოების ძალისხმევისა, წარმატებული პიესის შექმნა დღესაც არ აღიქმება განსაკუთრებულ ლიტერატურულ მოვლენად. შესაბამისად, დრამატურგიულ ნაწარმოებსაც ნაკლები მკითხველი ჰყავს, სცენური პერსონაჟებიც ადვილად ეძლევიან დავიწყებას, თუმცა ხშირად სწორედ ისინი ხდებიან ლიტერატურული ტიპის წინარე სახე, რომლის დასრულებულ პორტრეტს ჩვენი კლასიკური მწერლობის ფურცლებზე ვხედავთ.

თანამედროვე საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე დაკვირვება კი გვარწმუნებს, თუ რა ძნელია ნებისმიერი ფორმაციული ცვლილების დროს რეალური ცხოვრების განზოგადება და წარმოსახვითი სინამდვილის შექმნა, მრავალთათვის შეუმჩნეველი ხასიათების სინთეზირება და იმგვარ ლიტერატურულ პერსონაჟებად წარმოდგენა, რომლებსაც შეუძლიათ ეპოქალური პრობლემების ტვირთვა და მათი გადაწყვეტის გზების ძიება.

ამ კუთხით გიორგი ერისთავის შემოქმედების განხილვა გვადლევს იმის თქმის უფლებას, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ახალჩამოყალიბებული საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებად დაყოფა და მათში ერთიანი კრებითი სახეების გამოძერწვა, მხატვრული პერსონაჟების შექმნა პირველად სწორედ „გაყრის“ ავტორმა შეძლო. ესენი არიან: თავადი ანდუყაფარ დიდებულიძე — ნამდვილი მემამულე, მიწის მფლობელი და მთლიანად მამულზე მიჯაჭვული ფეოდალი. მისი ძმა, ასევე თავადი პავლე — ერთ დროს ალბათ მეომარი, ახლა მონადირე, რომელსაც სულ მალე უფუნქციოდ დარჩენა (ილია ჭავჭავაძის „კაცია-

ადამიანი?“) და უმემკვიდრეოდ სიკვდილი ელოდება და მესამე ძმა ივანე — უცხოეთიდან დიდი გეგმებით დაბრუნებული, და ალბათ, კიდევ მრავალი ათეული წელი უნდა გავიდეს, რომ მან არჩილის (ილია ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივი“) ცოდნა და თავდაჭერილობა შეიძინოს, რათა კვლავაც ვაჭარ მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვის მსხვერპლად არ იქცეს და თავისი მდიდარი ფანტაზია ამ „სატანას“ არ მოაწამვლინოს.

ეს გმირები მცირეოდენი სახეცვლილებით მთელ საუკუნეს გაჰყვებიან, გზადაგზა ტანსაცმელსაც გამოიცვლიან და ხასიათის სიმტკიცესაც შეიძენენ, თუმცა მათი ტიპური სახე მაინც ადვილად საცნობი იქნება როგორც ლიტერატურაში, ასევე ცხოვრებაში, ვიდრე ლიტერატურულ და თეატრალურ სცენაზე მათი მემკვიდრე, ახალი სოციალური ტიპი (მათ შორის „ნაკაცარი“) არ გამოჩნდება, რომელიც პერსონაჟთა გალერეაში მათ ადგილს დაიკავებს.

გიორგი ერისთავის პერსონაჟთა შორის კი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი მაინც იაია ჭიორელი აღმოჩნდება (რომელიც ლაპარაკში თავსა და ბოლოს ვერ პოულობს). ჩვენ მას ჯერ „გლახთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“ (ილია ჭავჭავაძე) ვხედავთ გლახა ჭრიაშვილის სახეში, შემდეგ კი ის ლამის ჩვენს დროსაც გადმოსწვდება (სატელევიზო ფორმატი ამის მრავალ და თვალსაჩინო მაგალითს იძლევა) თავისი უცნაური თხრობითა და გულისგამაწვრილებელი ქცევით.

სწორედ იაია ჭიორელის ხასიათი აჩენს მწერლის მტკიცე პოზიციას ქართული ენის მიმართ, რადგან ის ერთნაირად მკაცრია არა მარტო მათდამი, ვინც უხეშად ექცევა ქართული ენის ლექსიკურ მარაგსა და გრამატიკულ წყობას, არამედ მათ მიმართაც, ვინც სათანადოდ ვერ იყენებს ენის შესაძლებლობას და გამუდმებით ერთსა და იმავეს ატრიალებს.

„გიორგი ერისთავის კომედიების ენა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. მან შემოიტანა დრამატურგიაში სალაპარაკო ენიდან სიტყვები, ფრაზები, არ შეუშინდა ბარბარიზმებს. მისი პერსონაჟები ალაპარაკდნენ ისე, როგორც ლაპარაკობდნენ ადამიანები სასახლეებში, სავაჭროებში, დუქნების დახლებთან, სასამართლოებში, ჩინოვნიკების კაბინეტებში, ქუჩებში, ალაპარაკდნენ ისე, როგორც საუბრობდა ის ხალხი, რომელიც სულგანაბული იჯდა დარბაზში და საკუთარ თავსა და ნაცნობებს

ხედავდა სცენაზე, წუხდა და უხაროდა, ეშინოდა და ღელავდა, ბრაზობდა და ბოროტდებოდა... მაგრამ ეს იყო სიცოცხლე სცენაზე, რომელმაც თავისი მისია შეასრულა. გიორგი ერისთავმა შექმნა პროფესიული თეატრი. თავისი ნიჭის, მებრძოლი და მტკიცე ხასიათის, შინაგანი მყარი ზნეობრივი ხერხემლის წყალობით მან გაუძლო მრავალ წინააღმდეგობას და საფუძველი ჩაუყარა ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას – თეატრს და სცენის პირისპირ მდგარი ადამიანის კათარზისს“ (მილორავა 2015:75).

საგულისხმოა, რომ გიორგი ერისთავის ენამ თავიდანვე მიიქცია პროფესიონალ მკითხველთა ყურადღება. მწერლის თანამედროვე და ცნობილი მოღვაწე პლატონ იოსელიანი „გაყრის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაში აღნიშნავდა, რომ თავადმა გიორგი დავითის ძე ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახალი გუარისა მწერლობისათვის“

„ახალი გვარის მწერლობაში“ პლატონ იოსელიანი დრამატურგიულ ტექსტებს გულისხმობდა, „ენის დაბადებაში“ კი უთუოდ ახალი სალიტერატურო ენის შექმნას წინასწარმეტყველებდა, თუმცა მის აზრს კატეგორიულად არ დაეთანხმა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი. ის ფიქრობდა, რომ გიორგი ერისთავს ახალი ენა არ შეუქმნია, რადგან მისი გმირები პიესაშიც ისე ლაპარაკობენ, როგორც ცხოვრებაში მეტყველებდნენ.

ალექსანდრე ხახანაშვილი პლატონ იოსელიანის მოსაზრებას დაეთანხმა და გიორგი ერისთავის ღვაწლი ქართული სალიტერატურო ენის წინაშე საგანგებო აღნიშვნის ღირსად ცნო:

„ქართული მწერლობის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში ორს ხანად იყოფება. პირველ ხანას შეადგენს XIX საუკუნის პირველი ნახევარი და მეორე ხანას ეკუთვნის მეორე ნახევარი. სამზღვარს ამ ორ ხანას შორის დასდებს გიორგი ერისთავის „ცისკარი“. ამ გამოცემამ შექმნა ახალი სამწერლო ენა, რომლის საფუძველად მისმა რედაქტორმა და პირველმა ქართველმა დრამატურგმა დაამყარა ქართლის კილო და დაუახლოვა სალიტერატურო ენა საუბნო ენას“ (ხახანაშვილი 1913:8).

გიორგი ერისთავის „ცისკარს“, რომელსაც ალექსანდრე ხახანაშვილი ახალი ლიტერატურული პერიოდის დასაწყისად მიიჩნევს, არსებითი გავლენა არ მოუხდენია ქართული მწერლობის განვითარებაზე, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ილია ჭავჭავაძის აზრი ამ საკითხზე, რომელიც ძალზე საინტერესო და უჩვეულო კუთხიდან ახდენს ჟურნალ „ცისკრის“ არსებობის შეფასებას:

„მართალია მაშინდელი „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეს ეპატიება, როგორც ახალ საქმეს, ჯერ უჩვეულო და უსაკვოს. ისიც მართალია, რომ არც მის შემდეგ „ცისკარს“ გამოუჩენია თავი ისე შესანიშნავად, რომ ჩვენთა აზრთა ზრდაში ადგილი რამ დაეჭიროს, ხოლო იმისი კარგი ის იყო, რომ არსებობდა. ზოგჯერ მართო არსებობაც ღვაწლია, ნამეტნავად იმ გაჭირვებაში როგორშიც იყო „ცისკარი“. ბევრი ავი დღე გამოუვლია – ზოგი იმისაგან, რომ მეშველი მწერალი არა ჰყოლია და მართოსათვის ჟურნალის ტვირთი მართლა რომ ღვაწლია და ზოგიც იმისგან, რომ სახსარიც კი არსებობისა არა ჰქონია. მაინც კარგა ხანს თავი დაიჭირა და თითქმის აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად ისეთი ძლიერ ტალღა ჰკრეს ჩვენ აზრთა დენასა“ (ჭავჭავაძე 1953:221).

ჩვენ შეგვიძლია ამ სიტყვის ბოლო წინადადებას ჩავეჭიდოთ, გავამაგროთ სხვადასხვა სტატიით და არგუმენტირებულ საფუძველზე ვამტკიცოთ, რომ თავად ილია ჭავჭავაძეც აღიარებდა გიორგი ერისთავის და ჟურნალ „ცისკარის“ ღვაწლს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში, მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებთ ამ აზრის გავრცობისგან (იმედი გვაქვს, ამის საშუალება კიდევ მოგვეცემა), რადგან მეცხრამეტე საუკუნის სალიტერატურო კრიტიკამ ამ საკითხზე სწორედ ალექსანდრე ორბელიანის შეხედულება გაიზიარა და ამ საფუძველზე გიორგი ერისთავის ენა არაა მიჩნეული დღეს ახალი სალიტერატურო ენის პირველ ნიმუშად, მისი სახელი ამ საკითხთან მიმართებით არ იხსენიება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის გვერდით, თუმცა ვერც იმას უარყოფთ, რომ სწორედ გიორგი ერისთავმა, ერთ-ერთმა პირველმა შეარყია არქაული სამწერლო ენის ავტორიტეტი, რადგან მისი პერსონაჟები ერთნაირი შეუბრალებლობით

დასცინიან როგორც არქაული ენით მეტყველოთ, ასევე დიალექტიზმებითა და ბარბარიზმებით დამძიმებულ ენაზე მოსაუბრეებს.

ყოველივე ეს შენიშნული აქვს ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას. ჩვენ მხოლოდ ვიმეორებთ მის ნათქვამს, რადგან ჩვენს დროს მათ არცერთ შეფასებაზე უარი არ უთქვამს, არც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ღვაწლი მისცემია დავიწყებას. პირიქით, ჩვენმა დრომ კიდევ უფრო გამოაჩინა ეპოქალური სირთულეები, რომელთაც წარმატებით გაართვა თავი გიორგი ერისთავმა, ვინაიდან ის პირველი იყო, ვინც ბოლომდე ჩაულრმავდა ახალი ცხოვრებით წარმოქმნილი პრობლემის მიზეზს, შექმნა ლიტერატურული სახასიათო ტიპები და აიძულა მკითხველ-მაყურებელი, რომ თავადაც მხილების სარკეში ჩაეხედა...

„XIX საუკუნის პირველ ნახევარში მწერლობამ ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით აშკარად გადაინაცვლა წინა პლანზე, რადგან მას უნდა შეეკრა და გაემხნეებინა ერი, მოქნილად, ზუსტად და აშკარად გამოხატული იდეებითა და დებულებებით. ამასთან საღად მოაზროვნე ქართული საზოგადოების წინაშე იდგა უმწვავესი პრობლემა და, შესაბამისად, ურთულესი ამოცანა: გარე აშკარად მტრული ძალის მიზანმიმართული მოქმედებისა და შიდა დაქსასულობის, დაბნეულობისა და კონფორმიზმის, გარვეულწილად, ეროვნული ნიჰილიზმის მომძლავრების პირობებში გადაერჩინა ქართული ენა. ამ ამოცანის შესრულებას კი ყველაზე უკეთ სწორედ ქართული მწერლობა შეძლებდა, რომელსაც მხარში უნდა ამოსდგომოდა ქართული თეატრი – სცენაზე ამაყად და ძლიერად გაჟღერებული ქართული სიტყვითა და დაუფარავად გადმოცემული ქვეყნის ყველა სატკივარით“ (მილორავა 2015:55).

რაც შეეხება თეატრის დაარსებას, მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ხელოვნების ერთი დარგის აღორძინება, დრამატურგიული ტექსტების გაჩენა და მასში რეალიზმის საფუძვლების ჩამოყალიბება, საზოგადოების მხილების ტენდენცია და დასის ჩამოყალიბება... მთავარი აქ ისაა, რომ იმდროინდელ თბილისში სანახაობას მაყურებელი, თეატრს კი გულშემატკივარი გაუჩნდა. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისის პერიოდში ნიჰილიზმში

ჩავარნდილი საზოგადოების თეატრისკენ შემოტრიალება ნიშნავს, რომ ფსიქოლოგია შეიცვალა და ხალხს სიცოცხლის წყურვილი გაუჩნდა.

თუმცა ეს ცვლილება დიდ წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული, რამაც უპირველესდ, თეატრთან დამოკიდებულებაში იჩინა თავი:

„უცნაურია, მაგრამ თეატრის ჩამოყალიბების იდეა, აზრი და შედეგი ბევრმა ვერ გაიგო, სწორად ვერ შეაფასა და თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით ახალი წამოწყების გარშემო ერთგვარი ნერვული და დამაბული ველი შექმნა. მარიამ ბატონიშვილის უკმეხად და სწორხაზოვნად გამოხატული აზრი, რომ ეგდა გვაკლდა, პამპულობა შემოეღოთო, იმდროინდელი არისტოკრატის ნაწილის დამოკიდებულებას აირელავდა და აღარაა გასაკვირი, რომ მათთვის ჯამბაზობად მიჩნეულ საქმეს, არც მხარს უჭერდნენ და, მეტიც, ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც (მილორავა 2015:63). „პლატონ იოსელიანი უფრო შორს წავიდა, გ. ერისთავს ღიად დაუპირისპირდა და თეატრს საერთოდაც „მეძავ-კუროების ასპარეზად“ მოიხსენიებდა (შალუტაშვილი 1980: 24). საგულისხმოა, რომ დაცინვამ, მუქარამ, უარყოფითმა საზოგადოებრივმა აზრმა თეატრის იდეით გატაცებულ ახალბედა მსახიობებზეც იმოქმედა, განსაკუთრებით, ქალებზე; მაგრამ ამ წამოწყებას სათავეში ედგა გიორგი ერისთავი, თეატრის იდეით მთელი არსებით გატაცებული ადამიანი, უნივერსალური „კაცი თეატრიდან“, რომელიც არა მარტო ორგანიზატორისა და დრამატურგის, არამედ რეჟისორის, პედაგოგის, მსახიობის ფუნქციებსაც დიდი ხალისითა და პასუხისმგებლობით ითავსებდა (მილორავა 2015:63).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ალბათ, სამართლიანი იქნება, რომ 1850 წლის 14 იანვარმა, თარიღმა, რომელიც თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში გიორგი ერისთავის პიესის – „გაყრა“ – ჩვენებას გვახსენებს და საზოგადოება ქართული თეატრის დღედ იცნობს, დამატებითი შინაარსი შეიძინოს და ეროვნული სიმაღლის ღირსსახსოვარ მოვლენად გამოცხადდეს, რომელიც ჩვენში ანტიკოლონიური ბრძოლის სამახსოვროდ, თვითმხილებისა და თვითლუსტრაციის რეჟიმში, სასოწარკვეთის ზღვარზე მყოფი ქვეყნის სიცოცხლისკენ შემოტრიალების სიმბოლოდ დარჩება.

თუმცა ჩვენი აღტაცება იმ ფაქტით, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს საზოგადოებამ დაძლია სასოწარკვეთის მდგომარეობა და სწორედ თეატრის დაარსებით, ჟურნალის გამოცემით და სკოლების გახსნით ამქვეყნისკენ იბრუნა პირი, ძირეულად ეწინააღმდეგება ტრადიციულად განმტკიცებულ აზრს ამ ეპოქის შესახებ და ვიდრე ამ საკითხზე მკითხველის „შენიშვნას“ დავიმსახურებდეთ, ისეთ ოპონენტთან მომიწევს პასუხისგება, რომლის წინაშე დამარცხებაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში, იხსენებდა რა ამ ეპოქის 40-50-იან წლებს, ილია ჭავჭავაძე ამგვარად ახასიათებდა იმდროინდელ ცხოვრებას:

„იშვიათად მიჩვენებთ ერს, რომ როდისმე მაინც ესევ ამ-გვარადვე არ გასჭირვებოდეს, როგორც ჩვენ ქვეყანას და ერს უჭირდა ორმოციან და ორმოც-დაათიან წლების განმავლობის დროს [მეისტორიე მიშლესი /ჟიულ მიშლე - რენესანსი გ.ა./ არ იყოს, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ მდგომარეობაზე ლაპარაკობს], მაშინ რომ ქართველისთვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ. — მაგის გარდა კიდევანო? — კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. — რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო. გვინდა ვგრძნობდეთ, რომ თავი ისევ მხრებზე გვაბიაო, რომ ჩვენის თავისთვის გვეთქვა, ფიქრი არა გაქვს, ისევ ცოცხალი ხარ, ჯერ არ მომკვდარხარო. (ჭავჭავაძე 1984: 863).

სწორედ ამგვარ ცნობიერებას უკავშირებს ილია ჭავჭავაძე ჩვენში თათქარიძეობის გაჩენას („ქვეყანა მხოლოდ თათქარიძეებით აივსოო...“) და წუხს იმაზე, რომ აღარავის ახსოვდა, რომ ერთ დროს ამ ქვეყნის საზოგადოებრივი ასპარეზი დიდ სამსხვერპლოდ იყო გადაქცეული, სადაც იკვლოდნენ და იწირვოდნენ ძენი მამულისანი და ეს უკანასკნელნი მათსავით (აქ მწერალი ორმოც და ორმოცდაათიან წლების გულისხმობს) ძვირად არ აფასებდნენ თავიანთ თავს, თვითონ ხორცს და მხოლოდ ხორციელს არსებობას.



ილია ჭავჭავაძე ერთი იმათგანია, ვისაც თავისი სიცოცხლით და სიცოცხლის აღსასრულითაც მორალური უფლება ჰქონდა თავგანწირვისთვის მოეწოდებინა ერისთვის, თუმცა სწორედ მან იცოდა ყველაზე უკეთ, რომ ქვეყანას განვითარების სხვადასხვა ეტაპი აქვს, არის ჟამი თავგანწირვისა და არის ჟამი სულის მოთქმისა, დროის შესაფერი მოქმედებისა და დიდი საქმისთვის სამზადისისა.

ამდენად, ჩვენ შეგვეძლო პირდაპირ დავთანხმებულიყავით დიდი მამულიშვილის მიერ კონკრეტული თაობის მიმართ გამოთქმულ საყვედურს იმის გათვალისწინებითაც, რომ იგივე აზრი ილია ჭავჭავაძეს თავის მხატვრულ შემოქმედებაშიც მრავალჯერ აქვს გამოთქმული, თავისი, როგორ ავტორის თუ პერსონაჟის, პირით. ამისთვის კი თუნდაც ეს მაგალითი იკმარებს:

„გადასადგომიხართ თქვენ ქართველობას,

დაგინგრევიათ დიდი მამული, -

რალა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?

რითი აღტკინდეს ქველისთვის გული? (ჭავჭავაძე1987:185)

ანდა ეს:

„ვიმ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,

დიდის სამოთხის კუთხე პატარა,

ქედმოდრეკილი ნაღვლით საწყალი,

რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა“ (ჭავჭავაძე1987:185).

თუმცა ცოცხალ, ყოველგვარი მხატვრული ფორმისა და მიკიბულ-მოკიბულის გარეშე ნათქვამ, სიტყვას უფრო მეტი მამხილებელი ძალა აქვს და როდესაც ავტორი უშუალოდ იმ თაობას ეხება, რომელსაც ჩვენს ნაშრომში დროის შესაფერი ქცევა და გონიერება დავუფასეთ, ვალდებულიცა ვართ ბოლომდე დავიცვათ ის და სიცოცხლისადმი ამგვარ დამოკიდებულებასაც ისტორიული გამართლება და ფსიქოლოგიური მოტივაცია მოვუძებნოთ, ერთგვარი მომრიგებლის როლი ვიკისროთ თაობათა შორის დაპირისპირებაში.

## 5.2. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დანაკარგები და ლიტერატურა, როგორც პოსტტრავმული სტრისის დაძლევის გზა

დავიწყოთ იქიდან, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძე სიცოცხლის თემით დაინტერესდა, დასავლეთის სააზროვნო სივრცეში უკვე ძალზე აქტუალური იყო ეს საკითხი. სწორედ ამ დროს გახდა პოპულარული სიცოცხლის ფილოსოფია ა.შოპენჰაუერის, ფ.ნიცშეს, ვ.დილთაის, ა. ბერგსონის, გ.ზიმელის, ლ.კლაგესის, ო.შპენგლერის, ზ. ფროიდის შრომებში. სიცოცხლის ფენომენი ამ ეპოქაში ფილოსოფიის ერთ-ერთი ცენტრალური თემა გახდა.

ამ მეცნიერებს სურდათ ჰეგელის აბსტრაქტული ადამიანის ხელახლა გააზრება. ადამიანის ფილოსოფიური გაგების დაახლოვება ცოცხალი ადამიანის ფილოსოფიურ გაგებასთან ანუ ცოცხალ ადამიანთან. ადამიანის, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის, ადგილი უნდა დაეკავებინა სიცოცხლის ფენომენს, რადგან ადამიანი არის უპირველესად სიცოცხლე, ყოფიერების სპეციფიკური წესი. ამავე დროს სიცოცხლეს აქვს საკუთარი წესრიგი და პრინციპი.

სწორედ დასვლური სამყაროს ფილოსოფიურ აზროვნებაში სულის უკვდავების უარყოფის შემდეგ განსაკუთრებით დაფასდა სიცოცხლე, როგორც ერთადერთი, რაც ადამიანს აქვს. ადამიანი ეძებს სიცოცხლის ფენომენის არსს და მის კანონზომიერებას. გნოსეოლოგიური სუბიექტი ჩაანაცვლა სიცოცხლის ფენომენმა. ადამიანმა საკუთარი თავი ვერ დაინახა შემეცნების თეორიულ სუბიექტში. სიცოცხლის ფილოსოფიის თეოლოგიური წანამძღვრებია: მე ვარ (მამა ღმერთი), მე ვარ სიცოცხლე (ქრისტე). სიცოცხლის ფილოსოფია ძირითადად სამ მიმდინარეობად დაიყოფა: ნების მეტაფიზიკა, ცოცხალი გონი (ისტორია, კულტურა), არაცნობიერი.

ამ მეცნიერების (ანრი ბერგსონის, ვ.დილთაის) მიზანი იყო სიცოცხლის ფენომენის ახალი ასპექტით გააზრება, სწორედ შიშველი ბიოლოგიზმის დასაძლევად. ა. ბერგსონის აზრით, სიცოცხლე არის კოსმიური პროცესი, თავისებური „შემოქმედებითი ევოლუცია“. ეს ნიშნავს, რომ სიცოცხლე თავისი

არსით და ბუნებით წარმოადგენს გონის შემოქმედებით, არაცნობიერ მისწრაფებას და ამ პროცესის შედეგია ახალი ორგანული ფორმების მარადიული და უწყვეტი შექმნა.

სიცოცხლის ფილოსოფია აყალიბებს განმარტებას, რომლის მიხედვითაც, სიცოცხლე ეს არ არის მხოლოდ ბიოლოგიური ფენომენი, არამედ ადამიანის, როგორც ასეთის, არსებობის წესი, რითაც იგი განსხვავდება ღმერთისა და ცხოველისაგან.

ილია ჭავჭავაძის საყვედური ბიოლოგიური სიცოცხლის მონატრულ, მფშვინიერ არსებას მიემართება, რომლის ცხოვრებასა და ფსიქიკაში აშკარად იგრძნობა კულტურული ტრავმის ნიშნები. მისი დანახვა რომ შევძლოთ, კიდევ ერთხელ უნდა გავიაზროთ ამ ტრავმის გამომწვევი მოვლენები და ის აუცილებლობა, რომელმაც იმდროინდელი ქართველი ადამიანის დამოკიდებულება განსაზღვრა სიკვდილ-სიცოცხლის საზრისის მიმართ.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ ორსაუკუნენახევრის წინანდელ ისტორიას და გავიხსენოთ, რომ 1795 წელს კრწანისის ველზე ჩვენი მეხსიერება სხვებთან ერთად 300 არაგველის მასობრივი თავგანწირვის მოწმე გახდა. ეროვნულმა ცნობიერებამ, რომელმაც ქვეყანა შუასაუკუნობრივ სისასტიკეს ამ დევიზით – „ან სიკვდილი ან გამარჯვება“ ) გამოატარა, უკანასკნელი განხორციელება ჰპოვა კრწანისის ველზე.

სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ლიტერატურაში მათი თავგანწირვა არ შეფასდა, როგორც შუასაუკუნეების სიმბოლური დასასრული და ერის ცხოვრების ყველაზე კრიზისული ეტაპი, რამაც შემდგომი მოვლენების საბედისწერო ინერცია გამოიწვია .

ანტიკოლონიური აჯანყებების უბრალო ჩამონათვალის საკმარისაა, რომ ამაში დავრწმუნდეთ: 1804 წლის მთიულეების აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819 წლის იმერეთის აჯანყება, 1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულება, 1844 წელს კავკასიის ომი და მრავალი სხვა.

და ეს ხდება ტყვედ გაყიდული, საკუთარი ბატონისგან გამეტებული, კაპიტან-ისპრავნიკების ხელში ჩავარდნილი, გაღატაკებული, დამცირებული, სიცოცხლეგამწარებული ხალხის თავს, რომელიც მზადაა „ამ მოუთმენელის

მწუხარებისაგან, საკუთარ სახლს ცეცხლი მოუკიდოს, ცოლ-შვილი შიგ შეყაროს, თავადაც ამ ცეცხლში შევიდეს და დაიწვას.“

მიუხედავად ამისა, ვნახოთ, თუ როგორ ეგებებოდა ამ საბედისწერო მოვლენებს თავგანწირვას შეჩვეული ქართველი. ჩვენ ამ შემთხვევაშიც ეპოქისთვის დამახასიათებელ ლიტერატურულ (მათ შორის ანონიმურ და ფოლკლორულ) მასალებს დავეყრდნობით, რომლებშიც აშკარად იკვეთება მასობრივი თავგანწირვისთვის მზაობა რწმენის, სამშობლოს, მეფის, მამულის, ოჯახის გადასარჩენად:

„გავწყდეთ ხალხნო და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ“ (ყაზბეგი), – აქ ერთი რიგითი მოხვევის აღტკინებული შემახილი მთელი თემის საერთო გულისპასუხს აჩენს.

„სამშობლოსათვის სიცოცხლეს

ისე ვწვავთ, როგორც ჩალასა,

ვწყდებით გულდამშვიდებულნი

და თანაც ვმღერით ამასა:

“მშობელი მოკვდეს, რა უშავ,

შვილები რჩება მამასა,

კიდევ ექნება ფრთეები

ამ წუთისოფლის ჯარასა“ (ვაჟა-ფშაველა 1979:297)

ესაა „მხედართა ძველი სიმღერა“, რომელშიც ვაჟა-ფშაველა დოკუმენტურ წყაროსთან მიახლოებულ განწყობას მხატვრულ სამოსელში ახვევს.

“უნდა ცოლ-შვილით მტერს დავრჩეთ,

სირცხვილი კისრით ვზიდოთა!

მას მემრე ტანზე აბჯარი

როგორღა დავიკიდოთა?! (ვაჟა-ფშაველა 1979:214)

ესეც ვაჟა-ფშაველაა. ბაკურის უსასტიკი ქცევა თავის ცოლ-შვილის მიმართ ჩვენს დროში გამართლებას ვეღარ პოულობს.

და ბოლოს, ისეც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“: „ჩვენ თუნდაც ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ შენ იყავ მეფე დღეგრძელი“, სადაც ავტორი ჯარის სიკვდილისათვის მზადყოფნას ასე ახმიანებს: „შეჰბლავლა მეფეს ჯარმა ერთი ხმით..“ (ბარათაშვილი 1954:65) და რა ვუყოთ, თუ მკითხველს ამ შემახილში სამსხვერპლოზე მიყვანილი ცხოვარის („ცხოვარს ვემსგავსეთ“ - გრიგოლ ორბელიანი) ხმა უფრო ესმის.

საუკუნეების განმავლობაში მრავლ ომსა და უბედურებას გადარჩენილი ეს ხალხი მართლაც ჰგავდა უფსკრულისკენ დაქანებულ ცხვრის ფარას, რომელიც მზად იყო ამ სასიკვდილო ფერდობს ჩაფენოდა და ყორნების დადარაჯებული გუნდიც თან ჩაეყოლებინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღესაც ჰყვებიან საოცარ ამბავს, როდესაც ფრიალო კლდეზე შეფენილმა ცხვრის ფარამ თვალი მოჰკრა წინამძღოლ ვაცს, რომელსაც ციცაბო ბილიკზე ფეხი დაუცდა და ხევში ჩაიჩეხა და იმწამსვე ასეულობით ცხვარი მიჰყვა მის გზას).

ამის მსგავსად, განწირულ მდგომარეობაში მყოფი ხალხის ერთობისთვის ძნელია იმ სამკვდრო-სასიცოცხლო მიჯნის მოძებნა, რომელიც ერს მასობრივი თავგანწირვისგან იხსნის.

ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს კოლექტიურ ცნობიერებასთან, უფრო სწორედ კი ტრავმასთან, რომლის მიზეზი გახდა ის გაუსაძლისი მდგომარეობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, მეტადრე კი მეცხრამეტე საუკუნეში დაუდგა საქართველოს მოსახლეობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომებს, ძალადობას, ეპიდემიებს, სილატაკეს თან ერთვოდა სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული მიუსაფრობის განცდა, რომელიც იმთავითვე ერის დაობლებად („ვითა ობოლი სეფარებულა“ - ილია ჭავჭავაძე) შეფასდა როგორც კლასიკურ, ასევე ხალხურ შემოქმედებაში.

ვნახოთ, თუ როგორ განსაზღვრავს ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმის საზღვრებს ცნობილი ფსიქოლოგი ერიკ ერიკსონი: „ინდივიდუალურ ტრავმად მე

განვიხილავ დარტყმას ფსიქიკაზე, რომელიც ადამიანის დამცავ მექანიზმში აღწევს იმდენად მოულოდნელად და უხეში ძალით, რომ მასზე შეუძლებელია ქმედითი რეაქცია..... მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის შემთხვევაში, მე ვგულისხმობ დარტყმას სოციალური ცხოვრების საბაზისო ნაწილზე, რომელიც არღვევს ხალხის ურთიერთკავშირს და ზღუდავს საზოგადოების ერთიანობის განცდას. კოლექტიური ტრავმა ხალხის ცნობიერებაში აღწევს ნელა და ვერაგულადაც კი, ამიტომ მას არ ახასიათებს მოულოდნელობა, რომელიც, ჩვეულებრივ, „ტრავმასთან“ ასოცირდება. მაგრამ ეს მაინც შოკის ნაირსახეობაა, თანდათანობით გაცნობიერება იმისა, რომ საზოგადოება აღარ არსებობს როგორც თანადგომის ეფექტური წყარო, რომ „მე“-ს მნიშვნელოვანი ნაწილი გაქრა ... „ჩვენ“ აღარ არსებობს როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული წყვილი ან როგორც ურთიერთდაკავშირებული უჯრედები საზოგადოების ერთიან სხეულში“ (Erikson 1976, 153-54).

გავიხსენოთ, რომ თითქმის ერთი საუკუნით ადრე ილია ჭავჭავაძე თავის ცნობილ წერილში „ზოგიერთი რამ“ სწორედ „ჩვენის“ გაქრობას განიცდიდა, ამით საზოგადოების ერთიანი სხეულის დაშლას ამოწმებდა და კოლექტიური ტრავმის არსებობას ადასტურებდა: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში \_ ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა "მე" ხშირია, და "ჩვენ" \_ იშვიათი!“ (ჭავჭავაძე 1991:165)

მართალია, ავტორი სახელებს არ არქმევდა ამ მდგომარეობას, მაგრამ აშკარად გრძნობდა, რომ, როდესაც ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელი ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, ეს უბრალო „გაჭირვება“ არ იყო და მასთან შეგუება შეუძლებელი იყო, რადგან ის უპირველესად ერის იდენტობას ემუქრებოდა.

ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძეს არ ეცოდინებოდა, რომ კოლექტიურ ტრავმაზე პასუხის რამდენიმე ხერხი არსებობს (მეცნიერება ამ საკითხით მეოცე საუკუნეში დაინტერესდა) და ტრავმისა და პოსტტრავმული სტრესის დაძლევის ერთ-ერთი ფორმაა მომხდარზე საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური ტრავმის შემდეგ როგორც ინდივიდი, ასევე საზოგადოება მეტად ჩაკეტილი ხდება. მეცნიერთა ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ დაადგინონ, როგორ შეიძლება კოლექტიური

ტრავმის მსხვერპლი მომხდარზე ავალაპარაკოთ. ტრავმის დაძლევის ხერხებად მიჩნეულია ცერემონიის განმეორება, მოვლენათა აღდგენა (სპექტაკლის მსგავსად), ტრავმული გამოცდილების გადალახვა მასზე საუბრით (მომხდარის ანალიზით) და მომხდარზე წერით (მემუარები, ნოველები, ისტორიული და დოკუმენტური ლიტერატურა).

ილია ჭავჭავაძემ აქაც ინტუიციით განსაზღვრა, რომ „არა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის“, არამედ იმ კოლექტიური პოსტტრავმული სტრესის დასაძლევად იყო მოწოდებული, რომელზე საუბარს „მსხვერპლი“ გაურბოდა და ავტორს „ქართველთა სიავის“ ტირაჟირებაში სდებდა ბრალს.

ამ მიმართულებით თუ განვიხილავთ, ტრავმული სინდრომის გადალახვა ჩვენში სწორედ თეატრის დაბადებიდან (1850 წლის 14 იანვარს) იწყება, მაშინ, როდესაც ცხოვრების „შემოქმედი ადამიანი“ თავად იქცა მაყურებლად და შორიდან შეძლო საკუთარი თავის დანახვა.

ჩვენ არ ვიცით, რამდენმა ქართველმა ნახა ეს სპექტაკლი. რამდენი ჩაწვდა იმ მიზანს, რაც უთუოდ წინ უძღოდა თეატრის გახსნას, გაზეთი დაარსებას, ან სხვა კულტურულ ღონისძიებას. სპექტაკლის დადგმა კი უნდა წარმოვიდგინოთ იმ მაცნედ, რომელსაც აუცილებლად მოჰყვებოდა სხვა ღონისძიებაც.

თეატრის გახსნამ და სპექტაკლის დადგმამ გააჩინა მაყურებელი, ამან კი ძირეულად შეცვალა პატრიარქალური საზოგადოების დამოკიდებულება ცხოვრების წესზე და არსებულ ნორმებზე, თვითონ ის საზოგადოება, რომლის ყოველდღიური ლექსიკური მარაგიდან სავსებით გამქრალი იყო დასვენების, გართობის, ძილისა და ჭამის აუცილებელი ტერმინოლოგია (ამას ადასტურებს შესაბამისი იდიომების სიმრავლე: ლუკმის გატეხვა, თვალის მოტყუება, მუხლის მოხრა, სულის მოთქმა და ა.შ), რაც ასწლეულების განმავლობაში მის კრიზისულ სიტუაციაში ყოფნას და მუდმივად გადარჩენისთვის ბრძოლას მიაჩნებდა.

და აი, თეატრის მაყურებელი, რომელიც სხვა შემთხვევაში ათას მიზეზს მაინც მოიგონებდა, რომ თავი სანახაობის შემთხვევით „მაყურებლად“ გაესაღებინა, ამჟამად იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ ის თეატრის მაყურებელი იყო და მხოლოდ

სანახაობაზე დასასწრებად იყო მოსული (ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ თეატრს შემეცნებითი ფუნქციაც გააჩნია).

აქვე უნდა გავიაზროთ არ მხოლოდ თეატრის როლი ერის ცხოვრებაში, არამედ თეატრის, როგორც მასობრივი სანახაობის ერთ-ერთი დარგის, ჩამოყალიბების (აღდგენის) შინაგანი მოთხოვნილება, რაც ერის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებას გულისხმობდა..

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თეატრის (მაყურებლის) გაჩენა დაკავშირებული იყო საზოგადოების განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობასთან, რომელიც ერთი მხრივ, ნიჰილიზმის დასრულებას, ხოლო, მეორე მხრივ, სიცოცხლისადმი (არა მხოლოდ ბიოლოგიური) განსაკუთრებული დამოკიდებულების გაჩენას მიანიშნებდა.

თეატრი იყო ის სარკე, რომელსაც სთავაზობდა ილია ჭავჭავაძე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საზოგადოებას, რათა შიგ ჩაეხედა („კაცია-ადამიანი ?!) და საკუთარი ნაკლი დაენახა.

ჩვენ გვახსოვს, რომ თეატრს, დრამატურგიულ ჟანრს, მოჰყვა ისტორიულ თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტები (რეალიზმი ლიტერატურაში), სადაც უკვე რეტროსპექტიულად „მეორდებოდა“ ქვეყნის მძიმე წარსული, რამაც თავად „ბრალმდებელსაც“ მოუღებო გული და 80-იანი წლების ბოლოს ახალ თაობას ღვთისმშობლისადმი შემწყნარებლური თხოვნა დაახვედრა:

„რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,

მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,

სახელოვანი განუახლე ჩაგრულთ დღეთ ყოფა,

მამაპაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,

დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა...

იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,



თუ რამ შეგცოდეს, \_ შეისყიდეს ტანჯვით შენდობა“ (ჭავჭავაძე 1987: 197).

\*\*\*

ჩვენი მთავარი არგუმენტი, რაც არ მხოლოდ 50 იანელთა თაობას, არამედ წინაპართა ყოველ ძალისხმევას ამართლებს მომავლის წინაშე, არის ჩვენს დროში მომხდარი მოვლენები, თავგანწირვის ის უჩვეულო მაგალითები, რომლებიც საკუთარი თვალთ იხილა დღევანდელმა საზოგადოებამ, ეს არის შინდისის გმირების, გიორგი ანწუხელიძის, გურამ გაბისკირიას, ჟიული შარტავას და მრავალ სხვათა თავგანწირვა, რაც გვიდასტურებს, რომ გმირთა დამბადი დიდი საგანი ჩვენში ჯერაც არ მოსპობილა.

ჩვენ ველოდებით, რომ ლიტერატურული პროცესები არც ამჯერად ჩამორჩება ისტორიულ მოვლენებს და ახლა უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის გადმოსახედიდან შეაფასებს მიმდინარე ცხოვრება

## დასკვნა

როგორც სადისერტაციო ნამუშევრის შესავალში აღვნიშნეთ ჩვენი კვლევის საგანი იყო სოციო-პოლიტიკური პარადიგმის და ლიტერატურული პროცესების ურთიერთმიმართების გარკვევა. კვლევის გეოგრაფია ქართული ლიტერატურის ისტორია, ქრონოლოგია მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი.

სადისერტაციო კვლევამ აჩვენა, რომ ორი ცვლადს – სოციო-პოლიტიკური პარადიგმისა და ლიტერატურულ ცნობიერებას (ასევე თავად ლიტერატურულ პროცესს) – შორის პირდაპირი კავშირია. თუ ერთი ცვლადის (სოციო-პოლიტიკური პარადიგმა) მთავარი მახასიათებლები იცვლება, ეს განაპირობებს მეორე ცვლადის (ლიტერატურული პროცესი) ასევე მზარდი მიმართულებით ცვლილებას და პირიქით.

სადისერტაციო კვლევამ აჩვენა, რომ ორი ცვლადს – სოციო-პოლიტიკური პარადიგმისა და ლიტერატურულ ცნობიერებას (ასევე ლიტერატურულ პროცესს) – შორის პირდაპირი კავშირია. თუ ერთი ცვლადის (სოციო-პოლიტიკური პარადიგმა) მთავარი მახასიათებლები იცვლება, ეს განაპირობებს მეორე ცვლადის (ლიტერატურული პროცესი) ასევე მზარდი მიმართულებით ცვლილებას და პირიქით.

კორელაციის მზარდი ან კლებადი ზუსტი კოეფიციენტის დადგენა ზოგადად შეუძლებელია. თუმცა იმის თქმა კი დარწმუნებით შეგვიძლია, რომ შედარებით სრული აღრიცხვის პირობებში ლიტერატურული პროცესები სავსებით შესაბამისია (ადეკვატურია) ეპოქის სოციო-პოლიტიკური პარადიგმისა.

ამის დასადაგენად კვლევამ მოითხოვა ერთი მხრივ სოციო-პოლიტიკური მოვლენების მაქსიმალურად გათვალისწინება ( ჩვენს შემთხვევაში - ფეოდალური ურთიერთობის რღვევა, ანტიკოლონიური მოძრაობა, პანდემია-ეპიდემის გახშირებული შემთხვევები), ხოლო მეორე მხრივ - ყველა მიმართულების, კატეგორიის, სახეობის, ჟანრისა და ქვეჟანრის ლიტერატურული ტექსტების აღრიცხვა (მათ შორის წერილობითი, ზეპირი, ანონიმური, ფოლკლორული და სხვა), რამაც საშუალება მოვცა, ამ ორ ცნებას შორის პირობითი ტოლობის ნიშანი დაგვესვა .

კვლევის დროს გამოიკვეთა თვისობრივად გავლენა, რასაც სოციო-პოლიტიკური პარადიგმა ახდენს ლიტერატურულ პროცესებზე და შესაბამისად ცნობიერებაზე ან ლიტერატურული ტექსტები მოქმედებენ საზოგადოების კოლექტიურ განწყობაზე.

ჩვენი კვლევის შედეგად უნდა მივიჩნიოთ იმ ვარაუდის დამოწმება, რომელიც ადასტურებს მოსაზრებას, რომ ლიტერატურა კოლონიურ მდგომარეობაში აშკარად შეზღუდულია განვითარების თვალსაზრისით და ის თავის მარადიულ საზრისს მხოლოდ თავისუფლების პირობებში აღწევს .

კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმ უდავო ჭეშმარიტებაში, რომ მხატვრულ ტექსტში ისტორიული პერსონაჟი მთლიანად კარგავს რეალობასთან კავშირს და გაუმართლებელი მის წინაშე ისტორიულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის დაყენება.

კვლევის ფარგლებში ჩვენი ყურადღებმა მიიქცია გარკვეულმა ტენდენციებმა, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში ამართლებს, ასევე ჩვენი დაკვირვების შედეგად გამოკვეთილ ვარაუდს.

დაკვირვება ეხება სოციო- პოლიტიკური მოვლენების და ლიტერატურული პროცესების ურთიერთდამოკიდებულებას:

როდესაც სოციო-პოლიტიკური ცხოვრება აქტიურდება და ლიტერატურა ვერ ასწრებს მის დამუშავებას, იწყება კონკრეტული ჟანრების (დიკუმენტური პროზა, პუბლიცისტიკა) გააქტიურება, სადაც ხდება ცოცხალი ფაქტების ერთგვარი დაკონსერვება , რომლებიც წლების შემდეგ თავად იქცევა მასალად მხატვრული ტექსტების შესაქმნელად.

მაგრამ როდესაც საზოგადოებაში ერთგვარი უძრაობის პერიოდი დგება, ლიტერატურული პერიოდი არ ჩერდება, თუმცა რადგან ცხოვრება ვერ ამარაგებს აქტუალური მოვლენებით აქტიურდება ფენეზისი ჟანრი, ლიტერატურა იწყებს წინასწარმეტყველებას და იწყება მაგიური რეალიზმის და სხვა ჟანრების გამოცოცხლება.

კვლევის წინასწარდაუგეგმავ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ მოსაზრება, რომელშიც იკვეთება თავად ტერმინის „ლიტერატურული პროცესის“ საზღვრების

გაფართოვების შესაძლებლობა. ზოგადი განმარტების საფუძველზე შემოქმედებით პროცესში მხოლოდ ინდივიდუალური შემოქმედებითი აქტი იგულისხმება, თუმცა მისი საზღვრები ჩვენ შეგვიძლია საგნის ან მოვლენის აღქმის წერტილამდე გავწიოთ რაც მის მნიშვნელობას გაზრდის, მასობრიობას შესძენს და კოლექტიური შემოქმედების სივრცესაც მოიცავს. ეს საშუალებას მოგვცემს სოციო-პოლიტიკური მოვლენების (პარადიგმა) და ლიტერატურული პროცესის ურთიერთმიმართების საკითხი უფრო დავუახლოვოთ ერთმანეთს და ვამტკიცოთ, რომ თავად სოციო-პოლიტიკური მოვლენები ადამიანის ცნობიერებაში მხოლოდ ლიტერატურული პროცესის დახმარებით იმკვიდრებს თავს, რადგან საგნის ამ მოვლენის აღქმის მიღმა ყოველთვის იკითხება გარკვეული განწყობა, რაც ლიტერატურული პროცესის უპირველესი ნიშნად მიგვაჩნია.

კვლევის საგანი იმდენად მნიშვნელოვანი და განყენებული გვეჩვენება, რომ შევეცადეთ მუშაობის დროს წამოჭრილი სხვადასხვა პარალელური თემებისგან (რომელსაც ბუნებრივად მოიყოლებს-ხოლმე კვლევა-ძიება) თავი დაგვეზღვიოთ, ამ მიზნით მათი ნაწილი შესავალში ან ძირითად ტექსტში გადავიტანეთ, როგორც თავისთავადი მოცემულობა ამ ლოგიკური დასკვნა. მართალია, ამან კვლევის შედეგების ჩამონათვალი „შეამცირა“ თუმცა ფორმულირება უფრო ზუსტი გახდა და მაქსიმალურად გამორიცხა ის ორაზროვნება, რაც ჰუმანიტარულ მეცნიერებას ბუნებითად ახასიათებს.

და ბოლოს, ჩვენ შესაძლებლად მოგვაჩნია ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება, რადგან გლობალიზაციის პირობებში და ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მოსალოდნელია ორ ცვლადს (სოციო-პოლიტიკური პარადიგმა და ლიტერატურულ ცნობიერებას) შორის ურთიერთმიმართების ცვლილება, რაც დაკავშირებული იქნება ასევე ისტორიული ცვლილებებთან, იმის გათვალისწინებით, რომ ლიტერატურა როგორც კომუნიკაციის ფორმა ერთდროულად მიზეზი არის და შედეგიც..

დღეს საყოველთაო ინტერნეტიზაციის და ქსელური სისტემებზე დამოკიდებულების ეპოქაში განსაკუთრებული პირობებია შექმნილი ლიტერატურული პროცესის გააქტიურების და მისი თითოეული ეტაპის

გასაჯაროების კუთხით. დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია თვალი მიადევნოს  
ამა თუ იმ სოციალური ან პოლიკური მოვლენის „დამუშავების“ თითოეულ ეტაპს,  
მასზე პუბლიცისტური მსჯელობიდან დაწყებული მისი განზოგადების და  
მხატვრულ ტექსტად ქცევის საბოლოო შედეგამდე.

\*\*\*

## გამოყენებული ლიტერატურა :

- აბაშიძე 1962: აბაშიძე კ, “ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962
- აბაშიძე 2012: აბაშიძე კ, ნიკოლოზ ბარათაშვილი, წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთტომეული, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი 2012
- აბაშიძე 2021: აბაშიძე კ, „ ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ (ნაწილი I)“, თბილისი 2021
- აბზიანიძე 2022: აბზიანიძე ზ, ვის ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ?!, ჟურნალი „აფინაჟი“, 2022
- ალიბეგაშვილი 1992: ალიბეგაშვილი გ, „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, გამომცემლობა „განათლება“, 1992
- „ამირანიანი“ 2018: „ამირანიანი“, ქართული ხალხური პროზა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018
- ანთოლოგია (1765-1825) 2014: ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825). უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014
- არგანაშვილი 2006: არგანაშვილი გ, „ამაოდ არ მთაწმინდაზე უსეირნიათ“, გამომცემლობა „მერანი“, 2006
- ასათიანი 1988: ასათიანი გ, „საუკუნის პოეტები“, გამომცემლობა „მერანი“ 1988
- ასათიანი 2007: ასათიანი გ, წიგნში „ქართველი მწერლები სკოლაში“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბილისი, 2007
- ახალი... 1972: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1972.
- ბაგრატიონი 1973: ბაგრატიონი ვ. „აღწერა სამეფოს საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი, IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973

ბარათაშვილი 1954: ბარათაშვილი ნ, თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“ 1954.

ბარტი 2002: ბარტი ,რ. „ავტორის სიკვდილი?“ თარგმნა მალხაზ ხარბედიამ“, თბილისი, 2002.

ბაქრაძე 1992: ბაქრაძე ა, „ქართული მწერლობა“, ტომი მე- 9, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“ 1992.

berki 1993: Burke, S. The death and return of the author: Criticizm and subieqtivity in Barthes, Faukault and Derrida. Edinburg. Edinburgh University Press, 1992.

ბერძენიშვილი 1938: ბერძენიშვილი ნ, „ნარკვევი ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში (XIII – XVII საუკუნეებში), თბილისი, 1938

ბიბლია2013: ბიბლია, თბილისი, 2013

ბრეგვაძე 2012: ბრეგვაძე კ, „გერმანული რომანტიზმი და ჰერმენევტიკული ცდანი“, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2012.

ბრეგვაძე 2018: ბრეგვაძე კ, „მოდერნი და მოდერნიზმი“, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.

გამეზარდაშვილი 1972: გამეზარდაშვილი დ. შესავალი წერილი წიგნისა „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია.“ თბილისი: თსუ, 1972.

გოგებაშვილი 1989: გოგებაშვილი ი, რჩეული თხზულებანი, ტომი I, გამომცემლობა „განათლება“, 1989

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ, „1832 წლის შეთქმულება“, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი 1935.

გრიშაშვილი 1952: გრიშაშვილი ი, „ლიტერატურული ნარკვევები“, თბილისი, „სახელმწიფო გამომცემლობა“ 1952

გურამიშვილი 1979: გურამიშვილი დ, „დავითიანი“, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979

დოიაშვილი 2017: დოიაშვილი, თ. „ლიტერატურული ძიებანი“ 2017.

ევგენიძე 2007: ევგენიძე, ე, წიგნში „ქართველი მწერლები სკოლაში“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბილისი, 2007

ერისთავი 1936: ერისთავი გ, თხზულებანი, ტფილისი, 1936.

ერისთავი 1966: ერისთავი გ. თხზულებანი. თბილისი: `ლიტერატურა და ხელოვნება`, 1966.

ერისთავი 1852: ერისთავი გიორგი, „ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“, ჟურნალი „ცისკარი“, 1852 წ., # 5.

ვასაძე 2015: ვასაძე თ, „ქართული რეალიზმის სათავეებთან“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2015

ვაჟა-ფშაველა 1979: ვაჟა-ფშაველა „ლექსები და პოემები“, ტომი 1, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ზანდუკელი 1989: ზანდუკელი მ, „თხზულებანი“, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1989

თოფჩიშვილი 2022: თოფჩიშვილი რ, „ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორია და ეთნიკური ვითარება ისტორიულ საქართველოში“, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა“, 2022.

ივერია 1892, №183: სვიმონიძე ი. (გოგებაშვილი) ფელეტონი. „ივერია“, №183.

1892

ივერია 1886, №183: ვაჟა-ფშაველა, ფელეტონი, „ფშაველები“, „ივერია“, № 36,

1885

ინგოროყვა 1969: ინგოროყვა პ, „ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი 1969.



ინგოროყვა1975: ინგოროყვა პ, „ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები - ნიკოლოზ ბარათაშვილი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975

იუნგი 1995: იუნგი კ, „ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები სიზმრები“, თბილისი, 1995

კაკაბაძე 1930: კაკაბაძე ს, „გლეხთა საკითხი და გლეხთა მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში მე - 18 საუკუნეში (კრებული - ბრძოლის ისტორია კავკასიაში {რუს}), თფილისი, 1930

კალმასობა 1984: „კალმასობა“, იოანე ბატონიშვილი, . გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1984

კანდელაკი 2019: კანდელაკი დ, „უცნობი კავკასია XIX საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019

კაციტაძე, ჯამბურია 2012: კაციტაძე კ, ჯამბურია კ, „ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“, თბილისი 2012

კეკელიძე 1968: კეკელიძე კ, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1968

კენჭოშვილი 2014: კენჭოშვილი ი, ანთოლოგია (1765-1825) 2014: ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825), უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

კიკნაძე 2009: კიკნაძე გ. „თხზულებანი“ მე-4 ტ. თბილისი, 2009

კიკნაძე 1999: კიკნაძე გ. „თხზულებანი“ მე- 3ტ. თბილისი, 1999

კიკნაძე 1972: კიკნაძე გ. „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისთვის“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972.

კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ, „ქართული ხალხური ეპოსი“, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2001

კოტეტიშვილი 1934: კოტეტიშვილი ვახტანგი, „ხალხური პოეზია“, ქუთაისი, „სახელგამი“, 1934

კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვახტანგი, „რჩეული ნაწერები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1965.

ლიტერატურის თეორია 2008: ლიტერატურის თეორია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2008

ლოტმანი 2020: ლოტმანი ი, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა „გზამკვლევი და ანთოლოგია, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2020

ლომიძე 2012: ლომიძე, გ, „ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“ 2012

ლორთქიფანიძე 2022: ლორთქიფანიძე ო, „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა“, 2022

მაკალათია 1930: მაკალათია ს, „მთიულეთი“, სახელგამი, თფილისი, 1930

მამარდაშვილი 2015: მამარდაშვილი მ, „საუბრები ფილოსოფიაზე“, თბილისი, 2015.

მაჭავარიანი 1989: მაჭავარიანი მ, „მრავალ-ჭირვარამ - გადანახადი“, თბილისი, „მერანი“, 1989

მახარაძე 1967: მახარაძე აპოლონ, „ქართული რომანტიზმი“, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1967;

მილორავა 2015: „ქართული რეალიზმის სათავეებთან“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2015

მორეტი 2000: Moretti, F. The Slaughterhouse of Literature”. Modern Language Quarterly, March, Vol 61, Issue I, p. p. 207-227.

ორბელიანი 2009: ორბელიანი ალ. „1811 წლის ჭირი საქართველოში“. წგ.-ში: მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწენი ავტობიოგრაფიული პროზა მემუარები, პოლიტიკოსთა ბიოგრაფიები. საოჯახო ბიბლიოთეკა 25 ტომად. რედაქტორი ზაზა აბზიანიძე. თბილისი: 2009

ორბელიანი 1951: ორბელიანი გრ, პოეტური ნაწერების სრული კრებული, „ლირიკა, ეპოსი, თარგმანები“ , თბილისი 1951

ორბელიანი 1926: ორბელიანი გრ, „გრიგოლ ორბელიანის „წერილები“ როგორც ბიგრაფიული მასალა“, სახელმწიფო გამომცემლობა ტფილისი, 1935

ორბელიანი 1992: ორბელიანი გრ, ქართული მწერლობა, ტომი მე- 9, გამომცემლობა „ნაკადული“ 1992.

ორბელიანი გრ.. 2013: ორბელიანი, გრ. ერთტომეული, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2013

ორბელიანი ვ.1992: ორბელიან ვ, ქართული მწერლობა, ტომი მე- 9, გამომცემლობა „ნაკადული“ 1992.

ორბელიანი 1979 : ორბელიანი ს, „სიბრძნე სიცრუისა“ მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979

ორბელიანი 2014: ორბელიანი პ. „ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825)“, თბილისი 2014.

ჟირმუნსკი 1979: ჟირმუნსკი ვ.მ. რჩეული შრომები: შედარებითი 1979.

რატიანი 2006: რატიანი, ი. ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”, 2006.

რატიანი 2015: რატიანი ი. „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“,თბილისი 2015

რუსთაველი 1970: რუსთაველი შ, „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1970.

რჩეულიშვილი 1985: რჩეულიშვილი გ, „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“, მოთხრობები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.

სმიტი 1995: 57 Scholarly articles for Smith, 1995:57

ტაბუცაძე 2021: ტაბუცაძე ს, „ლიტერატურათმცოდნეობითი კომპილაციები“, გამომცემლობა „უნივერსალი, თბილისი , 2021.

ტოგონიძე 1951: ტოგონიძე ვ, „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება“, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა პოლილიტერატურის სექტორი, თბილისი. 1951

უელეკი, უორენი 2010: უელეკი რენე, უორენი ოსტინ „ლიტერატურის თეორია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ფუკო 2004: ფუკო მ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა არქეოლოგია, „სიტყვები და საგნები“, გამომცემლობა „დიოგენე“ 2004

ყარალაშვილი 1977: ყარალაშვილი რევაზ, „წიგნი და მკითხველი“, თბილისი, „განათლება“, 1977

შალუტაშვილი 1980: შალუტაშვილი ნ, გიორგი ერისთავი და თეატრი, თბილისი, 1980

შამანაძე 2012: შამანაძე შ, „ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“, თბილისი 2012

შარაბიძე 2008: შარაბიძე თ, ქრისტიანული მოტივები XIX საუკუნის ქართველკლასიკოსთა ლირიკაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008

შარაბიძე 2021: შარაბიძე თ, „ნიკოლოზ ბარათაშვილის 12 ბიოგრაფია\*, თბილისი, თსუ, 2021

შარაბიძე 2015: შარაბიძე თ, „ქართული რეალიზმის სათავეებთან“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2015

ჩხეიძე 2020: ჩხეიძე რ. „ალექსანდრე ორბელიანი - „150 ამბავი“, „ გამომცემლობა „არტანუჯი 2020

ჩხეიძე 2008 : ჩხეიძე რ, ბიოგრაფიული რომანი „იასე იანუსი“ , ალ. ორბელიანის საზოგადოება, თბილისი 2008

წერეთელი 1883: წერეთელი ა, გაზეთი „დროება“, # 66, 1883/2011

წერეთელი 2011: წერეთელი აკ, „თხზულებათა სრული კრებული, 20 ტომად, ტომი 2, ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი 2011

წიფურია 2010: წიფურია ბ, „ქართული ლიტერატურა: კოლონიზაცია, მოდერნიზაცია, ახალი პარადიგმები, ჟურნალი „კადმოსი“, 2010

ჭავჭავაძე 1953 ა: ჭავჭავაძე ი, „თხზულებანი“ , ტომი 2, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1953

ჭავჭავაძე 1953 ბ: ჭავჭავაძე ი, „თხზულებანი“ , ტომი 3, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1953

ჭავჭავაძე 1984: ჭავჭავაძე ი, თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი , 1984.

ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი, თხზულებანი, ტომი 1, პოეზია, „საბჭოთა სართველო“, თბილისი, 1987

ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე ი, „თხზულებანი“ , ტომი 2. მოთხრობები, პიესები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1988

ჭავჭავაძე 1940: ჭავჭავაძე ალ, თხზულებანი, ივრიშაშვილის რედაქციით, „ფედერაცია“, თბილისი 1940

ჭავჭავაძე 1992: ჭავჭავაძე ალ, ქართული მწერლობა, ტომი მე- 9, გამომცემლობა „ნაკადული“ 1992.

ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი, თხზულებანი, ტ. მე-5, „კრიტიკა“, მეცნიერება 1991

ჭავჭავაძე 1892: ჭავჭავაძე ი. „თხზულებანი“ II, წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა, 1892.

ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი, წერილები ლიტერატურაზე, პუბლიცისტური წერილები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ. 1987

ჭილაია 2009: ჭილაია რ, ტექსტი ტექსტებზე თბილისი, 2009

ჭიჭინაძე 1885: ჭიჭინაძე ზ, „სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი  
„ფარული საზოგადოების“ წინაშე და ნიკ. ბარათაშვილის პოეზიის იდეის  
აღორძინება

ქართულ მწერლობაში“ (სოსო გრიშაშვილის წიგნებიდან {894.63.09} ჭ551) 1885.

ქართული რომანტიზმი 2012: „ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და  
ინტერნაციონალური საზღვრები“, თბილისი 2012

ქართული ხალხური პოეზია 1979: „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი VIII,  
(საყოფაცხოვრებო ლექსები), თბილისი, 1979.

ქიქოძე 1985: ქიქოძე გ. წერილები, ესეები, ნარკვევები. თბილისი, გამომცემლობა  
„მერანი“ 1985 ქურდაძე 2003: ქურდაძე პ, კოლექტიური თვითმკვლელობა“ ჟურნალი  
„ლიბერალი“ . <http://liberali.ge/articles/view/2993/koleqtiuri-tvitmkvleloba>

ყაზბეგი 1985: ყაზბეგი ა, „თხზულებანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,  
თბილისი 1985.

ხალხური პოეზია 1985: ხალხური პოეზია „ლექსო არ დაიკარგები“ გამომცემლობა  
„მერანი“, თბილისი, 1985.

ხახანაშვილი 1913: ხახანაშვილი ალ, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე  
საუკუნე, 1913.

ჯოლოგუა 2011: ჯოლოგუა თ. მიხეილ ვორონცოვის `კავკასიური პოლიტიკის`  
შესახებ. აკაკი წერეთელი 170. საიუბილეო კრებული. თბილისი, ლიტერატურის  
ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

ჯეფრი ალექსანდერი 2012: . ალექსანდრე. ტრავმა. სოციალური თეორია. Polity Press,  
2012), გვ. 1-5

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა, წერილები, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“ 1989 წ.

ჰაინე 1938: ჰაინე ჰანრიხ, ლექსები, ფასავლეთ ევროპის ლიტერატურა, ფედერაცია,  
თბილისი. 1938

ელექტრონული რესურსები:

აბაშიძე 2020: აბაშიძე ფ, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ფოლკლორული ძირები

“[https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&ved=2ahUKEwiiJLj\\_j\\_34AhWPXvEDHd0JBvAQFnoECAIQAAQ&url=https%3A%2F%2Fwww.bsu.edu.ge%2Ftext\\_files%2Fge\\_file\\_13647\\_1.pdf&usg=AOvVaw3BiN7KDYpXL7ZYEZcIYbE2](https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&ved=2ahUKEwiiJLj_j_34AhWPXvEDHd0JBvAQFnoECAIQAAQ&url=https%3A%2F%2Fwww.bsu.edu.ge%2Ftext_files%2Fge_file_13647_1.pdf&usg=AOvVaw3BiN7KDYpXL7ZYEZcIYbE2)

არგანაშვილი 2021: არგანაშვილი გ. XLX საუკუნე -ეპოქათა მიჯნა „ნაპოლეონის სახე ქართულიტრადიციული აზროვნების შუქზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ნაპოლეონ“

<chrome-extension://mhjfbmdgcfjbbpaeojofohoefgihjai/index.html>

არგანაშვილი 2021: საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურა და პანდემია ისტორიული და თემატური გამოცდილება „ლიტერატურა და პანდემია, ისტორიული გამოცდილება: ლიტერატურული შედეგების შექმნის ირობები და მიზნები პანდემიის დროს“

<https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&cad=rja&uact=8&ved=2ahUKEwjgysbh3If5AhXnVfEDHdCXADQQFnoECBwQAQ&url=https%3A%2F%2Farcher.chnu.edu.ua%2Fbitstream%2Fhandle%2F123456789%2F989%2FXV-simpoziumis-tezisebi-1.pdf%3Fsequence%3D1%26isAllowed%3Dy&usg=AOvVaw1tTA5oxIIIsoBAAi6Hmng>

Arganashvili 2018: Gia Arganashvili , litinfo “An Epic Hero in the Role of a Lyric Character”  
[https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&cad=rja&uact=8&ved=2ahUKEwjHtZXX3of5AhWWQfEDHaxQArcQFnoECAyQAQ&url=https%3A%2F%2Fwww.litinfo.ge%2Fvol-12%2Farganashv.pdf&usg=AOvVaw3lJtL1-t8R\\_O1bH2YZez3K](https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&cad=rja&uact=8&ved=2ahUKEwjHtZXX3of5AhWWQfEDHaxQArcQFnoECAyQAQ&url=https%3A%2F%2Fwww.litinfo.ge%2Fvol-12%2Farganashv.pdf&usg=AOvVaw3lJtL1-t8R_O1bH2YZez3K)

ჰანს გეორგ გადამერი: „გაგების წრის შესახებ“ („Vom Zirkel des Verstehens“), (გვ. 261-272); კრიტიკა N 7, ლიტ. ინსტ.-ის გამ.-ობა, 2012. (თარგმანი გერმანულიდან კონსტანტინე ბრეგვაძემ)

“<chrome-extension://mhjfbmdgcfjbbpaeojofohoefgihjai/index.html>

ეკა ვარდოშვილი: სტატია „ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი ნაპოლეონ და მისი მიმართება ბაირონის ნაპოლეონის ციკლის ლექსებთან “  
<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/16/5>

ნინო ლომიძე „რა არის სტრესი და როგორ დავძლიოთ ის?“  
<https://www.aversi.ge/ka/cnobari/1161/ra-aris-stresi-da-rogor-davZlioT-is>

ივანე წერეთელი „ტრავმა და ტრიუმფი ლიტერატურულ ტექსტებში: დამოუკიდებლობის შემდგომი საქართველო“  
„<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/246>“

ჯეფრი ჩარლზ ალექსანდერი „კულტურული ტრავმის თეორიის კვალდაკვალ“  
<chrome-extension://mhjfbmdgcfjbbpaeojfohoefgiehjai/index.html>